# კვირის პალიტრა

№ 27 (438) ◆ 7 – 13 ივლისი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




პარლამენტი საქართველოში ყოველგვარი ბინძური გარიგებისა და ბიზნეს-მაქინაციების ბუდედ ვაქციეთ. ამიტომაც არის დღეს ერთი ამბავი იქ მოხვედრაზე. ჩვენი სახელმწიფოებრივი მოწყობა რომ ამ მაქინაციებზე არ იყოს დამოკიდებული, ბუნებრივია, აღარც პარლამენტი გაივსებოდა ნაგვით.

დროთა განმავლობაში შეერთებულ შტატებს გამუდმებული განცხადებები, ქართველ ჩინოსანთა თავგასულობა და სიხარბე მოჰბეზრდება და თავისი აღმოსავლური ფორპოსტის, თურქეთის, ერთ-ერთ ვილაიეთად გამოგვაცხადებს.

გვ.3

## „ვაჟასთვის თვალი ვერ გამისწორებია, თითქოს მე გავძარცვე“

ექსკლუზივი

ქართველ მეომართა აჩრდილების ქანდაკებებს თურქეთში „გასამგზავრებლად“ ამზადებენ?





**თვალებს არ ვუჯერებდი** – სახურავზე ირმისა და ჯიხვის სამი-ოთხი წყვილი რქა ეგდო. ასეთი უზარმაზარი რქები არც ერთ ჯიხვს და ირემს არ აქვს... მოულოდნელად გამახსენდა – რამდენიმე წლის წინ ვაჟას ქანდაკების არქიტექტურული კომპოზიციიდან ირმისა და ჯიხვის ბრინჯაოს რქები გაქრა...

... ქართველი მეომრების აჩრდილთა ქანდაკებები ხელებდაგლეჯილი, ფეხებმომტვრეული და იარაღაყრილი ვიღაცას უდიერად დაუყრია მიწაზე...

გვ.6,11

## ძალიან ბევრი შრომა იქნება საჭირო იმისთვის, რომ მათ ადამიანების ნდობა დავუბრუნდეთ...

„კვირის პალიტრის“ და მისი მკითხველის ახალი პროექტი



...ხუთშაბათს სატვირთო „გაზელი“ საჩუქრებით თითქმის პირთამდე აივსო და გეზი მარტყოფისკენ ავიღეთ.

გვ.12

...რედაქციაში სატელეფონო ზარი გაისმა. ჩვენი მკითხველი „მარტყოფელებისთვის“ ფორტეპიანოს ჩუქებას აპირებს და სახლის დირექტორთან გვთხოვა დაკავშირება...

## ამ თვეში უკვე ორჯერ „ვიტირე“...



– მეც არ მომწონს ზოგიერთი მწერალი, იმიტომ, რომ იმდენად ქედმაღლები არიან, თავს უფლებას აძლევენ თქვან, – პარლამენტი ცუდია ან კარგიო.

როდესაც მსახიობი ამბობს, – მხარს ნინო ბურჯანაძეს ვუჭერო, იგი ამ დროს თამაშობს.

პრეზიდენტი დღეს პოლიტიკური ლუარსაბია და „უფროსობანას“ თამაშობს. არ ვიტყვი, ვინ არის დარეჯანი და მათი ოჯახის პოლიტიკური ლამაზისეული ირინა სარიშვილია.

მარცხენა ფლანგზე საშიში ავანტიურისტი, ნათელაშვილი მოძვრება.

გვ.7

## „ჩემს ფიზიკურ განადგურებასაც არ მოერიდებიან...“



არ ვართ წინააღმდეგი მონოპოლისტები გვერქვას, მაგრამ ისეთ მწირ საჰაერო სივრცეში, როგორსაც საქართველოს ავიაბაზარი წარმოადგენს, ნამდვილად ვერ იმუშავებს ორი-სამი კომპანია.

გვ.5

საქართველოს უნდა ჰყავდეს ერთი პატარა კომპანია, რომელიც ევროსტანდარტებით იმუშავებს და უსაფრთხოების ყველა იმ ნორმატივს დაიცავს, რასაც საავიაციო წესები მოითხოვს.

### თქვენთვის, ქალბატონებო:

## უცნაური წერილი

გვ.21

„გეხვეწებით, თქვენ თუ დაურეკავთ, იქნებ შემირიგდეს, თქვენ უარს ვერ გეტყვით, აუცილებლად მოგისმენთ, ცოლად მინდა მოვიყვანო და „გაბუტულები ვართ“...

**თაზო**

„კვირის პალიტრა“ ჯვრისწერაზეა მიწვეული

## ჯეკ-პოტი!

ამ ნომრის რეიტინგი

## 200-ლარიანია

რა სახის ტელეგადაცემები მოგწონთ?

გვ.35

### სამხედრო თემაზე:

## ვის ახსოვს ქართველი სამხედრო „მძევლები“?

მათ უკვე გემიდანაც აღარ უშვებენ, წყლისა და ელექტროენერგიის შეწყვეტითაც ემუქრებიან, საკვებიც მალე გაუთავდებათ და სამი ქართველი სამხედრო მეზღვაური დიდ გასაჭირში აღმოჩნდება. სამშობლოში ისინი აღარ ახსოვთ. უფრო სწორად, მიივიწყეს ქართული სამხედრო ხომალდი.

გვ.9

### სპორტი:

გვ.34

„ბექჰემის მსგავს იდიოტს „ბაიერნი“ არასოდეს იყიდის, იმიტომ, რომ ჯერ ერთი, მასზე უკეთესი ფეხბურთელებიც არსებობენ და მეორეც – დევიდი რომ გვეყიდა, მის სულელ მეუღლეზე ზრუნვაც ჩვენ მოგვიწევდა“.



## უდაბნოში ვართ ჩარჩობილები ქვევრებივითა...

### იცით, რატომ არის დევი ზღაპრებში მყრალი?

თანამედროვე ჩანჩურები ათასნაირ გადადი-გადმოდის თამაშობენ. ხან დემოკრატიას, ხან განდეგილს, ხან მარტოსულს, ხან ყველას ერთად... ყველას მაგივრად ეგენი გამოდიან და შედიან მთავრობაში, კაცო, ხომ არ შეიძლება ასე?..

გვ.20



მერაბ ელიოზიშვილი

ვერსია

## დიდი სტალინი. პატარა დაუნები და საზიდისწერო გაქირითება

გვ.10

კრემლიდან თეთრ ჭაკ ცხენზე ამხედრებული სტალინი გამოვიდოდა. მას პატაკს ჩააბარებდნენ შავ ულაყზე ამხედრებული მარშალი ჟუკოვი და ფრონტის სხვა სარდლები.

საკმაოდ ასაკოვან სტალინს ღირსეულად ეჭირა თავი საგანგებოდ შერჩეულ ცხენზე. მაგრამ ერთ-ერთი მორიგი შემობრუნების დროს ბელადი ცხენიდან ჩამოცურდა.

დღემდე გამოცანად რჩება, რა მოხდა. სტალინი კი მას შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა – პანიკური შიში დასჩემდა.

## 12 ივლისი — პეტრე-პავლობაა...

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## ტარიფი ტარიფი არ არის?!

კვლავაც გაურკვევლობაა ელექტროენერგიის ტარიფთან დაკავშირებით — საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტარიფი შემცირდა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, შემცირდა ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ხარჯზე. ამას კი, ენგურჰესის ხელმძღვანელობაზე რომ არაფერი ვთქვათ, სავალუტო ფონდის ექსპერტებიც სასტიკად ეწინააღმდეგებიან.

საოლქო სასამართლოში „ენგურჰესის“ მიერ შეტანილი სარჩელის საფუძველზე, ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) წინააღმდეგ პროცესების კასკადი გაიმართა, თუმცა უშედეგოდ. ექსპერტების აზრით, ეკონომიკური გათვლების გარეშე „ენგურჰესის“ ელექტროენერგიის ტარიფის 30%-ით შემცირება ჰესის გაკოტრებას გამოიწვევს. მით უმეტეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში „ენგურჰესზე“ არაფერი ეწერა — ასეთი გადაწყვეტილება მოგვიანებით სემეკმა მიიღო. ამ მოსაზრებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ლეიბორისტული პარტია — მის წარმომადგენელთა განცხადებით, ტარიფის გაზრდა გაუმართლებელია, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უგულებელყოფა მოხდება.

## ქართველი ქალები აფხაზ ნათესავებს შეხვდნენ

გაეროს სპეცწარმომადგენლის ოფისის დახმარებით, ექვსი ქართველი ქალბატონი აფხაზი ნათესავების სანახავად სოხუმში ჩავიდა. აქცია აფხაზეთში მოქმედი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ 29 ივნისს იმავე მიზნით თბილისში აფხაზი ქალბატონები იმყოფებოდნენ.

## პატიმარი აეროპორტიდან გარბოდა...

თბილისის აეროპორტში №5 საპყრობილიდან გაქცეული პატიმარი დააკავეს. სამართალდამცველებმა კანდელაკი იმ დროს აიყვანეს, როცა იგი ქვეყნის დატოვებას ცდილობდა. პატიმარს პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია და დაკავების ოპერაცია უმსხვერპლოდ დასრულდა. კანდელაკი იმ თხუთმეტ საშიშ პატიმარს შორის იყო, რომლებიც №5 საპყრობილიდან 2003 წლის 31 მაისს გაიქცნენ. მოგვიანებით, გაქცეულაგან კიდევ ერთი, ზვიად ჩხაიძე ვაკის რაიონში დააპატიმრეს. იგი სასჯელს ნარკოტიკების შენახვა-რეალიზაციისთვის იხდიდა.

## მორიგი გაქცევა

გასულ სამშაბათს, რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან 12 პატიმარი გაიქცა. ორი მათგანი, ვლადიმერ ცაცუა და იური კალაძე მეორე დღესვე, ქალაქ რუსთავში დააპატიმრეს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონაცემებით, ციხის საკონტროლო-საკვალე ზოლში „აკაემის“ ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩინეს. ვინაიდან კოლონიის საზედამხედველო ჯგუფს მსგავსი ტიპის იარაღი არ გააჩნია, სავარაუდოდ, იგი დაწესებულებაში წინასწარ იყო შეტანილი. პატიმრებმა გუშაგ ილო ჯავაშვილს ცეცხლი გაუხსნეს და მძიმედ დაჭრეს. დაჭრილია მწყემსი მახარბეგ გაგიევიც, რომელმაც გაქცეული პატიმრების შეჩერება სცადა. გაქცეულებმა რუსთავის გზაზე სამარშრუტო ტაქსი გააჩერეს, მძღოლი გადმოსვეს და გარდაბნის მიმართულებით მიიმალნენ. მომხდართან დაკავშირებით ადგილზე მობილიზებულია სპეციალური დანიშნულების რაზმი. სისხლის სამართლის საქმეს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია იძიებს. გრძელდება გასულ კვირაში ავჭალის კოლონიიდან გაქცეულთა ძებნაც. სამართალდამცველებმა კოლონიის მახლობლად, მდინარე მტკვართან ერთი მათგანის, ზვიად გელაშვილის გვამი იპოვნეს. მას მძიმე დანაშაულისთვის 14 წელი ჰქონდა მისჯილი. გამოძიების ვერსიით, გელაშვილი მდინარის გადაცურვის მცდელობისას დაიღუპა, რის შემდეგაც ცხედარი დინებამ გამორიყა. დღესდღეობით, სამართალდამცველების მიერ სასჯელაღსრულებითი დაწესებულებებიდან გაქცეული 44 პატიმარი იძებნება.

## მკვლელობა წალენჯიხაში

ზუგდიდელმა ბეჟან გვაზავამ საკუთარი და-ძმის საფლავზე ძმის — მამუკა გვაზავას მკვლელობაში მის მიერ ეჭვმიტანილი ნაჭყებია და ზურაბიანი დახოცა. მკვლელობა წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში მოხდა.

გოჩა ესებუას ჯგუფის წევრმა, ბეჟან გვაზავამ ძმის სავარაუდო მკვლელები ნაჭყებიების საცხოვრებელი სახლიდან „სალაპარაკოდ“ გამოიყვანა. ერთ-ერთი ძმა ნაჭყებია იქვე მოკლა, ხოლო მეორე ზურაბიანთან ერთად სიცოცხლეს ძმის საფლავზე გამოასალმა. სამართალდამცველთა მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში გვაზავა რვა კაცის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. ერთი წლის წინ მან მისი დის ოჯახში შეჭრილი ხუთი ყაჩაღი ადგილზევე გაანადგურა. ბეჟან გვაზავას ძმა მამუკა და მისი ბიძაშვილები, რომლებიც „ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის“ წევრები იყვნენ, ერთი თვის წინ დაუდგენელმა პირებმა ზუგდიდი-წალენჯიხის გზაზე „ნივის“ მარკის ავტომანქანაში ჩაცხრილეს. სწორედ ამ მკვლელობაში ეჭვმიტანილებად მიიჩნევს გვაზავა მის მიერ დახოცილ ნაჭყებიებსა და ზურაბიანს.

წალენჯიხისა და ზუგდიდის პოლიციამ მომხდართან დაკავშირებით სრული მობილიზაცია გამოაცხადა. გვაზავას დასაკავებლად სამძებრო-ოპერატიული ღონისძიებები მიმდინარეობს.

## ცხინვალში საგანგებო მდგომარეობაა

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ეგრეთწოდებულმა პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, ცხინვალში ყოვლად არაპროგნოზირებადი საკადრო ცვლილებები დაიწყო და თითქმის ყველა ძალოვანი უწყების ხელმძღვანელი დააპატიმრა. რეპრესიებს შეიარაღებული დაპირისპირება მოჰყვა. ზოგიერთმა ძალოვანმა კოკოითის რისხვისგან გაქცევა მოახერხა და მხარდამჭერთა მობილიზება მოასწრო. ცხინვალში შიგადაშიგ სროლის ხმა გაისმა, რეგიონში განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული — ის უწყებები, რომლებიც ედუარდ კოკოითს ექვემდებარებიან, მთლიანად მობილიზებულია, როგორც ცხინვალის ქუჩებში, ასევე ქალაქის შესასვლელებში. საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა ცხინვალში დისლოცირებულ შერეულ სამშვიდობო ძალებში. ჯერჯერობით ქალაქის კონტროლს მხოლოდ შერეული ძალების რუსული ბატალიონი ახდენს. ქართული და ოსური დანაყოფები კი, თავიანთი დისლოკაციის ადგილზე, მთავარი შტაბის მიმდებარე ტერიტორიაზე არიან მობილიზებულნი.

## სუუამი კუჩმას და შევარდნაძეს ყველაფერში ენდობა...

მიუხედავად იმისა, რომ სუუამის სამიტი მხოლოდ ორი ქვეყნის პრეზიდენტის მონაწილეობით ჩატარდა, იალტაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების გაფორმება მოხდა — შეთანხმება ტერორიზმთან, ორგანიზებულ დანაშაულთან და ნარკოტიკების გავრცელებასთან ბრძოლის სუუამის ცენტრის შექმნის შესახებ, მემორანდუმი ვაჭრობის დარგში თანამშრომლობის შესახებ და სამთავრობოთაშორისო შეთანხმება საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში ურთიერთდახმარების თაობაზე. სუუამის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა ასევე ხელი მოაწერეს შეთანხმებებს ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების განათლების სამინისტროებსა და საბაჟო სამსახურებს შორის თანამშრომლობის შესახებ, ოქმს სახელმწიფო საზღვრების დაცვის ორგანოების თანამშრომლობის თაობაზე და ოქმს მეცნიერებათა აკადემიებს შორის თანამშრომლობის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატები სუუამს საექსპერტო და საკონსულტაციო დახმარების მიზნით დაახლოებით 1 მლნ დოლარს გამოუყოფს. თეთრი სახლის აღნიშნული გადაწყვეტილება სუუამისა და აშშ-ის ერთობლივ განცხადებაში დაფიქსირდა, რომელიც იალტაში სუუამის ქვეყნების მეთაურთა სამიტის დასრულების შემდეგ იქნა მიღებული. სამიტს ოფიციალური სტატუსით ესწრებოდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილეც.

## ნინო ბურჯანაძე საარჩევნო მარათონზე გამოდის

ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ, როგორც ჩანს, ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარება მთელი სიცხადით გაიაზრა და დაუყოვნებლივ მოქმედებას შეუდგა — უკვე მეორე დღეს ნინო ბურჯანაძე იურისტებთან და ეკონომისტებთან შეხვედრებს ატარებდა, რათა საგანგებო პროგრამა შეემუშავებინათ, რომლის გარშემოც ოპოზიციური ძალები გაერთიანდებიან. იმ შემთხვევაში კი, თუ ოპოზიციის გაერთიანება ვერ მოხერხდა, ნინო ბურჯანაძე იძულებული იქნება, თანამოაზრეები შემოიკრიბოს და ახალი პოლიტიკური მოძრაობა ჩამოაყალიბოს, რომელსაც წინასაარჩევნო პლატფორმაში არაპოპულარული, მაგრამ მაქსიმალურად ეფექტური პრინციპები ექნება ჩადებული.

## დაჯავშნული ავტომანქანა მძღოლთან ერთად გაიტაცეს

გორის ცენტრიდან „საქართველოს ბანკის“ გორის ფილიალის კუთვნილი დაჯავშნული ავტომანქანა მძღოლთან ერთად გაიტაცეს. მოგვიანებით, აღნიშნული ავტომანქანა გორიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, სოფელ გორიჯვრის მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცველებმა დამწვარი იპოვეს. „საქართველოს ბანკის“ განცხადებით, გატაცების მომენტში ავტომანქანაში ფული არ იყო. გატაცებისას ავტომანქანაში არ იმყოფებოდნენ დაცვის თანამშრომლებიც — ავტომანქანა საწვავის ავზის შესავსებად მიდიოდა. თავდამსხმელებმა მძღოლი სასტიკად სცემეს. იგი თავის ქალის ტრავმით და სხვა სახის დაზიანებებით გორის საავადმყოფოშია მოთავსებული. ექიმების განცხადებით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

## არძინბას ოჯახი აფხაზეთს ოჯახურად განაგებს...

აფხაზ მეომარ-ვეტერანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ამცახარას“ განცხადებით, არძინბას ოჯახი სოხუმის ხელისუფლების ცენტრალური ბანკის ხაზინას საკუთარი ბიუჯეტივით მართავს. არძინბას ქალიშვილმა მადინამ ხაზინიდან სოხუმში აღდგენითი სამუშაოების ჩატარებისა და „საქართველოზე გამარჯვების 10 წლისთავის“ აღნიშვნისთვის განკუთვნილი თანხები მოხსნა.

ცენტრალური ბანკის დაცარიელებული ხაზინის ანგარიშის შესავსებად არძინბას მეუღლის, სვეტლანა ჯერგენიას ინიციატივითა და მონაწილეობით, ვითომდა „ქალაქის კეთილმოსაწყობად“, ადგილობრივი ტელევიზიით ტელემარათონი ჩატარდა, რომელზეც შემოწირულობების სახით 2 მლნ რუსულ რუბლამდე შეგროვდა. არძინბას ქალიშვილი მადინა აფხაზეთში ტურისტულ ფირმა „აფსნიინტერნეიშენლს“ ფლობს, რომელიც აფხაზეთის 10-ზე მეტ საუკეთესო სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლს აკონტროლებს. მისივე ინიციატივით „გამარჯვების დღეს“ — 30 სექტემბერს აფხაზეთში მობილური კავშირგაბმულობის სისტემა ამოქმედდება, რომლის მფლობელიც მისი მეუღლე ალხაზ არღუნი იქნება.

## გიგა გელაშვილს კილერად მიიჩნევენ

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მხედრიონელი, გიგა გელაშვილი ისრაელში დააკავეს. საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების განმარტებით, გელაშვილი ქართული სამართალდამცავი ორგანოების მიერ არ იძებნებოდა და საერთაშორისო სამართალი ასეთ შემთხვევაში ექსტრადიციის მოთხოვნის დაყენებას არ ითვალისწინებს.

ამასთან დაკავშირებით ოფიციალურ ინფორმაციას საქართველოში ისრაელის საელჩო არ ფლობს. საელჩოს წარმომადგენლის განცხადებით, მათ გელაშვილის დაპატიმრების თაობაზე ტელევიზიით შეიტყვეს. „საქართველოს პატრიოტთა კავშირის“ პოლიტსაბჭოს წევრი, დოდო გუგეშაშვილი კი ისრაელს გელაშვილის მიმართ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში ადანაშაულებს. მისი განცხადებით, უხეშად დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია, რადგან გელაშვილი სიჩქარის გადაჭარბებისთვის დაიჭირეს, ებრაულ გაზეთში კი იგი საერთაშორისო მასშტაბის „კილერად“ იქნა წოდებული. ებრაულ გაზეთში მოყვანილი ცნობების თანახმად, გიგა გელაშვილი თელ-ავივის მახლობლად მაშინ დაიჭირეს, როდესაც მოტოციკლეტით პოლიციისგან მიმალვას ცდილობდა. მას ჩხრეკის შედეგად ყალბი საბუთები და ისრაელის კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტების ფოტოსურათები აღმოუჩინეს. გაზეთის ვერსიით, გელაშვილს მათი მოკვლა დაუკვეთეს.

საგულისხმოა, რომ ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი გია ჭანტურია გელაშვილს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბორჯომის მონაკვეთის უსაფრთხოების დაცვის უფროსის თანამდებობაზე ლობირებდა.

## ვეტერინარიის სამსახურმა ტრიქონელოზი აღმოაჩინა

ვეტერინარიის საქალაქო სამსახურმა დეზერტირებისა და ვარკეთილის ბაზრებში ტრიქონელოზით დაავადებული 250 კილოგრამი ღორის ხორცი აღმოაჩინა. სამსახურის განცხადებით, ზაფხულის განმავლობაში ბაზრებში ხორც-პროდუქტების შემოწმება სისტემატურად განხორციელდება. დაავადებული ხორცი კი გლდანის ნაგავსაყრელზე განადგურდება.

## ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი „პროდუქტიული“ გამოდგა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური დესპანის, ჯეიმს ბეიკერის შეფასებით, მისი ერთდღიანი ვიზიტი საქართველოში „უაღრესად პროდუქტიული და ნაყოფიერი“ გამოდგა. მისივე განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ ისევე, როგორც ოპოზიციამ, „ფაქტობრივად გაიზიარა“ ამერიკის მთავრობის რეკომენდაციები და ახალი საარჩევნო კანონი უკვე 2003 წლის 2 აგვისტოსთვის მზად იქნება. ბეიკერის განმარტებით, 1 აგვისტოსთვის შეჯერებული და დამტკიცებული იქნება როგორც ცენტრალური, ასევე საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები. საერთო შეთანხმებით, მომავალი ცენტრალური საარჩევნო კომისია 15-კაციანი იქნება. აქედან 5 წევრს სახელისუფლებო ბლოკი წარადგენს, 9-ს — ოპოზიცია, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს კი ეუთო დანიშნავს, თუმცა ის აუცილებლად საქართველოს მოქალაქე იქნება.

ბეიკერმა იმედი გამოთქვა, რომ შეთანხმებას, როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლები ბოლომდე დაიცავენ და 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით წარიმართება.

რაც შეეხება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებისა და აშშ-საქართველოს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს, ბეიკერის თქმით, ის დარწმუნებულია, რომ ქართულ-ამერიკული თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო ინტენსიური გახდება და ყოველივე „გარკვეულწილად“ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაზეც აისახება.

## ხოდორკოვსკის დაკითხვა ორ საათს გაგრძელდა




რუსეთის გენერალური პროკურატურის გამომძიებლებმა ნავთობის კომპანია „იუკოსის“ ხელმძღვანელი, რუსეთის უმდიდრესი ადამიანი მიხეილ ხოდორკოვსკი დაჰკითხეს. პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოში დაკითხვა ორ საათს გაგრძელდა. ხოდორკოვსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გამომძიებლებს „კომპანიის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით შეკითხვები არ აქვთ“. „იუკოსის“ ხელმძღვანელს არ განუმარტავს, რა შეკითხვები დაუსვა მას გამოძიებამ.

მიხეილ ხოდორკოვსკი და „იუკოსის“ გამგეობის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ლეონიდ ნევზლინი რუსეთის გენერალურ პროკურატურაში „მენატეპის“ ჯგუფისა და „იუკოსის“ თანამფლობელის, პლატონ ლებედევის საქმესთან დაკავშირებით გამოიძახეს. ლებედევი ოთხშაბათს დააკავეს. მას ბრალად კომპანია „აპატიტის“ 280 მლნ დოლარზე მეტი ღირებულების აქციათა პაკეტის დატაცება ედება. ლებედევის დაკავებამ „იუკოსის“ აქციათა კურსის 6%-ით დაცემა გამოიწვია, რის შედეგადაც კომპანიამ თითქმის 2 მილიარდი დოლარი იზარალა (ვრცლად იხ. გვ. 27).

## სომხეთი ელექტროსადგურით ვაჭრობს?

იძულებითი სამთვიანი პაუზის შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში ერთადერთმა სომხეთის ატომურმა ელექტროსადგურმა მუშაობა განაახლა. მის წილად ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერგიის დაახლოებით 40% მოდის. ბოლო წლებში სადგურის მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემები სომხეთის ეკონომიკაში შეფერხებების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. რუსეთისა და სომხეთის პრეზიდენტების შეთანხმების შესაბამისად, რუსეთის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სააქციო საზოგადოებამ სომხეთის ატომური ელექტროსადგურის ვალები დაფარა, სანაცვლოდ კი სადგურის ფინანსური მართვის უფლება მიიღო. უკვე რამდენიმე წელია, ევროპის კავშირი სომხეთის ატომური ელექტროსადგურის დახურვას მოითხოვს, რადგან სადგური სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობს და მისი ძველი, საბჭოთა ნიმუშის რეაქტორი უსაფრთხო არ არის. ევროკავშირი მზად არის, ატომური ელექტროსადგურის დახურვის მიზნით 100 მლნ ევროზე მეტი გამოყოს. ერევანი წინააღმდეგი არ არის, ოღონდ იმ პირობით, თუ სომხეთი ენერგიის ალტერნატიული წყაროებით იქნება უზრუნველყოფილი. ერევანი ამჟამად მოლაპარაკებას მართავს თეირანთან ირან-სომხეთის გაზსადენის მშენებლობის შესახებ. თუმცა აშშ-სა და ირანს შორის ურთიერთობის გამწვავებისა და დაგეგმილი გარიგების მიმართ ვაშინგტონის უარყოფითი დამოკიდებულების გამო ეს პროექტი, როგორც ჩანს, ქაღალდზე დარჩება.

## ეპიდემიამ ჩაიარა

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა ატიპური პნევმონიის ეპიდემიის დასასრული. ეპიდემიამ მთელ მსოფლიოში 812 კაცის სიცოცხლე შეიწირა.

ორგანიზაციის განცხადებაში ნათქვამია — „მართალია, ატიპური პნევმონიის ეპიდემია დასრულდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაავადება დაძლეულია.“

ეპიდემიის დასრულების შესახებ განცხადება მას შემდეგ გაკეთდა, რაც ატიპური პნევმონიის ეპიდემიის გავრცელების სიიდან ამორიცხეს ტაივანი, სადაც 20 დღის განმავლობაში (დაავადების ორი საინკუბაციო პერიოდი) დაავადების არც ერთი შემთხვევა აღარ დაფიქსირებულა. ტაივანი ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სიაში ბოლო ადგილზე იყო.

## ბენზინგასამართი სადგურის აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა

თურქეთის დედაქალაქში ბენზინგასამართი სადგურის აფეთქების შედეგად რამდენიმე შენობა დაიწვა და ათეულობით ადამიანმა მძიმე დამწვრობა მიიღო. აფეთქება იმ დროს მოხდა, როდესაც სადგურის რეზერვუარებში ბენზინმზიდიდან საწვავს ქაჩავდნენ. ძლიერი ქარის გამო ხანძარი წამების განმავლობაში მახლობელ შენობებზეც გადავიდა. სიტუაცია იმანაც გაამწვავა, რომ ბენზინგასამართი სადგური მრავალსართულიანი შენობის შესასვლელში მდებარეობდა, ხანძრის გაჩენის მომენტში კი შენობაში მდებარე საბანკეტო დარბაზში ასამდე ადამიანი იმყოფებოდა. პანიკური ვითარების გამო საბანკეტო დარბაზიდან ხალხის ევაკუაცია გართულდა, რამაც იქ მყოფთა დაშავება გამოიწვია. დაზარალებულები თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, ერდოგანმა მოინახულა. მისი განცხადებით, საცხოვრებელ სახლებთან და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებთან მდებარე ბენზინგასამართ სადგურებს დაუყოვნებლივ გააუქმებენ.

# ჩვენთან პარლამენტარიზმი ბიზნესმენობასთან არის გაიგივებული

თანამედროვე საქართველო იმ ოროსანი მოსწავლის როლშია, გამუდმებით რომ ცდილობს, საკონტროლო დავალება თანაკლასელისგან გადაიწეროს. „გადაწერას“ ვერა და ვერ ვახერხებთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დანარჩენებმა „საკონტროლო“ ძალიან დიდი ხნის წინ დაწერეს... თურმე ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ერეკლე II საფრანგეთის „რვეულში იჭყიტებოდა“. მას შემდეგ მიაბიჯებს კაცობრიობის დამტვერილ გზაზე მუხლებგადალეტილი და ფეხშიშველი, უთავო და უპატრონო, ორი ათასი წლის, მაგრამ მაინც ლამაზი და ნიჭიერი ბავშვი — საქართველო. ხან მდიდარ მგზავრს ვეტორლიალებით, ხანაც შარაგზის ყაჩაღებს ვუვარდებით ხელში და ტყვეობასაც იოლად ვეჩვევით... არავინ იცის, საით მივდივართ. საამო სურნელს მივყვებით ხოლმე, დამშეულნი და მიუსაფარნი. ხან სოციალიზმს ვაშენებთ, ხან კომუნიზმს და ხანაც კაპიტალიზმს. იმიტომ, რომ ვინც გვაჭმევს, გვმოძღვრავს კიდეც. გზა უსასრულოა და კვალი ვერანაირმა მოძღვრებამ ვერ დაგვამჩნია — წინაპრების დანატოვარი ავგაროზი ბავშვურ-ჯიუტად, ჩუმად ჩაგვიკრავს გულში და ვცდილობთ, თანამგზავრს არ ჩამოვრჩეთ — თორემ წაგვითაქებს...

ამ ავგაროზის გადაგდებას გვირჩევდა ყველა — ამერიკელიც, რუსიც და თურქიც. ავგაროზზე თითქმის აღარაფერი გვახსოვს — მხოლოდ ბუნდოვნად — ხმლების ჟღარუნი, „ჩაკრულო“ და „ოროველა“, ღვთისმშობლის სევდიანი მზერა ოპიზრების ხატიდან... ეს არის და ეს — ყოველგვარი არსის გარეშე. ეს სურათებიც ნელ-ნელა ცვდება და იკარგება ჩვენი მეხსიერებიდან. უფესვოდ ვრჩებით და თუ ავგაროზს არ ვიშორებთ მხოლოდ და მხოლოდ ბავშვური სიჯიუტით — დასამშვიდებელი აქ არაფერია. გულადი ღრიალი, კამარის შეკვრა და თავადური პოზის დაჭერა ცირკის მოხდენილ ლომებსაც შეუძლიათ...

ვაშინგტონმა კარგა ხანს უყურა ქართველი პოლიტიკოსების იწილო-ბიწილოს საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით. შემდეგ კი მხცოვან პრეზიდენტს მხცოვანი მეგობარი გამოუგზავნა და საარჩევნო კომისია პოზიცია-ოპოზიციას თვითონ გაუნაწილა. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩხუბი აღარ მოუვათ. როგორც ჩანს, ძალიან უპერსპექტივო „აღსაზრდელებად“ გამოვიყურებით, რადგან ჩვენმა ამჟამინდელმა „თანამგზავრმა“ ოკეანის გადაღმიდან სავალუტო ფონდის ხაზინადრებიც გამოგვიგზავნა და ქართველ მუქთახორა ჩინოსნობას სულ მისხალ-მისხალ დაუთვალა, თუ სად, რა და რამდენი ჰქონდათ ნაჭამი. კანცელარიის ზედა სართულებზე შეხვედრებიდან გამოსულთ აღარც ლაპარაკის სურვილი ჰქონდათ და აღარც ჩვეული თავდაჯერება. თითქმის მთელი კვირა ქართველი ჟურნალისტები ეკონომიკური ბლოკის წარმომადგენლებზე ჯგუფურად ნადირობდნენ — ზოგი ლიფტთან მიიმწყვდიეს და ზოგიც — კიბის მოსაბრუნში. კანცელარიაში ციფრების კორიანტელი იდგა, მაგრამ ძველი ხურჯინივით დაკერებულ და გარღვეულ ბიუჯეტს თავი და ბოლო მაინც ვერ გაუგეს. პოლიტიკურ-ეკონომიკური ბაქანალიით დაბნეულმა ინტელიგენციამ სიტუაციაში გარკვევა პარლამენტის სპიკერს სთხოვა, თუმცა, საეჭვოა, მონდომების მიუხედავად, ამ უკანასკნელმა რამე გააწყოს.

ამასობაში, მსოფლიო პოლიტიკური მოვლენები თავისი გზით ვითარდება. ევროსაბჭო თავგამოდებით იბრძვის ამერიკული გავლენის წინააღმდეგ და საქართველოსაც არჩევნის წინაშე აყენებს. ამერიკა კი უშედეგოდ ცდილობს, ერაყელები საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული ღირებულებების ამერიკულ თავისებურებებში გაარკვიოს. წლების მანძილზე რუსეთისგან მტრის ხატს ვძერწავდით და ხან ევროპის, ხანაც ამერიკის ზურგს უკან ვცდილობდით დამალვას. მიუხედავად ამისა, რუსეთის მოქნეული ერთი პანღურიც კი არ აგვცდენია. ახლა აღმოჩნდა, რომ დიდი ბრიტანეთის უდიდეს საფეხბურთო კლუბს რუსი ბიზნესმენი ეპატრონება, ევროპელები კი ჭკუაზე არ არიან, ისე უხარიათ. უფრო მეტიც — ბრიტანეთის სახელმწიფო კორპორაციები რუსეთის სტეპებში მილიარდობით ინვესტიციებს დებენ (ინვესტიციებს კი არა, ბრიტანულ თვითმფრინავს არ ვაჭაჭანებთ ქართულ ცაში). პუტინი, დასავლეთთან ურთიერთობის მოწესრიგების პარალელურად, აბსოლუტურ ძალაუფლებასაც იკრებს — უკვე ყოვლისშემძლე ხოდორკოვსკისაც მისწვდა. ჩვენთან კი, საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას ვინ ჩივის, თუ ვაშინგტონის ჩარევამაც არ გაჭრა, თბილისის ქუჩებში მალე კარგად გაწვრთნილი ძაღლიც კი პატრონს ვერ იცნობს.

დღევანდელობაზე და მომავლის პერსპექტივებზე ვესაუბრებით პოლიტოლოგ **რამაზ კლიმიაშვილს:**

**— ჯეიმს ბეიკერის ჩამოსვლა ოპოზიციამ პრეზიდენტისთვის ჭკუის დარიგების მცდელობად შეაფასა, ხელისუფლებამ კი ვიზიტი თეთრი სახლის უპირობო მხარდაჭერად გამოაცხადა...**

— თუ დასავლეთის პრესაში საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ ინფორმაციებს და იმავე თეთრი სახლის ბოლოდროინდელ განცხადებებს დავეყრდნობით, ცხადი გახდება, რომ ბეიკერის ვიზიტი საქართველოში სხვა არაფერი იყო, თუ არა უკანასკნელი გაფრთხილება დასავლეთის მხრიდან. თავისთავად ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე დავიწყებას მიცემული პოლიტიკოსი თბილისში თეთრი სახლის საგანგებო მანდატით ჩამოდის, ბევრის მთქმელია. როგორც ჩანს, ჩვენს რეალობაში დადგა გადამწყვეტი ეტაპი და ამერიკა იმდენადაა დაინტერესებული საქართველოში ვითარების გამოსწორებით, რომ მზად არის, ამ, ერთი შეხედვით, არაპოპულარულ ნაბიჯზე წავიდეს — საქართველოს პრეზიდენტს ძველ ნაცნობსა და მეგობარს უგზავნის, თანაც პირადად ბუშის დესპანის რწმუნებით. საგულისხმოა ისიც, რომ ამ სიტუაციაში ბეიკერი, თბილისში ჩამოსვლისთანავე, შევარდნაძესთან შეხვედრამდე, ოპოზიციას შეხვდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მხცოვანი ამერიკელი პოლიტიკოსის სტუმრობა უბრალოდ, მეგობრის მონახულება კი არა, საგანგებო მისია იყო, რომლის მეშვეობითაც საქართველოს ხელისუფლებას უკანასკნელად უთხრეს ბოლო ხანს ჩვენში ერთობ გავრცელებული სიტყვა — კმარა! დღევანდელი საქართველო, ყოველგვარი გადაჭარბებისა და ბელეტრისტიკის გარეშე, შუა საუკუნეების დესპოტური სახელმწიფოს რეჟიმით ცხოვრობს. ასეთ ქვეყანასთან ურთიერთობა კი ამერიკისთვის, უბრალოდ, სამარცხვინოა — მით უმეტეს, დღევანდელ საერთაშორისო ვითარებაში, როდესაც შეერთებული შტატები ლამის მთელ მსოფლიოში დემოკრატიის დროშას აფრიალებს... პოლიციელების მხეცობა, ცხოვრების წესად ქცეული კორუფცია, ჩინოსანთა თუ პარლამენტართა თვალთმაქცობა და თავხედობა — ის, რაც ჩვენ გარშემო ხდება და რასაც უკვე მივეჩვიეთ და განსაკუთრებულად არ აღვიქვამთ. მაგრამ დასავლეთში ამის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით იციან და, ჩვენგან განსხვავებით, ამერიკის პოლიტიკური წრეები შუა საუკუნეების საქართველოსთან ურთიერთობას ვერანაირად შეეგუებიან. აქედან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რას ეტყოდა ბეიკერი თავის მონატრებულ მეგობარს პირისპირ შეყრისას — საჭიროა დაუყოვნებლივ დაიწყოს რეფორმები საშინაო პოლიტიკაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაშინგტონი ერთხელ და სამუდამოდ აიღებს ხელს თბილისზე, ან პრობლემას სხვაგვარად გადაჭრის.



**— ბიუჯეტის გარღვევა, სხვადასხვა პარამეტრით, სავალუტო ფონდისთვის ახალი ამბავი ნამდვილად არ არის. არც ის არის ძნელი გასაგები, რომ ექსპერტთა რაც უნდა დიდი და მკაცრი ჯგუფი ჩამოსულიყო ფონდის ცენტრალური ოფისიდან, წლების მანძილზე გამოხრული ბიუჯეტი ორ დღეში ვერანაირად ვერ შეივსებოდა... როგორც ჩანს, ფონდის მისიაც ერთგვარი გამაფრთხილებელი გზავნილია?**

— რასაკვირველია. სხვათა შორის, თუ დავუკვირდებით, ბეიკერისა და სავალუტო ფონდის ჩამოსვლა ძალიან ჰგავდა კომუნისტურ პერიოდში მოსკოვიდან უმაღლესი პირების რევიზიის ჩამოსვლას. ჩვენ ხომ პოლუსი შევცვალეთ — შეიცვალა მაკონტროლებელი ცენტრიც. თავის დროზე, სწორედ ასე ჩამოდიოდნენ მკაცრსახიანი რევიზორები ტყავის საქაღალდეებით მოსკოვიდან, როდესაც მათი ქართველი ვასალების მადა ზომას გასცდებოდა. პრინციპში, ამ ფაქტში განსაკუთრებული და ალმაშფოთებელი არაფერია — 21-ე საუკუნეში პატარა ქვეყნების (მით უმეტეს, ჩვენნაირი ქვეყნების) დამოუკიდებლობა ძალიან ძნელი დასაჯერებელია. მთავარია, ვისთან და რა ფორმებით ექნება ურთიერთობა ამ პატარა ქვეყანას. საქართველოს შემთხვევაში კი ვითარება საკმაოდ რთულია... დემოკრატიული სახელმწიფოს დასავლურ გაგებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს საბაზრო ეკონომიკას. კორეის მაგალითი ავიღოთ — დღეს ორი კორეა არსებობს — პირველმა ორიენტაცია საბაზრო ეკონომიკაზე აიღო და განვითარებით მალე იაპონიასაც კი დაეწევა. მეორე კი, ათწლეულების მანძილზე ჩამორჩენილ და ღატაკ სახელმწიფო წარმონაქმნად რჩება. იქითაც და აქეთაც ერთი და იგივე ხალხი — კორეელები — ცხოვრობენ. ჩვენ ქვეყნის „მშენებლობა“ ტრაფარეტების შექმნით დავიწყეთ — ქართველი ჩინოსნები ერთი ხელით ბიუჯეტს ძარცვავდნენ, მეორეთი კი ლამაზ ტრაფარეტებს წერდნენ — როგორიცაა „საჯაროობა“, „დემოკრატია“, „გამჭვირვალება“. მაგრამ „უფასო სადილი“ ხომ არ არსებობს. სავალუტო ფონდის მისიამ ისედაც მშვენივრად იცოდა ჩვენი ბიუჯეტის პარამეტრებიც და მდგომარეობაც, მაგრამ საგანგებო რევიზიის გამოგზავნა სწორედ რომ უკანასკნელი გაფრთხილება იყო — ფონდის შემთხვევაში, ეკონომიკური ცვლილებების დაწყებისა, ბეიკერის შემთხვევაში კი — პოლიტიკური ცვლილებებისა და დარწმუნებით შემიძლია თქმა, რომ ამ მოვლენათა დამთხვევა ვაშინგტონში დაგეგმილი იყო. თუ გავითვალისწინებთ, როგორი გააფთრებით ცდილობს ხელისუფლება ძველი საარჩევნო კანონმდებლობის დატოვებას. ნათელია, რომ ჯერჯერობით რისიმე შეცვლის სურვილი კანცელარიის ზედა სართულებზე არავის აქვს. ღმერთმა ქნას და ბეიკერის შეგონებამ გაჭრას — დემოკრატიული არჩევნების ჩატარება საქართველოს ერთადერთი ხსნაა...

**— მაგრამ ქვეყანაში არსებულ ცხოვრების წესს ისე მივეჩვიეთ, რომ გამორიცხული არ არის, ცდუნებას ვერც ხელისუფლებაში მოსულმა ოპოზიციამ გაუძლოს და ქვეყნის მართვა სხვა ლოზუნგებით, მაგრამ კვლავ ძველებურად გააგრძელოს. მით უმეტეს, რომ ამბიციები ქართულ ოპოზიციაში საკმაოდ მძლავრობს..**

— იცით, ყველა ჩვენი უბედურების სათავე რაში მდგომარეობს? არა ადამიანებში, არამედ წესში — ანუ საქართველოს კონსტიტუციაში, რომლითაც ეს ადამიანები ცხოვრობენ წლების მანძილზე. პარლამენტი საქართველოში ყოველგვარი ბინძური გარიგებისა და ბიზნესმაქინაციების ბუდედ ვაქციეთ. ამიტომაც არის დღეს ერთი ამბავი იქ მოხვედრაზე. ჩვენი სახელმწიფოებრივი მოწყობა რომ ამ მაქინაციებზე არ იყოს დამოკიდებული, ბუნებრივია, აღარც პარლამენტი გაივსებოდა ნაგვით. ქართულ საზოგადოებას ერთი ექსპერიმენტის ჩატარებას შევთავაზებ. ხომ არავინ კამათობს, რომ ქვეყნის კონსტიტუცია ძირეულად არის შესაცვლელი, რომ პრეზიდენტის და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლება-მოვალეობები გადასახედია. ერთ და ორ სესიაზე საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება-შემუშავება ან ბავშვური გულუბრყვილობის შედეგია, ან პოპულიზმისა (სწორედ ამ უკანასკნელის განსახიერებაა დღევანდელი პარლამენტი). ჩვენც ავდგეთ და გამოვაცხადოთ, რომ ამ მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილება მხოლოდ ერთი წელი გაგრძელდება და ამ ხნის განმავლობაში დეპუტატებმა კონსტიტუციის, ანუ სახელმწიფო მოწყობის პრინციპულად ახალი ვარიანტი შეიმუშაონ და მიიღონ. პარალელურად, დეპუტატების რიცხვი ერთიორად შევამციროთ და მოვუხსნათ ყოველგვარი იმუნიტეტი და პრივილეგია — ერთი წლის განმავლობაში პარლამენტი მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციით იყოს დაკავებული. დარწმუნებული ვარ, ასეთ შემთხვევაში დეპუტატობის მსურველი სანთლით საძებარი გაგვიხდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენთან პარლამენტარიზმი ბიზნესმენობასთან არის გაიგივებული, დღევანდელი დეპუტატების აბსოლუტურ უმრავლესობას კი, კანონშემოქმედებით საქმიანობაზე, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან მცდარი წარმოდგენები აქვს...

> ბეიკერისა და სავალუტო ფონდის ჩამოსვლა ძალიან ჰგავდა კომუნისტურ პერიოდში მოსკოვიდან უმაღლესი პირების რევიზიის ჩამოსვლას. ჩვენ ხომ პოლუსი შევცვალეთ — შეიცვალა მაკონტროლებელი ცენტრიც. თავის დროზე, სწორედ ასე ჩამოდიოდნენ მკაცრსახიანი რევიზორები ტყავის საქაღალდეებით მოსკოვიდან...

**— რუსეთისგან მტრის ხატის შექმნამ და დასავლეთის ფინანსურმა დახმარებამ, რომელსაც ქართველი ჩინოსნები ჭამდნენ, დათვური სამსახური გაგვიწია. ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ რუსეთის იმპერიული ზრახვების ლანძღვას და ვერც კი ვამჩნევთ, რომ რუსეთი ევროპასთან ინტეგრაციას ჩვენზე უფრო სწრაფად ახერხებს. როგორც აღმოჩნდა, ასარჩევი მხოლოდ ორი გზა, რუსეთი და დასავლეთი, არ გვქონია. ახლახან ევროსაბჭომ დაგმო იმუნიტეტის პრეცედენტი, რომელიც ამერიკელ სამხედროებს ჰააგის კრიმინალურ სასამართლოსთან მიმართებაში გააჩნიათ. საკმაოდ მკვეთრი განცხადებებით დაუპირისპირდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და პოზიციის დაფიქსირებას საქართველოსგანაც მოითხოვს.**

— მეტსაც გეტყვით. ორიოდე დღის წინ საპასუხო განცხადება გააკეთა პრეზიდენტმა ბუშმაც. ამერიკის შეერთებული შტატები ყველანაირ დახმარებას შეუწყვეტს იმ ქვეყანას, რომელიც ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შეუერთდება. ქართველ პოლიტიკოსებს საერთაშორისო ორიენტაციის (და არა მხოლოდ) სერიოზული პრობლემა აქვთ. ისინი დასავლეთის სამყაროში ამერიკული და ევროპული ღირებულებების თავისებურებას ვერ არჩევენ. ოფიციალური ვიზიტების დროს ერთნაირად პირდაღებულნი დადიან ვაშინგტონშიც და პარიზშიც, რადგან დასავლეთთან მიმართებაში მათთვის ერთადერთი ცნება არსებობს — „კარგი ცხოვრება“. მაგრამ რეალობაში ამ ორ „ცხოვრებას“ შორის პრინციპული განსხვავებაა. ქრისტიანული ევროპა ტრადიციებსა და ისტორიაზეა დაფუძნებული, რასაც თვალისჩინივით უფრთხილდება. ევროსტრუქტურებში ათასგვარი კომიტეტი თუ კომისია არსებობს, რომლებიც დეტალურად აღნუსხავენ და უფრთხილდებიან ელემენტარულ ენობრივ და კულტურულ თუ სარწმუნოებრივ თავისებურებებს. ის, რასაც ევროპა გაურბის და ერიდება, ამერიკაში სახელმწიფოებრიობის საფუძველს წარმოადგენს. შეერთებული შტატები ხომ ათასი ეროვნებისა და რელიგიის ასიმილაციის შედეგია. ამერიკას, თავისი არსით, არაფრად ულირს რელიგია, ისტორია, ტრადიციები. ამის თქმით ანტიამერიკული განწყობის დათესვა კი არ მინდა — შეიძლება ეს სულაც არ არის უარყოფითი მოვლენა, უბრალოდ, ამერიკული ცხოვრების წესია ასეთი. ორი ასწლეულია ამაზე შენდებოდა ამერიკული სახელმწიფოებრიობა. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ჩვენი არჩევანი და ამის კრიტიკული საჭიროება ძალიან მალე დადგება. თუ ჩვენთვის მთავარია კულტურულ-ისტორიული ღირებულებები და სარწმუნოება, ევროპის გზას უნდა დავადგეთ. თუ მთავარი მხოლოდ ძლიერი ეკონომიკა და არმიაა, ამერიკა უნდა ავირჩიოთ. მაგრამ აქ კიდევ რამდენიმე „მაგრამ“ არსებობს და სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა არც ისე იოლია. ამერიკანიზაციის შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, დადგება მომენტი, როდესაც თეთრი სახლი მოგვთხოვს, უარი ვთქვათ ერთიან, სახელმწიფო რელიგიაზე და აქ სულაც არ მაქვს მხედველობაში საფრთხე, რომელზეც ზოგიერთი არასერიოზული ქართველი პოლიტიკოსი მართავს ხოლმე ისტერიკას. იეღოველობა და სხვადასხვა სექტა სრულიად მეორეხარისხოვანია იმ საფრთხესთან შედარებით, რაც მუსლიმანური სამყაროთი გარემოცულ საქართველოს ემუქრება. თუმცა, თუ განყენებულად ვიმსჯელებთ, ამას არც შეიძლება საფრთხე ერქვას — ჩვენ ხომ თვითონაც არ ვიცით, რა გვინდა და საით მივდივართ. თუ საქართველოში ძირეული ცვლილებები არ დაიწყო, ამერიკის ორიენტაციის დეკლარირება ქართულ სახელმწიფოებრიობას კარგს არაფერს მოუტანს, უბრალოდ, დროთა განმავლობაში შეერთებულ შტატებს გამუდმებული განცხადებები, ქართველ ჩინოსანთა თავგასულობა და სიხარბე მოჰბეზრდება და თავისი აღმოსავლური ფორპოსტის, თურქეთის, ერთ-ერთ ვილაიეთად გამოგვაცხადებს. მით უმეტეს, რომ რეალურად ქართული ეკონომიკა დღეს თურქულ ბაზარზეა დამოკიდებული, ქართულ არმიას კი ფაქტობრივად, თურქი ოფიცრები განაგებენ და წვრთნიან ოფიციალური თუ არაოფიციალური გზებით. შეიძლება ძალიან გულსატკენი იყოს ამის მოსმენა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან მეტს არც ვიმსახურებთ და ფიზიკურად გადარჩენისთვის ეგებ, ეს ერთადერთი გამოსავალი იყოს... რაც შეეხება მეორე გზას — ევროპა მკაცრად შინაპოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებზეა ორიენტირებული. ამერიკის მსგავსად, ევროპასთან ინტეგრაცია მხოლოდ დეკლარირების ხარჯზე ვერანაირად ვერ მოხდება — ჯერ ერთი იმიტომ, რომ ევროპისთვის კოლონიალიზმის ეპოქა დიდი ხანია დასრულდა და შუა საუკუნეების სახელმწიფო 21-ე საუკუნეში ზედმეტ ბარგად არავის სჭირდება. აქედან გამომდინარე, ევროგაერთიანებაში მოსახვედრად არნახულად დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება, რათა საქართველოში პროცესები გაჯანსაღდეს და ურთიერთობის სტიმული ევროპის სახელმწიფოებს ჩვენვე მივცეთ. ეს პროგნოზი არც ისე გრძელვადიანია და საქართველოს არჩევანის გაკეთება უახლოეს მომავალში მოუწევს, რადგან ევროპისა და ამერიკის დაპირისპირება უფრო და უფრო მწვავდება. ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობ, უპირველესი პასუხისმგებლობა საქართველოს პირველ პირს ეკისრება. მას უნდა ეყოს ვაჟკაცობაც, თავმდაბლობაც, პოლიტიკური ნებაც, და საქართველოში ძირეული ცვლილებები თვითონვე დაიწყოს. საქართველოს მდგომარეობის შესაბამისად პრეზიდენტ შევარდნაძეს დღეს ორი გზა აქვს — არ იფიქროს მხოლოდ საკუთარ ბედზე და ისტორიაში ქვეყნისთვის თავდადებულ გმირად შევიდეს, რომლის მმართველობიდანაც საქართველოს აღმშენებლობა დაიწყო, ან იყოს მმართველი, რომლის ეპოქიდანაც საქართველოს და ქართველობის გადაშენებას მიეცა დასაბამი...

***დაჩი გრძელიშვილი***

# სიკვდილი სტუდიაში ეწვია

ადამიანებს ერთი ასეთი ზნე გვჭირს: როცა ვინმე ღირსეული გარდაიცვლება, აუცილებლად აღმოვაჩენთ ხოლმე, რომ კიდევ მეტი გვინდოდა გვეთქვა მისთვის, ვიდრე ვუთხარით... ეს შეგრძნება, მგონი ყველასათვის ნაცნობი უნდა იყოს... და კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი, როცა 5 ივლისს, მოულოდნელად გარდაიცვალა რობერტ ბარძიმაშვილი, ყველასათვის საყვარელი მომღერალი და პიროვნება.



...რობერტ ბარძიმაშვილმა გაცილებით მეტის გაკეთება მოასწრო, ვიდრე ეს შესაძლებელია ხოლმე, ჩვეულებრივ. ფრანგული ენის სპეციალისტი იყო, მაგრამ სიმღერამ თავისი საქმე აპოვნინა. ანსამბლმა „ორერამ“, სადაც ის თავიდან მოღვაწეობდა, დიდი პოპულარობა მოიპოვა და დიდხანსაც გაუძლო დროის გამოცდას. რობერტ ბარძიმაშვილს მშვენიერი ხმის გარდა, ჰქონდა უტყუარი ალღო, რომლის წყალობითაც ზუსტად ხვდებოდა, როგორი რეპერტუარი სჭირდებოდა მსმენელს, უფრო მეტიც, გრძნობდა, როდის დგებოდა დრო, როცა ერთი ეტაპი უნდა დამთავრებულიყო და ახალი დაწყებულიყო. ეს ყველაზე რთული და ძნელად მისაღწევი რამ გახლდათ დიდ აღიარებას ნაზიარები ხელოვანისთვის. როცა იგრძნო, რომ „ორერამ“ თავისი სიტყვა თქვა, უბრალოდ განაცხადა: დროა, ჩვენ წავიდეთ, ასპარეზი ახალგაზრდებს დავუთმოთო და წავიდა კიდეც...

— რობერტს შეეძლო ნიჭიერი ხალხის პოვნა, ბავშვების აღზრდა, შემოქმედებითად დახვეწა. შექმნა ანსამბლი „75“. სიმებიან ინსტრუმენტებს „75“-ში სასულე-ჩასაბერი ინსტრუმენტები დაუმატა, რითაც ზუსტად აუწყო დროს ნაბიჯი. ფაქტობრივად, ეს იყო პირველი ჯაზ-როკი საქართველოში და ეხმიანებოდა ძალიან პოპულარულ ამერიკულ ანსამბლს „ჩიკაგოს“, — გვითხრა კომპოზიტორმა ნიკა ოძელმა. ალბათ, ყველას ახსოვს ის დიდი პოპულარობა, რომელიც „75“-მა მოიპოვა — თაყვანისმცემელთა რიგები იდგა ფილარმონიასთან.

რობერტ ბარძიმაშვილმა კიდევ უფრო შეგვაყვარა გიორგი ცაბაძის, ვაჟა აზარაშვილის სიმღერები, სწორად შეიტანა თავისი ანსამბლის რეპერტუარში ქართველი კომპოზიტორების ნამუშევრები. ბევრი ცნობილი და სერიოზული მუსიკოსი მუშაობდა მასთან. ისიც დაუღალავი იყო. გამოუშვა დები იშხნელების სიმღერების ბლოკი, რაც ერთ-ერთი სერიოზული და მნიშვნელოვანი საქმე გახლდათ. შექმნა საბავშვო ანსამბლი „ლახტი“. საერთოდ, რობერტ ბარძიმაშვილი, თითქოს იმიტომ იყო მოვლენილი ამქვეყნად, რომ გზა გაეკვალა ახალგაზრდებისთვის. თავის სტუდიაში ცოტა ხნის წინ შესანიშნავი მიუზიკლი „განკიცხულნი“ დადგა ფრანგულ ენაზე... ბოლო წუთებამდე თავს დასტრიალებდა სტუდიელებს. სიკვდილიც მოულოდნელად სტუდიაში ეწვია. საუბრობდა, ცუდად გახდა და გარდაიცვალა კიდეც...

მინდა მისი და პატარა ლევან ლაზარიშვილის ცნობილი დუეტი გავიხსენო. ის მისი ცხოვრების სიმბოლოდაც გამოდგებოდა. „მე მაოცებენ ლამპიონები, ამ ლამაზ სცენას რომ ანათებენ“, — მღეროდა პატარა და აქ ერთვებოდა ბატონი რობერტი. როგორც ბურჯი, საყრდენი: „ხომ არ გეშინია?“ მან ბევრ ნიჭიერ ადამიანს დააძლევინა შიში და გზა გაუკვალა ხელოვნებაში.

...თბილისელები დღეს ტკივილით ამბობდნენ პლეხანოვზე მისი სტუდიის წინ: „ძალიან ურჩი კაცი იყო, თავს არ ზოგავდა მუშაობაშიო... ეტყობა, გადაიღალა კიდეც... მაგის ხმას რა დაგვავიწყებსო...“ ერთმა ასაკოვანმა ქალბატონმა კი ასე გვითხრა: „შვილიშვილის მოყვანა მინდოდა ამ სტუდიაში გაისად, როგორი იმედი მქონდა, რომ რობერტ ბარძიმაშვილს ჩავაბარებდი, ის ხომ ხიდივით იყო გადებული ახალგაზრდებისთვის, რომ ესტრადის, პროფესიონალიზმის „ნაპირზე“ გადაეყვანა ბავშვები... როგორ მატკინა გული... ჩვენ ხომ თანატოლები ვიყავით თითქმის. ხშირად თაყვანისმცემელთა რიგში ვდგებოდი და კულისებთანაც ველოდი ხოლმე... გული მტკივა, ჩემი შვილიშვილი რომ ვერ შეხვდება“.

„კვირის პალიტრა“ უერთდება რობერტ ბარძიმაშვილის თაყვანისმცემელთა რიგს და ემშვიდობება ხელოვანს...

**ლელა ჯიყაშვილი**




# „აფხაზეთი“ თბილისის ზღვაზე...



კვირას უამრავმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი თბილისის ზღვაზე. მოგზაურობის მოყვარულნი საინტერესო სანახაობის მოწმენი გახდნენ. ქართველმა იახტსმენმა ნუგზარ კიკნაძემ თავის მიერ აგებული სამმეტრიანი იახტით, რომელსაც „აფხაზეთი“ ჰქვია, საჩვენებელი ნაოსნობა გამართა.

ბატონ ნუგზარს იმედი აქვს (მრავალთა ხელშეწყობით), რომ მსოფლიოს გარშემო მარტოდმარტო ნაოსნობას მალე შეუდგება.

წარმატებებს ვუსურვებთ ქართველ მოგზაურს.

# მარტოხელა პროფესორი

ასე, 12 საათისთვის მოდის ვერის პარკში, აუზთან ჩამოჯდება და სანამ ძმაკაცებიც მოვიდოდნენ, ტიტლიკანა ბიჭებს შესცქერის, თან სითბოსაგან თვალები ეხუჭება... 88 წლის არის. გახუნებულ პერანგზე ჩვეულებისამებრ, უკეთია ძველებური ჰალსტუხი და ასევე ძველებური, მაგრამ სუფთა შარვალი აცვია, რომელსაც თვითონ რეცხავს... მარტოკაცია და მარტოდმავალი. პარკში შემთხვევით ჩამოვჯექი მის გვერდით და დიდხანს გაჩერებას სულაც არ ვაპირებდი, სამი სიმპათიური ბერიკაცი რომ არ გამოჩენილიყო. ამ პარკში მოხუცების მეტი რა არის, მაგრამ ისინი ჩემ გვერდით ჩამოსხდნენ და ისეთი საუბარი დაიწყეს, ფეხი ველარ მოვიცვალე. ცოტა ხანში რაღა ისინი და რაღა მე — რაც თქვეს, მე განვავრცე. იმის შიშით ლაპარაკი არ შეწყვიტონ-მეთქი, დიქტოფონი ვერ ჩავრთე, ფურცელზე და კალამზე ხომ საერთოდ არ მიფიქრია, მაგრამ იმათ რას გამოვაპარებდი, — შენ იმდენი რამე გაინტერესებს, ან ჟურნალისტი ხარ, ან მოგზავნილიო. გამოვტყდი... ჰოდა, შვილო შენ საინტერესო კაცი თუ გჭირდება, გვერდით რომ გიზის, იმას გაგილვიძებთო, მითხრეს და აქეთ-იქიდან ფრთხილად შეუძახეს... თვალი რომ გაახილა, ვკითხე, ვინ ბრძანდებით-მეთქი...

— კორნელი ვარ, მეგრელიძე, პროფესორი გურიიდან. ოთხი ძმა ვიყავით მეგრელიძეები, ოთხივე პროფესორებიო... ნამდვილად არ ველოდი მთვლემარე მოხუცი პირველსავე სიტყვებზე ასე თუ გამაოცებდა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, მერეც ბევრი რამ მითხრა ისეთი, რამაც ვერის პარკის ბინადარი ასკეტი სწავლულის ისტორია უცნაური ფერებით დახატა:

— *რა პროფესიის ბრძანდებით, ბატონო კორნელი?*

— ქიმიკოს-ტექნოლოგი ვარ. ახლა რომ პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს ეძახიან, ჩემს დროს „გეპეი“ იყო, იქ ვკითხულობდი ლექციებს. ამჟამად აღარ ვმუშაობ, მაგრამ იქ მაინც დავდივარ — ხანდახან ამხანაგებს ვხვდები. გიორგი სააკაძის ძეგლთან წინ რომ სახინკლეა, იქ მივდივართ ხოლმე.

— *ფული გყოფნით რომ ერთმანეთი დაპატიჟოთ?*

— ვახერხებთ. მე სამხედრო წოდება მაქვს, ინჟინერ-პოლკოვნიკი ვარ და რუსეთი მაძლევს პენსიას. დიდი პენსია მაქვს, ხანდახან ამ პარკიდანაც მიმყავს ძმაკაცები საქეიფოდ. ეს პარკი და ეს ხალხი რომ არ იყოს, ძალიან გამიჭირდებოდა.

— *ახლა არ მითხრათ, ვსვამთო...*

— ვსვამთ, აბა, რას ვშვრებით? მარა, მე მარტო კახურ ღვინოს ვსვამ, ან — ჭაჭის არაყს, ბევრი კარგი ღვინო მინახავს, მაგრამ კახურ ღვინოზე უკეთესი არ არსებობს.

— *მაინც რამდენი შეგიძლიათ დალიოთ?*

— ახლა, — ორი ლიტრი. ადრე ბევრს ვსვამდი, კარგი თამადა ვიყავი, სადღეგრძელოებს ვამბობდი იმისთანას, ქალებს ვატირებდი!

— *რას ერჩოდით ამ ქალებს? — ალბათ მოგწონდათ და გულს უჩვილებდით..*

— ლამაზი ქალი რომ არ უყვარს, ის რა კაცია? მარა მე მეტისმეტი მომივიდა, იმდენი ქალი მომწონდა და იმდენს მოვწონდი, მერე დავთარი მერეოდა და საბოლოოდ, ყველას ვწუნობდი, სულელი ვიყავი! — კაცი რომ წუნიაა, ის ყოველთვის თავს იღუპავს.

— *თქვენ თავი დაიღუპეთ?*

— აბა, რა ვქენი? — არც ცოლი მყავს და არც შვილი! ახლა რომ ცხოვრებას ვიწყებდე, ამისთანა სისულელეს აღარ ვიზამდი...

— *რატომ არავინ შეირთეთ, შესაფერისი ვერ ნახეთ?*

— ვნახე, მაგრამ ვერ შევინარჩუნე. ლამაზი კაცი ვიყავი, ერთს რომ ველაპარაკებოდი მეორე მიყურებდა და მეც იმისკენ გამირბოდა თვალი. სამი წელი ოკუპირებული გერმანიის მშენებლობაზე ვმუშაობდი. იქაური ქალები ბერლინის მეფეს მეძახდნენ. მეუბნებოდნენ, შენნაირი ფიგურა ჩვენს კაცებს არა აქვთო...

— *თქვენ ახლაც კარგად გამოიყურებით!*

— ყველა მაგას მეუბნება, მაგრამ მე ხომ ვიცი, ახლა რაც ვარ... დავმძიმდი ძალიან.

— *სტუდენტებს უყვარდით?*

— სერიოზული ურთიერთობები გვქონდა. როცა ლექციას ვხსნიდი, არ მახსოვს სტუდენტს ფანჯრიდან გაეხედოს. ლექციაზე ფანჯრიდან რომ იყურება, იმ სტუდენტს სწავლა უნდა? ადრე სტუდენტები სერიოზული ხალხი იყო... ღარიბი, ჩაუცმელი, მაგრამ მცოდნე და პატიოსანი.

— *გეტყობათ, დღევანდელი სტუდენტობა არ მოგწონთ!*

— მხოლოდ 10 პროცენტი სწავლობს. ტვინი არ აქვთ თავში, არ იციან, რომ კაცს მარტო ცოდნა გადაარჩენს. ეს ამბავი მარტო მაგათი ბრალი არ არის — მაგათი მშობლების ბრალია! — ახალგაზრდას უნდა მოსთხოვო მხოლოდ ცოდნა. ეგენი კი იმდენ ფულს აძლევენ, ხან ანაშას სწევენ, ხან ლოთობენ. „ვეჩნი რუჩკის“ მაგივრად, რევოლვერი აქვთ ჯიბეში.


ვაკის პარკში მეგობრებთან ერთად. შუაში კორნელი მეგრელიძე

— *ჩემი აზრით, არც ისე ცუდადაა საქმე. თქვენ კი გეტყობათ, გულგატეხილი ხართ ახალგაზრდებზე.*

— უწვრთნელი შვილის ყოლას უწვრთნელი ძაღლის ყოლა რომ ჯობია ხომ იცი?.. ადრე ძალიან კარგად ვცხოვრობდი, საბურთალოზე, დიდი სახლი მქონდა, მაგრამ ძმისშვილი მყავს, დიდი ვალი დაიდო, აქეთ, იმისმა შვილმა ვიღაცა დაჭრა და იმათ გამოსახსნელად გავყიდე ის სახლი და მაინც არ ეყოთ ფული. უსახლკაროდ დავრჩი. ნახალოვკაში დავიქირავე ოთახი და იქიდან ყოველდღე დავდივარ აქ...

— *ახლა რომ ცხოვრებას თავიდან იწყებდეთ, როგორ მოიქცეოდით?*

— ხომ გითხარით, ცოლს შევირთავდი-მეთქი! მერე, თავს გავუფრთხილდებოდი, აღარ დავლევდი, ბევრს დავისვენებდი. ადრე წლებს არ ვაქცევდი ყურადღებას, ახლა თვეებსა და დღეებს ვითვლი.

— *აუცილებლად გექნებათ რაიმე ოცნება...*

— მინდა კაცურად დავიმარხო!

— *მე რას მისურვებთ?*

— წუთისოფლის ბარიკადები გადაგელახოს, წინ წადი პირად საქმესა და ცხოვრებაში!

...აბა, ამისთანა საუბრის შემდეგ როგორ შეიძლება სევდა არ წამოგყვეს კაცის ბედსა და ცხოვრებაზე... მაგრამ წარმოიდგინეთ, ეს მარტოხელა ასკეტი პროფესორი ისეთი ომახიანი იყო, სევდაზე მეტად ის ფიქრი გამომყვა, რომ თუ პროფესორივით კერკეტი კაკალი ხარ, რაც უნდა დაგემართოს, არასოდეს წაიქცევი და 88 წლისაც ყოველდღე, შორი გზიდან ივლი პარკში დასასვენებლად, რა თქმა უნდა, — ახალგაზრდობაში დაშვებულ შეცდომებზე სინანულთან ერთად...

**ეთერ ერაძე**

## მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ეკა მახარაშვილი** — „მას ყველაფერი კარგი სჭირდა“ (სტატია თემო ჩირგაძეზე) — 81 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „ულმობელი საქმრო“ — 77
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „საიდუმლო ისტორიები დაგვიანებული პენსიების ლაბირინთებში“ — 50
4. **მარინა ბაბუნაშვილი** — „მე ლამაზი მეგობარი მყავდა...“ — 18
5. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 15
6. **დაჩი გრძელიშვილი** — „ბალყარეთში სვანი უხუცესის სიტყვას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თავისიანისას...“ — 13
7. **ეკა ლომიძე** — „თქვენი ნომერი „ოქროსია?“ — 6

პრემიას — 50 ლარს მკითხველის სახელით ჟურნალისტი **ეკა მახარაშვილი** მიიღებს.

*„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 306-მა რესპონდენტმა გამოავლინა*



გასულ კვირას პრეზიდენტმა მთავრობის სხდომაზე „აირზენას" შეუტია — შევარდნაძის გულისწყრომა ავიაკომპანიების: „ბრითიშ ეარვეისისა" და „თურქიშ ეარლაინსის" საკითხის განხილვამ გამოიწვია. საქმე ის არის, რომ ამ კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებები თურმე საგადასახადო შეღავათებს ითვალისწინებდა. თუმცა ხელშეკრულებები პარლამენტში რატიფიცირებული არ აღმოჩნდა და მილიონობით ლარი დაუგროვდათ გადასახდელი. ორივე ავიაკომპანიამ გადასახადზე უარი განაცხადა. მათ სასამართლოში შეტანილი სარჩელები წააგეს და, შესაბამისად, რამდენიმე თვის წინ ფრენა აეკრძალათ. საგადასახადო დეპარტამენტის მონაცემებით, ბრიტანულ ავიაკომპანიას 13 მილიონი ლარის დავალიანება აქვს, ხოლო „თურქიშ ეარლაინსს" 17 მილიონ ლარს ედავებიან. ამჟამად მათი სარჩელები უზენაეს სასამართლოშია შეტანილი. ცხადია,

# „ჩემს ფიზიკურ განადგურებასაც არ მოერიდებიან..."

სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ხელშეკრულების რატიფიცირება ვერ მოხერხდება. ფაქტია, რომ ქართული მხარე მზად არის, დათმობაზე წავიდეს და „ბრითიშ ეარვეისსა" და „თურქიშ ეარლაინსს" ფრენის უფლება აღუდგინოს, მით უფრო, რომ პრეზიდენტმა თავისი პოზიცია მთავრობის სხდომაზე უკვე გამოხატა.

„ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენ პროვინციულ ქვეყნად დავრჩით. ყველა ქვეყანა მიილტვის ევროსაბჭოსკენ, ნატოსკენ, ჩვენ კი გვინდა აქ შევქმნათ ერთი ან ორი კომპანიისთვის ხელსაყრელი პირობები და გვავიწყდება, რა სჭირდება ქვეყანას, რა არის მისი კურსი და რაში მდგომარეობს საქართველოს მომავალი. ამის უფლებას არ მოგცემთ! ერთი კომპანიის ინტერესებს არ შევწირავ საქვეყნო ინტერესებს. ისიც კარგად იცით, რატომ დაიღუპა კახი ასათიანი და კარგად ჩაიხედეთ, ვისი ინტერესებია, რისი ინტერესებია... როგორც გინდათ, ისე მოაგვარეთ ეს საკითხი, როგორც გინდათ! მე ზურაბ ჭანკოტაძეს ვენდობი, კარგი მფრინავი და კარგი პროფესიონალია, მაგრამ, ზურაბ, თუ ამ საქმეს არ მოაგვარებ, შენ გადაჰყვები ამ ამბავს... მიიღეს ორი ბოინგი და გაგიჟდნენ, ჰგონიათ, მსოფლიო მათია, მაგრამ არაა ასე. მე უფრო ძვირად მიღირს ბრიტანეთის ნდობა", — ასეთი კატეგორიული იყო პრეზიდენტი მთავრობის სხდომაზე და, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — რატომ?

საქმე ის არის, რომ სარწმუნო წყაროს ცნობით, მაისში, პეტერბურგში, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერისგან მოუხდა საყვედურების მოსმენა შევარდნაძეს. ამ დღეებში კი მან გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მდივნის წერილიც მიიღო. სავარაუდოდ, სამთავრობო სხდომაზე ავიაკომპანიების საკითხის განხილვა სწორედ ამ წერილმა დააჩქარა. ასეთივე მკვახე წერილი მიიღო სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ, ზურაბ ჭანკოტაძემ ბრიტანელი კოლეგებისაგან. ისინი სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას დაემუქრნენ, ევროკავშირის საავიაციო კომისიაში გაწევრებაში ხელს შეგიშლითო.

ქართული ავიაკომპანიების ლობისტთა ლოგიკა ასეთია, — თუ ტონი ბლერი ლობირებს ბრიტანულ ავიაკომპანიას, რატომ არ უნდა გაუწიოს ლობირება საქართველოს პრეზიდენტმა ქართულ ავიაკომპანიას. ამ მხრივ ასევე პრინციპული პოზიცია უკავია ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრს, მერაბ ადეიშვილს. მისი თქმით, თუ ქართული ავიაციის შენარჩუნება გვსურს, მის გადასარჩენად ყველაფერი უნდა ვიღონოთ. ქართული მხარის ერთადერთი და სამართლიანი მოთხოვნა ფრენის პარიტეტული პრინციპების დაცვაა.

განსხვავებული პოზიცია უკავია ანტიმონოპოლიურ სამსახურს. მისი უფროსის, არმაზ თავაძის განცხადებით, „თურქიშ ეარლაინსისა" და „ბრითიშ ეარვეისის" საქმიანობის შეწყვეტამ ავიაბილეთებზე ფასების ხელოვნურად გაზრდისა და ავიაბაზრის მონოპოლიზაციის რეალური საშიშროება შექმნა.

ავიაბილეთების ფასის ხელოვნურ ზრდაზე ლაპარაკობს ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი კახა უგულავაც. მისი თქმით, საქართველოში მოქმედი ავიაკომპანიების ბილეთის ფასი საერთაშორისოსთან შედარებით ყოველთვის მაღალი იყო. ამის გამო ქართველებს მეზობელ ქვეყნებში ავტობუსებით გადასვლა და იქიდან გადაფრენა უწევდათ.

ასე რომ, ბრძოლა ავიაბიზნესში გრძელდება. საინტერესოა, პრეზიდენტი მართლაც ამ ორი უცხოური ავიაკომპანიის საქმიანობის შეჩერებამ აღაშფოთა თუ რამდენიმე თვის წინ კახი ასათიანის ქვრივის, ლუიზა თავართქილაძის მიერ ავიაკომპანია „გერმანიის ავიახაზების" მისამართით გაკეთებულმა განცხადებამ. შეგახსენებთ, მაშინ ასათიანის ქვრივმა განაცხადა, რომ „გერმანიის ავიახაზების" უკან პრეზიდენტის მძახლები, ახვლედიანები დგანან და ეჭვი გამოთქვა, კახი ასათიანი სწორედ ამ ძალებმა მოიშორეს თავიდანო. ლუიზა თავართქილაძე პრეზიდენტსაც ეწვია და პირადად ესაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობდა „გერმანიის ავიახაზები" „აირზენას" გაკოტრებას. პრეზიდენტმა სრული მხარდაჭერა აღუთქვა ასათიანებს და „გერმანიის ავიახაზებიც" თითქოს თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ახლახან კი პრეზიდენტმა მთავრობის სხდომაზე საჯაროდ იკითხა — „ვის ებრძვით?!" ვის წინააღმდეგ ბრძოლამ აღაშფოთა პრეზიდენტი, ახვლედიანების ხომ არა?! საინტერესოა, ამ მხრივ რა პოზიცია უკავია თავად „აირზენას" პრეზიდენტს, **თამაზ გაიაშვილს**. გთავაზობთ მასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს:

**— ბატონო თამაზ, თქვენი აზრით, რამ გამოიწვია პრეზიდენტის ასეთი მძაფრი რეაქცია „აირზენას" მისამართით?**

— იმავე ძალებმა, რომლებიც „აირზენას" წინააღმდეგ რამდენიმე წელია იბრძვიან და რომლებმაც კახი ასათიანი და ასევე ჩემი დისშვილი მოკლეს, პრეზიდენტი კიდევ ერთხელ შეიყვანეს შეცდომაში. ისინი უბრალო ხალხი არ გეგონოთ — საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენენ და ხელისუფლების სამივე შტოზე დღესაც გავლენას ახდენენ. ამას არ დასჯერდებიან და შეეცდებიან პრეზიდენტის მძაფრი რეაქცია თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ და ავიაკომპანიას სასიცოცხლო არტერია გადაუჭრან. ჩემს ფიზიკურ განადგურებასაც არ მოერიდებიან და მერე პრეზიდენტს შეახოცავენ ხელს.

**— იქნებ დაგვიკონკრეტოთ? ისევ ახვლედიანებს გულისხმობთ?**

— მე ასე ვიტყოდი: ეს უხილავი და იმავდროულად ყველასთვის ცნობილი ხალხია.

**— საგარეო უწყებამ და ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ავიაბიზნესის მონოპოლიზაციასა და არათანაბარ კონკურენციაში დაგადანაშაულათ...**

— საჯაროდ მინდა განვაცხადო, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა, ირაკლი მენაღარიშვილმა არასწორი პოზიცია დაიკავა. ჩემი აზრით, პოლიტიკა კომერციისგან მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული. ასევე შეგახსენებთ ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის წელიწადნახევრიან არაპროფესიონალურ და არაარგუმენტირებულ თავდასხმებს პრესის მეშვეობით „აირზენას" მისამართით. მივმართავ სამართალდამცავ ორგანოებს, დაჰკითხონ და მოიპოვონ ოფიციალური ჩვენება — ვინ არის დამკვეთი. იქნებ ისევ ის ხალხია, ვისზეც ზემოთ მოგახსენეთ. ის, რასაც ანტიმონოპოლიური სამსახური აკეთებს, სწორედ არასახელმწიფოებრივი ქმედებაა. ავიაცია ხომ ძალზე სპეციფიკური და მაღალ ტექნოლოგიებზე დამყარებული სფეროა, სადაც ცოდნა, გამოცდილება და ანალიზის უნარია

ნაკლებსავარაუდოა, „აირზენაში" იყოს მკვლელი და შემკვეთი. „აირზენაში" მათი მკვლელობით არაფერი მოუგიათ, საშინელი ტრაგედიის გარდა. დამნაშავეები და შემკვეთები აუცილებლად უნდა მოიძებნონ...

საჭირო. ყველამ კარგად იცის, თუ რას წარმოადგენს ანტიმონოპოლიური სამსახური და მომხმარებელთა უფლებების როგორი დამცველია. არ ვართ წინააღმდეგი მონოპოლისტები გვერქვას, მაგრამ ისეთ მწირ საჰაერო სივრცეში, როგორსაც საქართველოს ავიაბაზარი წარმოადგენს, ნამდვილად ვერ იმუშავებს ორი-სამი კომპანია. თავის დროზე მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა შეისწავლეს საქართველოს ავიაბაზების შესაძლებლობები და 200-გვერდიან დასკვნაში ერთსულოვნად დააფიქსირეს — საქართველოს უნდა ჰყავდეს ერთი პატარა კომპანია, რომელიც ევროსტანდარტებით იმუშავებს და უსაფრთხოების ყველა იმ ნორმატივს დაიცავს, რასაც საავიაციო წესები მოითხოვს. სხვათა შორის, ამ სამუშაოს შესრულებაში სახელმწიფომ 200 ათასი დოლარი გადაიხადა. ასეთივე რჩევა „ბოინგის" ხელმძღვანელებმა რამდენჯერმე პრეზიდენტსაც მისცეს. წარმოიდგინეთ, „აირზენას" სამი თვითმფრინავი ჰყავს, რომლებიც სამუშაოს 50%-იან მოცულობას ასრულებენ. ერთმა თვითმფრინავმა, სულ ცოტა, თვეში 250 საათი უნდა იფრინოს, დიდიდიდი — 350 საათი. ჩვენ კი თითო თვითმფრინავით 150 საათსაც ვერ ვასრულებთ. ეს იმის ბრალია, რომ ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური პირობებია. ხალხს არა აქვს მოგზაურობის, დასვენების შესაძლებლობა. ისმება კითხვა — საჭიროა კი საქართველოში სამი კომპანია, რომელსაც სამსამი თვითმფრინავი ეყოლება?

**— პრეზიდენტმა „ბოინგების" ჩამოყვანაც დაგაყვედრათ. მან დიდხანს ილაპარაკა საკუთარ დამსახურებაზე ამ საქმეში...**

— ჩვენ უმადური ხალხი არ ვართ. ყოველთვის აღვნიშნავდით პრეზიდენტის დამსახურებას და დღესაც მინდა გავიმეორო, — მართლაც ბევრი რამ გააკეთა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით, მაგრამ არც ჩვენ გავუცრუეთ იმედები. კომპანია ვითარდება და ის ევროსტანდარტებით მუშაობს. ნურავის დაავიწყდება, რომ პრეზიდენტს კარგა ხანია, ატყუებდნენ მავანნი და მავანნი, რომ უცხოურ თვითმფრინავებს ჩამოიყვანდნენ. 1997 წელს სახელმწიფომ წინასაკონტრაქტოდ 200 ათასი დოლარიც კი გადარიცხა აერობუსების შემოსაყვანად. გინახავთ ვინმეს ის აერობუსები?! ჩვენი ინფორმაციით, ის 200 ათასიც არ დაბრუნებია უკან სახელმწიფოს მაშინ, როცა ჩვენ ერთი თეთრით არ გვიზარალებია ქვეყანა. ერთი ლარის ღირებულების სახელმწიფო ქონებაც არ გააჩნია კომპანიას. „ბოინგები" დამფუძნებლების კერძო ინვესტიციებით შემოვიყვანეთ. გვაქვს თუ არა უფლება, სახელმწიფოსგან საქართველოს მოქალაქეებისა და მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციების დაცვა მოვითხოვოთ, თუ საქართველოს მთავრობისთვის უფრო მნიშვნელოვანი უცხოელთა ინტერესების დაცვაა?! შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ როგორც მე ვარ სხვა ქვეყანაში სტუმარი, ასევე უნდა იგრძნოს უცხოელმაც სტუმრად თავი საქართველოში. მივესალმები, თუ რომელიმე უცხოელი საქართველოში ინვესტიციებს განახორციელებს, მაგრამ ისიც ხომ იფიქრებს, თუ ქვეყანა საკუთარი მოქალაქეების ინვესტიციებს არ იცავს, ჩვენსას როგორ დაიცავსო. ამიტომ არის, რომ ჯერ არ მინახავს საქართველოში უცხოელებს დიდი ინვესტიციები განეხორციელებინოთ, ქათმის ბარკლების გაყიდვის გარდა — თუ რა თქმა უნდა, ეს ინვესტიციად ჩაითვლება. რაც შეეხება ჩვენს „მეგობარ" უცხოურ კომპანიებს, მათ საქართველოდან დიდძალი დაუბეგრავი ფული გააქვთ, რაც საქართველოს ბიუჯეტს აკლდება და რომლის გამოც ფერხდება ხელფასებისა და პენსიების გაცემა. ჩვენ კი ექვსი თვის განმავლობაში ბიუჯეტში 2 მილიონ-ნახევარზე მეტი გვაქვს შეტანილი.

**— ბრიტანეთისა და თურქეთის მთავრობები თავიანთი ავიაკომპანიების დასაცავად ქვეყნის მეთაურს ულტიმატუმის ენით ელაპარაკებიან, რამაც პრეზიდენტის გულისწყრომა გამოიწვია თქვენ მიმართ...**

— არა მგონია, ვინმემ გაბედოს საქართველოს პრეზიდენტისთვის ულტიმატუმების წაყენება. უბრალოდ, მიკერძოებული სახელმწიფო მოხელეები სხვა სახით აწვდიან პრეზიდენტს ინფორმაციას და მისი რეაქციაც შესაბამისია.

**— პრეზიდენტის ნათქვამიდან გამომდინარე ისე გამოვიდა, რომ თითქოს კახი ასათიანის მკვლელობა გახსნილია... „კარგად ჩაიხედეთო" — ბრძანა პრეზიდენტმა. „აირზენაში" ჩახედვაზე იყო ლაპარაკი? თუ გქონიათ კახი ასათიანის მკვლელობის შემდეგ პრეზიდენტთან საუბარი?**

— სრულ ნდობას ვუცხადებ სამართალდამცავ ორგანოებს, მათი კომპეტენციაა კახი ასათიანის, ასევე ჩემი დისშვილის მკვლელობის გამოძიება და ფართო საზოგადოებისთვის შედეგების გაცნობა. ნაკლებსავარაუდოა, „აირზენაში" იყოს მკვლელი და შემკვეთი. „აირზენაში" მათი მკვლელობით არაფერი მოუგიათ, საშინელი ტრაგედიის გარდა. დამნაშავეები და შემკვეთები აუცილებლად უნდა მოიძებნონ, რათა საქართველოში შეკვეთილ მკვლელობებს ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო. ქვეყანაში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. პრეზიდენტი ძალზე დაკავებულია და ალბათ ამიტომაც აქამდე ვერ მოახერხა ჩემთან შეხვედრა. ვიმედოვნებ, იგი გამონახავს დროს, მას ადრე თუ გვიან შევხვდები და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

# ციხე შსს-ს უბრუნდება?!

## „პრეზიდენტს ცრუინფორმაციას აწვდიან" — აცხადებს როლანდ გილიგაშვილი

ბოლო დროს ციხეებიდან პატიმრების მასობრივი გაქცევა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის, გიგლა აგულაშვილის გადადგომით დასრულდა. ცოტა ხნის წინ „კვირის პალიტრის" მიერ გაკეთებული პროგნოზი მართლდება: უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არაოფიციალურად ციხე ისევ შსს-ს დაქვემდებარებაში დაბრუნდა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას 51 წლის შოთა კოპაძე შეუდგა, რომელსაც ძალოვან სტრუქტურაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. იგი დროებით „დაიცავს" პატიმრებს, კულუარებში კი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ადგილზე შსს-ს გამოცდილი თანამშრომლის, რეზო ფოჩხუას კანდიდატურას ასახელებენ. ამ ინფორმაციას არ ადასტურებს იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილი და აცხადებს, რომ ჯერჯერობით არც ერთი კანდიდატურის განხილვა არ ხდება.

პატიმრების გაქცევის შესახებ პრეზიდენტმა იუსტიციის მინისტრს გასულ კვირას მკაცრად უსაყვედურა — ვითარების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, გილიგაშვილს გადაყენებით დაემუქრა და ციხეებში შინაგანი ჯარის შეყვანის აუცილებლობაზეც ალაპარაკდა.

იუსტიციის სამინისტროსთვის ციხეების დაქვემდებარება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მოითხოვა — საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრების ერთ-ერთი მთავარი პირობა ციხეთა რეფორმირებაც გახლდათ. თავის დროზე კახა თარგამაძე კარგა ხანს ვერ შეელია ციხეებს, რასაც თან სდევდა ელენე თევდორაძისა და „რკინის კაცის" მუდმივი დაპირისპირება, მაგრამ ბოლოს სალმა აზრმა გაიმარჯვა და ციხეები იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებარა. ყველა კმაყოფილი დარჩა, ერთი მხრივ, ევროსაბჭო და, მეორე მხრივ, ევროსაბჭოში გაწევრებული საქართველო. დღეს კი რა ხდება, — ციხეებიდან გაქცევა არანაირ პრობლემას აღარ წარმოადგენს.



სხვათა შორის, ექსპერტების აზრით, ყოველივე ეს მართული პროცესია. ციხიდან ხელშეწყობის გარეშე პატიმართა გაქცევა გამორიცხულია. არც იუსტიციის მინისტრი, როლანდ გილიგაშვილი გამორიცხავს სერიული გაქცევების წინასწარ ორგანიზებას. ამავე აზრს იზიარებს უშიშროების სამინისტრო. უშიშროების მინისტრის მოადგილის, ლაშა ნაცვლიშვილის თქმით, პირველად გილიგაშვილი დაუპირისპირდა კრიმინალურ სამყაროს — კრიმინალურ ავტორიტეტებსა და ციხის ადმინისტრაციას შორის გარიგებით მიღწეული სტაბილურობა დაირღვა. გიგლა აგულაშვილმა დამნაშავეებთან ურთიერთობაზე უარი განაცხადა, რამაც განაპირობა კრიმინალური სამყაროს რევანში. თავად როლანდ გილიგაშვილი კი პრეზიდენტის საყვედურის შემდეგ უფრო თამამ განცხადებას აკეთებს: „ყველაფერი ეს ჩემს წინააღმდეგაა მომართული". მინისტრს არ დაუკონკრეტებია, ვინ არის მისი საწინააღმდეგო კამპანიის ავტორი. სამაგიეროდ, როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ექსთავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი ამბობს, სრულიად შესაძლებელია, პატიმართა გაქცევების უკან შს სამინისტროს ზოგიერთი თანამშრომელი იყოს, რადგან გაქცეულთა შორის არიან ის პირებიც, რომელთაც შსს-თან კავშირი ჰქონდათ. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ აგულაშვილი ზემოთქმულში შსს-ს „ნასედკებს" გულისხმობდა.

იმას, რომ ციხეებს შინაგანი ჯარი გააკონტროლებს, ერთი საინტერესო დეტალიც ემატება. კობა ნარჩემაშვილმა სახელმწიფო ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შსს-ს აგენტურულ ქსელს ციხეებში, რომ ამ ქსელის უქონლობა კრიმინალური საქმეების გაუხსნელობას ნიშნავს. რა თქმა უნდა, შს მინისტრი, პრესით და ტელევიზიით, შემთხვევით განცხადებებს არ აკეთებს. მართალია, ციხეებში იუსტიციის სამინისტროსთან ერთად შსს-საც აქვს კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების გარკვეული სისტემა, მაგრამ ჩანს, შსს-ს მადა გაეზარდა და „ნასედკების ინსტიტუტის" მთლიანად ხელში ჩაგდება სურს. თუ ეს ასე მოხდა, იუსტიციის სამინისტრო შსს-თან წლების განმავლობაში მიმდინარე ფარულ ომს წააგებს. იუსტიციის მინისტრის ოპონენტები შენიშნავენ — ოღონდ გილიგაშვილმა სკამი შეინარჩუნოს და ყველაფერზე თანახმა იქნებაო.

ერთი სიტყვით, საქმე ძალზე სერიოზულადაა. ამას როლანდ გილიგაშვილიც კარგად ხვდება და, ჩანს, შსს-თან ჭიდილში ბოლო გაბრძოლებას აპირებს. იგი პრეზიდენტთან პირისპირ შეხვედრას გეგმავს, რომლის დროსაც პენიტენციარულ სისტემაში არსებულ რეალურ ვითარებას გააცნობს. გილიგაშვილის თქმით, პრეზიდენტს ცრუინფორმაციას აწვდიან. თუმცა, ნაკლებსავარაუდოა, შევარდნაძემ გილიგაშვილის პოზიცია გაიზიაროს. თუნდაც იმიტომ, რომ პრეზიდენტი არსებულ სიტუაციაში ერთადერთ ხსნად შსს-ს მიიჩნევს.

***გვერდი მოამზადა მარინა მამისაშვილმა***



ვაჟა-ფშაველას ძეგლი ადრე ასე გამოიყურებოდა



ვაჟას ძეგლიდან მოპარული ბრინჯაოს რქები სახურავზეა „შენახული"

# „ვაჟასთვის თვალი ვერ გამისწორებია, თითქოს მე გავძარცვე"

## ქართველ მეომართა აჩრდილების ქანდაკებებს თურქეთში გასამგზავრებლად ამზადებენ?

მწერალი გურამ დოჩანაშვილი თავის მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" მთავარ გმირს ათქმევინებს: „...ჰოდა, იმას მოგახსენებდით, მოვათავსებდი მსხვილმან-მსხვილმანებს ჩემს კარცერ-ლუქსში, სულ ანა-ბანათი დავაწყებინებდი, იმიტომ კი არა, რომ არ იციან, არა, თანმიმდევრულ მეთოდშია საქმე და იქამდე მეყოლებოდნენ გამოკეტილნი, სანამ „შვლის ნუკრის ნაამბობის" კითხვისას შვლის მწვადი კი არ გაახსენდებოდათ, არამედ სულ სხვა რამ, უფრო მთავარი..." მაპატიოს მკითხველმა და პირადად მე იმ ვანდალებს, რომლებსაც მუცლის ამოსაყორად ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და ქართველი ერის სხვა საამაყო შვილების ქანდაკება-ძეგლების ან მათი კომპოზიციების ბრინჯაოსა და სპილენძის ნაწილების მოპარვისაც არ რცხვენიათ, კარცერ-ლუქსში კი არ ჩავკეტავდი და „შვლის ნუკრის ნაამბობის" წაკითხვას კი არ დავაჯერებდი, ორთაჭალის ციხეში გამოვამწყვდევდი (სადაც სხვათა შორის ამ ბოლო დროს ქურდებიც კი ველარ ძლებენ) და ისეთ დღეს დავაყრიდი, მხოლოდ შვლისა კი არა, საერთოდ ხორცის ჭამას დავავიწყებდი...

დაახლოებით ერთი თვის წინ სახლში სანტექნიკა გამიფუჭდა. ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე ბაზრობის წინ ერთი კარგი ხელოსანი მეგულებოდა და სწორედ იქით გავეშურე. ხელოსნის ძებნაში კარგა ხანს ვიტრიალე აქეთ-იქით. უეცრად ბაზრობის გვერდზე მდგარი ერთსართულიანი შენობის სახურავს ავხედე და თვალში ირმის რქები მომხვდა. შენობის გვერდით ნაყარი მიწის საკმაოდ მოზრდილ გორაკზე ავფორთხდი და სახურავზე დაყრილ ირმის რქებს დავაკვირდი. თვალებს არ ვუჯერებდი — სახურავზე ირმისა და ჯიხვის სამი-ოთხი წყვილი რქა ეგდო. ლეჩხუმელი კაცი გახლავართ და სხვა თუ არაფერი, ის მაინც ვიცი მთაში გაზრდილმა კაცმა, რომ ასეთი უზარმაზარი რქები, როგორიც სახურავებზე ეყარა, არც ერთ ჯიხვს და ირემს არ აქვს, თან მათმა შეფერილობამაც დამაეჭვა... მოულოდნელად გამახსენდა, — დაახლოებით ოთხი წლის წინ თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მდებარე ვაჟას ქანდაკების არქიტექტურული კომპოზიციიდან ბრინჯაოს ჯიხვისა და ირმის რქები გაქრა. სწორედ ის რქები ეყარა სახურავზე. გორაკიდან ძირს ჩამოვედი და დარაჯს ვკითხე, საიდან მოხვდა სახურავზე-მეთქი რქები. „არც კი მახსოვს, შვილო. ამ ოთხი-ხუთი წლის წინ ვიღაცებმა ვაჟა-ფშაველას ძეგლი გაძარცვეს, ალბათ მეჯართეები იქნებოდნენ და ეს რქები ჯართში ჩასაბარებლად მიჰქონდათ. იმდენი იყო, მანქანამ ძვრა ვერ უყო. ადგნენ და რქებს ბუქსირი ჩაუბეს და ისე მოახრიგინებდნენ ქავთარაძეზე. ჰოდა, პოლიციის მორიგე მანქანა შეეფეთათ. პოლიციელებმა ნადავლი ჩვენი საწარმოს ეზოს წინ დააყრევინეს. მერე ეტყობა პოლიციელებმა და მძარცველებმა საერთო ენა გამონახეს. ისინი გაუშვეს და რქები კი ჩვენ მოგვაბარეს შესანახად. იმდენი იყო, სახურავზე არ ეტეოდა. ახლა სამი თუ ოთხი წყვილი რქა დარჩა, დანარჩენები მოიპარეს." დარაჯს კიბე ვთხოვე და სახურავზე ავედი. უპატრონოდ მიგდებული ბრინჯაოს რქები ფირზე აღვბეჭდე და იმ წუთიდან საქართველოში არსებული ქანდაკებების მდგომარეობით დავინტერესდი.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივაც სავალალო მდგომარეობა ყოფილა. ქართველმა მოქანდაკეებმა ისეთი რამ მიამბეს, რომ გულმა აღარ მომითმინა და გადავწყვიტე შემზარავი ვანდალიზმის ფაქტები ჩვენს მკითხველსაც გავაცნო. იქნებ ერთობლივი ძალით აღვკვეთოთ ქართველი ერის სულიერი მამების ქანდაკებათა ძარცვა-გლეჯა. ფერადი ლითონის მოპოვების მიზნით ქანდაკების ხელყოფა წვრილმანი ქურდობა სულაც არ არის. ალბათ დამეთანხმებით, სახელმწიფოს სიმბოლო მხოლოდ დროშა, გერბი და ჰიმნი არ გახლავთ. სახელოვანი წინაპრების ქანდაკება-ძეგლებიც ქვეყნის სიმბოლო და, თუ გნებავთ, ზნეობაც არის.

ვაჟა-ფშაველას ძეგლი 1972 წელს დაიდგა თბილისში. მისი ავტორი მოქანდაკე გოგი ოჩიაური გახლავთ და სწორედ ბატონ გოგის ვეწვიეთ პირველად.

**გოგი ოჩიაური:** — როცა ვაჟას ძეგლი გაძარცვეს, მაშინ თბილისში არ ვიყავი და ეს ამბავი გვიან გავიგე. თავდაპირველად, ვიფიქრე, ალბათ მუნიციპალიტეტმა წაიღო, არავის რომ არ მოეპარა-მეთქი. რქები სალოცავი ნიშის თავზე ეწყო, ვაჟას ქანდაკების წინ. მერე გავიგე, რომ მოუპარავთ, თუმცა ისიც მითხრეს, კარგ ადგილზე არის შენახულიო. თქვენგან პირველად მესმის, რომ რქები სადღაც სახურავზე ყრია. ნუთუ მართალია? რქები კი არა, ლოდები არ დატოვეს ქანდაკების წინ. ასე გამითახსირეს ვაჟა-ფშაველას ქანდაკება. არადა, თავის დროზე კარგი ჩანაფიქრი მქონდა. ვაჟა-ფშაველას ქანდაკების უკან, მთელი პროსპექტის გაყოლებაზე არსებულ სკვერში, ე. წ. ვაჟას სამყარო უნდა გაგვეკეთებინა... რაც ვაჟას ძეგლი გაძარცვეს, მერე იმ პროსპექტზე გავლა აღარ მინდა. ვაჟასთვის თვალი ვერ გამისწორებია, თითქოს მე გავძარცვე. მარტო მაგ-



ქართველ მეომართა აჩრდილები, გუშინ...



ხელფეხდაგლეჯილი, იარაღაყრილი ქართველი გმირები, დღეს...

აზე კი არ მწყდება გული, — ვაკის პარკში „დიდების მემორიალიც" ჩემი გაკეთებულია. საკავშირო პრემია დავიმსახურე ამ მემორიალისთვის.

**— დიახ, მახსოვს. უცნობი ჯარისკაცის საფლავის ორივე მხარეს ოთხ-ოთხი ქართველი მეომრის აჩრდილი იჯდა ქვაზე... ახლა კი ის მეომრები „საპატიო ყარაულში" აღარ დგანან. რა იქნენ?**

— მემორიალს თავის დროზე ძალზე დიდი გამოხმაურება ჰქონდა. აღფრთოვენებას ვერ მალავდნენ უნგრელი, პოლონელი და რუსი მოქანდაკეები. მოსკოვის მხატვართა კავშირმა ამ კომპოზიციის გამო საკავშირო პრემიაზეც წარმადგინა და ლაურეატი გავხდი, მაგრამ სანამ მას ვაკის პარკში დავდგამდი, ბევრი დაბრკოლების გადალახვა მომიხდა. კომპოზიციაში თავიდანვე გათვალისწინებული იყო ქართული ელემენტების ჩართვა, მაგრამ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ჩურკინმა ბრძანა — სამამულო ომში დაღუპული უცნობი ჯარისკაცის საფლავთან სააკაძისა და არსენას ქანდაკებების დადგმას არ დავუშვებ. ქართველი მეომრების აჩრდილების ფიგურები საბჭოთა ტანკისტებით, მფრინავებით, არტილერისტებით და ა.შ. შეცვალეთო. თავი მოვიკალი და არ დავთანხმდი. ამის გამო 13 წლით დააბრკოლეს პროექტის განხორციელება, რაც იმას ნიშნავდა, რომ ვაკის პარკში დიდების მემორიალი არ დაიდგმებოდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ესკიზით მაინც. ბოლოს, მაინც მიმიწვიეს ცეკაში და დამადებინეს პირობა, რომ ქართველი მეომრების აჩრდილებს მაზარებს მაინც ჩავაცვამდი. მაშინ ცეკას მდივანი გურამ ენუქიძე იყო. ვუთხარი — პირობა კი დამადებინეთ, მაგრამ მაინც ჩემებურად გავაკეთებ-მეთქი. როცა მემორიალს ვამთავრებდი, ვიღაცამ შევარდნაძეს ამბავი მიუტანა — ოჩიაური ქართველი მეომრების აჩრდილებს ისევ თავისებურად აკეთებსო. მეხვეწნენ, „ბუდიონოვკა" მაინც დაახურე, ყელი არ გამოგვჭრაო. ვარსკვლავიან „ბუდიონოვკას" როგორ დავახურავდი ჯაჭვის პერანგში გამოწყობილ დიდგორის ან კრწანისის გმირს? ერთი სიტყვით, ჩემი გავიტანე და, როგორც იქნა, დავამშვენე ვაკის პარკი, მაგრამ რად გინდა?! გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს, ერთ ღამეს მემორიალიდან რვა ქართველი მეომრის ფიგურა აიღეს და გადაყარეს. მივედი ზვიადთან და მომხდარის შესახებ ვუამბე. შეწუხდა. არ ვიცოდიო და უბრძანა, მიიტანეთ და ადგილზე დადგითო. დალეწილ-დამსხვრეული დააბრუნეს ფიგურები და იქვე დაყარეს. მერე, როცა შევარდნაძე დაბრუნდა, ფიგურების აღდგენა გადაწყვიტა. წაიღეს კიდეც ვითომ აღსადგენად, მაგრამ გადატანისას ხელ-ფეხი დააგლიჯეს ფიგურებს. მოიპარეს ხმლები. ერთი სიტყვით, საბოლოოდ გაძარცვეს და გააპარტახეს მეომართა ბრინჯაოს ქანდაკებები. ახლა მათ აღსადგენად 93 ათასი ლარია გამოყოფილი და იმედი მაქვს, ეს ცრუდაპირებად არ დარჩება. იმავე მემორიალის შემადგენელ ნაწილს, „მადლიერ დედას", რომელიც ვაკის პარკს ზემოდან გადმოჰყურებს, ჯართზე მონადირეებმა უკნიდან ბრინჯაოს კაბის ნაწილი ააგლიჯეს. მხოლოდ ჩემი ქანდაკებები რომ იყოს ასეთ დღეში, კიდევ არაფერს ვიტყოდი, მაგრამ ქანდაკება აღარ დარჩა თბილისში გაუძარცვავი..."

გოგი ოჩიაურის რჩევით, ლილოში შპს „საქართველოს მხატვრის" ფილიალს, ქანდაკების კომბინატს მივაშურეთ. ბევრი ძახილის შემდეგ, როგორც იქნა, კომბინატის გაპარტახებული შენობიდან დარაჯი გამოვიდა. მას ვთხოვეთ ეჩვენებინა ქართველი მეომრების აჩრდილთა ქანდაკებები. დარაჯი ერთ, სანახევროდ დანგრეულ საამქროში შეგვიძღვა. იქაურობა თაბაშირის დამსხვრეული ყალიბებით იყო სავსე. ხელებდაგლეჯილი, ფეხებმომტვრეული და იარაღაყრილი ქართველი გმირები ვიღაცას უდიერად დაეყარა მიწაზე... ფეხათრეულმა დავტოვე კომბინატის ტერიტორია.

მეორე დღეს საქვეყნოდ ცნობილ მოქანდაკეს, **მერაბ ბერძენიშვილს** ვთხოვე კომენტარი: — რაც კი საქართველოში ქანდაკებები დამიდგამს, ერთხელ არ გაწმენდილა, არადა, ზოგიერთი რამდენიმე ათეული წელიწადია დგას. ქანდაკების გაწმენდას ვინ ჩივის, კვარცხლბეკები ერთიანად დაბინძურებულია. წელიწადში ერთხელ მაინც გაწმინდონ. ისინი ხომ დედაქალაქის, ქვეყნის სახეა. რამდენიმე წელიწადია, რაც ყველა ინსტანციაში წერილებს ვწერ — ფილარმონიის წინ მდგარ „მუზაზე" დაკიდებული ნიღბების ფოლადის მავთული გახეხილია და შეიძლება მოულოდნელად გაწყდეს და ნიღბებმა ვინმე გამვლელი იმსხვერპლოს. შენც არ მომიკვდე, არავინ არაფრად აგდებს ჩემს გაფრთხილებას. ახლა მე და თქვენ ქართულად რომ ვსაუბრობთ, ჩვენი მეომარი წინაპრების დამსახურებაა. მათი და დიდგორის ბრძოლის უკვდავსაყოფად დიდგორში მემორიალი გავაკეთე, შარშან კი მასაც შეესივნენ ვანდალები. გაიტაცეს ხმლები, არწივი. ბრინჯაოს დაფა, რომელზეც დიდგორის ბრძოლის მოკლე ისტორია იყო დაწერილი, ჩამოტეხეს და როგორც ჯართი, თურქეთში ისე გაყიდეს. ხელისუფლებამ აუცილებლად აღვადგენთო, მივედი და ვნახე აღდგენილი. ნეტავ არ მენახა! ბრინჯაოს ზარების ნაცვლად, რკინის მილები ჩამოუკიდიათ, აღარც არწივი ჩანს და აღარც ახალი ბრინჯაოს დაფა. ქანდაკებას „კიდევაც დაიზრდებიან" კვარცხლბეკი ჩამოუნგრიეს და ლოდები სახლის ასაშენებლად წაიღეს. ქუთაისში, ქალაქის ახალ უბანში „მზეჭაბუკის" ბრინჯაოს ქანდაკებაა, რომლის უკან უზარმაზარი ბრინჯაოს პანოა ქვაზე მიმაგრებული. სწორედ ეს პანო ჩამოაგდეს ძირს, მაგრამ იქაურებმა ივაჟკაცეს და მძარცველებს არ გაატანეს. ქართველებს ერთ ისტორიულ ფაქტს გავახსენებ. ლენინგრადის ბლოკადის დროს დამშეულმა მოქალაქეებმა ქანდაკება-ძეგლები სილით სავსე ტომრებით დაფარეს, საავიაციო დაბომბვას რომ არ დაეზიანებინა. ეს გააკეთა მშიერმა ხალხმა, რომელიც კატებით და ვირთხებით იკვებებოდა, ჩვენ კი ქართველებს პატარა გაგვიჭირდა და ძეგლებს მივადექით. დარწმუნებული ვარ, ვინც მათ ხელყოფს, ერის მოღალატეა და უნდა მოიკვეთოს.

**— მახსოვს, შარშან ბრალს გდებდნენ, თითქოს „თერგდალეულთა" ბრინჯაოს კომპოზიცია, რომელიც დარიალის ხეობაში საქართველო-რუსეთის საზღვართან იდგა და აღსადგენად ქანდაკების კომბინატში იყო ჩამოტანილი, დავით აღმაშენებლის ქანდაკების გასაკეთებლად გამოიყენეთ.**

— როგორ ფიქრობთ, ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის და სხვა „თერგდალეულების" ფიგურებს, თუნდაც მათ დაბალი მხატვრული ღირებულება ჰქონოდათ, ხელს შევახებდი?! არავითარ შემთხვევაში ამას არ ვიზამდი. ქართველთა სათაყვანებელი მეფის ქანდაკებას მათ ფიგურებს არ შევწირავდი. მეტსაც გეტყვით. „თერგდალეულთა" კომპოზიცია თვითონ ყაზბეგის რაიონის ყოფილი ხელმძღვანელის მეშვეობით ვიღაც-ვიღაცეებმა თურქეთში გაიტანეს და ჯართად გაყიდეს. მერე, როცა საზოგადოებამ განგაში ატეხა, ყალბი დოკუმენტები შეთითხნეს, თითქოს კომპოზიცია ქანდაკების კომბინატში მიიტანეს და აღმაშენებლის ძეგლის ჩამოსხმას მოახმარეს. კარგად ვიცი, რა ბრინჯაოსგან ჩამოისხა დავითის ქანდაკება...

„თერგდალეულების" კომპოზიციის უკვალოდ გაქრობასთან დაკავშირებით ჩვენ ჟურნალისტური გამოძიება ჩავატარეთ და სიმართლის დასადგენად საარქივო მასალებიც დავიხმარეთ. გაირკვა, რომ 1996 წლის დამლევს ყაზბეგის საბაჟოს თანამშრომლებმა დააკავეს ავტომანქანა, რომელიც დატვირთული იყო „თერგდალეულთა" ოთხი ფიგურით. ინციდენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ ყაზბეგის საბაჟოს მაშინდელი რაიონის გამგებელი ეწვია და მებაჟეებს აუხსნა, „თერგდალეულთა" ფიგურები ქანდაკების კომბინატში მიაქვთ სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლადო. მებაჟეებმა ავტომანქანა ტვირთთან ერთად გაატარეს. ნაცვლად იმისა, ფიგურები კომბინატში მიეტანათ, რატომღაც ილიას, აკაკის, ვაჟას და ყაზბეგის ქანდაკებები სოფელ ძეგვში მოხვდა.

ყაზბეგის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე **ციცინო ღუდუშაური** აცხადებს: „მათ კვალს ძეგვში მივაკვლიეთ „ტრანსგაზის" ტერიტორიაზე. გაგვიჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინი თურქეთში გასაყიდად მიჰქონდათ. ამიტომ დარჩენილი სამი ფიგურა აღარ გავატანეთ".

ყაზბეგის რაიონის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **გიორგი ხუციშვილი** იხსენებს: „ყაზბეგის მაშინდელმა გამგებელმა, ირაკლი ბურდულმა „თერგდალეულთა" კომპოზიცია გასაყიდად გაიმეტა. „თერგდალეულების" ვითომ შესაკეთებლად წაღებამდე ერთი თვით ადრე, გამგებელმა ჩაატარა რაიონული თათბირი. სწორედ იქ თქვა, რომ „თერგდალეულთა" ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ოცტონიანი მონუმენტი უნდა გაყიდულიყო. გვარწმუნებდა, ეს აუცილებელია რაიონის ბიუჯეტის შესავსებადო. გამგებელი 20 ათასი დოლარის აღებას გეგმავდა და ამ თანხით იგი თითქოს სკოლების შეკეთებას აპირებდა. თათბირზევე შეადგინეს ოქმი „თერგდალეულთა" გაყიდვის შესახებ და მას ხელი მცხეთა-მთიანეთის მაშინდელმა გუბერნატორმაც მოაწერა. ეს იყო ხევისა და ერის შემარცხვენელი ფაქტი. მაშინ ამ საბუთის არსებობის შესახებ რაიონის მოსახლეობამ გაიგო და რაიონის ხელმძღვანელობას „თერგდალეულთა" კომპოზიციის გაყიდვა არ დაანება, მაგრამ საქმეში კანცელარიის მაღალჩინოსნები ჩაერივნენ — ოთხი ფიგურა გაიტანეს ყაზბეგის რაიონიდან და თურქეთში გაყიდეს".

როცა ქანდაკების კომბინატის ეზოდან გამოვდიოდი, ერთი ხანში შესული მამაკაცი გამომეცნაურა და მითხრა: „კარგა ხანს ქანდაკების კომბინატის ჩამოსასხმელ საამქროში ოსტატად ვმუშაობდი, ახლა კი პენსიაზე ვარ.„თერგდალეულთა" კომპოზიციის ამბავი ჩემ თვალწინ დატრიალდა. კომბინატში „თერგდალეულთა" არც ერთი ფიგურა არ შემოსულა. სოფელ ძეგვში ვიღაც უცნობებმა წამიყვანეს და შემაფასებინეს, რა ლითონისგან იყო ჩამოსხმული და რამდენად შეიძლებოდა მისი გაყიდვა თურქეთში. მერე ყაზბეგის რაიონის მოსახლეობამ განგაში რომ ატეხა, რა უნდა ექნათ, თურქეთში გაყიდულ ქანდაკებებს საიდან მოიტანდნენ. ადგნენ და ქანდაკების კომბინატის ყოფილ ხელმძღვანელებთან ერთად შეადგინეს დოკუმენტი, რომ ქანდაკებები კომბინატს ჩააბარეს უსასყიდლოდ აღმაშენებლის ძეგლის ჩამოსასხმელად. ამ საქმეში თბილისის მერიაც იყო გარეული და კანცელარიაც.

არც იმ მეომართა ქანდაკებებს აღადგენენ. მათაც „თერგდალეულების" ბედი ელის...".

ჩვენ საქართველოს მხატვართა კავშირის ქანდაკების სექციის თავმჯდომარეს, **რეზო ხასიას** დავუკავშირდით. მისი განცხადებით: „საქართველოში უამრავი ძეგლია დაზიანებული და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. სამწუხაროდ, პასუხისმგებელი არავინ არის. მაგალითად, ჩემი ერთ-ერთი ქანდაკება, იაკობ გოგებაშვილი, რომელიც ზუგდიდში დავდგი ქალაქის გამგეობის წინ მდებარე სკვერში, პრეზენტაციამდე ერთი კვირით ადრე მოიპარეს. ასევე გაძარცვეს ჩემი სამასი არაგველის ქანდაკება ჟინვალში. არადა ყველა მოქანდაკეს შვილივით უყვარს თავისი ნამუშევარი, თუმცა ეს მხოლოდ მხატვრის უბედურება როდია, ჩვენი საერთო უბედურებაა, რადგან ქანდაკება არა მხოლოდ ავტორის, არამედ ერის კუთვნილებაა".

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

*სადაც არ არის მართლმსაჯულება, იქ ბუნაგია და არა მამული*

*ლემონტეი*

# ამ თვეში უკვე ორჯერ „ვიტირე“...



ინტელიგენციამ ქართული პოლიტიკის შემოქმედს რეჟისურა დაუწუნა — საქართველოში სუსტი პოლიტიკური სპექტაკლი დაიდგა, რომელშიც ცუდი მსახიობები თამაშობენ. შეცვალეთ ისინი, თორემ თქვენი სპექტაკლი მოიხსნებაო. ეს შევარდნაძის „პოლიტიკური შემოქმედების“ ერთ-ერთი ყველაზე მწვავე შეფასებაა და ალბათ მთავარ რეჟისორს ბევრ რამეზე დააფიქრებს... დიდოსტატები ავანსცენიდან წასვლის წინ ქმნიან გენიალურ სანახაობას, ხელმოცარულნი კი ისე უხმაუროდ იპარებიან, მათ „გედის სიმღერასაც“ არავინ ისმენს. როგორ წავა, თავად პრეზიდენტმა უნდა აირჩიოს... ოპტიმისტები მისი ტალანტის უკანასკნელ გაელვებას ისევ ელიან, რეალისტებმა კი მთავარი რეჟისორის შემცვლელი უკვე მოძებნეს.

ინტელიგენცია ხელისუფლებისა და ოპოზიციის („ნორმალური ნაწილების“) გაერთიანებას ითხოვს და გამაერთიანებლის როლს პარლამენტის თავმჯდომარეს სთავაზობს. ამ როლის შესრულება არსებულ ვითარებაში ბურჯანაძეს აუცილებლად გაუჭირდება, რადგან ოპოზიცია გაერთიანებაზე უკვე აღარ ფიქრობს და, ჯერჯერობით, აღარც უმაღლესი ხელისუფალი აპირებს ოპონენტებთან დათქმულ კომპრომისულ დიალოგს.

რატომ ვერ გაერთიანდა ოპოზიცია, რამ გამოაცოცხლა მიძინებული ინტელიგენცია და რატომ წაიღო შევარდნაძემ თავისი სიტყვა უკან? — ამის შესახებ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, ცნობილ კოლორიტულ ოპოზიციონერს, **ლევან ბერძენიშვილს** ვესაუბრეთ:

— პრეზიდენტ შევარდნაძის საქციელს ბოლო დროს ბავშვობის ელემენტები შეეპარა, თამაში დაიწყო. იგი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა იყო, მაგრამ როგორც არისტოტელე იტყოდა, ყველაფერს აქვს დასაწყისი, შუა ტანი და დასასრული. შევარდნაძის პოლიტიკური საქმიანობა დასასრულს უახლოვდება და მისი თამაში სუსტდება. დიდი პოლიტიკოსის საქციელს არ ჰგავს მისი ქმედება, — როცა თქვა, — ოპოზიციას შევხვდებიო და არ შეხვდა. დიდი პოლიტიკა უწინ მართლაც უკეთებია შევარდნაძეს, მაგრამ დღეს ის ანდრე აგასის (ცნობილი ჩოგბურთელი. — რედ.) ემგვანება, რომელსაც ჰგონია — ჯერ კიდევ მაგარი ვარო და მეოთხედფინალამდეც ვერ მიდის. ასეა, ყველა ვერ ხვდება, როდის უნდა დაამთავროს თამაში. უკანასკნელი 5 წელია, რაც შევარდნაძე „სათამაშოებით“ ერთობა და წარმოდგენა არა აქვს, როგორ უნდა მართოს ქვეყანა. შევარდნაძე ჯიუტად აგრძელებს იმას, რაც ასე სასტიკად გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ „კაცია-ადამიანში“. პრეზიდენტი დღეს პოლიტიკური ლუარსაბია და „უფროსობანას“ თამაშობს. შორს აღარ წავალ და არ ვიტყვი, ვინ არის დარეჯანი და მათი ოჯახის პოლიტიკური ლამაზისეული (ბატონ ლევანს იმდენი უყიჟინეს, შენ არ თქვი, ილია ჭავჭავაძე არ მიყვარსო, რომ ამ მოსაზრების გასაბათილებლად, ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ახდენს ილიას ნაწარმოებების ციტირებას. — ი.რ.).

**— იქნებ ლამაზისეულის ტიტულის მფლობელის ვინაობა გაგვემხილათ?**

— ლამაზისეული სახელისუფლებო ბლოკის პოლიტიკური სპიკერი — ირინა სარიშვილია. ოპოზიციაში ყველას და, ბუნებრივია მეც, გვწყდება გული, რომ სარიშვილი ჩვენთან არ არის. ამიტომ გაცილებით ზომიერად ვაკრიტიკებთ მას, ვიდრე იმსახურებს და იმედსაც ვიტოვებთ, იქნებ ბოლოს ისევ ჩვენთან დაბრუნდეს. ამიტომ ვუწოდებ ლამაზისეულს, თორემ გაცილებით უარესის მოფიქრება შეიძლებოდა...

**— მაგრამ ფაქტია, რომ სახელისუფლებო ბანაკი გაცილებით ერთსულოვანი ჩანს, ვიდრე დაქსაქსული ოპოზიცია.**

— მთავრობის შემოგდებული პიარიდეაა, — ოპოზიცია თუ ბლოკს ვერ შექმნის, ხელისუფლება მოიგებსო. ვერავინ იტყვის, გაერთიანების შემთხვევაში მეტ ხმას მიიღებს ოპოზიცია თუ ცალ-ცალკე. მეჩვენება, რომ ოპოზიციის გაერთიანება-არგაერთიანებაზე მთავრობა უფრო ღელავს. ისე, ოპოზიცია, რა თქმა უნდა, ვერც გაერთიანდებოდა.

**— თუ დიდ კოალიციაზე არა, სამი ოპოზიციური პარტიის გაერთიანებაზე ხომ მაინც იყო ლაპარაკი, ისინი რატომ ველარ გაერთიანდნენ?**

— გაერთიანება საქმისათვის უნდა მოხდეს და არა ვინმეს გადასარჩენად. საქართველოში, ჩანს, არავინ არის მზად, რომ რომელიმე პოლიტიკური ფიგურის გადასარჩენად პოლიტიკური ბლოკი შექმნას (აქ არც ზურაბ ჟვანიასა და არც აკაკი ასათიანს ვგულისხმობ. ვგულისხმობ ყველას, ვინც 7%-იან ბარიერს ვერ გადალახავს).

გაერთიანების მომხრე მეც ვიყავი, მაგრამ რამდენად რეალურად გესახებათ ზურაბ ჟვანიას გაერთიანება კახა თარგამაძესთან? თქვეს „ახლებმა“, — კახა თარგამაძე არ გვიყვარსო? როცა ოპოზიციის გაერთიანებაზე იწყება ლაპარაკი, ისეთი ფაქტორები იჩენს თავს, ძალაუნებურად ბევრ ვინმეზე უწევთ უარის თქმა. გამოდის, რომ გაერთიანებულ ოპოზიციაში უფრო ნაკლები ხალხი დარჩება, ვიდრე ცალ-ცალკე მყოფში. არა მგონია, კახა თარგამაძე ოპოზიციონერი იყოს. ის ძალა, რომელიც არ იტყვის, კახა თარგამაძე ჩვენთან არ არისო, ოპოზიციად არ მიმაჩნია. „ახლებს“ პატივს ვცემ, რეიტინგული პარტიაა, ამბობენ, ისინი მემარჯვენეები არიანო. სინამდვილეში მემარჯვენეები კი არა, მდიდრები არიან (თანაც ქართული გაგებით, თორემ რუსეთში მათნაირებს მდიდრებად არ მიიჩნევენ). „ახლებთან“ გაერთიანებით ვერაფერს მოიგებდა ვერც ოპოზიცია და ვერც ზურაბ ჟვანია. ზურაბ ჟვანია სხვა წრიდანაა, ინტელიგენტი, განათლებული კაცია. „ახლებსაც“ ჰყავთ განათლებული (ინგლისურისა და კომპიუტერის მცოდნე) ლიდერები, მაგრამ ჟვანია ხომ ცოტა მეტია იმ სტანდარტებზე, რაც „ახალ მემარჯვენეებში“ განათლებად ითვლება. ამიტომ არ უყვართ „ახლებს“ ჟვანია და პირიქით — ჟვანიასაც არ უყვარს ისინი. ჩემი აზრით, გამყრელიძე და გაჩეჩილაძე პირველივე პოლიტიკური წარუმატებლობის შემთხვევაში თავიანთ ბიზნესს მიხედავენ. მათ უთუოდ მოუწევთ არჩევანის გაკეთება პოლიტიკასა და ბიზნესს შორის.

**— მაგრამ რატომ ვერ მოხერხდა სააკაშვილისა და ბურჯანაძის მორიგება?**

— იმედი მაქვს, მიხეილ სააკაშვილსა და ნინო ბურჯანაძეს ხანგრძლივი პოლიტიკური ურთიერთობა ექნებათ. ისინი მომავლის პოლიტიკოსები არიან, ისევე, როგორც ჟვანია. კარგი იქნებოდა, არჩევნებზე ერთად გამოჩენილიყვნენ სამივენი. რის ხარჯზე მოხდება ეს? სააკაშვილს უკვე აქვს გაერთიანება (რითაც ცხადყო ლტოლვა გაერთიანებისკენ), რომელიც ქვეყანაში რეიტინგით მეორეა. „ნაციონალური მოძრაობა“ არ არის მზად იმისათვის, რათა საკუთარი რეიტინგი ვინმეს აჩუქოს. ამიტომ, თუ გაერთიანება მოხდა, მას იმან უნდა უხელმძღვანელოს, ვისაც მეტი რეიტინგი აქვს. რატომ არ უნდა ყოფილიყო მიხეილ სააკაშვილი ამ გაერთიანების ლიდერი? თუკი რესპუბლიკური პარტიის წევრებმა, ეროვნულ ძალთა გაერთიანებამ, ბესო ჯუღელმა აღიარეს სააკაშვილი ლიდერად, რატომ არ უნდა გააკეთონ იგივე იმ ადამიანებმა, რომლებიც მის მხარდამხარ იბრძოდნენ — ვგულისხმობ ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძეს. ამბობენ, ამბიციებზე მაღლა ოპოზიციის გაერთიანება უნდა დაეყენებინა სააკაშვილსო, მაგრამ რატომ ხედავენ მხოლოდ სააკაშვილის ამბიციებს, ამ შემთხვევაში სხვათა ამბიციებიც ხომ აშკარა შეიქნა? ახლა უკვე ცხადია, სააკაშვილი (თავისი რეიტინგით) მათ სჭირდებოდათ როგორც ხმების მომპოვებელი მანქანა, რათა გაერთიანების სათავეში სხვა ლიდერები მოსულიყვნენ. ოპოზიციას გაერთიანების შემთხვევაში ლიდერად სურთ ისეთი პიროვნება (ნინო ბურჯანაძე), რომლის არსებობა ნაკლებმტკივნეული იქნება ყველასათვის. ნინო ბურჯანაძის უკან პოლიტიკური ძალა არ დგას, ის მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარეა. მიხეილ სააკაშვილს კი სერიოზული პოლიტიკური ძალა ჰყავს. აღიარონ სააკაშვილის ლიდერობა და ხვალვე გაერთიანდება ოპოზიცია, მაგრამ მეორეკაცობა, ჩანს, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მათთვის ასატანი, თუ „პირველი კაცი“ ქალი იქნება.

> **— მეც არ მომწონს ზოგიერთი მწერალი, იმიტომ, რომ იმდენად ქედმაღლები არიან, თავს უფლებას აძლევენ თქვან, — პარლამენტი ცუდია ან კარგიო.**

**— ნინო ბურჯანაძეს გვერდით ინტელიგენცია დაუდგა, ეს კი ხელწამოსაკრავი ძალა ნამდვილად არ არის.**

— (იცინის) ჩვენი ინტელიგენცია ყველას უჭერს მხარს — შევარდნაძესაც, ჯორბენაძესაც, ბურჯანაძესაც და სააკაშვილსაც. როდესაც მსახიობი ამბობს, — მხარს ნინო ბურჯანაძეს ვუჭერო, იგი ამ დროს თამაშობს. არ მითხრას ახლა ვინმემ, რომ რამაზ ჩხიკვაძეს შევარდნაძის შექება გაუჭირდებაო. მელიმება მსახიობებით წარმართულ პოლიტიკაზე. ვიღაცამ დაწერა სცენარი (არა ნინომ), რომ ამ ხალხს ნინო ბურჯანაძისთვის თანადგომა გამოეცხადებინა. კი ამბობდნენ მსახიობები, ჩვენ აქ არავის დავუბარებივართო, მაგრამ რად გვინდა ეს „რიჟა ბაზარი“? მაპატიეთ და, პარლამენტში შესვლას რომ საშვი სჭირდება, მარტო მე ხომ არ ვიცი? თანაც ამ შეხვედრის ყველა ტელეარხზე ტრანსლირებით ხომ ცხადი შეიქნა, ეს სპონტანური დიალოგი კი არა, პოლიტიკური აქცია იყო.

**— ასეთ ვითარებაში რას შეიძლება ველოდოთ საარჩევნოდ?**

— რაკი ოპოზიციის დიდი გაერთიანება ჩაიშალა, შესაძლოა მცირე გაერთიანებები მოხდეს. ჩემი ვარაუდით, შევარდნაძის ბლოკმა ვერ უნდა გადალახოს საარჩევნო ბარიერი და თუ ხელისუფლება იტყვის, არჩევნები მოვიგეთო, აღმოჩნდება, რომ აზერბაიჯანის გზას დავდგომივართ — როცა მუსავათმა გაიმარჯვა და ალიევმა განაცხადა, — არა, წააგოო. ეს კი არ მგონია, მოითმინოს საქართველომ. შევარდნაძემ შესაძლოა ეს არ იცოდეს იმიტომ, რომ იგი საქართველოს მხოლოდ თავისი პერსონალური მანქანის საქარე მინიდან ხედავს. ცხოვრებამ კი დიდი ხანია უკვე ჩამოწერა პრეზიდენტი და ყველა სიცილით კვდება ჯორბენაძეზე... ზოგიერთი ამბობს, — ჟვანია, სააკაშვილი და ბურჯანაძე რა უმადურები არიან, გამზრდელს ამაგი არ დაუფასესო. შევარდნაძეს თუ თავისი გაზრდილები არ მოსწონს, ჩაიხედოს ქართულ ლიტერატურაში და იქ წაიკითხავს, რა უნდა გააკეთოს. შევარდნაძეს ჰაჯი-უსუპობისკენ არ მოვუწოდებ, მაგრამ როცა თავისი მოსწავლეები აღარ ჰყავს გვერდით, პოლიტიკიდან უნდა წავიდეს.

ოპოზიციისა და ინტელიგენციის გასაგონად ვამბობ, — სანამ ისინი ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე სააკაშვილს უცხადებენ ბრძოლას, მარცხენა ფლანგზე საშიში ავანტიურისტი, ნათელაშვილი მოძვრება. ეს არის კაცი, რომელზეც არავინ იცის, რა უნდა და რომელმაც პარლამენტში კომიტეტის თავმჯდომარეობისას მოამზადა კანონი „პარლამენტარი ქალების ჩაცმულობის შესახებ“ (რომელსაც უნდა დაედგინა პარლამენტარების კაბის სიგრძე) და თანაპარტიელებს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სუფრაზე დასხდომა აუკრძალა. აი, ასეთ კაცს აძლევენ ხელისუფლებას საჩუქრად მხოლოდ იმიტომ, რომ ოპოზიციას პირველ-მეორეზე გათვლა დაეზარა, არადა, სააკაშვილი ყველაზე — ჟვანიაზე, ბურჯანაძეზე, გამყრელიძეზე, გაჩეჩილაძეზე და დათო ბერძენიშვილზე მეტად იმსახურებს პირველობას. ის მიზანდასახული, ენერგიული, ახალგაზრდა კაცია, რომელსაც მართლა გულწრფელად სძულს ის, რასაც ებრძვის და თუ საპრეზიდენტო კანდიდატზე იქნება ლაპარაკი, სააკაშვილს აქვს ისეთი თვისებები და გარეგნობა, რომ ქართველი ხალხისთვის მისაღები იყოს. ვერავინ იტყვის მასზე, დაბალი და შეუხედავიაო. მიხეილის ყოფილ თანამებრძოლებს უჭირთ მისი პირველობის აღიარება (ის ხომ მათ შორის გაიზარდა!). არის სხვა პრობლემაც — სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაერევა იმ ხალხს, რომელმაც ფული უკანონოდ იშოვა. ამით კი ის ხელისუფლებასაც აშინებს და ოპოზიციასაც.

დღეს სააკაშვილსა და ნათელაშვილს ერთმანეთს აპირისპირებენ (ფაქტია, რომ რეიტინგში ნათელაშვილიც მაგარია!). ნათელაშვილის უკან საბჭოთა დიპლომი, პროკურატურის პარტკომის თანამდებობა და ხალხის მასა დგას, სადაც ცნობილი, ინჯიას გარდა, არავინ არის. სააკაშვილის უკან კი ამერიკული დიპლომი და განათლება და ბევრი ცნობილი პირია. ნათელაშვილი გაჭირვებულებისთვის იბრძვის, წმინდა გიორგივით მუსრავს გველეშაპებს, ასევე მებრძოლია სააკაშვილიც. ეს ორი ადამიანი ერთი იდეის ორი მხარეა, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთია ნამდვილი.

**— ამას წინათ, ერთი მწერალი პარლამენტში ყოფნისას მეტად ცუდ გუნებაზე დამდგარა, რისთვის იკლავენ თავს ჩვენი პოლიტიკოსები, იქაურობა არ მომეწონაო.**

— მეც არ მომწონს ზოგიერთი მწერალი, იმიტომ, რომ იმდენად ქედმაღლები არიან, თავს უფლებას აძლევენ თქვან, — პარლამენტი ცუდია ან კარგიო. საბჭოთა კავშირს დღეს თეატრის კულისებში, ლაბორატორიებსა და კაბინეტებში სძინავს. დანიშნული ინტელიგენციის დრო უკვე წავიდა, ახლა ინტელექტუალების დრო მოდის. ინტელიგენციის ილუზია, რომ იგი იტყვის სიტყვას ქართულ პოლიტიკაში, საწყენი და სატირალია. ბოლო თვის განმავლობაში კი უკვე ორჯერ „ვიტირე“ — პირველად, როდესაც პრეზიდენტმა თქვა, — პენსიაზე გასვლის შემდეგ მამათში წავალო და მეორედ — გასულ კვირას, როცა ინტელიგენცია ირწმუნებოდა, პარლამენტში არავის დავუბარებივართო...

***იზო რიკაძე***

# მე ისევე ვერ გავხდები პრეზიდენტი, როგორც ზურაბ ჟვანია



*მზის მომლოდინე „უცნობის“ მოწოდება — „ლიბერალებო, გაერთიანდით და გამთლიანდითო“, ადრესატების ნაცვლად, ხელისუფლებამ იღო ყურად და შედეგიც სახეზეა — სახელისუფლებო ბლოკი ჩვენ თვალწინ, დღითი დღე იზრდება მაშინ, როდესაც ოპოზიცია ქორდაცემული წიწილებივით დაფანტული, აფორიაქებული და დაბნეულია. თუმც გასულ კვირას ოპოზიციამაც გამოიღო ხელი ნინო ბურჯანაძის პერსონის გააქტიურების მცდელობით. ამ და სახელისუფლებო ბანაკის ზოგიერთ პრობლემაზე პარლამენტის ვიცე-სპიკერი, სოციალისტი* ***ვახტანგ რჩეულიშვილი*** *გვესაუბრა:*

**— ითქვა, პრეზიდენტს ოპოზიციასთან შეხვედრა თანაბლოკელებმა არ ურჩიეს, შეშინდნენ, ვაითუ გაზრდილებზე ისევ მოუბრუნდეს გულიო.**

— სხვების არ ვიცი და მე, პირადად, დაინტერესებული ვარ პრეზიდენტისა და ოპოზიციის შეხვედრით. არაერთხელ ვუთხარი ბატონ ედუარდს, — ხშირი კონტაქტი იქონიეთ ოპოზიციის არაკრიმინალურ ნაწილებთან-მეთქი.

**— „კრიმინალური ოპოზიცია“ რომელია?**

— ჟვანიას გუნდი. არაკრიმინალებად „ახლები“ და სააკაშვილის თანამოაზრეები მიმაჩნია. ჟვანიამ ხელისუფლებაში ყოფნის ექვსი წლის განმავლობაში პოლიტიკური კორუფციის ისეთი პირამიდა შექმნა, რომელსაც ვერაფერი მოვუხერხეთ, ჩაქუჩით ვადგავართ და ვერ ვანგრევთ. ებრძვის ავთო ამ პირამიდას, ხან აქედან მოუარა, ხან — იქიდან. გასულ კვირას 20 კაცის გათავისუფლებაც დასჭირდა მის შესარყევად, მაგრამ... ფულის აღებ-მიცემის ისეთი მყარი სისტემაა შექმნილი, დღესაც ვერ დადგინდა, სად მიდის ფული, რომელიც წესით ბიუჯეტში უნდა შედიოდეს. დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებულმა ჟვანიამ ერთპარტიული, მაგრამ კომუნისტების დროინდელ კორუფციაზე უფრო გახრწნილი სქემა შეიმუშავა. ერთხანს კომპარტიის ცეკაში ვმუშაობდი. მაშინ ყველამ იცოდა, რომელი რაიკომის მდივანი იყო მექრთამე და რომელი — არა. დღეს ისეთი სისტემაა, ძნელად მოძებნი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელს, რომელიც ქრთამს არ იღებდეს. კორუფციულ პირამიდაში ფულის დაახლოებით 40% ქვემოთ ნაწილდება (მებაჟეებზე, გადასახადების ამკრეფებზე და სხვ.). 60% მიდის ზემოთ. ჟვანიას დროს 60%-ის ნაწილი მასთან მიდიოდა...

**— ახლა ვისთან მიდის ეს ფული? ახლა ხომ აღარ ჰყავს მინისტრები ჟვანიას?**

— ვერ გავარკვიეთ... ამას წინათაც ვლაპარაკობდით მე და ავთო ჯორბენაძე. არადა, ფული ნამდვილად იკრიბება. შევარდნაძესთან რომ არ მიდის, ცხადია, ჯორბენაძეც თავს იკლავს — ვერ გავიგე, სად მიდის ფულიო. რაღაც ხდება. ამ თემაზე პრეზიდენტთანაც ვაპირებთ ლაპარაკს. ერთი ვიცი, ქრთამის ამღები, ადრე თუ გვიან, გამოაშკარავდება. ადრე, როდესაც უმრავლესობის ვიცე-სპიკერი ვიყავი და რეკომენდაციების გაწევა შემეძლო თანამდებობებზე ხალხის დასანიშნად, ერთი კარგი ნაცნობი მოვიდა, 20 ათასი დოლარი მომიტანა და გამგებლის დანიშვნა მთხოვა. უარით გავისტუმრე, მაგრამ მისი პროტეჟე მეორე დღეს მაინც დაინიშნა გამგებლად, ვიღაცამ აიღო ფული და...

დაახლოებით 5 წლის წინ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ხელშეკრულება დაიდო, რომლის თანახმადაც, ორმაგი დაბეგვრა არ უნდა მომხდარიყო; ანუ თუ ნავთობპროდუქტები აზერბაიჯანში დაიბეგრებოდა, საქართველოში აღარ უნდა დაბეგრილიყო. ეს ხელშეკრულება სეიფში შეინახეს. ბიზნესმენებისგან, რომელთაც არ იცოდნენ, რომ საქართველოში ფული არ უნდა ეხადათ, კარგა ხანს ხვეტეს ფული, მერე გამოაჩინეს ხელშეკრულება და უთხრეს, — ბიუჯეტიდან ფულის უკან დაბრუნება გეკუთვნით, მაგრამ „დაბრუნებაში“ 50% უნდა მოგვცეთო. ამით უზარმაზარი ფული გააკეთეს. ერთიორს სასამართლოშიც აჩივლინეს, ვითომ ფულის დაბრუნების პრეცედენტი შექმნეს. ჩვეულებრივი შემთხვევაა, — ბიზნესმენების ერთი ჯგუფი იკრიბება, პოულობს ლობისტს პარლამენტში, რომელსაც გააქვს ჯგუფისთვის სასურველი კანონი. აი, ამ სისტემის შემქმნელია ზურაბ ჟვანია.

მისი მინისტრები უზარმაზარ თანხებს იღებდნენ. თვეში მილიონი საგადასახადოდან შედიოდა, მილიონი — საბაჟოდან. ამ თანხის ნაწილი მიდიოდა ჟვანიასთან, ვითომ პარტიისა და არჩევნების დასაფინანსებლად და ვინ დაუთვლიდა, როგორ ანაწილებდა.

**— „ახლები“ რატომ გამიჯნეთ კრიმინალური ოპოზიციისგან, ისინიც ხომ ძველი „მოქკავშირელები“ არიან?**

— მათ ნაკლები დანაშაული აქვთ იმიტომ, რომ ქრთამის მიმცემები არიან. ამღები ჟვანიას ხალხი იყო... დიდი ბიზნესი ქრთამის გარეშე ვერ გამოვა. ბიზნესმენებიც არიან ჩართულნი კორუფციაში, მაგრამ ისინი ამ სისტემის შემქმნელთა გვერდით ანგელოზებად ჩანან.

**— როგორ დავიჯერო, არ გსმენოდეთ მაინც, რომ წინასაარჩევნოდ სახელისუფლებო ბლოკისკენ დიდი ფული მიედინება.**

***(გაგრძელება იხ. გვ.11)***

# „ხშირად „შერეკილებს“ გვიწოდებდნენ...“

## ქართულ „ატომურ ბომბს“ დახმარება ესაჭიროება

შეიძლება მოგივიდეს გენიალური იდეა, მაგრამ მისი განხორციელებისათვის აუცილებელი ფინანსების უქონლობის გამო იდეა იდეად დარჩეს, ან სულაც შეიძლება ვინმეს მიჰყიდო. მაგრამ რა უნდა ქნა, თუ იდეის განხორციელება მაინცდამაინც თვითონ გინდა, ფულსაც ვერ შოულობ და ერთი შეხედვით საშველიც არ ჩანს? ეს კითხვა საქართველოში ახლა ბევრს აწუხებს. პასუხი კი ახლახან აღმოვაჩინეთ: თუ ძალიან გინდათ განახორციელოთ თქვენი იდეა, მოიქეცით ისე, როგორც ეს გააკეთა ერთმა ჩვეულებრივმა პედაგოგმა. მან გადაწყვიტა შეექმნა საქართველოს მულტიმედიური ენციკლოპედია და შექმნა კიდეც. მართალია, ჯერ მხოლოდ ერთი ტომი დადო თაროზე, მაგრამ როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, დიდ საქმეს დაედო სათავე. 6-7 წლის წინ ქუთაისელმა ისტორიის მასწავლებელმა კამილია მინდაძემ მოსვენება დაკარგა თავისი მართლაცდა გენიალური იდეის გამო. საქართველოს ისტორიის კომპიუტერული ენციკლოპედიის 12-ტომეულის შექმნის სურვილმა მის გარშემო ყველა სხვა საქმე გააუფერულა, შემოიკრიბა ენთუზიასტთა მცირე ჯგუფი (მათ შორის საკუთარი ვაჟიც) და როგორც იტყვიან, პურის ფულით „100-სართულიანი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს“ მშენებლობა დაიწყო. მოგვიანებით ფართო საზოგადოებრიობისთვის წარდგენილმა პატარა ფრაგმენტმა ქვეყნის მესვეურთა აღფრთოვანება გამოიწვია და „შერეკილებს“ ფინანსურ დახმარებასაც დაჰპირდნენ, მაგრამ... — ზღვა წვეთებით ივსება, ასე რომ, ზღვაში წვეთსაც მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის და იმ საცოდავად გამოწელილი კაპიკებით, რომლებსაც ძლივს ვიღებდით შეპირებული „ფინანსური თანადგომის“ სანაცვლოდ, უკვე მზად არის საქართველოს მულტიმედიური ენციკლოპედიის პირველი ტომი — ამბობს ენთუზიასტი ქალბატონი.

მულტიმედიური ენციკლოპედია უკვე ჩაწერილია ლაზერულ დისკზე, მასში მოთხრობილია საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ, პირველი ტომის გაცნობა უკვე ინტერნეტიდანაც შეგიძლიათ. თუმცა, ჯერჯერობით მხოლოდ ქართულ ენაზე.

ენციკლოპედიის პირველი ტომი მოიცავს პერიოდს — X საუკუნის II ნახევრიდან 1125 წლის ჩათვლით. იგი საინტერესოა ნებისმიერი პროფესიის ადამიანისათვის, ვინც კი საქართველოს ისტორიითა და კულტურით არის დაინტერესებული. ენციკლოპედიის პირველ ტომში შესულია 10000 თაბახის ფურცელი, რაც 30-40 წიგნის ტოლია. წერილობით მასალას თან ახლავს შესაბამისი მუსიკა და სიმღერა, ამ ფონზე ჟრუანტელის მომგვრელია ქართული ეკლესია-მონასტრების თითქმის ცოცხლად გადმოცემული კადრები. მდიდარი ფოტო, ვიდეო და აუდიომასალის დახმარებით, შესაძლოა რომელიმე ისტორიული მოვლენის მონაწილედაც კი იგრძნოთ თავი. ისტორია ომების შესახებ საბრძოლო კიჟინისა და ხმალთა კვეთების თანხლებით ემოციურად განაწყობს მკითხველს.



ენციკლოპედიის ავტორს სხვადასხვა თემატიკის მიხედვით მასალებს ცნობილი ქართველი ისტორიკოსები და სხვა მეცნიერებიც აწვდიდნენ. პირველი ტომის საზოგადოების წინაშე წარდგენის შემდეგ ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ კვლავაც აქტიური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. თანაც დასძინა — თუ ეს შესანიშნავი მასალა უცხო ენებზე არ ითარგმნა და საერთაშორისო ინტერნეტულ ქსელში არ ჩაერთო, საქმე წყალში გადაყრილადაც შეიძლება ჩაითვალოს, დროა გამოსავალზე იფიქრონ მათ, ვისაც ეს ხელეწიფებათო. ასე ფიქრობს დღეს ყველა მამულიშვილი, ვისთვისაც ძვირფასია საინფორმაციო ომში გამარჯვება, მაგრამ ვინც ასე ფიქრობს, მას არ აქვს „იარაღის“ საწარმოებელი ფული. ის ხალხი კი, ვისაც შეუძლია ქვეყანას მართლაცდა საშვილიშვილო საქმე გაუკეთოს მნიშვნელოვანი პროექტის დაფინანსებით, დისკის პრეზენტაციაზეც კი არ მობრძანდა (მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდნენ, რაზეც იყვნენ მოწვეულნი). თუმცა, ამ ფაქტმა ვერაფრით შეარყია ქალბატონი კამილიას რწმენა: — არა უშავს, დღეს თუ არ მოვიდნენ, ხვალ მოვლენ. შვილები, შვილიშვილები აიძულებენ, ფული მათ საკეთილდღეო საქმეში ჩადონ. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ფილოსოფიური დატვირთვით „შერეკილებს“ გვიწოდებდნენ, ბევრი ჩასწვდა ამ იდეის განხორციელების აუცილებლობას და გვერდით დაგვიდგა. იმედი მაქვს, ღვთის ნებით, ქრისტეს წინარე პერიოდიდან დღევანდელობით დამთავრებული, საქართველოს მულტიმედიური ენციკლოპედია სრულად შედგება, ითარგმნება ინგლისურად და მისი გაცნობა შეეძლება მსოფლიოს. ნუ ჩამითვლით ხმამაღალ ნათქვამად თუ ვიტყვი, რომ ეს იქნება ქართული „ატომური ბომბი“, რომელიც ქვეყნის ძირგამომთხრელ საინფორმაციო ომში გამარჯვებას მოგვიტანსო — ამბობს ქალბატონი კამილია. შეუძლებელია ასეთი ოპტიმიზმის შემდეგ უსუსურობის განცდა დაგეუფლოს. საინფორმაციო და საკომუნიკაციო დარგში სახელმწიფო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი ანა მიქაძე კოლეგებსა და ბიზნესმენებს მოუწოდებს ყურად იღონ ეს საშვილიშვილო საქმე. — ჩემი შვილი კომპიუტერის საშუალებით ხშირად შედის კონტაქტში რუს და აფხაზ (ასევე სხვა ერის) ბავშვებთან „ჩეთის“ მეშვეობით. ისინი დაობენ საქართველოს ისტორიაზე, ერთმანეთს უმტკიცებენ რაღაცას თავიანთი ისტორიკოსების მონაცემების მიხედვით, ქმნიან კომპიუტერულ „ლაშქარს“ და იბრძვიან გამარჯვებისთვის. ჩემმა შვილმა აღმოაჩინა, რომ ის აფხაზი და რუსი მასზე უკეთ არის შეიარაღებული ინფორმაციით. ისინი ქართველ „მეტოქეს“ პირდაპირ აფხაზური და რუსული „საიტებისკენ“, წყაროებისაკენ უთითებენ, ჩვენ კი... რაც ამ პრეზენტაციაზე ვნახე, ბადალი არა აქვს და საჭიროა სასწრაფოდ მისი თარგმნა. როგორც კი ეს პირველი ტომი ინტერნეტში რუსულად და ინგლისურად თარგმნილი გავა, ჩათვალეთ, რომ საინფორმაციო ომის ერთ ეტაპს მოვიგებთ. სრული ტომეულის ქსელში გასვლის შემდეგ კი ჩვენ დიდ ზღუდე-გალავანს შემოვავლებთ ქვეყანას, რომელიც საიმედოდ იქნება დაცული. ინფორმაციის ეპოქაში დახანების დრო ნამდვილად არა გვაქვს.

**რაც ამ პრეზენტაციაზე ვნახე, ბადალი არ აქვს და საჭიროა სასწრაფოდ მისი თარგმნა. როგორც კი ეს პირველი ტომი ინტერნეტში რუსულად და ინგლისურად თარგმნილი გავა, ჩათვალეთ, რომ საინფორმაციო ომის ერთ ეტაპს მოვიგებთ. სრული ტომეულის ქსელში გასვლის შემდეგ კი ჩვენ დიდ ზღუდე-გალავანს შემოვავლებთ ქვეყანას, რომელიც საიმედოდ იქნება დაცული. ინფორმაციის ეპოქაში დახანების დრო ნამდვილად არა გვაქვს.**

საქართველოს მულტიმედიური ენციკლოპედიის პირველი ტომი მეგობრის 13 წლის ვაჟს ვუყიდე საჩუქრად. მეორე დღეს დამირეკა და მითხრა: — შენ რომ დისკი მაჩუქე, იმაში ასაწყობი რუკები ვნახე. წუხელ ბევრი ვიწვალე და საქართველო გავაერთიანე. რა მაგარი თამაშია! არ შეიძლება ჰუმანიტარული აქცია მოეწყოს და ეს დისკები ქართველ პოლიტიკოსებს ვაჩუქოთ? იქნებ ისწავლონ საქართველოს გამთლიანება და აფხაზეთის დაბრუნება შეძლონ. აქ წავიკითხე, რომ 10 საუკუნის წინაც აფხაზეთიდან დაწყებულა საქართველოს გამთლიანება. ერის ერთობის ნიშნად კი ბაგრატის ტაძარი აუშენებიათ. ახლა სამების ტაძარს ხომ ვაშენებთ, როგორ ფიქრობ, იქნებ დამთხვევაა 10 საუკუნის წინანდელ ამბებთან და საქართველოს გაერთიანება კვლავაც აფხაზეთიდან დაიწყოს...

*ეკა ლომიძე*


,,თესისი''

ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, რომელშიც დაარსების დღიდან **პირველ კურსზე სწავლა უფასოა**

მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად **ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან**

*გარდა ამისა:*
- ფრიადოსნებს ენიშნებათ *სტიპენდია;*
- გაიცემა სახელმწიფო *დიპლომი;*
- კომპიუტერზე მუშაობის დამადასტურებელი *სერტიფიკატი.*

ინსტიტუტში სწავლის ვადა: იურიდიული, ეკონომიკის, ჟურნალისტიკისა და უცხო ენების სხვადასხვა სპეციალობებზე ხუთი წელია

მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 42
☎ 25 15 61; 899 19 05 26

საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა–ლიტერატურა,
4. უცხოური ენები – ინგლისური, გერმანული, ფრანგული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
10. ფიზიკა და მათემატიკა, 11. ქიმია და ბიოლოგია,
12. ისტორია და რელიგიის ისტორია, 13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

საბუთები მიიღება 10-17 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2 (ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.

ბაკურიანის გართობისა და დასვენების ჯადოსნურ სამყაროს 2003 წლიდან შეემატა ახალი, ულამაზესი

**სასტუმრო ,,მელისი''**

*ტყის პირას*

თითოეული ნომერი აღჭურვილია აბაზანა-ტუალეტით, ტელევიზორით, ფოიეში მინი-ბარი, სასიამოვნო მუსიკა.
და რაც მთავარია, სუფთა ჰაერზე გაღვივებულ მადას პროფესიონალი მზარეულების მიერ მომზადებული უგემრიელესი, ეკოლოგიურად სუფთა, ქართული და ევროპული კერძები დაგიცხრობთ.
ეს ყველაფერი 15$-ად.




**გაატარეთ ცხელი ზაფხული სიგრილეში**

მის: თბილისი, უზნაძის ქ. № 113ბ; ☎ 94-23-55; 96-05-64; 899-17-15-19
ბაკურიანი, აღმაშენებლის ქ. 55; ☎ 899-20-59-42; 899-24-86-86

# საქართველო კვლავ რჩება საზღვაო ქვეყნად. როდემდე?..




## პირველი სეპარატისტული კატარღის ჩაძირვიდან 10 წელი გავიდა

ამ სტატიით ვამთავრებთ წერილების ციკლს, რომელიც გაზეთის ბოლო ნომრებში საქართველოს საზღვაო თავდაცვის ძალების ფლაგმანს, „კვირის პალიტრასთან“ დამმობილებულ სარაკეტო ხომალდ „თბილისს“ (№302) და ოდესაში მიმდინარე სამხედრო-საზღვაო წვრთნებს მივუძღვენით.

წინ კიდევ რთული გზა გვიდევს — ოდესიდან — ფოთამდე. გეგმის თანახმად, ორშაბათს, 7 ივლისს, „თბილისი“ ფოთის სამხედრო პორტში შეცურდება. იქ მას შეხვედრას მოუწყობენ ქალაქის ხელისუფლება და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა.

ზეიმი მიეძღვნება არა მარტო მორიგ საერთაშორისო სამხედრო-საზღვაო სწავლებიდან დაბრუნებას, არამედ კიდევ ერთ მნიშვნელოვან თარიღს — 1993 წლის 7 ივლისს, აფხაზეთის სანაპიროსთან, ქართულმა შეიარაღებულმა სეინერმა „განთიადმა“, პირველ საზღვაო ბრძოლაში ჩაძირა სეპარატისტების სამხედრო კატარღა.

მას შემდეგ ათი წელი გავიდა. ეს წლები ქართული სამხედრო ფლოტისთვის ისეთივე რთული გახლდათ, როგორიც მთელი ქვეყნისთვის.

სამხედრო-საზღვაო ძალებმა რამდენიმე სარდალი გამოიცვალა, მათგან ზოგიერთის სახელები, სამწუხაროდ, სისხლის სამართლის საქმეს დაუკავშირდა.

ამას, ბუნებრივია, სასიკეთო არაფერი მოუტანია სამხედრო მეზღვაურებისთვის.

დღეს საზღვაო თავდაცვის ძალებს მართლაც არაორდინარული გენერალ-მაიორი ზურაბ ირემაძე სარდლობს. ამ ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი გენერალი თბილისმა ხუთი წლის წინათ შემოირიგა. მიუხედავად ბევრის ჭოჭმანისა, სახმელეთო ოფიცერმა შეძლო გასძღოლოდა საზღვაო თავდაცვის ძალებს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იქ ყველაფერი მოწესრიგებულია. პრობლემებს ხშირად არა მარტო ობიექტური, არამედ სუბიექტური მიზეზებიც განაპირობებენ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქმე კეთდება.

ზუსტად ერთი წლის წინ, პანკისიდან მიმავალი ჩეჩნების ერთმა ჯგუფმა, ინგუშეთში გადასვლის მაგივრად, ხევსურეთისკენ იბრუნა პირი. განგაშის შემდეგ, ფოთიდან ბარისახოში 12 საათში გადასროლილ იქნა საზღვაო ქვეითთა 500-კაციანი შერეული რაზმი. მთებში, რუსეთ-საქართველოს საზღვართან, შავფორმიანი საზღვაო ქვეითების გამოჩენამ საგონებელში ჩააგდო არა მარტო გაჯიუტებული ჩეჩნები, არამედ რუსული დაზვერვაც. სხვათა შორის, მაშინ ქართველმა საზღვაო ქვეითებმა ის ჩეჩნური რაზმი განაიარაღეს. ეს კი ძალზე იშვიათი შემთხვევაა.

ამჟამად საზღვაო თავდაცვის ძალები შედგება სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო ბრიგადებისგან. თავის მხრივ, სახმელეთო ბრიგადაში გაერთიანებულია პირველი საზღვაო ქვეითთა მექანიზებული ბატალიონი, მეორე საზღვაო ქვეითთა კადრირებული ბატალიონი, საჰაერო თავდაცვის სარაკეტო დივიზიონი, სანაპირო დაცვის საარტილერიო დივიზიონი და სამხედრო პოლიციის კომენდატურა.

სამხედრო-საზღვაო ბრიგადაში შედის სარაკეტო-საარტილერიო ხომალდებისა და სადესანტო ხომალდების თითო-თითო დივიზიონი.

გარდა ამ ბრიგადებისა, საზღვაო თავდაცვის ძალებში გაერთიანებულია მატერიალური უზრუნველყოფის ბატალიონი და, რაც მთავარია, ქართულ შეიარაღებულ ძალებში ერთ-ერთი ყველაზე გასაიდუმლოებული სამხედრო დანაყოფი — ანტიტერორისტული სპეცდანიშნულების რაზმი. მის მებრძოლებს ევალებათ პორტებსა და გაშლილ ზღვაში ტერორისტების გაუვნებელყოფა, ხოლო საჭიროებისას, პირიქით, დივერსიული აქტების განხორციელება მოწინააღმდეგის საზღვაო და სანაპირო ობიექტებზე.

ყველაფერი ეს შეიძლება ქაღალდზე მოჩანდეს ლამაზად, თორემ მეტად სარისკო სამუშაოა. სამწუხაროდ, მიზერული ხელფასის გამო, სპეციალისტები ტოვებენ ფლოტს, ვერც გაამტყუნებთ. მათ დასამაგრებლად ერთადერთი გამოსავალი შეიძლება საზღვაო თავდაცვის ძალებში საკონტრაქტო სამსახურის შემოღება გახდეს. სამხედრო ხომალდი რთული ტექნიკური ნაგებობაა და მისი მომსახურება მხოლოდ პროფესიონალს შეუძლია.

სამხედრო მეზღვაურები არ მალავენ გულის ტკივილს: — „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ქართულ სახმელეთო ბატალიონებს ამზადებენ, ხოლო საზღვაო ქვეითები აღარავის ახსოვს; არადა ამ წვრთნას ამერიკის საზღვაო ქვეითთა კორპუსის ინსტრუქტორები ხელმძღვანელობენ და ბუნებრივი იქნებოდა, პირველ რიგში თავიანთი ქართველი კოლეგები მოემზადებინათო.

საზღვაო თავდაცვის ძალებს კიდევ ერთი მაცდუნებელი „პრობლემა“ გაუჩნდათ — მათი ნავსაყუდლის მეზობლად, ოციოდ მეტრში, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სანაპირო დაცვის კატარღებზე, ხელგაშლილი ელიან სამხედრო მეზღვაურებს და ბევრად მეტ ანაზღაურებასაც ჰპირდებიან.

საერთოდ, კვლავ ძალიან მწვავეა ორი ფლოტის პრობლემა, რაც, სამწუხაროდ, უწყებრივ დაპირისპირებაშიც გადადის (საიდუმლო აღარაა, თუ როგორ „უყვართ“ ერთმანეთი თავდაცვის სამინისტროსა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელებს; ეს „სიყვარული“ კი, საბოლოოდ, საერთო, ქართულ საქმეს ვნებს).

ისედაც მწირი რესურსების დანაწილებას აჯობებდა, ეს სახსრები ერთიან და ძლიერ ფლოტს მოხმარებოდა.

ასეა თუ ისე, საზღვაო თავდაცვის ძალები ორშაბათს, 7 ივლისს, შექმნიდან ათ წლისთავს აღნიშნავს. ვულოცავთ ამ დღეს ყველა მეზღვაურს, ვინც კი ზღვაშია და გვეამაყება, რომ მიუხედავად ათასგვარი გასაჭირისა (ხოლო ხშირად მათხოვრის როლში ყოფნისა), შავ ზღვას ქართულდროშიანი სამხედრო ხომალდებიც სერავენ და ცდილობენ, ტოლი არ დაუდონ აშშ-ის, თურქეთისა თუ უკრაინის კრეისერებსა თუ ფრეგატებს.

ახლახან, ოდესის ახლოს, „ჩაბანკას“ ნაპირზე, თურქული და ბერძნული ხომალდებიდან საზღვაო დესანტის გადასხმის უსაფრთხოებას სწორედ ჩვენი „თბილისი“ დარაჯობდა. იგი დიდი სისწრაფით დაცურავდა და საშუალებას არ აძლევდა პირობითი მოწინააღმდეგის გემებს, ჩაეშალათ ეს რთული ოპერაცია. ეს ნამდვილად საამაყო იყო ჩვენთვის.

სარაკეტო ხომალდის „თბილისის“ კაპიტნის, კაპიტან-ლეიტენანტ როინ ჯეჯელავას თქმით, მიუხედავად ფოთიდან ოდესამდე მძიმე გადასვლისა, ხომალდის ეკიპაჟმა შეინარჩუნა საბრძოლო განწყობილება და დროულად ასრულებდა ყველა იმ დავალებას, რასაც „თბილისს“ NATO-ელი ადმირალები აძლევდნენ.

დაარსების 10 წლისთავზე ქართველი სამხედრო მეზღვაურები ჯერ კიდევ მონაწილეობენ შავ ზღვაში გამართულ საერთაშორისო სწავლებებში, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყოველივე ეს შეიძლება შეწყდეს.

მართალია, საქართველოს ხელისუფლება სიტყვით, სხვადასხვა მაღალი ტრიბუნიდან NATO-სთან სასწრაფო ინტეგრაციას ქადაგებს, მაგრამ რეალურად ძალიან ცოტა კეთდება იმ სამხედრო ხომალდების ტექნიკური უზრუნველყოფისათვის, რომელთა საშუალებითაც საქართველოს რეალური ურთიერთობა აქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან (მრავალეროვნულ სწავლებაში ნათლობა კატარღა „ფსოუმ“ ჯერ კიდევ 1997 წელს მიიღო).

შავი ზღვის სამხედრო პორტებში (სულერთია, ეს იქნება უკრაინის ოდესა, რუმინეთის კონსტანცა თუ ბულგარეთის ვარნა) ქართველი მეზღვაურები „მთავარი ქართული საიდუმლო იარაღის“ — ჭაჭის — საშუალებით ცდილობენ, გემის სათადარიგო ნაწილები დასცინცლონ უცხოელ კოლეგებს. დაგვერწმუნეთ, ეს არ არის ნორმალური გზა. სამხედრო ხომალდების სათადარიგო ნაწილების შესყიდვა სახელმწიფო დონეზე უნდა ხდებოდეს და არა მეზღვაურთა პირადი მონდომებითა და წვალებით. თანაც ჭაჭის მაზანდა დაეცა შავი ზღვის პორტებში. ადგილობრივ მეზღვაურებს ადგილობრივი წარმოების მაღალი ხარისხის სასმელი უხვად აქვთ. თუკი სამხედრო ფლოტის დაფინანსება ამ ტემპით გაგრძელდება, მალე შავიზღვისპირა სახელმწიფოთა რიცხვს საქართველო უთუოდ გამოაკლდება.

# პენტაგონის ახალი „სათამაშო“ — „დედა-ბომბი“

ერთი შეხედვით, ახალი საავიაციო ბომბი, რომელსაც სახელად — MOAB-ი უწოდეს, არაფრით განსხვავდება მათგან, რომლებსაც გასულ წლებში რუსეთის ავიაცია საქართველოს საზღვრისპირა რაიონებს აყრიდა. ამერიკული MOAB-იც, ისევე, როგორც რუსული ОДАБ-ები, მოცულობითი აფეთქების საავიაციო ბომბებია. მიწაზე დაცემამდე მათგან ძალზე სწრაფად გამოდის დიდი წნევით ჩაჭირხნული აირი, რომელიც ავსებს ყველა სარდაფს, სანგარს თუ ოთახს. აფეთქება წამის მეათედის დაგვიანებით ხდება, რის შედეგადაც იღუპებიან სარდაფებში თავშეფარებული ადამიანები, რომელთაც ჩვეულებრივი (ფუგასური ან მსხვრევადი) ბომბები ვერაფერს ავნებდათ.

მაგრამ ახალი ამერიკული მოცულობითი აფეთქებების ბომბის (მას სხვანაირად ვაკუუმურსაც უწოდებენ), MOAB-ის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ თითქმის 10 ტ-ს (9,459 კგ) იწონის. ამერიკელმა სამხედროებმა იგი „ბომბთა დედად“ მონათლეს და მსოფლიოში ყველაზე მძლავრ, არაბირთვულ იარაღად თვლიან.

თუმცა ამერიკელებს ავიწყდებათ, რომ ზემძლავრი საავიაციო ბომბები უკვე დიდი ხანია აქვს რუსეთს, ხოლო საბჭოთა კავშირმა, ჯერ კიდევ ავღანეთის ომის დროს, 1988 წელს, სამ თვეში, Ту-16 ტიპის ბომბდამშენებით 289 ცალი ФАБ-9000М-54 ტიპის 9 ტ-იანი ბომბები დააყარა ავღანურ სოფლებს.

ამ დაბომბვებმა ის შედეგი ვერ მოიტანა, რასაც საბჭოთა გენერლები ელოდნენ — დიდი სიმაღლიდან ჩაყრილი ბომბები დიდი მანძილით ასცდნენ მიზანს და უფრო მეტად მშვიდობიანი მოსახლეობა დაზარალდა.

ამერიკელებმა კი სხვა ხერხს მიმართეს — მათ ზემძლავრი ბომბი MOAB-ი მართვადი ფრთებით აღჭურვეს და მას „გლობალური სანავიგაციო სისტემა“ — GPS-ი დაუყენეს (როგორც „ტომაჰავკის“ ფრთოსან რაკეტებს), რის შემდეგაც მიზნიდან აცილების სავარაუდო მანძილმა 10 მ შეადგინა.

ერთადერთ პრობლემად პენტაგონს ის რჩება, რომ ახალი ბომბის — MOAB-ის გამოცდისთანავე პროტესტი თავად ამერიკელებმა გამოთქვეს. განსაკუთრებით კი იუტას შტატის ქ. მოაბის მცხოვრებლებმა. მათ მოსთხოვეს პრეზიდენტ ბუშს ბომბისთვის სახელის გადარქმევა — ბომბისა და ქალაქის სახელთა მსგავსებამ არ დააფრთხოს მოაბის მონახულების მსურველი ტურისტებიო.

# ვის ახსოვს ქართველი სამხედრო „მძევლები“?

## იალტაში, „სუუამის“ სამიტზე მათზე არავის უფიქრია




მათ უკვე გემიდანაც აღარ უშვებენ, წყლისა და ელექტროენერგიის შეწყვეტითაც ემუქრებიან, საკვებიც მალე გაუთავდებათ და სამი ქართველი სამხედრო მეზღვაური დიდ გასაჭირში აღმოჩნდება. სამშობლოში ისინი აღარ ახსოვთ. უფრო სწორად, მიივიწყეს ქართული სამხედრო ხომალდი, რომელსაც, მესამე წელია, ვითომდა არემონტებენ სევასტოპოლთან, ბალაკლავის გემთსარემონტო ქარხანაში.

ნავსაყუდელთან მდგარი საპატრულო ხომალდი №301 „ბათუმი“ შორეულ უკრაინაში იჟანგება.

ეს მართლაც სამარცხვინოა.

სამი წლის წინ, ფოთის პორტიდან ბალაკლავაში ოთხი ქართული ხომალდი წაიყვანეს სარემონტოდ.

2000 წლის იმ სუსხიანი თებერვლის ღამეს ზღვა უსაშველოდ ღელავდა. ფოთის პორტიდან გასვლისას „ბათუმი“ მარჯვენა ბორტით შეეჯახა საბუქსირო გემს. ყველაფერი უმსხვერპლოდ კი დამთავრდა, მაგრამ „ბათუმი“ მძიმედ დაზიანდა და დღესაც მის გემბანზე გაჩენილი ნაპრალებიდან წვიმის წყალი თქრიალით ჩადის ტრიუმებში.

დანარჩენი სამი ხომალდი სამი წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად გაარემონტეს და ფოთში დააბრუნეს. „ბათუმის“ შეკეთებაზე კი არავის უფიქრია. სტატიის ავტორი ესაუბრა უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების რამდენიმე ადმირალსა და კონტრადმირალს — ისინი ერთხმად აცხადებენ, — ჩვენ რას გვერჩით, როცა ქართული მხარე არ იხდის სარემონტო და მომსახურების თანხებსო.

როგორც „კვირის პალიტრისთვის“ გახდა ცნობილი, ლაპარაკია დაახლოებით 170 ათას დოლარზე. აქედან 100 ათასს „ბათუმის“ ერთ-ერთი ძრავას კაპიტალური რემონტისთვის ითხოვენ. ქართველი მეზღვაურები კი გარემონტებული დიზელის ძრავას მიღებაზე უარს ამბობენ — სპეციალური სასტენდო შემოწმება არ გაუვლიაო. ეს ძრავა უკვე წელიწადია, ნავსაყუდელთან, „ბათუმის“ წინ დევს...

„ბათუმში“ კი წვიმის წყალი ჩადის. სამკაციანი ეკიპაჟი ხან ლეიბებს აშრობს, ხანაც ტაშტებს დაარბენინებს აქეთ-იქით. მეზღვაურებზე ადგილობრივი ეკოლოგიური სამსახური ნადირობს, რადგან ნავსაყუდელთან მდგარი გემიდან ზღვაში ნახმარი წყლის ჩაშვება დიდი ფულით ჯარიმდება. ამიტომაც ჩვეულებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ერთგვარი საბრძოლო დავალების შესრულებას ემსგავსება — როდესაც ერთი „საქმიანობს“, დანარჩენები დარაჯად დგანან — ე, მანდ, ეკოლოგიური სამსახურების ინსპექტორები არ დაგვადგნენ თავსო.

არ არის გამორიცხული, „ბათუმის“ თავიდან მოცილება მოინდომონ იქაურებმა — მოულოდნელად ჩაძირონ და ჯარიმის საკომპენსაციოდ „ბათუმმა“ მერე შეიძლება ადგილობრივ ჯართშიც ამოყოს თავი.

სავალალოა, რომ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის მოსახელე ქართული სამხედრო ხომალდი უკრაინაში სამარცხვინო მდგომარეობაშია. თავის დროზე, 1999 წელს, სწორედ „კვირის პალიტრა“ გამოვიდა ინიციატივით, რომ ქართულ სამხედრო ხომალდებს, საბორტე ნომრების გარდა, რომელიმე ქალაქის სახელიც მინიჭებოდა, რათა ამ ქალაქების მერიებს შეფობა ეკისრათ „სეხნიებზე“, მაგრამ პოლიტიკური ორთაბრძოლებით გართულ ხელისუფლებასა და ოპოზიციას მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა აღელვებთ.

თბილისის ხელმძღვანელობის ჯიბრზე, რომელსაც ასე ენერგიულად აკრიტიკებს აჭარა, იქნებ ბათუმის მერიას გახსენებოდა მათი ქალაქის მოსახელე საპატრულო ხომალდი და მასზე მყოფი სამი ქართველი მეზღვაურიანად დაეხსნა სამწლიანი „მძევლობისგან“.

„ბათუმს“ შეიძლება ჰიპოთეზურად მაინც გამოუჩნდეს გულშემატკივარი; არავინ იცის, რა ბედი ელით იქვე, სევასტოპოლში, საშვეულმფრენო სარემონტო ქარხანა „ომეგაში“ ღია ცის ქვეშ ასევე წლობით მდგარ შვიდ ქართულ სამხედრო შვეულმფრენს. მათგან სამი — Ми-24-ია, ორი — Ми-14 და ორიც — Ми-2.

მათ მნიშვნელობასა და ქართულ სამხედრო ავიაციაში სასწრაფო დაბრუნების აუცილებლობაზე არაერთხელ დაგვიწერია. როგორც ამბობენ, თბილისს უკრაინისა ამ შვეულმფრენების რემონტისთვის 1,8 მლნ დოლარზე მეტი მართებს.

ხელისუფლება თურმე ვერ ახერხებს ამ თანხის გამონახვას, რის გამოც საქართველო დამრტყმელი საბრძოლო შვეულმფრენების გარეშე რჩება.

ასეთია ის სამარცხვინო რეალობა უკრაინაში, ჩვენს სამხედრო ტექნიკასთან დაკავშირებით. ყოველივე ეს მკაცრ და ობიექტურ გამოძიებას მოითხოვს, რათა საბოლოოდ გამოვლინდნენ ის პირები, ვინც უკრაინის მხრიდან თავიდანვე ტექნიკურად გაუმართავი მცურავი საშუალებები შემოგვასაღეს და მათი ის ქართველი პარტნიორები (მათ შორის თავდაცვის სამინისტროდან), რომელთაც, ალბათ არც ისე უანგაროდ, ამაში ხელი შეუწყვეს.

და ერთიც: დარწმუნებული ვარ, მაღალი და მრავალრიცხოვანი ქართული დელეგაციის ერთ-ერთი მორიგი სტუმრობა იალტაში ზუსტად იმდენი დაჯდებოდა, რამდენიც საწყალი „ბათუმის“ გამოსყიდვას სჭირდება.

# „კვირის პალიტრა“... ორ ევროდ!

## თუმცა მეზღვაურებს ის უფრო მეტი უჯდებათ

ეს ამბავი საბერძნეთში მყოფმა ქართველმა სამხედროებმა გვიამბეს.

ცნობილია, რომ ბერძნულმა მხარემ იკისრა საქართველოს საზღვაო თავდაცვის ძალებში საზღვაო ბრიგადის კონსულტაცია და დახმარება. ბერძენი მეზღვაურები ფოთში ადგილზევე ასწავლიან ქართველ მეზღვაურებს სამხედრო ფლოტის ნიუანსებს, ხოლო კურსანტების ნაწილს — საბერძნეთში ამზადებენ.

საბერძნეთშივე იმყოფება ორი ქართული კატარღა — „ივერია“ და „მესტია“, რომლებიც ათენმა თავის დროზე სულგრძელად გვაჩუქა და დღეს ასევე თავისი ხარჯით კაპიტალურ რემონტს უტარებს ერთ-ერთ კუნძულზე მდებარე ნავსაყუდელში.

სწორედ ამ ქართული კატარღების ეკიპაჟების წევრებს, რომლებიც „ივერიასა“ და „მესტიას“ თან გაჰყვნენ, ჩვენი გაზეთის შეძენა, არც მეტი და არც ნაკლები... 4 ევრო უჯდებათ. თან, რაც ყველაზე საინტერესოა, თბილისიდან წასულ სარეისო ავტობუსების მძღოლებს ერთი-ორი კვირის წინანდელი „კვირის პალიტრა“ ჩააქვთ საბერძნეთში და ისიც მხოლოდ დიდ ქალაქებში. ჩვენს მეზღვაურებს კი სალონიკში ჩასვლა-ჩამოსვლა 2 ევრო უჯდებათ, ამდენივეს ითხოვენ „კვირის პალიტრის“ თითოეულ ნომერში ბერძენი გამყიდველები.

ისღა დაგვრჩენია, მადლობა ვუთხრათ იმ ქართველ სამხედროებს, რომლებიც ისედაც მწირი სამივლინებო თანხიდან დაუნანებლად იმეტებენ ფულს საყვარელი ქართული გაზეთის საყიდლად.

***ირაკლი ალადაშვილი***
***ოდესა-თბილისი***

# დიდი სტალინი. პატარა დაუნები და საბედისწერო გაჯირითება

*„მონგოლიზმი — დაუნის დაავადება, თანდაყოლილი ჭკუასუსტობის ერთ-ერთი ფორმა, პირველად აღწერა ინგლისელმა ექიმმა დაუნმა. საფუძვლად უდევს ქრომოსომების კომპონენტების ანომალია. ავადმყოფებს მეტად დამახასიათებელი გარეგნობა აქვთ: მრგვალი სახე. მოკლე, ჩაჭყლეტილი და განიერი ცხვირი. მონგოლოიდური თვალის ჭრილი. შედარებით პატარა თავის ქალა და ბრტყელი კეფა...“, — ვკითხულობთ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში.*

*აი, რა ხალხი (სხვებთან ერთად) იბრძოდა მოსკოვთან 1941 წლის მიწურულს. დაინტერესებული მკითხველი ამაოდ დაშვრება, თუ დღემდე არსებულ ცნობარებში დაიწყებს აქ ნაამბობის დამადასტურებელი საბუთების ძიებას. საბჭოთა ისტორიკოსებმა ეს ფაქტიც ისევე შეგნებულად მიჩქმალეს, როგორც ბევრი სხვა. ჩვენ შევეცდებით მეტ-ნაკლები სიზუსტით წარმოგიდგინოთ სინამდვილე.*



## ომამდე

ომის წინ არცთუ ურიგო ურთიერთობა ჰქონდათ მოსკოვსა და ბერლინს. გერმანელი ექსპერტები მოსკოვსა და ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ფაბრიკა-ქარხნებს აშენებდნენ. იმავდროულად, გერმანელებისაგან მალულად, მათი ასლები ურალს იქით ჩნდებოდა. ამ საქმეს პროფესიონალი საბჭოთა ინჟინრები უძღვებოდნენ ქვეყნის მთავარი „არქიტექტორის“, იოსებ სტალინის ხელმძღვანელობით.

სტალინი ხშირად ჩაჰკირკიტებდა ისტორიის სახელმძღვანელოს და თუ მიიჩნევდა, რომ მისი შორეული პოლიტიკოსი წინამორბედის ესა თუ ის ნაბიჯი საბჭოეთს სასიკეთოდ წაადგებოდა, არც მის გამეორებას ითაკილებდა, თუნდაც იგივე გუშინ ან გუშინწინ თავგამოდებით ჰქონოდა გაკრიტიკებული.

სახალხო მეურნეობის რეფორმირების მისეულ გეგმებში დაკვირვებული თვალი უეჭველად ამოიცნობს სტოლიპინის იდეებს. ეს უპირველესად სარკინიგზო ქსელის არნახული განვითარებით გამოიხატა. შეიქმნა ისეთი სისტემა, რომელსაც მტერი თავს და ბოლოს ვერ გაუგებდა. ტრანსციმბირის მაგისტრალით სტალინს შეეძლო დასავლეთის საზღვარზე ორ დღეში გადაესროლა მილიონობით ცოცხალი ძალა და საჭურველი.

მას არ გამოჰპარვია ისიც, რომ იმ წლებში, ჰიტლერის ზეგავლენით, პოლონეთში ებრაელთა კონცენტრაცია ხდებოდა და პასუხად, 1937 წლის 7 მაისს საბჭოეთში დაარსდა ბირობიჯანის ებრაელთა ავტონომიური ოლქი. შორეულ ციმბირში, ხაბაროვსკის იქით ასორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით, ცენტრიდან არც ერთი ებრაელი არ წავიდოდა; ან რატომ უნდა წასულიყვნენ, როცა თითქმის ამ ერის შვილებით იყო დაკომპლექტებული მმართველი პარტია?! საჭირო იყო პოლონეთიდან და სხვა ქვეყნებიდან მათი მოზიდვა ომის წინ ციმბირში ინტელექტუალური არმიის შესაქმნელად, რაც ქვეყნის ევროპული ნაწილის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. სტალინის ეს გეგმა მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. ებრაელები ხშირად ისევ პოლონეთს არჩევდნენ ციმბირს.

მსოფლიოში მოჩვენებითი სიმშვიდე იდგა. სწორედ ამ დროს ორმა გოლიათმა (სსრკ-მა და გერმანიამ) წინასწარ მაინც მოუსინჯა ძალა ერთმანეთს და პოლიგონად ესპანეთი აირჩიეს. თუმცა არც იქ დარღვეულა „ჰარმონიული ურთიერთობა“. მეტიც, სტალინმა მკაცრად დასაჯა ესპანეთის ომის გმირები გენერალ ტუხაჩევსკის მეთაურობით. ყველაფერი ეს ნიღაბი იყო — ევროპაში მზადდებოდა სისხლიანი კორიდა. ომი დღე-დღეზე უნდა დაწყებულიყო.

ირანში მომუშავე საბჭოთა მზვერავი კაპიტონ ნაჭყებია იტყობინებოდა („კვირის პალიტრა“ რამდენიმე ნომრის წინ წერდა მის შესახებ), რომ არაბეთის უდაბნოში ავტორბოლების პარალელურად, გერმანელები ცდიან ნივთიერებას, რომელიც ტემპერატურის ცვალებადობას — უპირველესად კი ყინვას უძლებსო. იგულისხმება ჩვეულებრივი ანტიფრიზი, რომელიც იმ დროს გერმანელებისთვის ისეთივე საიდუმლოს წარმოადგენდა, როგორსაც რუსებისათვის ნაპალმი, რომლითაც სახელოვანი „კატიუშა“ იყო გაჯერებული.

ჰიტლერი დიდ იმედს ამყარებდა ანტიფრიზზე, რადგან გრძნობდა, რომ მისი სწრაფი წინსვლა სადღაც, მოსკოვთან შეყოვნდებოდა. მერე კი, როგორც მეტეოროლოგები იტყობინებოდნენ, მოსალოდნელი იყო დიდი ყინვები, ასეთ შემთხვევაში დიდი უპირატესობა ექნებოდა. ცბიერმა ჰიტლერმა კარგად იცოდა, დიდ ყინვაში რუსი ჯარისკაციც ვერ იომებდა.

ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით მათი სპირტით გაჭყეპვაც შედეგს ვერ მოიტანდა. სპირტი რამდენიმე წუთით კი ალაგზნებს, მაგრამ თავდაცვისათვის არ გამოდგება. დიახ, ყველაფერი ეს ლოგიკური იყო, მაგრამ ჰიტლერს მთავარი რამ ავიწყდებოდა: 1812 წლისგან განსხვავებით, მოსკოვის დაცვას ბარკლაი დე ტოლი და კუტუზოვი კი არა, იოსებ სტალინი ხელმძღვანელობდა. მან ხომ ომის დაწყების მეხუთე დღესვე ირანში ჯარი გადასხა, რითაც გერმანული ორიენტაციის ამ და სხვა მეზობელ ქვეყნებს ამიერკავკასიაზე თავდასხმა გადააფიქრებინა. მით უმეტეს, რომ 18 ივნისს, ომის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე, საქართველოს ახალაშენებულ აეროდრომზე პირველი ავიაგამანადგურებლები დასხდნენ. თუმცა ვიდრე ჰიტლერელები მოსკოვისაკენ მიიწევდნენ, სსრ კავშირის დედაქალაქი საბჭოთა მილიციელების ფორმაში გადაცმული გერმანელი აგენტებით გაივსო და წარმატებითაც მუშაობდნენ. ზედიზედ აფეთქდა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საწარმოები, ლიანდაგებიდან ცვიოდა სარკინიგზო შემადგენლობები. ვრცელდებოდა ჰიტლერელთა მხარდამჭერი პროკლამაციები.

**მერე კი ისეთი რამ მოხდა, ბევრისმნახველი რუსი ოფიცრებიც მალულად იწერდნენ პირჯვარს. ზურგიდან ღრუბელივით დაიძრა პატარა, დაბალ ცხენებზე ამხედრებული, თითქმის შიშველი, წვრილთვალებიანი და ბრტყელკეფიანი ადამიანის მსგავსი არსებების დიდი არმია. რამდენიმე წუთში ზემოდან გადაუარეს საბჭოთა ჯარების ბლინდაჟებს და გერმანელების სიმაგრეებს ეკვეთნენ...**

სექტემბერში მოსკოვში ოდნავ აგრილდა. ორიოდ კვირაში მილიცია საზამთრო ფორმაზე უნდა გადასულიყო. და უცებ, ერთ მზიან დილით ქუჩებში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საზაფხულო (ანუ მტრის მიერ შემოგზავნილი აგენტები) და საზამთროფორმიანი (საბჭოთა) მილიციელები — ორიოდ საათში აკრიფეს ვერმახტის შემოგზავნილი აგენტების დიდი ნაწილი. ეს აშკარად ბერიას ნამოქმედარი იყო. ამ საქმეში ხელმოცარულმა ჰიტლერმა მოსკოვზე იერიშის სამზადისი დაიწყო. ყველამ იცოდა, მოსკოვთან დამარცხების შემთხვევაში გერმანელები კავკასიას დაარტყამდნენ — უპირველესად საქართველოს, შემდეგ სომხეთსა და აზერბაიჯანს. გადაიკეტებოდა ბაქოსა და გროზნოს ნავთობი. ფრონტი საწვავის გარეშე დარჩებოდა და გამარჯვებაც განაღდებული ჰქონდათ.

## შეხვედრა ბელადთან (გენერალ ბაგრამიანის მოგონებების მიხედვით)

ეს ის დროა, როცა საქართველოში თოფის ხელში ამღები კაციც აღარ მოიძებნება. ომში გაწვეული მამაკაცების უმრავლესობა ქერჩში ჩაიხოცა. მცირე ნაწილი სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდა. სექტემბერში მოსკოვში ჩავიდა საქართველოს მილიციის უფროსი და ამავე დროს საბჭოთა უშიშროების ამიერკავკასიის განყოფილების ოპერატიული თანამშრომელი კაპიტონ ნაჭყებია. გენერალმა ვასო ეგნატაშვილმა იგი სტალინს შეახვედრა კუნცევოს აგარაკზე.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, სტალინი რომ მოვიდა:

— რა საქმეზე ხარ?

— ჯიქურ მიახალა კაპიტონს. ბელადს უძილობისაგან თვალები ამღვრეული ჰქონდა.

— ვიცი, მტერი მოსკოვს ვერ აიღებს და კავკასიაზე წამოვა. ხმას ავრცელებენ, თითქოს ათიდან რვა ქართველი მათი მომხრეა, თითქოს აჯანყებას ვამზადებდეთ კომუნისტების წინააღმდეგ და დიდი სიხარულით ველით ჩვენს სიძეს, ადოლფ ჰიტლერს, რომელსაც თურმე ზესტაფონელი ქალი ჰყოლია ცოლად.

— ეგ სისულელეები უკვე ვიცი. თქვენ რას გვთავაზობთ?

— საქართველოში სამობილიზაციო რესურსი ამოწურულია. მილიციელების, სტუდენტებისა და დაჯავშნული ინტელიგენციის ძალებით უკვე შევქმენით ეგერთა კორპუსი. ულელტეხილებს გავამაგრებთ, ჯარი არ დაგვჭირდება, ოღონდ იარაღი და ცხენები მოგვეცით.

— მიიღებთ იარაღსაც და ცხენებსაც, ისეთებს, მთებში რომ ივლიან. იცოდეთ, ჰიტლერელები ევროპაში მოგროვებულ ქართველებს მიუსევენ თავისიანებს: ეს არ დაუშვათ. ქართველმა ქართველის სისხლი არ უნდა დაღვაროს... გამარჯვებას გისურვებთ! — ბელადი წამოდგა და აუდიენციაც დასრულდა.

## დაუნები მოსკოვის მისადგომებთან

ჰიტლერელებმა მოსკოვს ყინვების დადგომისთანავე შეუტიეს. ვერმახტის ვარაუდი გამართლდა, ანტიფრიზის წყალობით გერმანული ტექნიკა შეუფერხებლად მუშაობდა. საბჭოთა ტანკების ძრავები კი ორიოდ საათში იყინებოდა. ღამღამობით ყინვა ძლიერდებოდა და ჯარისკაცები სანგრებში ითოშებოდნენ. ფრონტის ხაზი პანიკამ მოიცვა — აშკარა იყო, ბრძოლას გერმანელები მოიგებდნენ. პოლიტბიუროს მთელმა შემადგენლობამ დატოვა მოსკოვი. რამდენიმე საათით კრემლიდან გავიდა სტალინიც, ფრონტის ხაზზე, ჯარისკაცებთან მივიდა და გაამხნევა ისინი:

— კიდევ რამდენიმე საათი და დამხმარე ძალები მოვლენ, ნუ შეშინდებით. ჩვენ გავიმარჯვებთ.

რაო? სტალინი ჩვენთანააო და ერთბაშად გმირებად იქცნენ დამფრთხალი ჯარისკაცები. მერე კი ისეთი რამ მოხდა, ბევრისმნახველი რუსი ოფიცრებიც მალულად იწერდნენ პირჯვარს.

ზურგიდან ღრუბელივით დაიძრა პატარა, დაბალ ცხენებზე ამხედრებული, თითქმის შიშველი, წვრილთვალებიანი და ბრტყელკეფიანი ადამიანის მსგავსი არსებების დიდი არმია. რამდენიმე წუთში ზემოდან გადაუარეს საბჭოთა ჯარების ბლინდაჟებს და გერმანელების სიმაგრეებს ისეთი ცეცხლით ეკვეთნენ, ნაცისტთა ნაქები პოლკებიც კი უძლურნი იყვნენ:

თბილ ტყაპუჭებში გამოწყობილ გერმანელ სარდლებს ძარღვებში სისხლი ეყინებოდათ, როცა ოცგრადუსიან ყინვაში მებრძოლ ამ შემზარავ მოჩვენებებს უმზერდნენ ბინოკლებით.

წინასწარ დარიგებულმა პოლიტხელებმა სანგრებში ყვირილი მორთეს: — სიბირიაკი, სიბირიაკი პრიშლი ნა პომოშჩ!

**სექტემბერში მოსკოვში ოდნავ აგრილდა. ორიოდ კვირაში მილიცია საზამთრო ფორმაზე უნდა გადასულიყო. და უცებ, ერთ მზიან დილით ქუჩებში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საზაფხულო (ანუ მტრის მიერ შემოგზავნილი აგენტები) და საზამთროფორმიანი (საბჭოთა) მილიციელები — ორიოდ საათში აკრიფეს ვერმახტის შემოგზავნილი აგენტების დიდი ნაწილი. ეს აშკარად ბერიას ნამოქმედარი იყო.**

ესენი ციმბირელები კი არა, მონგოლი დაუნების ლეგიონები გახლდნენ. არმიას მონგოლეთის ორგზის გმირი, იმ დროისათვის უკვე საბჭოთა კავშირის მარშალი ჩოი ბალსანი მეთაურობდა. შორსმჭვრეტელმა ბელადმა ამაზე ომამდე ხუთი წლით ადრე იზრუნა და ჩოის მარშლის ეპოლეტები უბოძა. თვითონ სტალინიც არ ფლობდა იმ დროს ამ მაღალ სამხედრო წოდებას. ფრონტის ხაზზე ჩოი არავის უნახავს.

ამბობდნენ, სტალინი ალექსანდრე ნეველს დაესესხა ამ სტრატეგიას — დიდმა მხედართმთავარმა ჯერ კიდევ მეცამეტე საუკუნეში, ჩუდის ტბაზე გამოიყენა მონგოლებიო. ასე იყო თუ ისე, სიბირიაკებად მონათლულმა მონგოლთა ესკადრონებმა ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად გატეხეს ვერმახტის რჩეული საარმიო შენაერთები, რომლებიც მოსკოვს უტევდნენ.

ეს ამბავი დღემდე გასაიდუმლოებულია. სტალინის შემდეგაც არავის უნდა იმის აღიარება, რომ უცხოტომელებმა მოიგეს თუნდაც ერთი ბრძოლა. მართალია, ამ ბრძოლაში სხვა ხალხებიც, მათ შორის, ქართველებიც მონაწილეობდნენ, მტერს დიდ ზიანს აყენებდნენ ყაზახთა და ტუვინთა შედარებით „ყინვაგამძლე“ ასეულებიც, გერმანელებს ზურგიდან ურტყამდნენ მოსკოველი მოთხილამურეები, გადამწყვეტი სიტყვა მაინც მონგოლებმა თქვეს. მეთაურის ბრძანებების უსიტყვოდ შემსრულებელი და მორჩილი დაუნების გარდა ხომ იმ არმიაში ბევრი გონიერი მონგოლიც იბრძოდა. სწორედ მათ გადაწყვიტეს ბრძოლის ბედი.

მონგოლი მეომრების ერთ-ერთი საკვები კაზი, ცხენის უნაგირქვეშ, ოფლში გამოყვანილი ცხენისავე მკერდის ნაჭერი იყო, რომლის მირთმევის შემდეგ ადამიანი უმნიშვნელოდ თუ განიცდის ტემპერატურის ცვალებადობას. მონგოლთა სამხედრო სიჩაუქე საუკუნეების განმავლობაში მისაბაძი გახლდათ მთელი მსოფლიოსთვის და სწორედ ამის საფუძველზე ჰქონდა შემუშავებული თავისი მანევრი პროლეტარიატის ბელადს. საფიქრებელია, რომ მისივე მკაცრი დირექტივის შესაბამისად დაუმალეს კაცობრიობას საბჭოთა სამხედრო ისტორიკოსებმა მონგოლთა თავდადება მეორე მსოფლიო ომში და დღევანდელი თაობის ხსოვნაში დარჩა მოსკოვისათვის ბრძოლაში დაღუპული ოცდარვა პანფილოველი, რომელთაც არაფერი აკავშირებთ მონგოლურ რასასთან.

ჩოი ბალსანის მრისხანე არმია ტრანსციმბირის სარკინიგზო მაგისტრალით, ორ დღეში ცხენებიანად გადმოიყვანეს მოსკოვში. უკან ისინი არავის გაუბრუნებია. მოკავშირე ამერიკელთა არმიის სარდლის, ეიზენჰაუერის მოადგილე ომარ ბრედლი თავის მემუარებში იხსენიებს 1945 წლის აპრილ-მაისში ბერლინში ჩასულ პატარა ცხენებზე ამხედრებულ მომცრო ტანის მეომრებს, რომლებიც არაფრით ჰგავდნენ მრავალეროვან საბჭოეთში მცხოვრებ ადამიანებს. ეს მონგოლთა შენაერთები გახლდათო, ირწმუნება ბრედლი.

მონგოლების, უფრო სწორად, მათი ცხენების კვალი ცოტა ხნის შემდეგ საქართველოშიც გამოჩნდა. კაპიტონ ნაჭყებიამ მიიღო „მთებში მოსიარულე ცხენების“ რამდენიმე ასეული, რომლებითაც 1942 წლის ზამთარში დაშლილი ზარბაზნები აჰქონდათ მარუხის უღელტეხილზე. ბერლინის აღების შემდეგ მონგოლების კვალი იკარგება.

## ცხენოსანი სტალინი?

გამარჯვების პარადი მოსკოვში, სადოვოე კალცოზე იყო ჩაფიქრებული: ამ წრეზე უნდა გაევლოთ გამარჯვებულ ჯარებს, დიდძალ სამხედრო ტექნიკას და ალაფს. ტყვე გერმანელთა კოლონების ჩვენება კი წითელ მოედანზე იყო დაგეგმილი. ამ დღეს, ანუ 1945 წლის 24 ივნისს, კრემლიდან თეთრ ჭაკ ცხენზე ამხედრებული სტალინი (თეთრი ჭაკი ცხენი მხედრის უპირატესობას მიუთითებს) გამოვიდოდა. წითელ მოედანზე მას პატაკს ჩააბარებდნენ შავ ულაყზე ამხედრებული მარშალი ჟუკოვი და ფრონტის სხვა სარდლები. შემდეგ იგი ავიდოდა მავზოლეუმის ტრიბუნაზე და მოედანზე მშრომელთა საზეიმო დემონსტრაცია დაიწყებოდა, რასაც დაასრულებდა ჯარისკაცთა მცირე კოლონა, რომელიც ომში ნაალაფარ გერმანელთა ორას ცალ დროშას დაყრიდა კრემლის კედელთან.

აღლუმის რეპეტიცია რამდენიმე დღით ადრე მოსკოვის ახლოს, სოფელ ბაბუშკინოში იყო დანიშნული. უკვე საკმაოდ ასაკოვან სტალინს ღირსეულად ეჭირა თავი საგანგებოდ შერჩეულ თვინიერ ცხენზე. მაგრამ ერთ-ერთი მორიგი შემობრუნების დროს ბელადი ცხენიდან ჩამოცურდა. რუსი ავტორი ვ. კარპოვი ამ ინციდენტს ვერაფრით ასაბუთებს. სხვები სხვადასხვა ვერსიას განიხილავენ. ალბათ ყველაზე სარწმუნო უნაგირის შეგნებულად დაზიანებაა იმ მიზნით, რათა ბელადი სასიკვდილოდ დაშავებულიყო ცხენიდან ჩამოვარდნის დროს. ამ შემთხვევის შემდეგ გააქრეს პარადის ხელმძღვანელი გენერალი ასლიკოვსკი და მისი ადიუტანტი, მაიორი კავრიგა.

დიახ, დღემდე გამოცანად რჩება, რა მოხდა იმ დღეს ბაბუშკინოში. სტალინი კი მას შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა — პანიკური შიში დასჩემდა და ამ შიშით იცხოვრა თითქმის რვა წლის განმავლობაში, სიცოცხლის უცნაურად დასრულებამდე...

***ვაჟა გავაშელი***





რუბრიკა „ვერსიის“ რჩეული პუბლიკაციების კრებული კარგი საჩუქარია დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის!

ფასი 2.5 ლარი

# „ვაჟასთვის თვალი ვერ გამისწორებია, თითქოს მე გავძარცვე“

## ქართველ მეომართა აჩრდილების ქანდაკებებს თურქეთში გასამგზავრებლად ამზადებენ?

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

საუბარში საქართველოს მხატვართა კავშირთან არსებული ქანდაკების კომბინატის ამჟამინდელი უფროსი **დათო ჭუმბურიძე** ჩაგვერთო: „ვეთანხმები ბატონ რეზოს და გიდასტურებთ, რომ ქანდაკებების ვანდალური განადგურების ფაქტები ძალზე მომრავლდა. უსახსრობის გამო მათ აღსადგენად მასალას ვერ ვიძენთ. ერთი ტონა ხარისხიანი ბრინჯაო ან სპილენძი დაახლოებით სამი ათასი დოლარი ღირს. ეს ლითონი საქართველოში თითქმის აღარ შემოდის, ამიტომ იძულებული ვართ, ჯართის ჩამბარებელი პუნქტებიდან თითოკილოობით შევიძინოთ. ახლა მერიის ვეტერანთა საბჭომ თანხა გამოყო და გოგი ოჩიაურის „ქართველ მეომართა აჩრდილების“ ქანდაკებების აღდგენა დავიწყეთ(?!). გადაუდებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებს გია ჯაფარიძის კომპლექსი „ბერიკაობა“. ვანდალებმა ფეხი მოატეხეს აბო თბილელს. სხვათა შორის, ქანდაკების კომბინატის გარდა, არსებობს საქართველოში წარმოებები, რომლებსაც შეუძლიათ ქანდაკებების მოპარული ნაწილების ან მთლიანად ქანდაკების გადადნობა და ამ გზით კვალის წაშლა არ არის გამორიცხული, მოპარულ ქანდაკებას, ოღონდ გადადნობილს, ისევ ჩვენ ვყიდულობდეთ ხელახლა ჩამოსასხმელად“.

დასასრულ, თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველ მოადგილეს, **ბადრი ქუთათელაძეს** ვთხოვეთ ორიოდ სიტყვით დაეხასიათებინა შექმნილი მდგომარეობა. მისი თქმით: „მიუხედავად ტოტალური გაჭირვებისა, ვახერხებთ ახალ-ახალი ქანდაკებების დადგმას. სამწუხაროდ, ახლის შენებას თან ახლავს ნგრევა, ძარცვა, დარბევა ძველი ქანდაკებებისა. უფრო უარეს დღეშია თბილისის მემორიალური დაფები. მოიპარეს და ჯართის მიმღებ პუნქტში კაპიკებად ჩააბარეს: ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ექვთიმე თაყაიშვილის, გურამ რჩეულიშვილისა და სხვა უამრავი ერისკაცის მემორიალური დაფები და ამაზე პასუხისმგებელი არავინ არის. ქვეყანას, რომელიც არ ამზადებს ფერად ლითონებს, რაში სჭირდება ათასობით ჯართის ჩამბარებელი პუნქტი?! მათი უმეტესობა ხომ არალიცენზირებულია... უამრავი ქანდაკება საჭიროებს შეკეთებას, მაგრამ სახსრები არ არის. ახლა გვიანია თითზე კბენანი. მხედველობაში მაქვს თხუთმეტი წლის წინ კომუნისტი ბელადების ძეგლების ერთი ხელის მოსმით კვარცხლბეკიდან ჩამოგდება და თურქეთში გატანა. შეგვენახა, ახლა გადავადნობდით და ეროვნული მოღვაწეების უკვდავსაყოფად გამოვიყენებდით“. გამომშვიდობებისას ბადრი ქუთათელაძემ მის მიერ შედგენილი წიგნი „პოეზია ქვაში“ მისახსოვრა, რომელშიც ყველა ძეგლია მოკლედ დახასიათებული. როდესაც წიგნი გადავათვალიერე, აღმოვაჩინე, რომ ათეულობით ქანდაკება უკვალოდ არის გამქრალი.

P. S. გასაკვირია, მაგრამ სამწუხარო ფაქტია ის, რომ ვისაც კი ვკითხე დღევანდელი ჩემი სტატიის რესპონდენტებიდან, არც ერთმა არ იცოდა, სად იყო „შენახული“ ჩვენ მიერ ნაპოვნი ვაჟა-ფშაველას კომპოზიციიდან მოპარული ჯიხვისა და ირმის რქები. მათ ადგილზე მიტანას და დამაგრებას დიდი ხარჯი არ უნდა. იქნებ ქალაქის ხელისუფლებამ ჩვენი და საზოგადოების ეს თხოვნა მაინც იღოს ყურად — ამითაც კმაყოფილი დავრჩებით, ჯერჯერობით მაინც; ოჩიაურის ქართველ მეომართა აჩრდილების რვა ფიგურისა და სხვა დაზიანებული ქანდაკებების აღდგენაზე ოცნებას ვერც გავბედავთ. მთავარია, ისინი თურქეთის გზას არ გაუყენონ.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# მე ისევე ვერ გავხდები პრეზიდენტი, როგორც ზურაბ ჟვანია

*(დასაწყისი იხ. გვ. 7)*

— ამაზეც ველაპარაკე ავთოს. თანხების ბლოკის ხელმძღვანელობა აღარ კრებს, დანიშნული „კასირი“ არ ჰყავთ. პირად საუბარშიც ვუთხარი სახელმწიფო მინისტრს და გაოცებულია კაცი — ძველებურად იკრიბება დიდი ფული, გადასახადები, მაგრამ სად მიდის, კაცმა არ იცის. კორუფცია ისეა ქვეყანაში მოდებული, მხოლოდ ხელისუფლება ვერ მოერევა, ოპოზიციასთანაც უნდა ვიმუშაოთ, ოღონდ არა დამნაშავეებთან. ვეუბნები პრეზიდენტს თათბირებზე, თანამდებობიდან კაცის მოხსნა სასჯელი არ არის, დამნაშავე უნდა დაიჭირო-მეთქი.

— **ე. ი. არ გეშინიათ, რომ შევარდნაძე სახელისუფლებო ბლოკს ზურგს აქცევს და ოპოზიციისკენ გადაიხრება?**

— აქციოს ზურგი რა... დავიღუპებით თუ მართლა ჩვენი ბლოკია ქვეყნის გადამრჩენი(!). არ გვიცნობენ, ვინცა ვართ — ახლები ვართ თუ სხვა ქვეყნიდან მოსულები?! მინუსები და პლუსები ისევე აქვს სახელისუფლებო ბლოკს, როგორც ოპოზიციას. საშიში და ამოსაძირკვი კრიმინალური ოპოზიცია — ჟვანიას გუნდია. სააკაშვილი ცოტა იმიტომ მაშინებს, რომ არ ვიცი, როდის რას მოიმოქმედებს, თორემ ბურჯანაძე როგორ შემაშინებს, ვის რას უშლის.

— **ბურჯანაძეს ინტელიგენციის დიდი ნაწილი უჭერს მხარს.**

— არც ინტელიგენციაა საშიში და არც ბურჯანაძე. ძალიან მიყვარს ინტელიგენცია, მაგრამ მათ რომ შესძლებოდათ, აქამდე იზამდნენ რამეს. გასულ კვირას დაიბარეს პარლამენტში — ბურჯანაძე გიხმობთო. ამ საქმეს ელდარ შენგელაიამ გაუკეთა ორგანიზება — მან დაურეკა ყველას. ეს ტრიუკი ჟვანიას მოფიქრებულია. რაკი თვითონ ველარ იზიდავს ხალხს, ძალა უნდა გვაჩვენოს. ეს სპექტაკლი უფრო სააკაშვილის წინააღმდეგ დაიდგა. მიშა პოპულარულია, ჟვანია — ნაკლებად. თანაც სააკაშვილს გუნდში ჟვანიასავით არ ჰყავს კრიმინალები — ძველი მინისტრები და მას ნაკლებად უკავშირებენ პოლიტიკურ კორუფციას. სააკაშვილს არ უნდა წარსულის ცოდვებით დამძიმებული ჟვანიას მიღება თავის გუნდში. აა, ჩემთან არ გინდაო და გაბრაზებულმა ჟვანიამ ნინო ბურჯანაძის „გაბერვა“ და მისგან ფიგურის შექმნა დაიწყო. თან „ახლებს“ ევაჭრება, — ერთად ვიყოთო.

ინტელიგენცია პარლამენტის თავმჯდომარის ძახილზე უთუოდ მივიდოდა. მის მამას, კარგად იცნობენ — ანზორი მდიდარი კაცია, ხშირად ეხმარებოდა მათ, პატიჟებდა. თანაც ნინო ქალია, ანტიპათიას არ იწვევს... თუ ახლოს არ იცნობ.

— **რას გულისხმობთ?**

— როგორც კი ნინოსთან პოლიტიკაზე დაილაპარაკებ, ნეგატიური განწყობა გაგიჩნდება. რა პოლიტიკოსია, საქმითაც ხომ გამოჩნდა. აბსოლუტურად უუნაროა, პარლამენტი დაშალა და პოზიორობას გადააყოლა ყველაფერი. ვერ იტანს, სხვა რამე კარგს რომ აკეთებს და უთუოდ ხელს შეგიშლის. მაგალითს მოგიყვანთ: რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება რომ დავიწყე, ბურჯანაძემ დუმაში დარეკა — რჩეულიშვილი არაფერს წარმოადგენს, რუსეთში საკუთარი ინიციატივით ჩამოდისო. ამიტომ დამჭირდა მერე პრეზიდენტისგან რწმუნებები — ხან პეტერბურგის 300 წლისთავის აღნიშვნის კომისია მოვიგონე (სადაც პრეზიდენტის რწმუნებულად ვითვლებოდი) და ხან ქართულ-ოსურ კონფლიქტში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლობა. ყოველივე ეს ხომ არ იცის ინტელიგენციამ, იმიტომ ეახლა ბურჯანაძეს და გამოუცხადა მხარდაჭერა...

პრეზიდენტს ეს არ სწყენია, მას არც აინტერესებს, ვის დაასახელებს ინტელიგენცია ლიდერად. იცის, რა მიზანი აქვს ელდარ შენგელაიას ფაციფუცს. ჟვანია პოლიტიკის გარეთ რჩება და ინტრიგანობს. ინტელიგენცია უკვე ჩაითრია თავის თამაშში. ახლა სააკაშვილსა და ბურჯანაძეს გადაჰკიდებს ერთმანეთს. ფიქრობს, რომ ამით აიძულებს მიშას გუნდში მიიღოს. თუ ასე არ მოხდა, ჟვანია მიმზიდველ ბურჯანაძეს მიიყვანს თავის პარტიაში და ამით აიმაღლებს რეიტინგს, თუ არადა, მერე „ახლებთან“ გამონახავს საერთო ენას. ჟვანიას თავისი ნიჭი რომ ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებინა, მართლა გააკეთებდა რაღაცას, მაგრამ სამწუხაროდ, ინტრიგანობაზეა გადასული.

— **რატომ იბრძვით ასე თავდაუზოგავად პოლიტიკოსები დეპუტატობისთვის. არ მითხრათ ახლა, ხალხისთვის ვართ გულდათუთქულებიო.**

— პარლამენტარობა პრესტიჟული, უმაღლესი თანამდებობაა. ზოგს თავისი ბიზნესის მფარველობისთვის უნდა დეპუტატობა. ერთი ჩემი ბიზნესმენი თანაპარტიელი სწორედ ამიტომ მოვიდა პარლამენტში — აღარ შემიძლია, შსს, უშიშროება, საგადასახადო და კიდევ ათასი ვინმე წურბლებივით მწოვენო. ზოგისთვის კი, ვისაც პროკურატურასთან დავა აქვს, დეპუტატის იმუნიტეტია მიმზიდველი. ჩემთვის, პარტიის თავმჯდომარისთვის, მთავარია, მეტი თანაგუნდელი მოვიყვანო პარლამენტში, რათა ჩემი იდეები განვახორციელო.

— **ოპოზიცია წინასაარჩევნო პროგნოზებს უკვე აკეთებს, — თუ არჩევნები სამართლიანად ჩატარდება, სახელისუფლებო ბლოკი ბარიერს მიღმა დარჩებაო.**

— 7%-იანი ბარიერი 140 ათასი ხმაა და ამდენ ხმას მარტო მამალაძე მოგვიტანს. ჩვენ ისევე არ დავრჩებით გარეთ, როგორც „აღორძინება“, რომელსაც პარლამენტში მოსასვლელად აჭარის ხმებიც ჰყოფნის.

— **სახელისუფლებო ბლოკის მთავარი კოზირი შევარდნაძეა. პოლიტიკიდან მისი წასვლის შემდეგ როგორ გესახებათ თქვენი მომავალი?**

— პოლიტიკა კრიმინალებისგან უნდა გაიწმინდოს, რათა პროფესიონალებს მიეცეთ გასაქანი, იმის მიუხედავად, რომელი პარტიის წევრები იქნებიან ისინი. შევარდნაძისგანაც უნდა ვისწავლოთ რაღაც. მისი წარმატების საიდუმლო მისი მოთმინების უნარია. ეს ერთი წელიწადი გამოაჩენს, ვინ იქნება მისი შემცვლელი. არ არის გამორიცხული, საზოგადოებისთვის ჯერჯერობით უცნობი, ახალი პოლიტიკური ფიგურაც ვიხილოთ მის ადგილზე.

— **ე. ი. თქვენ არ გაქვთ პრეზიდენტობის პრეტენზია?**

— მე ისევე ვერ გავხდები პრეზიდენტი, როგორც ზურაბ ჟვანია...

***იზო რიკაძე***





## „კვირის პალიტრის“ და მისი მკითხველის ახალი პროექტი

# ძალიან ბევრი შრომა იქნება საჭირო იმისთვის, რომ მათ ადამიანების ნდობა დაუბრუნდეთ...

როგორც იცით, „კვირის პალიტრამ“ 23 ივნისის ნომერში შემოგთავაზათ ახალი პროექტი, რომელიც მარტყოფის ბავშვთა სახლის დახმარებას ითვალისწინებს.

გაზეთის წინა ნომერშიც ვწერდით, ძალიან მაგარი მკითხველი გვყავსო. მართლაც, დახმარება ყველამ გაილო, დიდმა და პატარამ, შეძლებულმა და ღარიბმა... მოდიოდნენ მარტონი, წყვილ-წყვილად, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, მოჰქონდათ ნახმარი და ახალი ნივთები, სათამაშოები, წიგნები, ჭურჭელი... ერთმა ბიჭუნამ გულში ჩაკრული სათამაშო მოიტანა და — მე თვითონ ავაწყობ და ისე გავუგზავნი იმ ბიჭს, გაზეთში რომ ეხატაო. ერთმა ქალბატონმა — დიდი მადლობა, რომ გამოგვაფხიზლეთო, — გულაჩუყებულმა ბრძანა... რამდენიმე ფუთას წარწერები ამშვენებდა: ანდრიასგან; ნიკუშასგან; ანუკი და სალოსგან...

ყველა გახარებული იყო „კვირის პალიტრის“ და მისი მკითხველის ახალ პროექტში მონაწილეობით. გვპირდებოდნენ, — შემდეგ აქციებშიც აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობასო. რამდენიმე მკითხველი უფრო სერიოზული წინადადებითაც მოვიდა. მაგალითად, ერთ-ერთმა ქალბატონმა გაგვიზიარა თავისი კოლექტივის გადაწყვეტილება, — ბავშვთა სახლისთვის ძროხის ყიდვას ვაპირებთო. დავპირდით, რომ გავარკვევდით, შეძლებდნენ თუ არა პირუტყვის მიღებას. ბავშვთა სახლის დირექტორმა, ქალბატონმა ნანა შინჯიკაშვილმა გვითხრა, სიხარულით მივიღებთ ნებისმიერ დახმარებას და თუ საჭირო იქნება, ჩვენ თვითონ ჩამოვიყვანთ საქონელს მარტყოფშიო (თუ ვინმეს კიდევ ექნება სურვილი, დაეხმაროს „მარტყოფელებს“, გთხოვთ, მოგვმართოთ რედაქციაში და დაგაკავშირებთ სახლის დირექტორთან).

მიუხედავად იმისა, რომ ნივთების შეგროვება მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, საჩუქრები იმდენად ბევრი იყო, რომ მათ დახარისხებას და ყუთებში ჩალაგებას სამი დღე მოვუნდით (ჩვენი თხოვნის მიუხედავად, ზოგიერთმა ზამთრის ტანისამოსიც მოიტანა). აქ იყო ქურთუკები, ლაბადები, კოსტიუმები, ჯინსისა და ველვეტის შარვლები, პერანგები, უხმარი და კარგად შენახული მაისურები და წინდები, ცხვირსახოცები, თეთრეული, ლეიბები, ბალიშები, პლედები და საბნები, სასკოლო და ქალის ჩანთები, ბიჟუტერია, ჰიგიენური ნივთები, სათამაშოები და სასკოლო ინვენტარი, წიგნები, საბავშვო ბიბლიები, სახელმძღვანელოები, ჯამები, დანა-ჩანგალი, კოვზები, ჭიქები... ზოგიერთ ნივთს აშკარად ეტყობოდა, რომ სპეციალურად ამ აქციისთვის იყო ნაყიდი. თვითონ მკითხველთა თხოვნით ზოგიერთი ასეთი ნივთი სპეციალურად გავხსენით. მათი აზრით ასე ნაკლები შანსი იყო, რომ ეს ნივთები სადმე სხვაგან მოხვდებოდა (ეს მოსაზრება გავუზიარეთ ბავშვთა სახლის პერსონალს და ისინიც გაგებით მოეკიდნენ მკითხველთა უნდობლობას).



მანქანის დაცლისას ჩვენთან ერთად 10-12 წლის ბიჭებიც ბეჯითად შრომობდნენ.



ამ ონავრებს ყველაზე მეტად ბურთი და სპორტული ტანსაცმელი გაეხარდათ, თუმცა როცა ეს ინსტრუმენტები ნახეს, ცდუნებას ვერ გაუძლეს და თავი ამ ასპარეზზეც გამოსცადეს. შედეგად, კინაღამ ცეკვის გაკვეთილი ჩაიშალა...



საბედნიეროდ, მარტყოფის ბავშვთა სახლი ნელ-ნელა უბრუნდება ცხოვრების ნორმალურ რიტმს. ამაში ჩვენი მკითხველების ნობათიც წაეშველებათ. ამ ფოტოზე ბავშვები დიდი მონდომებით ცეკვავენ და ხვეწენ მოძრაობებს...

მკითხველი ალბათ გვაპატიებს იმას, რომ ნივთების გარკვეული ნაწილი (1-3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი) ცალკე გადავაწყვეთ და მარტყოფში არ წავიღეთ. ისინი იქ, უბრალოდ, არ გამოადგებათ, რადგანაც აღსაზრდელების ასაკი 4 წლიდან იწყება. ამ ნივთებს ერთ-ერთი ჩვილ ბავშვთა სახლი მიიღებს.

ხუთშაბათს უკვე ყველაფერი მზად იყო, რედაქციის სატვირთო „გაზელი“ ნივთებით თითქმის პირთამდე აივსო და გეზი მარტყოფისკენ ავიღეთ.

ბავშვთა სახლში საოცარი ცვლილებები დაგვხვდა. მარტყოფში ბოლოს ივნისის დასაწყისში ვიყავით და ორი კვირის წინანდელი პუბლიკაცია სწორედ მაშინდელ შთაბეჭდილებებზე იყო აგებული. არ გეგონოთ, რომ ამ ორიოდ კვირაში სახლი „მკვდრეთით აღდგა“. არა, ისევ უჭირთ, მაგრამ აშკარა სასიკეთო ცვლილებები თვალში საცემია. შენობაც და ეზოც დასუფთავებული დაგვხვდა. ბავშვებსა და აღმზრდელებს ყვავილებიც დაურგავთ. წყალგაყვანილობაზეც ვწერდით და... ერთ-ერთ ფირმას სახლისთვის 700 მეტრი სიგრძის მილი უჩუქებია და სამუშაოებიც უკვე დაუწყიათ. სასიამოვნო სიურპრიზი იყო ისიც, რომ აღმოჩნდნენ ადამიანები, ვინც სხვადასხვა ნივთებითა და წიგნებით უკვე დაეხმარნენ სახლს. აღმზრდელების თქმით, ეს ახალი დირექტორის დამსახურებაა. ის თავს არ ზოგავს და სხვებსაც გვარიანად აწუხებს ბავშვების საკეთილდღეოდ. თუმცა, რა თქმა უნდა, თუ არა კეთილი ნება, ეს შეწუხებაც ამაო იქნებოდა... ადრეც ვწერდით, — არ გვაქვს პრეტენზია არც ერთადერთობაზე და არც პირველობაზეო. ახლაც იმავეს გავიმეორებთ... უბრალოდ, ადამიანურად გვახარებს ის, რომ მარტონი არ ვართ...

როგორც ფოტოებიდან ჩანს, ბავშვები დიდი სიხარულით გვეხმარებოდნენ მანქანის დაცლაში. დირექტორმა სიტყვა მოგვცა, — ამ ნივთებს თავიდან ბოლომდე აღვწერთ და აუცილებლად ყველაფერს ბავშვებს მოვახმართო. იმ ცვლილებების ფონზე, რაც ჩვენს არყოფნაში სახლში მოხდა, მას ნამდვილად დაეჯერება...

ჩვენც და თქვენც — ჩვენო მკითხველო, ჩვენი საქმე პირნათლად შევასრულეთ. თუმცა მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაგვეუფლა. კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი იმისთვის, რომ ბავშვთა სახლმა ნორმალურად დაიწყოს ფუნქციონირება. მაგალითისთვის ჩვენი ვიზიტის ერთი დეტალი შეგვიძლია მოვიყვანოთ: როდესაც ნივთები მანქანიდან გადმოვცალეთ, დირექტორი შენობაში შეგვიძღვა და ნაუცბათევი ექსკურსია მოგვიწყო. დარბაზშიც შეგვიყვანა, სადაც ბავშვები დოლის აკომპანიმენტით ცეკვავდნენ. ცეკვის მასწავლებელთან და ბავშვებთანაც გავისაუბრეთ და თითქოს უშუალო, უბრალო კითხვები დავუსვით, მაგრამ უნდა გენახათ, ბავშვები დარბაზის იმ ადგილებზე დარჩნენ გაშეშებულები, სადაც ჩვენმა ვიზიტმა მიუსწრო. ძალიან ბევრი შრომა იქნება საჭირო იმისთვის, რომ მათ, მშობლებისაგან და ნათესავებისაგან მიტოვებულებს, ადამიანების ნდობა დაუბრუნდეთ. რა თქმა უნდა, ჩვენი დახმარება მხოლოდ ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც მათ სჭირდებათ. თუმცა იმის ცოდნა, რომ მათზე ვიღაც ფიქრობს და ზრუნავს, ბავშვებისთვის უდიდესი სტიმულია. „მარტყოფელთა“ გარდა კიდევ რამდენი ბავშვი და მოხუცი საჭიროებს ყურადღებასა და მოყვასის სითბოს... ასე რომ, აუცილებლად გავაგრძელებთ პროექტს და მსგავს აქციებს მომავალშიც ჩავატარებთ, რაზეც აუცილებლად შეგატყობინებთ თქვენი გაზეთის საშუალებით.

P.S. ჩვენს არყოფნაში მარტყოფის ბავშვთა სახლში კიდევ ერთი სასიხარულო რამ მომხდარა. გახსოვთ ალბათ, ასაკგადასულ აღსაზრდელებზე რომ ვწერდით. სწორედ ერთ-ერთმა, შემთხვევით შეიტყო, რომ დუშეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ჰყოლია დედა და ბებია. 26 წლის ახალგაზრდა უკვე საკუთარ ოჯახში ცხოვრობს, მას სახლიც კარგი დახვედრია და მეურნეობაც გამართული. თვითონაც ხელმარჯვე ყოფილა და აღმზრდელებს იმედი აქვთ, რომ აუცილებლად აიწყობს ცხოვრებას. ქალბატონმა ნანამ ბრძანა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ აპირებს დუშეთში სტუმრობას და ყოფილი აღსაზრდელის მონახულებას. ამ ისტორიას დაწვრილებით ჟურნალ „გზის“ უახლოეს ნომერში მოგაწვდით.

P.P.S. ეს სტატია უკვე დაწერილი იყო, როდესაც რედაქციაში სატელეფონო ზარი გაისმა. ჩვენი მკითხველი „მარტყოფელებისთვის“ ფორტეპიანოს ჩუქებას აპირებს და სახლის დირექტორთან გვთხოვა დაკავშირება...

***გიორგი ჟორჟოლიანი***






## რას გვეტყვი, მამაო?

**— გთხოვთ ცოტა რამ გვითხრათ მეორედ მოსვლის წინაპირობების შესახებ.**

— მეორედ მოსვლის წინაპირობების შესახებ უამრავი ნიშანია აღწერილი ბიბლიაში. ეს ნიშნები ნაწილ-ნაწილ ხორციელდება ჩვენ თვალწინ. ასეთია ომები, მიწისძვრები, ქარიშხლები, წყალდიდობები, ადამიანთა დაუნდობლობა, მკვლელობების გამრავლება, სატანური სექტების მოღვაწეობა. მეორედ მოსვლის ერთ-ერთი წინაპირობაა ანტიქრისტეს გამოჩენა, რომელიც შეეცდება ხალხი ცრუ ხიბლით აცდუნოს (ეს მოვლენები კარგად არის აღწერილი მარკოზის სახარებაში). არ ცდუნდება ის, ვინც ეკლესიურად ცხოვრობს და უფალი ჭეშმარიტად უყვარს, ხოლო შემდგომ „მზე დაბნელდება და მთვარე აღარ გამოსცემს შუქს. იქნება ვარსკვლავთა ცვენა და შეირყევიან ციური ძალები. მაშინ იხილავენ კაცის ძეს, ღრუბლებზე მომავალს დიადი ძალით და დიდებით“.

ეს იქნება უფალი, მოვა და განსჯის ცოცხალსა და მკვდარს, მაგრამ ეს ჟამი როდის დადგება, არავინ იცის, არც ზეცის ანგელოზებმა.

**— ჩაითვლება თუ არა ჩვეულებრივი წყალი ნაკურთხად, თუ მასში გავურევთ მცირეოდენ ნაკურთხ წყალს?**

— ჩაითვლება. ნაკურთხი წყლის ჩვეულებრივთან დამატებით ხდება ნაკურთხი წყლის გამრავლება, მაგრამ სასურველია ნაკურთხი წყალი ეკლესიიდან წაიღოთ. მას უხრწნელობის თვისება აქვს. მინდა გითხრათ, რომ ნათლისღების დღეს ღვთისგან თავისთავად იკურთხება ნებისმიერი წყალი დედამიწისა, მაგრამ მას უხრწნელობის თვისება არ აქვს: ხოლო ეკლესიურად ნაკურთხ წყალს გარდა უხრწნელობისა, სამკურნალო თვისებებიც ენიჭება. წყლის კურთხევა წელიწადში რამდენჯერმე ხდება.

**— საჭიროა თუ არა ტრანსპორტში მყოფმა მამაკაცმა ეკლესიასთან ჩავლის დროს, პირჯვრის გადაწერისას, ქუდი მოიხადოს?**

— მამაკაცი ქუდის მოხდით მოწიწებას გამოხატავს ღვთის სახლის მიმართ. ძველად ქართველები, ქუდს არა მარტო ეკლესიაში შესვლისას, არამედ უფროსების წინაშეც ვიხდიდით. თუ დღეს მამაკაცი ეკლესიასთან ჩავლისას ქუდს მოიხდის, ეს მისასალმებელია. თქვენი პატივისცემა ეკლესიის მიმართ ამ სახითაც გამოიხატება.

**— ვარ მამა, შეიძლება თუ არა ჩემი შვილებისთვის წარმოვთქვა დედის ლოცვად წოდებული ლოცვები?**

— ეს ლოცვა ზოგადად მშობელს ეკუთვნის და მისი წარმოთქმა შეუძლია ქალსაც და კაცსაც. როგორც ჩანს, ლოცვის სახელწოდებაში უზუსტობაა დაშვებული თავდაპირველად გამოქვეყნების დროს, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ლოცვა ქალმა დაწერა. ამიტომ დაარქვეს მას დედის ლოცვა. წარმოთქვით იგი ნებისმიერ დროს, როცა გნებავთ.

**— რატომ ეკრძალება მართლმადიდებელს განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანზე ჯვრისწერა?**

— არაერთი შემთხვევა ყოფილა და ახლაც არის, რომ როცა მართლმადიდებელი ქალები იძულებით თხოვდებოდნენ წარმართ მუსლიმანებზე. მიუხედავად ამისა, ისინი ინარჩუნებდნენ ქრისტიანულ სულს. ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ მათი პირადი ცხოვრება ტრაგიკული იყო — ძნელი წარმოსადგენია, როცა ცოლქმარს შორის ერთი ჭეშმარიტი ქრისტიანია, ხოლო მეორე ქრისტეს უარმყოფელი. ასეთი ოჯახი სათნო ვერ იქნება. ამიტომაც ეკლესია მხოლოდ მართლმადიდებლებს სწერს ჯვარს. „ერთ სულ და ერთ ხორც შერწყმა“ ეკლესიის ლოცვაკურთხევით ხდება.

**— ამბობენ, როცა ადამიანს ორმოცი წელი შეუსრულდება, დაბადების დღის აღნიშვნა არ შეიძლებაო. საინტერესოა ეს ეკლესიამ აკრძალა, თუ ადამიანებმა თავად მისცეს ასეთი ინტერპრეტაცია?**

— ჩანს, ხალხმა დაბადების მეორმოცე წელი და გარდაცვალების მეორმოცე დღე ერთმანეთს დაუკავშირა, თუმცა ეს მცდარი აზრია. არავითარი საეკლესიო საფუძველი არ გაქვთ, ეს დღე არ აღნიშნოთ. აღნიშნეთ ისე, როგორც სხვა დაბადების დღე, მაგრამ გირჩევთ, ყოველ დაბადების დღეს ეზიაროთ „საკურნებლად სულისა და ხორცისა“. შემდეგ ზომიერად იხმიეთ ახლობლებთან ერთად.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ* *იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*



„ჩინეთის დიდი კედელი“ წითელ ხიდთან კონტრაბანდისტებს ვერ აჩერებს

# „საზღვარი კი არა, „პრახადნოი დვორია“...“

გასულ კვირას საბაჟო დეპარტამენტის პრესმდივანმა დამირეკა და მითხრა: წარამარა რომ გვლანძღავ და კორუმპირებულებს გვიწოდებ შენს სტატიებში, ერთხელ ჩვენთანაც წამოდი, მაგალითად, „წითელ ხიდზე“ და მერე ენა აღარ მოგიბრუნდება ჩვენს გასაკრიტიკებლად. ყველა ცოდვას საბაჟოს რომ ჰკიდებ, მობრძანდი და საკუთარი თვალით ნახე ყველაფერიო.

*— გასაგებია შენი გულისტკივილი — სამსახურის პრესმდივანი ხარ და ცდილობ, მებაჟეები ანგელოზებად წარმოგვიდგინო, რაც სამწუხაროდ ასე არ არის.*

— მერე ვინ გეუბნება, ანგელოზები ვართო, მაგრამ ისე არა წვიმს, როგორც ქუხს. ერთი ნახე, აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვარზე ვინ და რას აკეთებს? — მითხრა პრესმდივანმა ხათუნა ბიწაძემ. ჯრუჭის მონასტრიდან ახალი ჩამოსული ვიყავი და გამოძინებას არაფერი მერჩივნა, მაგრამ პრესმდივნის გადმოგდებულ ანკესს დიდი სიამოვნებით წამოვეგე, მით უმეტეს, დამპირდნენ, რომ მეგზურობას რეგიონული საბაჟოს აღმოსავლეთის „წითელი ხიდის“ საბაჟო-გამშვები პუნქტის უფროსი გიგა ხვინგია და მისი მოადგილე, ნუგზარ შურღაია გამიწევდნენ.

შაბათს, დილის ექვს საათზე შევხვდით ერთმანეთს „წითელი ხიდის“ საბაჟოს ხელმძღვანელები, მათი პრესმდივანი და მე და გეზი ალგეთისაკენ ავიღეთ. გაცნობის სავალდებულო პროცედურის შემდეგ, მანქანაში განყენებულ თემებზე დროის მოსაკლავად საუბარს, **გიგა ხვინგიასთან** ინტერვიუს ჩაწერა ვარჩიე:

**— ისეთი რა უნდა მაჩვენოთ, იმად ღირდეს, რაც ჩემი სტუმრობით შეიძლება წააგოთ?**

— ცუდი წარმოდგენა გაქვთ ჩვენს მებაჟეებზე. არა, იმას კი არ ვამტკიცებ, ყველა მებაჟე პატიოსანია-მეთქი. ჩვენთანაც, როგორც სხვა სამსახურში, არიან გაუმაძღარი და პატიოსანი თანამშრომლებიც.

**— „პატიოსნები“ ერთ მორიგეობაზე რამდენს სჯერდებიან?**

— მოდი, თავი გაანებეთ ჟურნალისტობას და ჩემთან მებაჟის ადგილს გაგიხერხებთ. ორ თვეში გაიქცევი, ისევ გაზეთს დაუბრუნდები. ძნელია მებაჟედ მუშაობა — დაუფასებელი, უმადური საქმეა. დიდი თუ პატარა ჩვენს ლანძღვაშია.

**— ვთქვათ, დაგიჯერეთ... ისე, დილაუთენია რა საჭირო იყო საზღვარზე გამგზავრება, თუ იმის ჩვენება გინდათ, მუშაობის როგორი აუტანელი რეჟიმი გაქვთ...**

— თბილისიდან ყოველდღე დილის 6 საათზე კი არ მოვდივარ სამსახურში. ეს მხოლოდ სამშაბათს და შაბათს ხდება. ყოველი კვირის ორშაბათსა და ხუთშაბათს ჩინეთიდან და დუბაიდან ტრანზიტით მოფრინავენ თვითმფრინავები ბაქოში. სწორედ იქ იცლება საზღვარგარეთიდან საქართველოსთვის გამოგზავნილი ტვირთები, რომლებიც აეროპორტშივე ავტობუსებსა და ავტომობილებში იტვირთება და გეზს საქართველოსკენ იღებენ. მეორე დღეს, დილით, სამშაბათს, „წითელი ხიდის“ საბაჟო-გამშვებ პუნქტს მოადგებიან. ამ დროს იქ საშინელი ქაოსია — ავტომობილების რამდენიმეკილომეტრიანი რიგი დგება. სწორედ ამ არეულობით სარგებლობენ კონტრაბანდისტები და მანქანებიდან გადმოტვირთავენ საქონელს. მერე იქაურებს გაურიგდებიან და მათაც ვირებით ან კიდევ ხელით საცალფეხო ბილიკებით (საკონტროლო პუნქტის გვერდის ავლით) შემოაქვთ საქონელი საქართველოში. თითო ფუთა 30-50 კილოგრამს იწონის და მისი გადმოტანა 3 ლარი ღირს. პატარა ბავშვებიც კი უზარმაზარ ფუთებს ეზიდებიან და ფულს აკეთებენ.

**— თქვენ სად ხართ ამ დროს?** — სიტყვა არ დამემთავრებინა, რომ „წითელი ხიდიც“ გამოჩნდა. რამდენიმე წამში მანქანა საქართველოს საბაჟო-გამშვებ პუნქტთან გაჩერდა. პუნქტი რამდენიმე უსახურ ვაგონშია დაბინავებული. საზღვარზე გადმოსულ და საკონტროლო პუნქტში შესულ სტუმარს ვაგონების მოთხვრილი კედლები და ანტისანიტარია ხვდება. რაც შეეხება საბაჟოს, ეზო დაახლოებით 400-500 კვ მეტრი იქნება და წვრილი არმატურის ღობე არტყამს. მის თავსა და ბოლოში ლითონის კარები შეუბამთ (სხვათა შორის, თურმე ისინი კონტრაბანდისტი მძღოლების მსხვერპლი არაერთხელ გამხდარან — მათ „ტარანით“ გაუნგრევიათ კარები და საქონლით დატვირთულებს ამ გზით გადმოულახავთ საზღვარი).

— როგორ თუ სად ვართ? კანონით და შესაბამისი დებულებით, საბაჟოს თანამშრომლებს თავიანთი მოვალეობის შესრულება მხოლოდ საბაჟო-გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე ეკისრებათ, — გვიპასუხა ადრე დასმულ კითხვაზე საბაჟოს უფროსმა და გააგრძელა, — ხოლო საბაჟოს გარეთ, საზღვრის მთელი პერიმეტრის კონტროლი სასაზღვრო ჯარს ევალება. ქვეყნის საზღვარს შიგნით კი კონტრაბანდისტების დაკავება და საქონელთან ერთად მათი საბაჟოში წარდგენა საგანგებო ლეგიონის, უშიშროების და შს სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს პრეროგატივაა. რასაც აქ ხედავთ, ყველაფერი ჩვენი აშენებულია. ეს ბეტონის კედელიც რამდენიმე დღის წინ დავამთავრეთ. საზიდრებს კი გადავუჭერით გზა, მაგრამ იმედი გვქონდა, იმათაც შევაჩერებდით, რომლებსაც ზურგით გადაჰქონდათ ფუთები. ამისათვის ბეტონში დამსხვრეული ბოთლების მინა გავურიეთ, ზემოდან არმატურები და მავთულხლართიც გავაბით, მაგრამ ხომ ხედავთ — მავთულხლართი გაჭრეს და გაიტაცეს, მდინარე ხრამის სანაპიროს გასწვრივ კედლის ნაწილი კი გაანგრიეს და იმ გასასვლელით სარგებლობენ... სხვა ბილიკებიც აქვთ.

მართლაც, მდინარე ხრამის მეორე მხარე დასერილია საცალფეხო ბილიკებით. ათიოდ მეტრის გავლის შემდეგ, სამკაციან ჯგუფს წავაწყდით, — მხარზე ფუთები მოეგდოთ და საზღვარზე ისე არხეინად გადმოდიოდნენ, თითქოს საგანგებო ლეგიონის, უშიშროებისა და შსს-ს თანამშრომლები იქ არ მდგარიყვნენ. მესაზღვრეები ამ დროს ლაზღანდარობით იქცევდნენ თავს. ცალ თვალს თუ შეავლებდნენ დინჯად მიმავალ, ზურგზე ფუთამოგდებულ კონტრაბანდისტებს.

საკითხავია, რისთვის დგას საზღვარზე სხვადასხვა ორგანოს ამდენი წარმომადგენელი?! დათვალიერებისას 12-15-ჯერ მაინც გადავლახე საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი დაუბრკოლებლად, ხოლო საქართველოს საზღვრიდან ნეიტრალურ სასაზღვრო ზოლში შესვლა ხომ პრობლემას საერთოდ არ წარმოადგენს...

— როგორ შეიძლება საზღვრის დაცვის პრობლემის მოგვარება?— ვკითხე ერთ აზერბაიჯანელს, რომელმაც მითხრა: „ძალზე იოლად. ავიაკომპანიებს ურჩევნიათ, თბილისის აეროპორტში დასვან ჩინეთიდან და დუბაიდან ტრანზიტით მომავალი თვითმფრინავები, მაგრამ საქართველოს სანავიგაციო სამსახურს ისეთი მაღალი ტარიფები აქვს დაწესებული, რომ თუ ავარიული სიტუაცია არ შეიქმნება ბორტზე, ისე საქართველოს საჰაერო სივრცეში თვითმფრინავები არ შემოდიან. ვიღაცას ზემოთ ხელს არ აძლევს თვითმფრინავების თბილისის აეროპორტში დაფრენა. მერე აქედან ამდენ დამშეულ სამართალდამცველს ვინ გააძღებს? ეს საზღვარი კი არა, „პრახადნოი დვორია“...

P.S. თბილისში მომავალმა საზღვარზე აღმართულ საქართველოს შინდისფერ დროშას სინანულით გავხედე — სიძველისა და ჭუჭყისგან ფერდაკარგული საცოდავად ფართხუნებდა, შორს კი აზერბაიჯანის სამფერიანი, ნახევარმთვარიანი დროშა ამაყად ფრიალებდა... დროშა მაინც გარეცხეთ, თქვე დალოცვილებო! თუმცა რა სახელმწიფოც გვაქვს, ისეთივე დროშა გვიკიდია.

***ზვიად ჩაკვეტაძე***




# მსოფლიო ბანკი კახეთში ვაზის გადარჩენას ცდილობს

*ბოლო ათწლეულმა მძიმე დაღი დაასვა საქართველოს ეკონომიკას, სოფლის მეურნეობის ყველა სფერო დაუძლეველი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, განადგურდა დიდი ტრადიციების მქონე სანერგე მეურნეობები, აღარ არსებობს საბჭოთა პერიოდში თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ვაზის სამყნობი შენობა-ნაგებობანი, გაძნელებულია სადედის შერჩევა და ჯიშობრივად წმინდა ახალშენის გაშენება. კახეთი — ვაზის ქვეყანა, ალბათ, თანამედროვე ტიპის სანერგე მეურნეობის გარეშე დარჩებოდა, რომ არა მსოფლიო ბანკის თანადგომა და დახმარება. მისი ინიციატივით დაფინანსდა პროექტი, რომლის მიხედვითაც, ყვარელში, „წინკლდეების“ ფერმერულ მეურნეობაში, წარმატებით ინერგება და ვრცელდება საქართველოს მებაღეობა-მევენახეობა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დამუშავებული, ვაზის ნამყენი ნერგის წარმოებისა და მუდმივ ადგილზე დარგვის დაჩქარებული ტექნოლოგიები.*



ლევან უჯმაჯურიძე „წინკლდეების“ ორანჟერეა

პროექტის ავტორმა — საქართველოს მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის, ვაზის სარგავი მასალის წარმოებისა და კლონების გამრავლების სამეცნიერო-საწარმოო განყოფილების გამგემ — ლევან უჯმაჯურიძემ ყვარლელ ფერმერთან ერთად გადაწყვიტა თანამედროვე ტიპის სანერგის შექმნა, კვლევით ინსტიტუტში დამუშავებული პროგრესული ტექნოლოგიით ორანჟერეაში დაიწყო ვაზის ნერგის გამოყვანა. აქ გამოყვანილი ნერგი, გადარგვის შემთხვევაში, ზრდას არ წყვეტს და მისი გახარების კოეფიციენტიც გაცილებით მაღალია, ასევე იოლად ახერხებს ახალ გარემოსთან შეგუებას.

გარდა ამ ტექნოლოგიისა, ფერმერულ მეურნეობაში ინერგება ახალშენი ვაზის დაჩქარებული წესით აღზრდა-ფორმირების ტექნოლოგია მწვანე ნერგის გამოყენებით. სანერგეში, დღესდღეობით, გაშენებულია ქართული ვაზის ჯიშების სანამყენე-სადედეები: საფერავი, მწვანე კახური, ხიხვი, ალექსანდროული, ქისი. წინა წელს ამ ფერმერული მეურნეობიდან გლეხებს დაურიგდა გახარებული ნერგები, მოხდა ნაწილობრივ რეალიზაციაც. აქ გამოყვანილი მწვანე ნერგის ფასი უტოლდებოდა კუსტარულად დამუშავებული ნერგის ფასს და მერყეობდა 80 თეთრიდან ერთ ლარამდე.

ყვარლის ფერმერულ მეურნეობაში ერთი წლის ვაზს უკვე ნიშანი აქვს და ფაქტობრივად, შეგვიძლია განვსაზღვროთ რამდენად წმინდა ჯიშისაა ახალშენი.

„წინკლდეების“ ფერმაში იმართება სადემონსტრაციო დღეები, თითქმის ყოველდღე მოდიან გლეხები და ადგილობრივი ფერმერები. ათვალიერებენ სანამყენეს და კონსულტაციებს იღებენ კვალიფიციური სპეციალისტებისაგან. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნერგის საკვებ სუბსტრატად გამოყენებულია: კორდის მიწა, ორგანული სასუქი და მიკროელემენტებით გაჯერებული დურუჯის სილა; როგორც ლევან უჯმაჯურიძემ გვითხრა, — სწორედ ამან მოახდინა პოზიტიური გავლენა ნამყენი ნერგის ზრდა-განვითარებაზე ორანჟერეის პირობებში.

საკონკურსო გრანტის საბჭოს უფროსმა ზურაბ იაკობიშვილმა აღნიშნა, რომ აქამდე კახეთში თანამედროვე ტიპის სამყნობ-სასტრაფიკაციო შენობა არ არსებობდა, მსოფლიო ბანკის პროექტი გლეხებს და ფერმერებს საშუალებას მისცემს გრანტით შეარჩიონ ნამყენი ნერგები და გააშენონ სასურველი ჯიშის ახალშენი.

***მაია ყალაბეგაშვილი*** R

# სამიტზე მხოლოდ უდრეკნი ჩავიდნენ...

## სუუამის ამჟამინდელ სამიტს თამამად შეიძლება ეწოდოს სუ-ს (საქართველო-უკრაინა) სამიტი



იალტაში სუუამის ქვეყნების ორდღიანი სამიტი გაიმართა. სუუამის წევრი ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდავეთი) პრეზიდენტთაგან იალტაში მხოლოდ ღონისძიების მასპინძელი ლეონიდ კუჩმა და მისი ქართველი კოლეგა ედუარდ შევარდნაძე ჩავიდნენ. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს ამ ორგანიზაციის მომავალზე. კიევიდან მიწვევა სუუამის ყველა პრეზიდენტმა მიიღო, მაგრამ უმრავლესობამ ჯანმრთელობის გაუარესება მოიმიზეზა და უკრაინაში თავის წარმომადგენლებად სხვადასხვა რანგის მაღალჩინოსნები გაგზავნა. სამაგიეროდ, პირველად, სუუამის ისტორიაში, სამიტში მონაწილეობდა აშშ-ის დელეგაცია, სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის (ევროპისა და ევრაზიის ქვეყნების დარგში) სტივენ პფაიფერის ხელმძღვანელობით. მან განაცხადა, იალტის შეხვედრები ამ ორგანიზაციისა და აშშ-ის თანამშრომლობისათვის სასარგებლო იქნებაო.

სუუამის ოფიციალური საიტის მონაცემებით, 2001 წელს აშშ-ის კონგრესმა სუუამს გამოუყო 9 მლნ დოლარი. 2002 წელს ეს დახმარება 37 მლნ დოლარამდე გაიზარდა. ექსპერტების აზრით, გარედან დახმარების გარეშე სუუამი გეოპოლიტიკური პროცესების მიღმა დარჩება. ერთი წლის მანძილზე ორგანიზაციამ კინაღამ დაკარგა თავისი რამდენიმე წევრი, კერძოდ, უზბეკეთი და მოლდავეთი. ამბობენ, ვაშინგტონმა გადააფიქრებინათ ეს ნაბიჯიო. ექსპერტების აზრით, ამერიკის დელეგაციის ჩამოსვლა ნათლად მეტყველებს, რომ აშშ დაინტერესებულია ამ რეგიონული კავშირის შენარჩუნებით, რათა მის ფარგლებში თავისი პროექტები განახორციელოს. უპირველესად ლაპარაკია ევროპა-აზიის ნავთობსატრანსპორტო დერეფნის უშიშროების გარანტიებზე, სუუამისა და ნატოს თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

სტივენ პფაიფერმა ანტიერაყულ კოალიციაში მონაწილეობის გამო შეაქო უკრაინის პრეზიდენტი, ხოლო სუუამის ქვეყნებს სასაზღვრო ინფრასტრუქტურის გასამაგრებლად 1 მლნ დოლარს დაჰპირდა. სწორედ ვაშინგტონის ინიციატივით შეიქმნა ტერორიზმთან, ნარკოსაშიშროებასთან და ორგანიზებულ დანაშაულებებთან ბრძოლის სუუამის „ვირტუალური ცენტრი“. სამიტზე ხელმოწერილი იქნა შვიდი დოკუმენტი. მათ შორის ვაჭრობისა და ტრანსპორტირების ხელშეწყობის მემორანდუმი, ხელშეკრულებები საბანკო საქმეებში, განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში თანამშრომლობაზე. მაგრამ ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ სამიტის განახლებულ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული ნავთობსატრანსპორტო დერეფნების განვითარების საკითხებში პრეზიდენტების რწმუნებულთა საბჭოს შეკრება. თუმცა ეს სუუამის საქმიანობის პრიორიტეტული საკითხია და იალტის შეხვედრის მთავარ თემად ითვლებოდა. აშშ-სათვის ეს კიდევ ერთი საგანგაშო ზარია.

***ვრემია ნოვოსტეი***

# აფხაზეთი უშიშროების პრობლემის გადაჭრას კოდორში ცდილობს

**საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის მეთაური, გენერალი ყაზი აშფაკი შეხვდა აფხაზეთის თავდაცვის მინისტრს, ვიაჩესლავ ეშბას. გენერალმა მას გააცნო თბილისში, თავდაცვის მინისტრ დავით თევზაძესა და საგანგებო საქმეთა მინისტრ მალხაზ კაკაბაძესთან საუბრის შედეგები.**



საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყაზი აშფაკი დაარწმუნეს, — გაეროს მეთვალყურეთა გასათავისუფლებლად კოდორის ხეობაში შეყვანილი ქვედანაყოფები ამჟამად იქ აღარ არიანო. ქართველმა მინისტრებმა გენერალს მონიტორინგის მონაწილეთა უშიშროების უზრუნველსაყოფად, კოდორის ხეობაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეცრაზმის შეყვანა შესთავაზეს. სეპარატისტთა მინისტრი რაზმის შეყვანის კატეგორიული წინააღმდეგია, რადგან ის 1994 წლის 14 მაისის საბაზო ხელშეკრულების („ცეცხლის შეწყვეტისა და მხარეების დაშორიშორების შესახებ“) დარღვევად მიაჩნია. მისი ინფორმაციით, კოდორის ხეობაში ათასამდე შეიარაღებული ადამიანია თავმოყრილი, მათი ნაწილი — ქართველი სამხედროები არიან. ამიტომ გენერალმა ორივე მხარეს დაჟინებით მოსთხოვა პატრულირების მონაწილეთა უსაფრთხოების საკითხის განხილვა.

ეშბამ აღნიშნა, რომ ამჟამად ეს ტერიტორია უკონტროლოდაა მიტოვებული.

გალის რაიონში ლტოლვილების დაბრუნებასთან და უსაფრთხოების გარანტიებთან დაკავშირებით, განცხადება გააკეთა აფხაზეთის პრეზიდენტის თანაშემწემ ასტამურ ტანიამ, — აფხაზეთის ხელმძღვანელობა თანახმაა, კონფლიქტის ზონაში გაეროს კონსულტანტების ჩასვლისა. ისინი დაეხმარებიან გალის რაიონის მილიციას და ზუგდიდის რაიონის პოლიციას, რეგიონში ლტოლვილების უსაფრთხოდ დაბრუნებაში. „კონსულტანტი — 20 კაცზე მეტი არ იქნება, — თქვა მან და დასძინა, — ლაპარაკიც არ არის გაეროს პოლიციის ან რომელიმე საერთაშორისო პოლიტიკური ძალების მოზიდვაზე“.

აფხაზეთის მთავრობის აზრით, გაეროს სპეციალისტების გამოცდილება სარგებლობას მოუტანს რეგიონს, რადგან რუსი სამშვიდობოების მანდატი არ ითვალისწინებს პოლიციური ფუნქციების შესრულებას.

***იზვესტია. რუ***

# ოსი „სამხრეებიანი მაქციები“

## სამხრეთ ოსეთის ძალოვან სტრუქტურებში მიმდინარე საკადრო წმენდამ შეიძლება გამოიწვიოს აუღიარებელი რესპუბლიკის სტატუსის შეცვლა



ქართული მედიით გავრცელებული და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის მიერ დამოწმებული ცნობით, სამხრეთ ოსეთის ძალოვან სტრუქტურებში საკადრო წმენდა ბათქაბუთქით მიმდინარეობდა. ოსური მხარე ამ ფაქტს უარყოფს. პრეზიდენტ კოკოითის აპარატში კი განაცხადეს, — ჩვეულებრივი საკადრო ცვლილებები მოხდაო. ეტყობა, იქ „ჩვეულებრივ ცვლილებებში“ იგულისხმება ძალოვანი სტრუქტურების თითქმის ყველა ხელმძღვანელის თანამდებობიდან განთავისუფლება და დაპატიმრება.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის ჯემალ გახოკიძის ცნობით, „თანამდებობიდან გადაყენებულ პირებს დანაშაულში ჰქონდათ ხელი გარეული — აკონტროლებდნენ კონტრაბანდას, იარაღით ვაჭრობას, ხელმძღვანელობდნენ ხალხისა და ავტომობილების გატაცებას“.

„სეპარატისტულ რესპუბლიკაში მიმდინარე ჯანსაღ პროცესებზე“ საუბრობს შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილიც. იგი ამართლებს კოკოითის ნაბიჯს, რადგან სამხრეთ ოსეთში კრიმინალური მდგომარეობა საგანგაშოდ მიაჩნია. დანაშაულობებში ძალოვანი სტრუქტურების პირველი პირებიც მონაწილეობდნენ, — ამბობს ქართველი მინისტრი, — კერძოდ, ლაპარაკია ე.წ. „თედეევების კლანზე“. ვალერი თედეევი სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრი იყო, ალან თედეევი — უშიშროების საბჭოს მდივანი. ნარჩემაშვილი ირწმუნება, რომ თედეევებს ქართველ კრიმინალებთან ჰქონდათ კავშირი და ბევრ ბოროტმოქმედებაში იყვნენ გარეულნი.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონა ზედმეტ პრობლემებს უქმნის ქართველ სამართალდამცავებს. აქ იყრიდა თავს მოპარული ავტომანქანების 80%, აქ იმალებოდნენ კრიმინალური ელემენტები, აქედან შედიოდა ნარკოტიკები საქართველოში. კრიმინოგენული სიტუაციის გაკონტროლება ამ რეგიონში საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს დამოუკიდებლად არ შეეძლოთ, ხოლო ოს კოლეგებთან კონტაქტის დამყარებაში ხელს უშლიდნენ ცხინვალის ოფიციალური პირები. ნარჩემაშვილი არც იმას გამორიცხავს, რომ პანკისის ხეობაში ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციების შემდეგ კრიმინალების და „ბოევიკების“ ნაწილმა სამხრეთ ოსეთს შეაფარეს თავი. იგი დარწმუნებულია, რომ საკადრო წმენდის შემდეგ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს სამხრეთ ოსეთის კოლეგებთან თანამშრომლობა გაუადვილდებათ.

თბილისში არავინ ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს საქართველოს პოლიტიკურ სიტუაციაზე ოსეთში მიმდინარე პროცესები. სანამ კოკოითი არ შეარჩევს მთავრობის ახალ შემადგენლობას, ვერავინ განსაზღვრავს, საით გადაიხრება პოლიტიკური ვექტორი.

სამხრეთ ოსეთი საქართველოს დე იურე ავტონომიას წარმოადგენს, დე ფაქტო ის დამოუკიდებელი რესპუბლიკაა. ოსურ მხარეს ჯერჯერობით, საქართველოს შემადგენლობაში თავის პოლიტიკურ სტატუსზე ლაპარაკიც არ უნდა. ცხინვალში თვითაღიარებული რესპუბლიკის მომავალს სუვერენიტეტის შენარჩუნებაში ან ჩრდილო ოსეთთან გაერთიანებაში ხედავენ.

პარასკევს, ნალჩიკში, პრესკონფერენციაზე, აუღიარებელი რესპუბლიკის ლიდერმა ედუარდ კოკოითმა, საქვეყნოდ განაცხადა, — სამხრეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში აპირებს შესვლასო: „მე, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, თხოვნით მივმართე რფ-ის პრეზიდენტს, მიგვიღოს რუსეთის შემადგენლობაში. სამხრეთ კავკასიასა და მთელ კავკასიაში მშვიდობის გარანტი ხომ მხოლოდ რუსეთი შეიძლება იყოს“, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

საქართველოს ხელისუფლებამ სკეპტიკურად მიიღო ეს განცხადება. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა კახა სიხარულიძემ კოკოითის ამ გეგმას არასერიოზული უწოდა, — ეს სავსებით ეწინააღმდეგება რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებსო.

***ნეზავისიმაია გაზეტა №132***

# საქართველოს არმიას ფული უნდა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განგაშის ზარები შემოჰკრა. ქვეყნის სამხედრო უწყება მწვავე პრობლემის წინაშე დადგა: იარაღი და ჩასაცმელიც აქვს, ჯარისკაცებიც საკმარისად ჰყავს, მაგრამ აკლია მთავარი — ფული... სამხედროები პროგრამებისა და პროექტების ჩავარდნაზე ალაპარაკდნენ. თავდაცვის მინისტრის აპარატის უფროსმა ალექსანდრე მჭედლიშვილმა განაცხადა, — საქართველოს ფინანსთა მინისტრი ბიუჯეტის დეფიციტის გამო უარს ამბობს თავდაცვის სამინისტროსთვის 12,6 მლნ ლარის გადარიცხვაზეო. „ქვეყნის უშიშროება საშიშროების წინაშეა“, — თქვა მჭედლიშვილმა და შექმნილ სიტუაციაში ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი დაადანაშაულა. საერთოდ, ქართველ მხედართმთავრებს არაერთხელ დაუყენებიათ ჯარის დაფინანსების საკითხი და მოითხოვდნენ 2004 წლისათვის დაფინანსების 150 მლნ ლარამდე გაზრდას, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამ ფულს ისინი ვერ ეღირსებიან. ერთადერთ იმედად ამერიკის კონგრესი რჩება.

ივნისის დასაწყისში ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, — ამერიკელები სამხედრო საჭიროებისათვის საქართველოს ყოველწლიურად გამოუყოფენ 77 მლნ დოლარს, რადგან საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლება, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის ინტერესებში შედისო. რასაკვირველია, ამერიკელები მკაცრად გააკონტროლებენ, თუ რას ხმარდება მათი დოლარები. ასე რომ, თბილისი თავისუფლად მაინც ვერ დახარჯავს ფულს. ვაშინგტონში კარგად იცნობენ იმ ინსტრუქტორების სავალალო გამოცდილებას, რომლებიც საქართველოს სპეცრაზმელებს წვრთნიდნენ. მათ მეთაურს არაერთხელ დაუწუწუნია, რომ ყოველ წუთს უწევდა თვალყურის დევნება, რათა სწავლებისათვის განკუთვნილი ინვენტარი და მოსწავლეთა კომუფლიაჟი „განზე“ არ წასულიყო.

***პრავდა. რუ***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაწაწინები ბრძნობენ

აღდგომის დღეს **2 წლის ანა ჩერქეზიშვილი** ტირილით მოდის.

— ყველა ბავშვის კვერცხი გატყდა და ჩემი არაო.

* * *

**5 წლის მარი ბერიაშვილი** თავის ფეხმძიმე დედიკოს სთხოვს, პირი გააღოს. სურვილის შესრულების შემდეგ აცოცდა დედას კალთაზე და პირში ჩასძახა: — ბიჭო, გესმის? ეს მე ვარ, შენი ხუჭუჭა დაიკო.

* * *

**პატარა გიორგი მუზაშვილს** დედა ზღაპარს უკითხავს.

— ცა მოიწმინდა! — ამბობს დედა.

— ლოგოლ მოწმინდეს, ნაჭლით? — ეკითხება გიორგი.

* * *

**4 წლის აჩი მახარაშვილი** შინ აგურის ნატეხს მიათრევს.

— რად გინდა? — ეკითხება დედა.

— კედელზე „კმარა“ უნდა დაგიწერო!

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „გარეგნობით პარაშუტს ჰგავს, იშლება და იხურება, ხან სიცხეში, ხან წვიმაში თავზე გადმოგვეხურება.“

III



## იპოვე 10 განსხვავება



## I ანა, გამოიცანი

**1) კავკასიონის რომელ მწვერვალს უწოდებენ „ხევის პატარძალს“?**

ა) იალბუზს; ბ) მყინვარწვერს; გ) შხარას; დ) უშბას.

**2) ვინ არის ფილმების „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ და „ნატვრის ხის“ დამდგმელი რეჟისორი?**

ა) რეზო ჩხეიძე; ბ) თენგიზ აბულაძე; გ) მერაბ კოკოჩაშვილი; დ) ოთარ იოსელიანი.

**3) რა საქმიანობას ეწეოდა აბელი?**

ა) მეცხოველეობას; ბ) მიწათმოქმედებას; გ) მეჭურჭლეობას; დ) ვაჭრობას.

**4) რომელ ქვეყანაშია კემბრიჯის უნივერსიტეტი?**

ა) აშშ-ში; ბ) ავსტრალიაში; გ) საფრანგეთში; დ) ინგლისში.

**5) ვინ უმღერის კახურ ღვინოს ქართულ ოპერაში?**

ა) ცანგალა; ბ) ცისკარა; გ) მურმანი; დ) მალხაზი.

**6) რომელ წელს იყო დიდგორის ბრძოლა?**

ა) 1102წ; ბ) 1121წ; გ) 1141წ; დ) 1221წ.

ზღაპარი

## უქნარა შვილი

**ხალხური**

იყო და არა იყო რა. იყო ერთი კაცი, რომელსაც მეტად ზარმაცი და უქნარა შვილი ჰყავდა. სანამ ძალა მოსდევდა, არჩენდა შვილს, არაფერს აკლებდა, მაგრამ ბოლოს მოხუცდა და ოჯახის შენახვა გაუჭირდა. იფიქრა, ბიჭი თავისი უქნარობით დაიღუპებაო, დაუძახა ერთ დღეს და გამოსაცდელად უთხრა: — მე საცაა მოვკვდები და ჩემი ქონება სხვას უნდა დავუტოვო, რადგან შენ სულერთია ვერ მოიხმარ, უქნარობით გაანიავებ. მუშაობა გეზარება, სულ მცირეოდენი ფულის შოვნაც კი არ შეგიძლიაო.

— რატომ არ შემიძლიაო, — იწყინა ბიჭმა.

— თუ შეგიძლია, წადი, შენი ნაშოვნი ფული მოიტანე და ქონებასაც მაშინ დაგიტოვებო.

ბიჭი ხომ არაფრის გამკეთებელი იყო და გადაწყვიტა, ქონება ეშმაკობით ჩაეგდო ხელში. სახლში ჩუმად აიღო მამის ფული, წავიდა, ქუჩა-ქუჩა უქმად იხეტიალა, საღამოს დაბრუნდა შინ, მამას მისივე ფული მოუტანა და უთხრა:

— გადავყევი მაგის შოვნასო.

მამამ შვილის მოტანილი ფული დაყნოსა, გადააბრუნ-გადმოაბრუნა და ბუხარში შეუძახა.

— ეს შენი ნაშოვნი არააო! — უთხრა შვილს. ბიჭმა გაიცინა და გაეცალა. მეორე დღეს ისევ ჩუმად აიღო მამის ფული. ქუჩა-ქუჩა უქმად იხეტიალა, საღამოს კი იმდენი ირბინა, გაოფლიანდა, შევარდა მამასთან და უთხრა:

— ხომ ხედავ, როგორი გაოფლილი მაქვს შუბლი, ძლივს ვიშოვე ეს ფულიო.

მამამ შვილის მოტანილი ფული დაყნოსა, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ბუხარში შეუძახა და უთხრა:

— მატყუებ, ეს შენი ნაშოვნი არააო!

ბიჭმა გაიცინა და გაეცალა. იგი მიხვდა, რომ საქმე წახდა, მამა ჭკვიანი კაცი იყო და ვერ მოატყუებდა. ამიტომ გადაწყვიტა, მართლა საკუთარი ოფლით და შრომით ეშოვა ფული. მთელი კვირა იმუშავა, ზოგს რა გადაუზიდა, ზოგს რა გაუკეთა, მოაგროვა ცოტაოდენი ფული და მიუტანა მამას. მამამ შვილის მოტანილი ფული დაყნოსა, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ბუხარში შეუძახა და უთხრა:

— არა, ეს შენი ნაშოვნი არააო!

ახლა კი გადაირია ბიჭი, ორივე ხელით ეცა ბუხარში შეგდებულ ფულს, გამოიტანა და იყვირა:

— რა ჰქენი, მამაჩემო, მაგის შოვნას მე ერთი კვირა გადავყევი და შენ ცეცხლში ყრიო!

მამამ უთხრა:

— ახლა კი მჯერა, შვილო, შენი. მაგ ფულზე ისე დაგეწვა გული, ნამდვილად შენი შრომითაა ნაშოვნი. ასეა, ფულის შოვნა ძნელია, იმუშავებ, გექნება და იცხოვრებ, არ იმუშავებ და შიმშილით ამოგძვრება სულიო.

ამის შემდეგ მამამ დაუტოვა შვილს ქონება, ხოლო თვითონ მშვიდად გაემგზავრა იქ, საიდანაც უკან აღარ ბრუნდებიან.



მიიყვანე თამთა და ნიკა საჩუქრებთან



II რომელი საგანია სურათზე ზედმეტი

## IV გამოცანები

1) მირბის, მიქროლავს უჩინრად,
მიჰკივის, როგორც მთვრალია,
კლდეებზე დადის უვნებლად,
ვერ შეაყენებს წყალია.
იმისი წესი ეს არის,
მიხვედრა თქვენი ვალია.

* * *

2) ხან მრისხანეა და ხანაც მშვიდი,
არ გაიდება იმაზე ხიდი.

## ანდაზები

- **კაცს კაცი უნდა გერქვას, თორემ ულვაში კატასაც აქვსო.**
- **ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ღირს მკვეხარა.**
- **ჭკვიანი თავის თვალს უჯერებს და არა ჭორსაო.**
- **თუ მეფეს სძინავს, ქვეყანა ვერ დაიძინებს შვებითაო.**

## არწივის ბრძანება №1

სულით, ხორცით და ბუმბულით
პოეტი იყო ბულბული.
გადაეკიდა წეროო,
ლექსი მე უნდა ვწეროო.
ეს რომ გაიგო ვარდმაო,
გადაიყოლა დარდმაო.
ეს რომ შეიტყო არწივმა,
თვალთაგან რისხვა აწვიმა.
ბრძანა: — მომგვარეთ სულელი,
ვარდს დაუბრუნოს სურნელი,
თან გადაეცით წეროსა,
არც წეროს, არც იმღეროსა,
თორემ ფრთასა და ბუმბულსა
გავაცლი ღერო-ღეროსა,
წერომ ბაყაყებს მიხედოს,
ლექსი ბულბულმა წეროსა.

**ნოდარ დუმბაძე**

| ბრიყვი, გაუზრდელი | ნოტი | სადამ ჰუსეინის სამშობლო | „...-ჭამა დიდად შესარგი“ (რუსთ) | ხმელი ბალახი | ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი | ... სხვის ომში ბრძენიაო (ანდ.) |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერქნიანი მცენარე | სპექტაკლის პირველი წარმოდგენა | ბედი, იღბალი | მამალი თხა | ფუტკრის სახლი | ძლიერი წყრომა, აღშფოთება | |



ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# მამულ-დედული

## ზაფხული ძალაშია!..



მართალია, გაზაფხულმა ისე „ჩაგვიქროლა“, რომ მისი დადგომა-დამთავრება მხოლოდ კალენდრით დავადგინეთ, მაგრამ ზაფხული მაინც დადგა. ხან პაპანაქება სიცხით და ხან სიცივით, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, გვალვებით, ცვალებადი მოღრუბლულობით, ხილით, ბოსტნეულ-ბაღჩეულით და ათასგვარი მავნე მწერით. კიდევ კარგი, რომ მწერების განადგურებაში ფრინველები გვეხმარებიან, თორემ რა გვეშველებოდა... კომუნისტების დროს, უბან-უბან დადიოდნენ სანეპიდსადგურის თანამშრომლები და მწერებს, მღრღნელებს, ქვეწარმავლებს ებრძოდნენ. ამგვარად რომ დღევანდელი მთავრობა კორუფციას ებრძოდეს, ანგელოზებად იქცეოდნენ ქურდები და ათასგვარი ორფეხა სისხლისმწოვლები. მახსოვს, 60-იან წლებში სანეპიდსადგურის თანამშრომლებმა ჩვენს ეზოში გადმოიხედეს და მამაჩემს, ენაკვიმატ, იუმორით სავსე კაცს შეეკითხნენ: — ბატონო იოსებ, კოლოები ან თაგვები ხომ არ გაწუხებენო. მამაჩემი „არ დაიბნა“ და ღიმილით მოახსენა: — თქვენს ზურგს უკან რომ შენობა დგას, მანდ კგბ-ს და მვდ-ს თანამშრომლები ცხოვრობენ, მათი შიშით აქ ვერც კოლო გაბედავს მოსვლას და ვერც თაგვიო. არადა, მაინც ბედავდნენ ჩვენს უბანში მოსვლას, ერთნიც და მეორენიც.

ზემოთ ფრინველები ვახსენე, როგორც მწერების გამანადგურებელი სანიტრები და მინდა ყველამ იცოდეს, რომ ნამგალა, რომელიც მხოლოდ მფრინავი მწერებით იკვებება, მთელი ზაფხულის პერიოდში იმდენ მწერს იჭერს, ერთრიგად რომ განალაგო, 1 კმ-მდე გაიჭიმება.

ნამგალებს განუვითარებელი, სუსტი ფეხები აქვთ, რომლითაც ვერ დადიან. ალბათ ამან განაპირობა, რომ იგი ბუდეს იკეთებს კლდის ნაპრალებში, ფლატეების სოროებში, სახლის კედლებზე, სახურავის ქვეშ, ხის ფუღუროში, რომ სიმაღლიდან პირდაპირ გაფრინდნენ. ნამგალები ფრენისას ჯვარდებიან, აგროვებენ მასალას ბუდისთვის, იკვებებიან. საკვირველი ის არის, რომ ყოველ ზემოჩამოთვლილ საქმიანობას 100-200 კმ/საათი სისწრაფით ფრენისას ასრულებენ.

ადამიანისათვის არანაკლებ სასარგებლოა კუდმაკრატელა მერცხალი. იგი გავრცელებულია მთელ დედამიწაზე, არქტიკისა და ანტარქტიდის გარდა. ცნობილია მისი 79 სახეობა, რომელთაგან საქართველოში 5 სახეობა ბუდობს: ქალაქის, სოფლის, მენაპირე, მთის და წელწითურა. ეს დაუღალავი ფრთოსანი მთელი დღე დაფრინავს, ჰაერში იჭერს მწერებს, რომლებითაც ბარტყებსაც კვებავს. მერცხალი 15-25 გრამს იწონის.

მერცხლები განსაკუთრებით საყვარლები არიან, როცა შეუღლების წინ ერთმანეთს ეჭიკჭიკებიან...

### ასე ვებრძოლოთ კოლოებს

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ფრინველები (რაც არ უნდა იყოჩაღონ), ყველა მწერს მაინც ვერ დაიჭერენ, ამიტომ ჩვენ უნდა მოვიფიქროთ რაიმე. ასე მაგალითად, კოლოების საწინააღმდეგოდ აიღეთ:

1. ევკალიპტის ზეთი (აფთიაქში იყიდება) — 25 გ.
2. სპირტი — 200 გ.
3. გლიცერინი — 200 გ.

გახსენით ევკალიპტის ზეთი სპირტში, შემდეგ მიუმატეთ გლიცერინი. ეს ნაზავი წაისვით შიშველ ადგილებზე, სახეზე, ხელებზე და ა.შ. კოლო სათოფეზეც არ გაგეკარებათ!

## მისი უდიდებულესობა — პური



პური დედამიწის მცხოვრებთა დაახლოებით მესამედის ძირითადი საკვებია. ეს ღვთისგან ნაწყალობევი მარცვლეული კულტურა შეიცავს 11-20% ცილებს, 60-64% სახამებელს, 2%-მდე ცხიმს, მინერალურ ნივთიერებებს, B და PP ჯგუფის ვიტამინებს და კიდევ იმის იმედს, რომ თუ იგი საკმარისად გვექნება, შიმშილს მოვერევით...

ხორბლის გავრცელების არეალი ყველა კონტინენტს მოიცავს. საქართველოში აღწერილია ხორბლის 150-ზე მეტი სახესხვაობა და ჯიში, რომელთაგან ძირითად ჯიშებად ითვლება: დოლის პური, დედა, აისი, დიკა, „უფხო-1“ და სხვა. ჩვენთან ხორბალი დედოფლისწყაროს, სიღნაღის, ყვარლის, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, გორის, ქარელის, ხაშურის, საჩხერის, ახალციხის, კასპის, ახალქალაქის, თეთრიწყაროს და მარნეულის რაიონებში ითესება.

ომისა და მის შემდგომ პერიოდში, 50-იან წლებამდე, თბილისის შემოგარენშიც ითესებოდა ხორბალი. გუშინდელივით მახსოვს დღევანდელ საბურთალოს სასაფლაოსა და დელისის მიდამოებში მოლივლივე ყანები და ის ბედნიერი დღეები, მკის დამთავრების შემდეგ რომ ვაგროვებდით ბავშვები ნამკალში თავთავს, როგორ ღერღავდა ცხონებული დედაჩემი ჩვენს „ნადავლს“ ნათხოვარი ხელსაფქვავით და აცხობდა თონეში უგემრიელეს, მართლაც დედას პურებს. ჩემი თაობის ხალხს ბევრი საშინელება გვახსოვს შიმშილთან დაკავშირებით და ალბათ ამის გამო იყო, რომ უკვე ორი შვილის მამას კინაღამ გული გამისკდა, როცა დავინახე სკოლის ეზოში ფუნთუშით „მობურთალი“ ბავშვები. ნუთუ აუცილებელია წლობით აშიმშილო ადამიანი, რომ პურის ფასი იცოდეს?!

არ ვაპირებ ხორბლის თესვა-მოყვანის რეკომენდაცია მოგცეთ, იმას კი გულწრფელად გეტყვით: ნუ გადააგდებთ ძველ პურს, ის ხომ უძვირფასესი პროდუქტია... გააჩერეთ ცოტა ხანს ორთქლზე და ისევ ისეთი ფუნჩულა გახდება, როგორიც წინა დღით იყო. თუ არა და, კუჭ-ნაწლავითა და ნაღვლის ბუშტის ანთებით (ქოლეცისტიტით) დაავადებულთათვის წინა დღით გამომცხვარი პურია რეკომენდებული. იმასაც გეტყვით, რომ ძველი პურით მშვენიერი „ყიყლიყო“ კეთდება. ძველი თონის პურისგან ქართლსა და კახეთში დღესაც აკეთებენ გემრიელ „პურის ხარჩოს“, რასაც ცხიმში მოხრაკული ხახვი, მწვანილი, მარილი, წყალი და ძველი პურის ნატეხები სჭირდება.

## ბურახის მომზადება ჩვენც შეგვიძლია...

ამ პაპანაქება სიცხეში, როცა ყოველ წუთში ვიღაცის ნაცოდვილარი უალკოჰოლო სასმლისკენ გაგვირბის თვალი, მშვენიერი პურის ბურახის მომზადებაც შეიძლება. ბურახი მხოლოდ წყურვილის მოკვლას კი არა, ჩვენს ჯანმრთელობასაც ემსახურება. იცით რატომ? — დუღილის შედეგად მასში წარმოიქმნება სასარგებლო მიკროელემენტები. ავსტრიელი მეცნიერების აზრით, ბურახში არსებული ბაქტერიები სწრაფად „უმკლავდებიან“ სოკოს. სოკოს საწინააღმდეგო მოქმედება გააჩნიათ იმ მიკროორგანიზმებს, რომლებიც მხოლოდ პურის ბურახის მჟავე არეში მრავლდებიან.

ჩვენც ავდგეთ და მოვამზადოთ ეს სასიამოვნო სასმელი, რისთვისაც დაგვჭირდება: შავი პური (უმჯობესია ჭვავის) — 1 კგ; საფუარი — 25 გრამი; შაქარი — 200 გრამი; ქიშმიში — 50 გრამი; პიტნა — 20 გრამი.

პური დავჭრათ თხელ ნაჭრებად და გავახმოთ ნელთბილ ჰაერღუმელში, ჩავყაროთ თიხის ქილაში, პატარა კასრში ან ემალის დიდ ქვაბში. დავასხათ 10 ლ მდუღარე წყალი, დავახუროთ ხუფი, დავაყოვნოთ 3-4 საათს. შემდეგ გადავწუროთ და ჩავამატოთ შაქარი, საფუარი და პიტნის ფოთლები, შევახვიოთ თბილად და 5-6 საათი ვაცალოთ დადუღება. როდესაც აქაფებას დაიწყებს, კიდევ გადავწუროთ და ჩავასხათ ბოთლებში, რომელშიც ჩაყრილია ქიშმიში. ბოთლებს თავი დავუცოთ, ზედ გადავაფინოთ სქელი პოლიეთილენის ნაჭრები და მაგრად მოვუჭიროთ კანაფი. ბოთლები დაწოლილ მდგომარეობაში დავაწყოთ გრილ სარდაფში, შეიძლება მაცივრის ქვედა თაროზეც. 3-4 დღის შემდეგ შეგიძლიათ მიირთვათ.

## ერთი სვეტი მკითხველის შეკითხვებისთვის

**— ჩემს ბაღს ზღარბი შემოეჩვია. ამ ცოტა ხნის წინ პატარა ზღარბუნებიც შევნიშნე. დედას სულ სირბილ-სირბილით მისდევდნენ. თანაც ხუთნი იყვნენ. შემეშინდა, ესენი რომ გაიზრდებიან, ვაითუ ჩემს ბაღს ზიანი მიაყენონ-მეთქი. თუმცა, გამიგია, ზღარბი ძალზე სასარგებლო ცხოველიაო (ხომ ცხოველია? — თ.შ.).**

**მაინტერესებს თქვენი აზრი ამის შესახებ. იქნებ „მამულ-დედულის“ გვერდში მოგვეთხროთ მოკლედ მაინც ზღარბებზე.**

***თამაზ შოშიტაშვილი, გორის რაიონი, სოფელი ქსუისი.***

## ჩვენში ზღარბიც კი ევროპელია



— სიამოვნებით ვპასუხობთ ჩვენი მკითხველის შეკითხვას და მინდა განგიმარტოთ, რომ ზღარბი მართლაც ცხოველია. იგი გავრცელებულია ევროპაში, აზიის ზომიერ სარტყელში, ინდოეთსა და აფრიკაში. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დადგენილია 3 სახეობის ზღარბი. საქართველოში გვხვდება მხოლოდ ერთი სახეობა — ჩვეულებრივი, ანუ ევროპული ზღარბი. ეს კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ქართველები თავიანთი ზღარბებით, მაჩვებით და კუებით ევროპელები არიან.

ზღარბები ე. წ. საბუდარს იკეთებენ ხეების ფესვებს შორის, ფოთლების გროვაში, ხან პირდაპირ გაუვალ ბუჩქნარში და ა.შ. იშვიათად, მაგრამ თხრის სოროსაც.

წელიწადში ერთხელ შობს 3-6 შვილს, რომლებიც „ქოჩრების“ გარეშე არც ისე „ჩასაყლაპები“ არიან. ნაშიერები ორ თვეს ან ცოტა მეტხანს დედასთან არიან, შემდეგ კი იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას.

ზღარბები იკვებებიან ყველანაირი წვრილი ცხოველით, დაწყებული მწერებით, ლოკოკინებით, ჭუპრებით, მატლებით, ბაყაყებით, თაგვებით, ხვლიკებით და დამთავრებული ყველა სახის გველით. ამიტომ ზღარბი ბაღის ერთგულ მეგობრად ითვლება. არ იწუნებს გარეულ ხილსა და კენკრას.

საინტერესოა ზღარბის ნადირობა ხვლიკებსა და გველებზე. ხვლიკზე ნადირობისას, მიეპარება გვერდიდან ან უკნიდან და ელვის სისწრაფით ესხმის თავს. ჭამს ყოველგვარი ნარჩენის გარეშე. უფრო საინტერესოა გველზე ნადირობის სცენა. მიუახლოვდება ფრთხილად, გამოსცემს ფრუტუნის ხმას, ხტუნავს, აშინებს და როცა შეშინებული გველი გასრიალდება, ზღარბი კბილებით კუდში ჩააფრინდება და იწყებს ჭამას. გველისა და სხვა ცხოველების შხამის მიმართ ზღარბები ნაკლებად მგრძნობიარენი არიან.

## არიქა, წყალი და თოხი!

გვალვიან და ქარიან ზაფხულში წყალი და თოხი თუ არ მივაშველეთ ყველანაირ ნარგაობას, ცუდად წაგვივა საქმე. ჯერ კარგად უნდა მოირწყას, მერე კი შეშრობისთანავე გაუფხვიერდეს მიწა. სინესტის შესანარჩუნებლად და იმისათვის, რომ ნიადაგი არ დასკდეს, ხეებს და ბუჩქებს ძირში ირგვლივ დაუყარეთ ახალმოთოხნილი ბალახი, ფოთლები...

დიდი ხანია ვენახმა იყვავილა და „ხრიალის“ პერიოდმაც გაიარა. ხრიალი ყვავილობის შემდგომი ეტაპია, როცა მარცვალი ახალგამონასკვილია და ადვილად სცვივა. ამ დროს ჯობია, რომ ვაზს ხელი არ ახლოს პატრონმა. ამ ფაზაში უთქვამს ვაზს: — ნეტავ, ჩემი პატრონი ცოტა ხანს ავად გახდეს, რომ ხელი არ შემიშალოს ყვავილობაშიო. როგორც კი მარცვალი ოდნავ დამსხვილდება, აუცილებელია ნამხარის (ფოთლის იღლიებში ამოზრდილი ყლორტი) და ზედმეტი (შტამბზე ამონაყრები, უნაყოფო, გამოუსადეგარი და ტყუპისცალი) ყლორტების შეცლა და საჭიროების მიხედვით შეწამვლა. კარგია მცენარეების გამოკვება წუნწუხით, კვირტით მყნობა, სარეველების მოცილება, პომიდვრის სარზე აკვრა და ამონაყრების (ფოთლის იღლიებში) მოცილება. არ დაგავიწყდეთ ბლის და ალუბლის მოკრეფა! მართალია ორ ვედრო ბალში შეიძლება დაახლოებით ნახევარი ვედრო მატლი იყოს, მაგრამ ეგ არაფერი. ნუ გასინჯავთ, პირდაპირ მიირთვით თავის „მდგმურებიანად“ — არ გაწყენთ. ჩინელები, კორეელები და ვიეტნამელები ტყე-ღრეში ეძებენ მატლებს და ნატურალური სახით მიირთმევენ...

## მკითხველის ფოტო



– როცა ჩვენი დედიკოები საქმეს აკეთებენ...

## მხიარულ ტალღაზე



***— ვანო, აბა, გადმოდი ჩემს ეზოში, შენ ძაღლსა ჩემი კრუხითვინ მთელი კვერცხები სულ ამოუჭამია, რა ეშველება ახლა ამასა?! — ეძახის მარო მეზობელს.***

***— არა მგონი, რო აწყინოი, აწყენს და მაგი პატრონის დედაცა!.. — არხეინად უპასუხა ვანომ.***

## მოზაიკა

აკვარიუმის ოქროს თევზები სულ მალე გამოვლენ მოდიდან(!). ასე ფიქრობენ იაპონურ ფირმა „ტაკარაში“, სადაც ცოცხალი თევზების მაგიერ ე.წ. „აკვაროზოტებს“ გვთავაზობენ.

ხელოვნური თევზები ზუსტად ისე ხტიან და ცურავენ წყალში, როგორც ნამდვილები, თანაც არც ჭამა უნდათ და არც წყლის გამოცვლა!

***

ყველაზე ძვირფასი ძვალი სპილოსი კი არ არის, ზეჰემოთის ეშვებია.

***

ზანანის ხე იზრდება მხოლოდ იქ, სადაც ძალიან ცხელა და ხშირი წვიმებია. ცხელ ქვეყნებში არა მარტო სიამოვნებით მიირთმევენ ამ სასარგებლო მცენარის ნაყოფს, არამედ მისი ფოთლებით სახლებსაც ხურავენ.

***გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ***

## რედაქციისაგან:

**ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.**

**გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).**

**წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.**

# „საბრალო დედაბრისასა“...

ზღაპარი დიდებისთვის



ბავშვობაში ხშირად დავყვებოდი ბიძაშვილებს დედულეთში და დღესასწაულს წააგავდა ჩემთვის რაჭის მაღალმთიან სოფელში სტუმრობა: შუაგულ ზაფხულშიც კი ისე ახლოს ჩანდა დათოვლილი მთები, მეგონა, თუ ეზოს უცებ გადავირბენდი, მერე თვალუწვდენელ თავდაღმართსაც ჩავირბენდი, აუცილებლად იმ დათოვლილი მთების ძირში მოვხვდებოდი. მერე, როგორც ზღაპრებშია, რა წამსაც მოვისურვებდი, მაშინვე დავბრუნდებოდი მზითა და ხასხასა, თბილი ფერებით სავსე ზაფხულში...

ალბათ ერთხელაც გავიპარებოდი და ნატვრას ავიხდენდი, მაგრამ უფროსებმა, ეტყობა თავი დაიზღვიეს, დამაშინეს: იმ მთის ძირში დედაბერი ცხოვრობს, რომელიც თავის ქოხში ალერსით და დაპირებებით შეგიტყუებს, დაგატყვევებს და შინ აღარ გამოგიშვებსო!..

ასე ჩამრჩა გულსა და გონებაში აუხდენელი სურვილი, დიდობაშიც, ვინ იცის, რამდენჯერ დამსიზმრებია უცნაური ველი, სადაც ერთმანეთში იყო არეული თოვლი და აჭრელებული ყვავილები, ციდან კი ცეკვა-ცეკვით და ტრიალით ეშვებოდნენ პეპლები და... ფიფქები!...

...დრო რომ ჩქარა გადის, ვინ არ იცის...

მეც ისე უცებ გავიზარდე, უკან მოხედვაც ვერ მოვასწარი — წითურთმიანი და ჭორფლიანი ცელქი გოგოსგან, ცოტა მოუხეშავ და კიდევ უფრო მორცხვ მოზარდად ვიქეცი, მოგვიანებით, მეოცნებე ახალგაზრდად და ახლა კარგა ხანია, „ქალბატონოთი“ მომმართავენ ახალი თაობები და თუმცა გარეგნულად ვიფერებ, გული სევდით მეწურება, არ მეთმობა წარსულისთვის ჩემი ბავშვობა და სიყმაწვილე.

...ბიძაშვილების დედულეთში, ადრიანი ზაფხულის პირს, ჩემი მონატრებული ბავშვობის სანახავად უფრო წავედი თითქოს, ძალიან მაინტერესებდა ისევ ისეთი ბუმბერაზები იყვნენ თუ არა მთები და ზაფხულის გვერდით ისევ კეკლუცობდა თუ არა თეთრყირმიზა ზამთარი...

...20 წელზე მეტი გასულიყო ჩემი ბოლო აქ ყოფნის შემდეგ და ხის ძველი სახლის მოჩუქურთმებულ აივანზე მდგომი ისევ გაოცებული ვუცქერდი თუმც აშკარად „დაპატარავებულ“, მაგრამ მაინც საოცრად ლამაზი მთების იდუმალ სილამაზეს... თითქმის არაფერი შეცვლილიყო და ისევ არ შემპარვია ეჭვი, რომ ეზოს იქით ჩავირბენდი თავდაღმართს და...

მეორე დილით ასეც ვაპირებდი, მაგრამ ჩემი „ასაკის შესაფერისად დაბრძენებულმა“ ბიძაშვილებმა მითხრეს, ის ქოხი ახლაც დგას და დედაბერიც ცოცხალია, ყველას უკვირს, როგორ გაძლო ამდენ ხანს მარტომ, მიუსაფარმა, ერთადერთი შვილის დამკარგავმაო...

...იმ ღამეს სულ დედაბერი მესიზმრებოდა, რომელიც თბილი ღიმილით და მზერით ქოხში მეპატიჟებოდა და მე არ მივყვებოდი, შორიდან ვეძახდი: ვერ მოგართვეს, ვერ დამიჭერ, მუხლმაგარი ვარ, განა შენა გგავარ, დაუძლურებულს-მეთქი?!..

დედაბერი ტიროდა: სიკვდილიც აღარ მეკარება... სიკვდილსაც დავავიწყდი, დავიღალე სიცოცხლით, დავიღალე ადამიანების ძებნით! — ბავშვებს განა იმიტომ ვიტაცებ, რომ რამე დავუშავო, სიყვარულში ვამყოფებ, ალერსში დავზრდი, დაიზრდებიან და რომ გავუშვებ, მთელ დედამიწაზე მიმოაბნევენო ჩემგან წაღებულ სიყვარულს!..

მეცოდებოდა დედაბერი და მაინც ვერ მივდიოდი მასთან, თანაც სიზმარში, ისევ წითურთმიანი და ჭორფლიანი გოგო ვიყავი, რატომღაც, გადატყავებული მუხლისთავებით და ბებერივით უკბილო პირით!

...სისხამ დილით გამეღვიძა და სიზმრიდან გამოყოლილმა განწყობილებამ ლამის განზრახულზე ხელი ამაღებინა, მაგრამ მერე საკუთარი თავის შემრცხვა... უხმაუროდ ავდექი და სპორტულად ჩავიცვი, ზურგჩანთაში იმდენი პური და ყველი ჩავიწყვე, თითქოს მართლაც ცხრა მთის და ცხრა ზღვის გადავლას ვაპირებდი. ბოთლით ცივი წყაროს წყალიც ჩავიდგი, ხელში თინა ბიცოლას კომბალი („რკინის ჯოხი“) დავიჭირე, პირჯვარი გადავიწერე და გზას დავადექი...

„თვალუწვდენელი“ დაღმართი არც ისე გრძელი აღმოჩნდა, როგორც მეგონა და არც დათოვლილი. მთის ძირი იწყებოდა მისი ბოლოდან, სამაგიეროდ... ტყეში პატარა სახურავჩაშავებული ქოხი იყო ჩადგმული. ქოხი, რომელიც შორიდან სისხლის ტბაში მცურავ ძველებურ გემად უფრო მოჩვენა... მონუსხულივით წავედი მისკენ და თუმცა შიშმა გულისცემა გამიორმაგა, უკან დაბრუნებას ვერასოდეს ვაპატიებდი თავს...

მერე კი... მერე მართლა ჯადოსნური ზღაპრის გმირი მეგონა თავი: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა... ამ ჩვენს დალოცვილ საქართველოში, აბა, სილამაზით ვის გააკვირვებ, მაგრამ ის კუთხე და ხალხი, სადაც ჩვენი გმირი მოხვდა, მართლაც ზღაპრულ სამოთხეს ჰგავდა... იარა, იარა მეოცნებე გოგომ და სანამ იმ საოცარ მხარეს მიაგნებდა, იმ „ქალაქზე“ გადაიარა, სახელად „ბავშვობა“ რომ ჰქვია... მერე დედაბრის სამფლობელოში მოხვდა, რომლის ძველი ქოხი სისხლის ტბაში ცურავდა... შეეშინდა გოგოს, უფროსების გაფრთხილებაც გაახსენდა: „შინ შეგიტყუებსო დედაბერი კეთილი სიტყვით“, მაგრამ მოჯადოებულივით მაინც წინ მიდიოდა, იმიტომ, რომ იმ ქოხის მიღმა სახლობდნენ მისი ბავშვობის ოცნებები, რომელთა გარეშეც ვერასოდეს იქნებოდა ბედნიერი!...

გოგომ თვალები დახუჭა და ასე თვალდახუჭულმა გააგრძელა გზა, თან გულში განუწყვეტლივ იმეორებდა: „უფალო იესო ქრისტევ, ძეო ღვთისაო, შემიბრალე მე ცოდვილი და არ მიმატოვო განსაცდელშიო!..“

...ზღაპარი რის ზღაპარია, თუ ბოროტზე კეთილმა არ იზეიმა?!.

უფალმა შეისმინა გოგოს ვედრება და ჰოი, საოცრებავ — როცა მან თვალი კვლავ გაახილა, ღმერთს სისხლის ტბა ხასხასა წითელ ვარდებად გადაექცია და საოცარი სურნელი იფრქვეოდა ირგვლივ...

გაოგნებულმა შეაბიჯა ბაღში და... ჭრიალით გაიღო ქოხის კარი, მოეჩვენა, რომ ასევე ძვლების ჭრიალით გამოვიდა პატარა, ჩია დედაბერი და ბებრულად მოჭუტული თვალებით მიაცქერდა: ვინა ხარ, რომ ვერა გცნობო?!

— სტუმარი ვარ, ბებია, აი, იმ ბილიკს ჩამოვყევი და თქვენს სახლთან მომიყვანა, ღმერთმა სიკეთე მოგცეთ! — თქვა გოგომ გაბზარული ხმით და იმ იმედით: თუ მართლა ავსულია, ღმერთის ხსენებაზე ძალას დაკარგავს და ვერაფერს დამაკლებსო!..

— ღმერთმა გიშველოს, მოდი, აივანზე ამობრძანდი, კარგად შეგათვალიეროო!.. — მიიპატიჟა დედაბერმა და თუმცა შინაგანი ხმა ჩასძახოდა: არ ენდო, თორემ ქოხში შეგიტყუებსო... — მაინც მონუსხულივით აუყვა ჩაშავებულ კიბეს და მოხუცს წინ დაუდგა, რატომღაც სასოწარკვეთილი ხმით უთხრა: აი, მოვედიო!..

— შინ შევიდეთ, ბუხარს დავანთებ, აქ მთაა, დილით სუსხი იცისო!..

...იქაც მსხვერპლად შეწირული ბატკანივით შეჰყვა დედაბერს და ცეცხლის დანთებაშიც შეეშველა, თან გაოცებული უცქერდა წიგნებში ამოკითხული გასული საუკუნეების სიღატაკეს: ხის ტახტი და ჭრელი ფარდაგი, ასევე ჭრელი მუთაქები და ლამპის გვერდით ჭრაქი... ხის უძველესი განჯინა და თიხის მათლაფები, სპილენძის ტაშტი და ჩაიდანი... ბუხრის თავზე ორი საოცრად ლამაზი ვაჟკაცის დროჟამისაგან გაყვითლებული სურათები...

— აი, მაგათ ველოდები... დამტოვეს და წავიდნენ: ოჯახი არ წაგვიქციო და გამართული დაგვახვედრეო! — ერთიც ცხრამეტი წლის იყო, მეორეც... აი ის, ოქროპირი — ჩემი ქმარია, მის გვერდით ჩემი შვილი — ჭაბუკა, დედა ენაცვალოს, დედისერთას!... ეს ვარდები იმან დამიტოვა, სიგიჟემდე უყვარდა, საიდან არ მოჰქონდა ნერგები, აგრონომიულზე სწავლობდა... მერე კი, ომში დაუძახეს და წავიდა — „მალე მოვალო!“.. დიდხანს ველოდი, არ დავიჯერე რომ... 14 წლისამ გავაჩინე 1922-ში, ახლა მე 95-ისა ვარ, ის 81-ისა იქნებოდა, ისიც ბერიკაცი... მოუკვდეს დედა! მხოლოდ ვარდები დარჩნენ ძველებურად ხასხასები და ნორჩები, გამრავლდნენ და გაიხარეს, ჩემი შვილის წილი სიხარული მიითვისეს!.. შვილიც არ დარჩა ჩემს ჭაბუკას, შვილიც!.. კიდევ კარგი, ის უბედური ჩემი კაცი არ მოესწრო გამწარებას... ფეხმძიმე დამტოვა 21-ში: „პარტია მეძახისო!..“ სად დაუძახეს, არ გამიმხილა — „საიდუმლოაო!“ — წავიდა და წავიდა, ისიც 19 წლის იყო, არც გაუგია ჭაბუკას დაბადება... მარტომ გავზარდე შვილი... ცხვარი მყავდა, ძროხა, უთვალავი ფრინველი და წვრილფეხობა. ჭაბუკას ქორწილი მეჩქარებოდა. ომმა წამართვა თვალისჩინი... ყველაფერი წამართვა და სიცოცხლე დამიტოვა, თავის მოკვლის უფლებაც წამართვეს: საიქიოში შვილს ველარ ნახავო!.. იქაც ჭაბუკას გარეშე ვერ გავძლებ?!.. — ატირდა დედაბერი. უცრემლოდ ატირდა, რადგან დამშრალი ჰქონდა ცრემლი. ხელი მოვხვიე გამხმარ, ხორცის გარეშე დარჩენილ ძვლებზე.

ბავშვივით მომეკრა მკერდზე და ახლაღა გავახსენდი თითქოს: ვინა ხარო?! — მკითხა, მაგრამ არ ვუპასუხე, ვიცოდი, არ მისმენდა და ისევ თავის ჭაბუკას და ოქროპირს დასტრიალებდა ფიქრით...

განჯინა გამოვაღე, რომ საგზლად წამოღებული პური და ყველი დამეტოვებინა. თაგვმა გაირბინა და უნებურად წამომცდა: „საბრალო დედაბრისასა...“

...წამოსვლა დავაპირე. მეგონა, ბუხართან ჩათვლემილი ვერც გაიგებდა, მაგრამ... ხმა დამაწია: ვარდების დიდი თაიგული შეკარი და თან გაიყოლე, ჩემს თავს და ჭაბუკას გაგახსენებს, ღმერთს შეავედრე ჩვენი სულები, ვიგრძნობთ და გაგვიხარდებაო!...

...გულში ჩაკრული მომქონდა ვარდები აღმართში. უსათნოეს მოხუცად შემოგებებული „დედაბერი“ ბავშვობაში დამრჩა...

„საბრალო დედაბრისასა!..“

— ნახეო მოხუცი, ევა?! — ვარდებს მიაპყრო თვალი ჩემმა ბიძაშვილმა.

...გადავეხვიე და... რატომღაც ავტირდი! არ გაჰკვირვებია, არც დავუმშვიდებივარ. თავადაც მოიწმინდა ცრემლი: „ასეთ ერთგულებას ქართველი ქალის გარდა ვერავინ შეძლებდა. 14 წლისა ქვრივი დარჩა, 33 წლისამ ერთადერთი შვილიც დაკარგა“...

...ყურადღება გამეფანტა და ძველი სახლის მოჩუქურთმებული აივნიდან სულ სხვა თვალით გავხედე დათოვლილ მთებს და მივხვდი... საბოლოოდ გავიზარდე!..

# — იქნებ ვიპოვო ჩემი შვილი, ვახტანგი ერქვა, ახლა 45-ისა იქნება



ბეგლარა ბაზრობის კოლორიტია და ყველა პატივს სცემს... ბაზრობის დირექტორმა ერთ-ერთი გაუქმებული საწყობის გასაღებიც მისცა: ღია ცის ქვეშ ზამთარს რა გადაგატანინებს, გაიყინებიო.

რკინის ძველი ქვაბისგან შეშის ღუმლის მსგავსი მოწყობილობა შეუკოწიწებია. ორი საწოლიც აქვს, ერთი ძველებური „ლეჟანკა“, ერთიც — ხის ტახტი, თავს იწონებს — „მე თავად შევკარიო“... მაგიდად და სკამებად პლასტმასის ყუთებს ხმარობს: „ადრე ხის ყუთებიც მქონდა, მაგრამ შემცივდა და დავწვიო!“ — იმართლებს თავს...

ადრე ბეგლარა მათხოვარი მეგონა, რადგან ხშირად დამინახავს, როგორ აძლევდნენ ვაჭრები წვრილ ფულს. ზოგიც საკვებ პროდუქტს უწყობდა ცელოფანის პარკში...

ნასვამი არასოდეს მინახავს, მაგრამ არც ის მახსოვს სიგარეტი არ სჭეროდეს ხელში, მგონი, არც აქრობს და ძილშიაც ეწევა... მორიდებულად დგას ან ზის ბაზრის ჭუჭყსა და ყაყანში, ზოგჯერ ისეთი ცივი მზერა აქვს, გეგონება ფეხზე მდგომი მომკვდარაო...

მეგობრების წრეში მყოფს გამახსენდა ბეგლარა: „რა უცნაური და საცოდავი კაცია-მეთქი!“ — და ძალიან გამიკვირდა პასუხად განაგონი: „ვინაა საწყალი და საცოდავი, ნახევარი ცხოვრება ციხეში აქვს გატარებული, ახლა დაბერდა და არაფრის თავი აქვს, სხეული რომ დაავიწყდა, მერე გაახსენდა სული, შენსავით ბევრს მოაჩვენაო მამა აბრამის ბატკნად თავი!..“

მას შემდეგ ველარ მოვიშორე აკვიატებული ფიქრი, რომ ბეგლარა საინტერესო რესპონდენტი შეიძლება ყოფილიყო. რამდენჯერ დავაპირე ახლოს მისვლა და ვერ გავბედე. სიმართლე გითხრათ, მეშინოდა კიდეც, რა ვიცოდი, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მის ცხოვრებაში „ქექვის“ მსურველებთან, მით უმეტეს, ჟურნალისტთან, რომელიც მთელ ქვეყანას მოჰფენდა გაგებულ ამბავს...

მეზობელი ვაჭრობს იმ ბაზრობაზე და როცა ჩემი სურვილი გავანდე: შევეცდები დაგეხმარო, ბეგლარასთვის ხშირად გამიმართავს ხელიო!... მეზობლისგან ისიც გავიგე, რომ ბეგლარა სულაც არ ყოფილა მათხოვარი. შიმშილით რომ მოკვდეს, მაინც არ გასწევს თურმე ხელს მოწყალების სათხოვნელად. ხელობა ეხერხება თურმე ყველანაირი და ვინც სთხოვს, ეხმარება. ზოგჯერ ბზისგან ჯვრებსაც თლის თურმე, ზოგჯერ დანებსაც აკეთებს, იაფად ყიდის და გააქვს როგორღაც თავი. ...ჩემდა გასაოცრად, ჟურნალისტთან საუბარზე არ უთქვამს უარი, „შინაც“ შემიპატიჟა, მაგრამ... ვერ დავფარე და სახეზე დამეწერა, ეტყობა, ჩემდა სამწუხაროდ, რაიმე ინფექციის აკიდების შიში, მხრები აიწურა: რა ვქნაო?! — და ისე გაწითლდა, 16 წლის ბიჭებს რომ სჩვევიათ დაბნევისას...

ბოდიში მოვუხადე: „თუ არ გეწყინებათ, კაფეში დაგპატიჟებთ, ცალკე კუპეში ვიქნებით, საუბარში ხელს არავინ შეგვიშლის-მეთქი!..“

დატუქსული ბავშვივით გამომყვა უკან, არადა, უცებ ვინანე პატარა ოთახში მასთან განმარტოება, ათ წუთში ისე გაიჟღინთა სივრცე იაფფასიანი „ასტრას“ თუ „პრიმას“ კვამლით, ხველებას არ დავეძებდი, კაცს ველარ ვხედავდი სქელ ნისლში და იძულებული გავხდი კარი ღრიჭოდ დამეტოვებინა... ჭამა არ ჰყვარებია ბეგლარას, ბეღურა გამახსენდა, ისე იკენკებოდა...

**— მითხრეს — „ნახევარი ცხოვრება ციხეში აქვსო გატარებული...“**

— ჰო, იყო... 72 წლის ვარ და 27 მაქვს საერთო ჯამში მოხდილი. მორწმუნე ვარ და ღმერთს არასოდეს ვეუბნები საყვედურს, არადა მიკვირს, რატომ აეწყო ჩემი ცხოვრება ასე — მე არასოდეს მიფიქრია ქურდობაზე, მამაც და ბიძებიც ჰიტლერის ომში დამეღუპნენ. მარტო დავრჩი 1944 წლიდან 14 წლის ბიჭი დედასთან და უმცროს დასთან ერთად. სოფელში გაგვიჭირდა ძალიან და 1946 წელს ქალაქში გადმოვსახლდით. დედას კერვა ეხერხებოდა და სამკერვალო არტელში (მაშინ ასე ერქვა) დაიწყო მუშაობა. თავიდან ბინად შორეულ ნათესავთან ვიყავით, ერთ პატარა, მიწურ ოთახში. 1949-ში ჩემს დას ჭლექი შეეყარა და პენიცილინთან ერთად, კარგი კვებაც დაუნიშნა ექიმმა. წამალი ძვირი იყო და არც იშოვებოდა. საჭმელიც არ გვქონდა. მიკვდებოდა და, 15 წლის ულამაზესი გოგო. მე უკვე ვმუშაობდი ქარხანაში, მაგრამ ხელობა არ მქონდა და დაბალ ხელფასს მაძლევდნენ. დის გამო მოვიპარე პირველად... მეზობლის სახლში შევედი, ვიცოდი, სად ინახავდა ფულს. თან მთლად კი არ წამომიღია, ნახევარი დავუტოვე. იმის დაბრუნებასაც ვაპირებდი, როცა შევძლებდი...

უცებ გამოილია ის ფული და ისევ შევედი მეზობელთან; არ გაუმხელია ორი კვირის წინ დაკარგული ფულის ამბავი და არიფობით მომივიდა, მეგონა, ვერ შეამჩნევდა, მაგრამ ღვინის ვაჭარი იყო, კაპიკს არავის არჩენდა და, ასე ადვილად მოტყუვდებოდა?!. დამიდარაჯდა და... პოლიციაც დამაყენა თავზე... 5 წელი მომისაჯეს 19 წლის ბიჭს. სასამართლოზე ვტიროდი, ბოდიშს ვიხდიდი: „მაპატიეთ, მეტს აღარ ვიზამ-მეთქი!“ — მეგონა შემიცოდებდნენ, ჩემი დის ავადმყოფობას რომ გაიგებდნენ, გამამართლებდნენ... ჩემი დაიკოს გარდაცვალება ციხეში გავიგე. დასაფლავებაზეც არ გამომიშვეს...

იქ ერთ ქურდს შევეცოდე, მიხვდა რა არიფიც ვიყავი და ჩემი „განათლება“ გადაწყვიტა: ციხეში მოხვედრილი კაცის ცხოვრება არაა ადვილი, ხვალაც რომ გაგიშვან აქედან, მაინც ნაციხარი გერქმევა და კეთროვანივით მოგერიდებიან. თეთრი ყვავი არავის უყვარსო! — ქუჩის და ქურდული სამყაროს ანაბანა მასწავლა, არადა, 1954 წელს მაინც იმ განწყობით გამოვედი ციხიდან, რომ აღარასოდეს მოვბრუნდებოდი უკან... დედა ავადმყოფი დამხვდა, დარდს მისი ფილტვებიც დაეღრღნა და ექვს თვეში ისიც დავასაფლავე დის გვერდით... მე კი მუშაობის დაწყება ვცადე. ძალიან გამიჭირდა, რომ გაიგებდნენ ნაციხარი ვიყავი, ყველა ცხვირწინ მიხურავდა კარს...

ისევ ჩემი ქურდი მფარველი დამეხმარა და ერთ ავტოსახელოსნოში მიაღებინა ჩემი თავი, მანქანის ძრავის დაშლა-აწყობა მასწავლეს. მარტოს კი გამქონდა თავი, მაგრამ 1956-ში დავქორწინდი, ჩემსავით უპატრონო, სოფლიდან ჩამოსული გოგო შევირთე ცოლად, წლისთავზე ბიჭი შეგვეძინა. ხომ იცით ბავშვს რამდენი უნდა, თანაც ქირით ვცხოვრობდით და ვალის ასაღებად ერთ ციხის „მეგობარს“ მივაკითხე, ვიცოდი არ უჭირდა... მასესხა, მაგრამ დათქმულ ვადაში ვერ მივუტანე ფული, რაც ქურდულ სამყაროში ადვილად არ გეპატიება, ჰოდა.. სხვა გზა არ მქონდა, საქურდლად გავყევი... ერთხელ შეგვრჩა, ორჯერ... მესამედ ჩავვარდით... 9 წელი მომისაჯეს. ციხეში გავიგე, რომ ცოლმა პატიოსნება არ შემინახა, ამის პატიება არ შემეძლო. ვცემე, მეგონა მოვკალი, მაგრამ გადარჩენილა, მე სამი წლით შემაბრუნეს ციხეში. გამოსულმა ცოლშვილი ველარ ვიპოვე, შეშინებული ქალი გადამალულიყო... ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერსად მივაგენი. ცოლი ჯანდაბას, მაგრამ ბიჭი მყავდა 1957-ში დაბადებული, თუ ცოცხალია, ახლა 45 წლის კაცი იქნება და იმედია ბაბუაც ვარ, ჰოდა, ეგაა ჩემი ერთადერთი ჯავრი, რომ შვილის და შვილიშვილების უნახავი მოვკვდები... რომ მითხრეს, ჟურნალისტი გეძებს, შენთან ლაპარაკი უნდაო! — ამ იმედითაც შეგხვდით: იქნებ წაიკითხოს იმ ჩემმა შვილმაც, იქნებ არ დაუმალავს დედამისს მისთვის სიმართლე და იცის ვინაა მამამისი?!. არაფერს ვთხოვ, არც გავეკარები სიახლოვეს, ისე, შორიდან შევხედავ ხოლმე... ვახტანგი ერქვა ჩემს შვილს...

**— კიდევ ათი წელი რისთვის მოიხადეთ?!**

— ამის შესახებ უკვე ველარაფერს გეტყვით. საკმაოდ გახმაურებული საქმეა და არ მინდა სხვა ქურდების სახელები წამოტივტივდეს, რომელთაგან ერთი ახლაც ცნობილი ავტორიტეტია. არ მაპატიებენ ბევრ ყრანტალს, იმისთვისაც მადლობელი ვარ, რომ თავი დამანებეს და გამიშვეს თავიანთი წრიდან, მიხვდნენ, რომ ქურდული სამყარო უცხო იყო ჩემთვის... ბოლოს 84 წელს გამოვედი ციხიდან, ავადმყოფი და სნეული, მერე დროც აირია და მე კი არა, კარგმა ხალხმა ველარ იპოვა გამოსავალი... მარტოობამ შემაშინა. ამ ბაზარს შევეჩვიე, ხალხსაც ვჭირდები თითქოს... 72 წელი ბევრია, არადა... ასე მგონია არც მიცხოვრია და სხვა კაცის ტყავში ვიჯექი მთელი ეს წლები... რა ქურდობა და რის ქურდობა? მუშაობა მინდოდა, ოჯახი, ერთგული ცოლი, შვილები და შვილიშვილები... ნეტავი რისთვის დავისაჯე ასე?!.

მას შემდეგ სულ სხვა თვალით ვუცქერ ბეგლარას და სხვანაირად მტკივა მისი „გულდაწყვეტილი თვალების“ გაყინული მზერა...

**გვერდი მოამზადა ინგა ჯაყელმა**

CMYK

# მივხვდი, რომც მოინდომონ, ველარ გამაგდებენ თეატრიდან...



„გასეირნება ყარაბაღში" — ასე ერქმევა ახალ მხატვრულ ფილმს, რომელსაც პროდიუსერები გიორგი ხარაბაძე, ლევან კორინთელი, ნიკა ბერიძე და კინორეჟისორი ლევან თუთბერიძე იღებენ. ამ ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების ექსკლუზიური უფლება ჯერ კიდევ ორი თვის წინ ერგო „კვირის პალიტრას", რაზეც გიორგი ხარაბაძესთან ინტერვიუში მოგითხრობდით. გადამღებმა ჯგუფმა ამჯერად ოფიციალურად განაცხადა ფილმში მონაწილე მსახიობების ვინაობა. მთავარ როლს თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი ლევან დობორჯგინიძე ითამაშებს. ერთ-ერთ მთავარ როლში კი ვიხილავთ შესანიშნავ ქართველ მსახიობს, **ნინო კასრაძეს**, რომელსაც თაყვანისმცემლები იცნობენ რუსთაველის თეატრის სპექტაკლებით — „ლედი მაკბეტი", „ქალი გველი", „მეთორმეტე ღამე" და სხვა. ფილმებიდან კი, უფრო „ორფეოსის სიკვდილით" და ასევე მაგთი „GSM"-ის სარეკლამო კლიპიდან. ახლახან სომხურ ფილმშიც ითამაშა ერთ-ერთი მთავარი როლი. რეჟისორ ჩალდრანიანის ფილმი „დუმილის სიმფონია" წარმატებით გავიდა უამრავ კინოფესტივალზე. ნინოს შემოქმედებით როლებს 10 თვის წინ კიდევ ერთი — ცხოვრებისეულ-შემოქმედებითი როლიც დაემატა — დედის როლი. მსახიობი პატარა, ულამაზესი სალომეს დედა გახდა. გამიგონია, დიდი მიხეილ თუმანიშვილი მომხრე არ იყო, შეექმნა მსახიობს ოჯახი, — ორი როლის ერთად თამაში შეუძლებელიაო...

— ჯერ კიდევ მიჭირს რამის თქმა. ახლახან მოვირგე ეს როლი. იმას ვიტყვი, რასაც ყველა ამბობს, დედობა დიდებული გრძნობაა, ახალ თვისებებს აყალიბებს ჩემში. ახალი განცდები ჩნდება. ცხოვრება უფრო მეტ მოთმინებას მოითხოვს.

**— ფიქრობთ, რომ შეიძლება ორ სცენას ემსახურო?**

— თუ მოინდომებ, ორს კი არა, მეტს ემსახურები, ამაშია ხელოვანის ცხოვრების სირთულე. არ შეიძლება, რომ ყველაფერი 5-ზე ჰქონდეს მოგვარებული, მაგრამ რაღაცაში უთუოდ ბრწყინავს, რაღაცაში მინუსებიც ეპარება. ამიტომ ამბობს ხალხი ბრწყინვალე ხელოვანზე — არ მაინტერესებს მისი პირადი ცხოვრება, მისი ხელოვნებით ტკბობაც საკმარისიაო. აი, ეს არის ხელოვანის გამართლება.

**— მაგრამ პირადი ცხოვრებაც ხომ მნიშვნელოვანია? ხელოვანიც ხომ რჩება ოდესღაც საკუთარ თავთან მარტო?**

— პირადი ცხოვრება? რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია, მაგრამ თუ შემოქმედებითად წარმატებულია ადამიანი, მოუწესრიგებელი პირადი ცხოვრების კომპენსაციას იღებს ხელოვნებიდან. მაგრამ ვაი იმას, ვინც თავსაც ვერაფრით გამოიჩენს და ოჯახიც მიუხედავი აქვს. იქნებ ძალიან კატეგორიული ვარ, თუ ვამბობ, რომ ადამიანი იმისათვის მოდის ამ ქვეყანაზე, იმისათვის ცხოვრობს, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ბოლომდე დაიწვას, უკვალოდ არ უნდა გაქრეს.

**— ეს თქვენი ცხოვრებისეული კრედოა?**

— რა გითხრათ. მომწონს ეს თვისება სხვებში. დიდი ასპარეზია ცხოვრებაში, ბევრი გზაა, სადაც თავის გამოჩენა შეიძლება. არ მესმის იმ ხალხის, ვისაც სახლკარი თავზე ენგრევა, ზის და საქმეშიც წარუმატებელი წუწუნებს — მე რომ საშუალება მქონოდა, თავს გამოვიჩენდიო. დიდი ვაჟკაცობა სჭირდება იმას, რომ გამუდმებით ლაღი, ბედნიერი და ბრწყინვალე იყო, მაგრამ ჩემთვის წარმოუდგენელია, ყოველდღე უბედური და ყველგან წარუმატებელი იყო.

**— ასე ძლიერი ნებისყოფის ადამიანები, მიზანსწრაფულები ფიქრობენ, რასაც ყველას ვერ მოვთხოვთ. რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუა „ვეფხისტყაოსანს" დადგამს, ცხადია, თქვენც გერგებათ იქიდან როლი, მაინც რომელ პერსონაჟზე ფიქრობთ?**

— „ვეფხისტყაოსნის" დადგმა, ჩემი აზრით, დროულია. მიზანში ნასროლ ტყვიასავით არის. ამ დროს სჭირდება ალბათ ეს სპექტაკლი. რაც შეეხება როლებს, იქ იმდენი პერსონაჟია, სამ თეატრს ეყოფა. მე არ ვფიქრობ ჩემს როლზე ამ სპექტაკლში. საერთოდ არ მჩვევია ფიქრი, ახლა ამას ან ამას ვითამაშებდი-მეთქი. ჩემთვის არ არსებობს საოცნებო როლები.

**— სომხურ კინოში როგორ მოხვდით?**

— „ლედი მაკბეტი" გვქონდა სომხეთში საგასტროლოდ წაღებული. იქ მნახა რეჟისორმა და მიმიწვია. დაიჯერებთ? დღემდე არ მინახავს ფილმი. მისი შინაარსი კი ღრმაა, საინტერესო, ტრაგედიით და ამავე დროს სიხარულით აღსავსე. ჩემს პერსონაჟს ძალიან დიდი ტრაგედია დაატყდება თავს და მერე სიყვარული კურნავს.

**— ნინო, ცნობილი ამბავია, რომ თეატრალურში თითქმის შემთხვევით აღმოჩნდით. ერთხანს ინსტიტუტში სიარულიც კი გაშინებდათ თურმე. დიდ სცენაზე პირველად გამოსვლისას რა გრძნობა დაგეუფლათ?**

— თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება მართლაც გაუაზრებელი იყო. მანამდე თეატრთან მხოლოდ ის შეხება მქონდა, რომ ვნახულობდი სპექტაკლებს, ვაგროვებდი ჟურნალებიდან ამოჭრილ მსახიობების სურათებს, საოცარი მოკრძალება მქონდა თეატრალური და კინოს სამყაროს მიმართ. როცა ინსტიტუტში ჩავირიცხე, თითქმის ნახევარი სემესტრი ლექციებზე ვერ დავდიოდი. მერე კი აღმოვაჩინე, რომ შემთხვევით არ მოვხვდი ინსტიტუტში. ამის შემდეგ პირველად მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გამოვჩნდი და მივხვდი, რომც მოინდომონ, ველარ გამაგდებენ თეატრიდან. არასოდეს გამჩენია შეკითხვა საკუთარ თავთან, რატომ ვარ აქ.

**— მსახიობი სცენაზე ჯადოქარს ჰგავს, რომელიც გარდაიქმნება და მაყურებელიც სხვა სამყაროში შეჰყავს. შესაბამისად, თეატრი მისტიკური სივრცეა. უნებლიეთ ხომ არ არღვევს მსახიობი ათ მცნებას, როცა მკვლელს ასახიერებს?**

— ნებსით თუ უნებლიეთ, როცა მკვლელის ნიღაბს ირგებ, თუ მაგარი მსახიობი ხარ, მაყურებელს ავიწყდება შენი ნამდვილი სახე. ამ დროს ვიღაცას სჯერა, რომ სწორედ შენ ხარ ბოროტმოქმედი და მასაც აცდუნებ. მოარული ამბავია, იქნებ ჭორიც, რომელიღაც ქვეყანაში, თეატრში ერთმა მაყურებელმა იმდენად განიცადა ოტელოს ტრაგედია, რომ იაგო მოკლა და თავიც მოიკლა... ვიცნობ მსახიობს, რომელიც ერთი წელი მოღვაწეობდა ისრაელში, იქიდან ისე ღრმად რელიგიური დაბრუნდა, რომ სამუდამოდ შეეშვა თეატრს. რა ვთქვა, დრო უპასუხებს ამ შეკითხვას. ალბათ, გოგი ხარაბაძის თქმისა არ იყოს, მსახიობის გამართლება მაინც იმაშია, რომ ის ლიტერატურული ვერსიის თუ პერსონაჟის ინტერპრეტატორია და საკუთარ მეს არ კარგავს. მსახიობს ოსტატობა და ტალანტი სჭირდება იმისათვის, რომ აკრძალული ზღვარი არ გადალახოს. ამისგან გვიცავს ეკლესია და კმაყოფილი ვარ, როცა რეჟისორის ჩანაფიქრი სიკეთეს ემსახურება.

*ეკა ლომიძე*

13 ივლისი კვირა

12 ივლისი შაბათი

11 ივლისი პარასკევი

10 ივლისი ხუთშაბათი

9 ივლისი ოთხშაბათი

8 ივლისი სამშაბათი

7 ივლისი ორშაბათი

# ინტერვიუ გარბენით

## ნიკ ნოლტი, ნილ ჯორდანი, ნუცა კუხიანიძე




ქართველი კინორეჟისორის, ნანა ჯორჯაძის ფილმი „27 დაკარგული კოცნა" რომ არა, თბილისი ალბათ ასეთ საინტერესო სტუმრებს: ნილ ჯორდანსა და ნიკ ნოლტს ვერ უმასპინძლებდა. „27 დაკარგული კოცნა" რომ არა, ალბათ ახალგაზრდა მსახიობ ნუცა კუხიანიძესაც გაუჭირდებოდა ჰოლივუდისკენ გზის გაკვლევა.

ნუცა ჯერ კიდევ 9 წლის იყო, როცა ახალბედა კინორეჟისორის, გიო მგელაძის „No Pal"-ში ითამაშა. პირველი შეხვედრა კინოობიექტივთან იღბლიანი გამოდგა და აი, ერთ მშვენიერ დღეს, ნუცა კუხიანიძე ჰოლივუდში მოხვდა. თუ როგორ, ამის შესახებ ქვემოთ გიამბობთ. ახლა კი ნუცას სტუმრებს — ნიკ ნოლტსა და ნილ ჯორდანს გაგაცნობთ. ამ ინტერვიუს შეიძლება ვუწოდოთ „ინტერვიუ გარბენით", რომელიც ფილმის, „კარგი ქურდის" პრემიერისა და პრესკონფერენციის შემდეგ, მერე კი თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებთან მასტერკლასისა და ავტოგრაფების დარიგებისას შედგა. ნიკ ნოლტს ქართველი მაყურებლის წინაშე წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. სამაგიეროდ, რეჟისორ ნილ ჯორდანის შესახებ გიამბობთ ორიოდ სიტყვით. ნილ ჯორდანი გახმაურებული კინოფილმების: „მაიქლ კოლინზი", „ინტერვიუ ვამპირთან", „ჩვენ ანგელოზები არ ვართ", „კარგი ქურდი" რეჟისორია. თითქმის ყველა ფილმი სხვადასხვა პრესტიჟული პრემიის მფლობელია. მის ფილმებში უთამაშიათ ბრედ პიტს, ტომ კრუზს, ანტონიო ბანდერასს და სხვა კინოვარსკვლავებს. ნილ ჯორდანი ირლანდიელია. მან კინოკარიერა საკმაოდ ადრე დაიწყო, მანამდე მწერლობაც კი მოსინჯა და 26 წლის იყო, როცა მოთხრობისათვის „ღამე ტუნისში" გაზეთ „გარდიანის" ძალზე პრესტიჟული პრიზი დაიმსახურა. პრიზთან ერთად 10 ათასი გირვანქა სტერლინგითაც დააჯილდოეს. შეგულიანებულმა ახალბედა პროზაიკოსმა კიდევ სამი რომანი დაწერა, რომლებიც დღეს მსოფლიოს ათ ენაზეა თარგმნილი. 1980 წელს ინგლისელ რეჟისორთან, ჯონ ბურმენთან შეხვედრამ განაპირობა ჯორდანის შემდგომი კარიერა. ბურმენმა იგი გახმაურებული ფილმის, „ექსკალიბურის" სცენარზე მუშაობისას კონსულტანტად მიიწვია. მას შემდეგ ჯორდანი კინოსამყაროში დამკვიდრდა.

რეჟისორთან ინტერვიუ მის სამწერლო შემოქმედებაზე საუბრით დავიწყეთ:

**— ბატონო ჯორდან, კინოობიექტივის „ტყვეობაში" მოქცეულმა კალამი გვერდით ხომ არ გადადეთ?**

— არა, წერას ნამდვილად ვერ შეველევი. ეს ჩემი უსაყვარლესი საქმეა — ახლაც ვწერ რომანს. კინემატოგრაფში ჩემი მისვლა ბევრმა რამემ განაპირობა. მე ირლანდიელი ვარ, ჩემს სამშობლოში კი არავინ იღებდა კინოს, ამიტომაც მოვკიდე ხელი ამ საქმეს. ირლანდიაში ჯერ კიდევ „ახალგაზრდაა" კინოხელოვნება. თქვენთან, საქართველოში, მართალია, კინოინდუსტრია, ჯერჯერობით, მყარად ვერ დგას ფეხზე, სამაგიეროდ მდიდარი წარსული გაქვთ, როგორც კულტურული, ისე კინემატოგრაფიული.

**— თურმე ძალიან ხშირად ჩადიხართ დუბლინში...**

— ვცდილობ, სამშობლოს არ მოვწყდე. ჩემი შვილები ახლაც იქ ცხოვრობენ. როცა გაიზრდებიან, დარწმუნებული ვარ, ამით იამაყებენ, ისევე როგორც მე ვამაყობ ჩემი წარმოშობით.

**— თქვენ კინოკომპანია „მგლების კომპანიის" მფლობელი ხართ, რომელიც ბევრი საპრიზო ფილმის შემქმნელია. ახალ ფილმზე თუ მუშაობთ?**

— ორი წლის წინ დავასრულეთ ფილმი „კარგი ქურდი" („კარგი ქურდი" ფრანგული ფილმის, „ბობი-მოთამაშის" რიმეიქია. „ბობი-მოთამაშე" 1955 წელს გადაიღო ჟან-პიერ მელვილმა) — 30 მლნ დოლარი შეადგინა მისმა ბიუჯეტმა, მგონი, ურიგო არ არის, ჰა? (ეცინება). ამჯერად ორ მცირებიუჯეტიან ფილმზე ვმუშაობ ახალგაზრდა რეჟისორთან ერთად.

**— ნუცა კუხიანიძე თქვენ აღმოაჩინეთ?**

— ნუცა „27 დაკარგული კოცნის" ჩვენების დროს ვნახე, რა თქმა უნდა, ეკრანზე. მომეწონა, სინჯები გადავიღეთ და როლზე დავამტკიცეთ. ფილმის გადაღების პროცესი ნამდვილად არ ყოფილა რთული, თუ არ ჩავთვლით ფრანგული და ინგლისური შემოქმედებითი ჯგუფების ურთიერთობებს. მოგეხსენებათ, ფრანგები და ინგლისელები ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისგან ხასიათით, შეხედულებებით. ამიტომაც შეგუების პროცესი ცოტა გაჭიანურდა.

**— მწერალი ხართ და სრულიად უცხო სამყაროში — კინემატოგრაფში მოხვდით. ხომ არ გაგიჭირდათ მსახიობებთან ურთიერთობა?**

— მწერალი საკუთარ თავთან მარტოა, თავისუფალი და თვითონ ქმნის ყველაფერს. ეს საკმაოდ სასიამოვნო პროცესია, მაგრამ მომწონს ფილმზე მუშაობაც. თუ მსახიობებს თავიდანვე სწორად შეარჩევ, არც პრობლემები გექნება. ისე, არასოდეს ვკამათები მსახიობებს.

**— მოგეწონათ თბილისი?**

— ძალიან... დავდივარ, ქუჩებს ვათვალიერებ, აქ კარგი ფილმების გადაღება შეიძლება. მინდა რაც შეიძლება მეტი გავიგო აქაურობის და აქაურების შესახებ... თუ წაგიკითხავთ ჩემი ნაწარმოებები?

(დასასრული იხ. გვ. 20)




# ინტერვიუ გარბენით

## ნიკ ნოლტი, ნილ ჯორდანი, ნუცა კუხიანიძე

ნიკ ნოლტი



(დასაწყისი იხ. გვ. 19)

**— არა, აბა, როგორ?**

— მაპატიეთ. დამავიწყდა, რომ ისინი ქართულად არ არის ნათარგმნი.

**— მაჩუქებთ წიგნს ავტოგრაფით?**

— (ხმამაღლა იცინის). ეს მომწონს. ვნახოთ, ალბათ შევხვდებით. დავიღალე. რაც აქ ჩამოვედი, არ მიძინია...

თუ ნილ ჯორდანთან ადვილად მოვახერხეთ გასაუბრება, სამაგიეროდ, ნიკ ნოლტი გაჯიუტდა და ამიტომ ერთი მისი ქართველი კოლეგის „პროტექცია" დაგვჭირდა:

**— დღეს თქვენ ჩვენი თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდით... რას იტყვით მათზე?**

— მე თეატრის მსახიობი ვიყავი, სანამ კინოში მოვიდოდი. თეატრის მსახიობები მუდამ ქედმაღლურად ვუყურებდით კინომსახიობებს. მოგვიანებით კი მივხვდი, რომ კინოში მუშაობაც ძალზე საინტერესოა, მით უმეტეს, თუ ნიჭიერ რეჟისორსა და მსახიობებთან გიწევს მუშაობა.

**— თქვენ ლეგენდად ქცეული ვარსკვლავების გვერდით მდგარხართ გადასაღებ მოედანზე, რას იტყვით მათზე? ერთი მათგანი, ქეთრინ ჰეპბერნი, ახლახან გარდაიცვალა...**

— დიდი ძალისხმევა დამჭირდა საიმისოდ, რომ მათი გავლენისაგან თავი დამეღწია. ეს რთული, მაგრამ ძალზე საინტერესო პროცესი იყო. ქეთრინი დიდებული ქალი გახლდათ. საოცრად ენერგიული და შრომისმოყვარე. მუშაობისას მკაცრი — ავტოგრაფების გაცემასაც კი მიკრძალავდა, ამის დრო ახლა არ არისო. აი, ახლაც, ქეთრინი რომ აქ იყოს, ავტოგრაფს ვერ მოგცემდით (ნიკმა კალამი მოიმარჯვა). რა დაგიწეროთ? უჰ, რა ძნელი ენაა ეს ინგლისური! „საუკეთესო სურვილებით — ნიკ ნოლტი" — მოგწონთ?

**— რა თქმა უნდა... ბატონო ნოლტ, თქვენზე ამბობენ, ენამახვილი კაციაო...**

— ვინ გითხრათ... უბრალოდ დაუფარავად ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ. იცინიან და ჰგონიათ, მაგარი იუმორის პატრონიაო... მასტერკლასზე მკითხეს, რა არ მოგეწონა თბილისშიო? ეს რა კითხვაა? ყველაფერი მომეწონა. მხოლოდ თქვენს ტუალეტს ვერ მოვერგე რატომღაც და ეს რომ ვთქვი, ყველა ახარხარდა. ესაა ენამახვილობა?

ბროლ ნოლტი



**— როგორი პარტნიორია ნუცა მოედანზე?**

— კარგი... მიყვარს ახალ, უცნობ პარტნიორებთან თამაში. ამ დროს ბევრ რამეს იძენ... ყელი გამიშრა, წავედი. ასე ნუ მიყურებთ. მეტი აღარ შემიძლია...

ნიკს თვალი გავაყოლე, მის ხელში ერთდროულად გაჩნდა არაყი და სპრაიტი.

თუ ნიკ ნოლტი და ნილ ჯორდანი დაქანცულები იყვნენ, სამაგიეროდ, ნოლტის ვაჟს, ბროლს ნამდვილად არ ეტყობოდა დაღლა და სიამოვნებით ესაუბრებოდა ქართველ ახალგაზრდა მსახიობებს. ბროლს კარგად იცნობს ქართველი მაყურებელი ამერიკული ფილმიდან „გამოსასყიდი", სადაც იგი მელ გიბსონის ვაჟს თამაშობს.

*ეკა ლომიძე*

# უდაბნოში ვართ ჩარჭობილები ქვევრებივითა...

**ზოგჯერ, როცა გარშემო პოლიტიკური ბატალიები მძინვარებს და წინასაარჩევნო ცრუ-ცხელებით გათანგულ სინდის-ნამუსს ჰაერი აღარ ჰყოფნის, უსაშველოდ მოგინდება ძარღვიანი, გულზე მოსახვედრი ქართული სიტყვის გაგონება...**

**თუნდაც მძიმე რეალობის შესახებ თქმული მართალი სიტყვა მაინც იმედიანია. იმედიანია იმიტომ, რომ ხედავ, არსებობს მართალი კაცი, ესე იგი, არსებობს მომავალი. მწერალ მერაბ ელიოზიშვილთან ბევრ მტკივნეულ საკითხზე ვისაუბრეთ, თუმცა მკითხველი მიხვდება, რომ მისი ნელში მოხრა და გატეხა კი არა, გამოცოცხლება გვინდოდა...**

ბატონმა მერაბმა ჩვეული სახიერებით გვითხრა:

— როგორც უდაბნოში ქვიშით ყელამოვსებული ქვევრები, ისე ვართ დარჩენილი ამ ცხოვრებაში. ხმის ამოღების აზრი აღარ არის, იმიტომ რომ უძრავი ხარ... როცა უძრავი ხარ, გინდა ილაპარაკე, გინდა არა, ძალა არა გაქვს არაფრისა. შორიდან მხოლოდ მირაჟსა ხედავ... მირაჟი რა არი... რაც მინახავს, ის არის ჩემი მირაჟი. ამ ყოფიდან ამოხედილმა აბა, რა უნდა ვნახო?! საქმე ის არის, ჩემო კარგო, რომ ცხოვრების ამ ყაიდამ თითქმის 40 წელი რომ არის მოგვდგამს, დამამსხვრია... თითქმის 40 წელია ერთი კაცის შემყურე ვართ... პრეზიდენტობამდე პარტიის ცენტრალური კომიტეტი იყო... მანამდე კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, იყო მოსკოვში და ახლა ისევ სათავეშია, პრეზიდენტია. ეს ყველაფერი უდაბნოში მოსეს 40-წლიანი სიარულია, ებრაელი ხალხის აღთქმულ მიწამდე ჩამოყვანის დროა. ჩვენ კიდევ, ამ უდაბნოში ვართ ჩარჭობილები ქვევრებივითა. ძვრა არა გვაქვს, ძვრა! ამისი არც მთქმელია, არც გამგონეა! ამ უძრავი ქვევრიდან, ქვიშით სავსე ქვევრიდან, რა შეიძლება ამოვიდეს? არაფერი... დაიღალა ქვეყანა... დაიღალა... კაცი რომ ჩამოივლის წვეტიანი ჯოხით და ქაღალდის ნაგლეჯებს აგროვებს, წამოაცვამს ზედ, ისე ვართ წამოცმულები ამ მთავრობის წვეტიან ჯოხზე... საით მიგვაქანებენ, არ ვიცი... ალბათ უნდა დაგვწვან სადმე იმ ქაღალდებივით.

**— ეგ შეგრძნება, როგორც ჩანს, ფესვგადგმულია საზოგადოების შეჭირვებულ ნაწილში... თუმცა ზოგიერთი ისე კარგად ცხოვრობს, არ აწუხებს არაფერი.**

— ახლა რომ გაკვირვებულები ვამბობთ, თურმე სასახლეები აიშენეს ჩვენი ფულითო... იმ ფულით, რომელიც ჩვენი საფლავების გასაჭრელი ფული იყო, ამისი პატიება შეიძლებოდა?! ვინ გააკეთა ესა? ვინა და დღევანდელი მთავრობის ეგრეთ წოდებულმა მეგობრებმა, თუ მესვეურებმა, თუ თანამოახლეებმა, თუ თანაჯორკიდებულებმა... როგორც გინდა, ისე გაიგე... აი, ეგენი აშენდნენ, თორემ ჩვენ რა?

**— გაჭირვებას ბევრი უარყოფითი რამ სდევს თან. საქართველოდან მიედინება ძვირფასი მატერიალური, ისტორიული ღირებულებები და ყველაზე მნიშვნელოვანი — მიდიან ქართველები...**

— წავიდა, ნახევარი საქართველო წავიდა თურქეთში, საბერძნეთში... ტრუსიკ-მაიკიანები გარბოდნენ... ეს ამოდენა ქვეყანა საით მიექცა? ისინი საცოდაობაში ხომ არიან, კაცო?! განუკითხაობის განუკითხაობაში არიან. აი, ჩემი შვილი არაბეთშია... სინათლის გადასახადია, გაზის გადასახადია, კონდენციონერის გადასახადია თუ რამე სხვა, უნდა გადაიხადონ ჩასულებმა. იქაური არ იხდის არაფერსა, ან თუ იხდის, ძალიან ცოტასა... აქ როგორ არის? აქედან გავგზავნე შვილი იქა, რომ აქაური სინათლის ფული გამომიგზავნოს, ის კიდე იქაც იხდის, აქაც იხდის... რა გამოვიდა? ვიხოცებით შინ და გარეთ და ეგ არის!

**— ძალიან მძიმე განცდებზე მოგვიწია საუბარი, მნიშვნელოვანია ისეთი სიტყვის მოსმენა, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს რომ დაგვანახვებს.**

— სულ მახსოვს თამარის ისტორიკოსის — ბასილი ეზოსმოძღვრის სიტყვები: „ხოლო ბრძენმა თამარ იძია მრავალი ღონე განკურნებისა მისისა, დალათუ ყოვლისად არა სარგებელი იყო, არამედ უფრო გამძვინვარდებოდა რუსი, ვითარცა ღვთისაგან საფარველმოძრწილი, ვითარ იტყვის წერილი, „კურნევდით ბაბილონს და არა ეკურნებოდა"... თვითონ თამარის სიტყვებია მოყვანილი: „მე არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისათა განმართვად, უბრალოდ განვიყრი მტვერსაცა, რომელი განმეკრა შენს მიერ". აი, როგორ უნდა მოვიქცეთ! მეშვიდე ათწლეულის ბოლო წლის ფიცარს დავადგი ფეხი. დაე, ჩატყდეს, თუ ვტყუი, თუ ვიგონებ რაღაცას ისეთს, რაც გულში ნატარები და ნატანჯი არ არის. იმ უბადრუკ რუსს ვადარებ ამ ამბიციებით სავსე მთავრობასა... და თამარის სიტყვების თქმა ვერ მოვახერხეთ ქართველებმა!..

**— თქვენს ასეთ მძიმე განცდებს, ვიცი, მეტწილად საქართველოს ტერიტორიის განიავება განაპირობებს. ყველამ იცის, როგორ განიცდით, თქვენს მამაპაპისეულ მიწაზე სხვათა ბოგინს, როგორ გენატრებათ ცხინვალში ჩასვლა.**

— ერთხელ, ერთმა პროკურორმა მითხრა, — მე ჩემი თვალითა ვნახე, ლიახვს დამხრჩვალი ოსები მოჰქონდა, გენოციდი იყოო! კაცო, როგორ გაარჩიე დამხრჩვალი — ოსი იყო თუ ქართველი-მეთქი? მერე კიდევ, ინტერვიუც მიეცით შენ და ზოგიერთებმა, ქართველებმა — გენოციდი მოაწყვეს ოსეთშიო... რა ნახა, რა დაამტკიცა? დამხრჩვალი ოსებიო... პასპორტები ედოთ შუბლებზე თუ რა?.. გინდაც სდებოდათ, ამ სიშორიდან ჩემი ხნისა და ჩემზე უფროსმა კაცმა რა უნდა წაიკითხო და გაარჩიო?

**— იქნებ ასე ჰაიჰარად ნათქვამი სიტყვის, დაშვებული შეცდომების ბრალია, რაც დღეს გვჭირს... ცხინვალს ველარ ვაკონტროლებთ. ის კი არა და, მათი „პრეზიდენტი" ჩვენსას ტელევიზიით რჩევასაც აძლევდა ამას წინათ...**

— ამაზე მეტი მასხრად აგდება გინდა, კაცო? ჩვენ კიდევ რა დადგენილებებს გვაძლევენ... ცხინვალში რომ შევა ქართველი და იქ თავის



## იცით, რატომ არის დევი ზღაპრებში მყრალი?

სახლში ოსი დახვდება, იმას ვერ გამოვასახლებთ ჩვენაო. ამ ქართველს ავუშენებთ ახალ სახლსაო. რა კარგია!.. ახალო სახლო! მე იქა ჩემი მამა-პაპის ძვლებზე რომ ვდგევარ? ჩემი ვენახის ბოლოში თოთხმეტი სული ჩემი წინაპარი რომ მყავს გადასვენებული... როცა მე ამას ვაკეთებდი, იმ დღეებს ჩემთვის კაშკაში გაჰქონდა, სიღრმიდან ამოსული, ძვლებზე აკრული სველი მიწის სურნელი მცემდა. ხელით მომიგროვებია ის ძვლები, კალათში ჩამიწყვია და შინ წამომიღია. რათა? აქეთ კოშკია ჩვენი, სამსართულიანი, იქით — ნაეკლესიარი. ნაეკლესიარი გაეთხარათ, გაზი გაჰყავდათ... ძვლები ეყარა აქეთ-იქით. მაშინ დავიწყე მოგროვება და ჩემი ვენახის ბოლოში გადასვენება იმათი კურთხეული ნაშთებისა. იქ იყო ჩემი უკანასკნელი სამოთხის ბაღი. ქართული მწვანე, შავკაპიტო, თაკვერი და სხვა ჯიშის ყურძენი მედგა... ხარისთვალაცა... აი, იქ შემომესეოდნენ ხოლმე ჯაყოს ღორები, ჩემი მეზობელი ოსის ღორები... ცოტა კი უნდა გადავუხვიო თემას, მაგრამ მაინც ვიტყვი... შეჭმული იყო ჩემი ნაფერები ვენახი... იატაკის ფიცრის 5-სანტიმეტრიანი ღობითა მქონდა შემოღობილი ჩემი კარ-მიდამო, მაგრამ რა.. ღობეს ხსნიდა ჩემი მეზობელი. სამი შვილი ჰყავდა... შეუდგებოდნენ ამ ღობესა, გადააცუნცულებდნენ, გაიდიდებდნენ ეზოსა... ასე მოდიოდნენ და მოიწევდნენ ჩემი ეზოს სიღრმეში... ეკლესია მოიქციეს ეზოში, კაცო! ახალნაყიდი პატარა ქოხიდან — სახლი ააშენეს... ეკლესიას შვიდჯერ შეხსნეს ომის დროს ალაყაფი — მუხის კარი... რამდენჯერაც ჩამოვკიდეთ, იმდენჯერ შეხსნეს. კოჭებად, ფანჯრის ჩარჩოებად და ათას რამედ იხმარეს... ეგ რო მახსენდება და ის ჩემი შემოძარცვული ღობე...ოხ, მე! გული მეგლიჯება სიმწრისაგან. იმოდენა სიმწარეში ვარ გამოვლილი... სიტკბოებაშიც, რა თქმა უნდა... დედა, დიდედა და პაპიდა რომ გყავს ბავშვსა, სიტკბოებაში ხარ... აი, მაგათი წინაპრების ძვლები დამატოვებინეს იქა და დამიკარგეს, როგორც ჩანს. აღარც ის სახლკარი მაქვს, აღარც ის მწვანე ვენახი, რომელშიცა ფეხშიშველას მირბენია. იმ გაფუებული მიწიდან ფეხისგულებზე ჭიაყელებით ღიტინს რო ვგრძნობდი, ან თხუნელა რომ შეარხევდა მიწას... ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა... ახლა იქა გაქვავებული მიწა არის, ზედა — რუსის ტანკები დგანან და დაგრიალებენ... ვიღაცა სახლებაშენებულები ცხოვრობენ, ჩემი სახლი კიდე დამწვარი ელოდება პატრონსა... ჰოდა, ამ დამწვარ სახლში ოსი რო შევიდეს, უნდა დარჩეს, ვერ გამოვასახლებთ, თურმე. ესე იგი, ჩემი წინაპრების ძვლები უნდა დავუთმო — აჰა, შენ მოუარე და ნახვამდის-მეთქი... უნდა წამოვიდე, ოცნებაშიაც აღარ გავიხედო იქითა...

**— ფესვების მოშლამ სოფლად (არა მარტო აფხაზეთსა და ცხინვალში, არამედ სხვა რეგიონებშიც მოიშალეს ბუდეები) ქალაქიც გადააგვარა.**

— აჰა, ჩამოვედი თბილისში, ვის ჩავეხუტო, მერე... ვისა... მე ხო უსახლკარო კაცი დავრჩი. ეგ რა სახლია, მე რო ვცხოვრობ. სახლი ის არი, დედამიწიდან როა ამოსული ხესავით და რო სუნთქავს... ზეიდან ცარგვალი რო დაჰყურებს, ის არი სახლი... აბა, ეს რა სახლია... მოჩვენება-მოგონებებია აქ, მეტი არაფერი... ცხინვალის სიყვარულს რა დამიკარგავს, მაგრამ მე შანსი აღარა მაქ იქ დაბრუნებისა... მონღოლებივით მოგვექცნენ ჩვენებურები. რაც ამათ გააკეთეს ქართველის ხელით, თემურ-ლენგსა, შემოსევის დროს, იგივე რო გაეკეთებინა, იქნებოდა ბედნიერი... შვიდი შემოსევა არ დასჭირდებოდა, ერთხელ მოვიდოდა და საქართველო მისი იქნებოდა.

**— გეთანხმებით, ბევრი საშინელება გადავიტანეთ ბოლო ათწლეულებში, მაგრამ ჩვენ ხომ გვქონდა კიდეც ძალა — ცოცხალი, ძლიერი საქართველოთი შთაგონებული, გვყავდნენ ერისკაცები, რომელთა ნაკვალევიც არ უნდა დაგვეკარგა...**

— ილიას კვალზე საქართველო მოვიდა ცოცხალ საქართველოდ. მიუხედავად იმისა, სკოლებში ქართული ისწავლებოდა თუ არა, საქართველოში ქართველს სახეც, საქმეც მეტ-ნაკლებად ქართული ჰქონდა... ესენი კიდე? შუბლივით რომ გასკდა „წითელი ალაყაფი", გატყდა ოქროს ურდული... ნამსხვრევები აქეთ-იქით მიმოიბნია. ამ ოქროს უზარმაზარი ურდულის (კომუნისტური ცხოვრების) ნამტვრევები ვინც ჩაიგდო ხელში, დადგა თანამედროვე ცხოვრების ბობოლად. ფულიც ჰქონდა, იარაღიც, ბრძანების გაცემისა და შესრულების უფლება და საშუალებაც! ამ დროს პატიოსანი კაცი დარჩა უფუნქციო, უსაქმური! აი, ფანჯრიდან გავიხედოთ! ამ შენობას ხომ ხედავ? მაგაში სამი სოფელი ცხოვრობს!.. ვერ ვიტყვი, ტიტანიკია-მეთქი. ჩაძირულ ტიტანიკსაც კი დიდი სამყაროს ნაწილის, კაცისაგან კარგად შექმნილი, ხელთნაკეთი გემის ფორმა აქვს და არა ამ სახლივით არარაობისა და უსახურებისა. ეს სახლები ქოჩრით ამოთრეულ დამხრჩვლებსა ჰგვანან. უყურებ ამ ხალხს: დამშეულებს, გასაცოდავებულებს — ჭიანჭველებივით მოძრაობენ. ჭიანჭველას რა უჭირს, გონიერია, კაცო... კიდევ კარგი, ტელევიზიამ ის მაინც გააკეთა, რომ დოკუმენტურ ფილმებში გვაჩვენებს: სამყარო ერთიანია და ძლიერი, ღმერთისაგან შექმნილი ეს სამყარო ჩვენს თვალწინ, ჩვენი ტლაპოიანი ფეხებით ისრისება, უარიყოფა. არაღვთისნიერი ქვეყანა შეიძლება ჯანმრთელი და ბედნიერი იყოს? მარტო მონათვლა რა არის, თუ ღვთის კანონით არ ვიცხოვრეთ. იხვი რა, წყალში არ ჩადის? რომ ამოდის და ისევ მშრალია?! წყალი არ ეკიდება... ისე ამათ ქრისტიანობა არ ეკიდებათ... ზოგიერთსა, რა თქმა უნდა, დამაქცევართ და უძლებთ.

**— რა ხერხით შეგვიძლია ეგეთი ხალხისაგან თავის გადარჩენა, როგორ ფიქრობთ?**

— უნდა შევინარჩუნოთ ნაშთი ჩვენი დიდებისა. ეს ნაშთი არის საქართველოს ჭეშმარიტი ისტორია და ქართული სიტყვა. ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა... ჩვენი წმინდანები... ჩემთვის ილია, ვაჟა, გურამიშვილი და კიდევ სხვა, სულით და საქმით ქართველები, წმინდანები არიან. ვაჟა-ფშაველამ ადამიანთა სულიერ ბუნებას უმკურნალა. საქართველოს, ხმელ წიფელს, ახალი მორჩი აღმოუცენა გვერდზე... ვაჟა, ილია, ყაზბეგი... ესენი იყვნენ ქართველები... ესენი იყვნენ მარგილები, რომლებზედაც საქართველოს დასაცავი მტკიცე ღობე დაიწვნებოდა. ჩვენი მთავრობის მარგილზე კიდე ან თოკი უნდა ჩამოაბა და თავი გაყო შიგა, ან არადა მკერდით უნდა ჩამოეგო. ეგ არი და ეგ. ჩანჩურას დადგმული სპექტაკლია, რა... „ბედნიერია ჩანჩურა, შვილი ჰყავს, მას საქებიო... წვერ-ულვაშს არა კადრულობს, მოუშვია ბაკებიო... ესა სწავლის ნიშანია, ო, რა დიდი კაციაო!" — არა? თანამედროვე ჩანჩურები ათასნაირ გადადი-გადმოდის თამაშობენ. ხან დემოკრატიას, ხან განდეგილ, ხან მარტოსულს, ხან ყველას ერთად... ყველას მაგივრად ეგენი გამოდიან და შედიან მთავრობაში, კაცო, ხომ არ შეიძლება ასე?.. მე ილიას დიდი ხის პატარა ნაფოტი და ნახერხი ვარ და ამ ნაფოტობაზე და ნახერხობაზე მაინც მათქმევინეთ ერთი სიტყვა... კაცს, რომელსაც ჩემი სახლკარი არაფრად მიაჩნია, ეკლესიის კარი არაფრად მიაჩნია, ჩემი ცხოვრებაც მიწის ქვეშა და მიწის ზევით — არაფრად მიაჩნია. იცი, ჩემი ნამყენები ცხინვალში ხეებად იქცნენ... ახლა ისინი სამხედრო ნაწილის ეზოში არიან, ჩემი ნუშები, ფშატები... უნდა გახსოვდეთ, რომ ცალი გვერდი მიწაზე გდებისაგან ულპება კაცსა, მაგრამ მეორე — ზეცისკენ მიიწევს, როგორც ყლორტი... ყვავილი... ეს არის სული... მაგითი უნდა ვისაზრდოოთ. რატომ არის მყრალი დევი ზღაპრებში? იმიტომ, რომ დევი არაკაცია, არაადამიანია და იმისი საშიშროებაა, რომ მისმა სიმყრალემ დაგახრჩოს... ერთი, მეორე, მესამე თავი რომ მოვაჭრა, ეს მყრალი სუნი ამოიშხუვლებს... ცუდად გახდები, მა რა მოგივა... ისა სივის, ჭყივის, მოჭრილი თავი გდია... სიმყრალე მე მახრჩობს, სხვას არ აწუხებს... მაგრამ მაინც.... უნდა გავაგრძელო თავების მოჭრა დევისათვის, სიმყრალის მოსპობა, ისევ და ისევ ადამიანების ყლორტივით აწვდილი სულების გადასარჩენად.

*ლელა ჯიყაშვილი*

# როცა გულით გთხოვენ...

ახალგაზრდა კაცის წერილი მივიღე. მემუდარებოდა, დავხმარებოდი, — „მართალი გითხრათ, თავდაპირველად მიკვირდა, კაცებიც რომ გულახდილად გიყვებიან თავიანთ ამბებს. თურმე არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს. ამის სურვილი მეც გამიჩნდა. თუ რატომ, მოგახსენებთ.

მე მხატვარი ვარ. ცოლის შერთვაზე სერიოზულად არასოდეს მიფიქრია, თუმცა ნატა მართლა მიყვარდა. ჩვენ ხელმოუწერლად ვცხოვრობდით ორი წელი. ორივეს ერთად გატარებული ბევრი კარგი დღე გვახსოვს...

მერე ჩვენ შორის „შავმა კატამ“ გაირბინა.

ჩვენი შერიგება მეგობრებმა სცადეს, მაგრამ





არაფერი გამოვიდა.

მარინა, გეხვეწებით, მიშუამდგომლეთ საყვარელ ადამიანთან. ნატა „კვირის პალიტრის“ მუდმივი მკითხველია, თქვენს ხმას რომ გაიგებს, აუცილებლად მოგისმენთ. უთხარით, რომ მიყვარს, სულ მასზე ვფიქრობ და მინდა ცოლად მოვიყვანო. თქვენი დიდი იმედი მაქვს. პატივისცემით თაზო (ფუნჯიკა)“.

თაზოს ბარათზე თავისი და ნატას ტელეფონის ნომრები მიუწერია. რაღა თქმა უნდა, დავრეკავ და თხოვნას შევუსრულებ, მაგრამ სანამ ამას გავაკეთებ, მინდა მკითხველი ცოტათი გავამხიარულო.

## ლირიკულ-კურიოზული გადახვევა

ეს ამბავი შარშან მოხდა, ახალი წლის წინა დღეებში. თუკი თაზო წერილობით მთხოვს დახმარებას, ბატონი კაკო სოფლიდან ჩამოვიდა და რედაქციაში საგანგებოდ მეწვია (იმედია, ბატონი კაკო არ მიწყენს. მე ხომ არც სოფელს ვასახელებ და არც მის გვარს).

პარასკევი „მძიმე“ დღეა. სწორედ ამ დღეს იწერება სტატიები. იმ წუთებში, როცა ყველა ჩვენთვის „ვზუზუნებდით“, ჟურნალისტების ოთახის კარი ხანში შესულმა კაცმა შემოაღო და გაჩერდა. ერთი კი გავიხედე კარისკენ, მაგრამ მერე ისევ საქმეს მივუბრუნდი. ბოლოს, ერთ-ერთმა ჰკითხა, ვინ გნებავთო. მან კი ხმამაღლა იკითხა: რომელია მარინა ბაბუნაშვილიო. მე ვარ-მეთქი. კაცი ღიმილით გამოემართა ჩემკენ. ჟურნალისტებმა სკამი მოურბენინეს და მაგიდასთან დასვეს, თან ღიმილით ეგრიხებოდათ ტუჩები, რადგან მიხვდნენ, კაცს „გულის გადაშლა“ სურდა. კაკო მქვიაო, — გამეცნო სტუმარი და დააყოლა, — საქმე მაქვსო. ახლა არა მცალია, იქნებ სხვა დროს მობრძანდეთ-მეთქი, — ვთხოვე. სოფლიდან ჩამოვედი, გენაცვალე, წარამარა ვერ ვირბენ თბილისში, ათი წუთი დამითმეო. რაღას ვიზამდი?

ბატონმა კაკომ დაიწყო: ძმაკაცი მყავს, კარგი პიროვნება და ძალიან მშრომელიო.

— ძმაკაცის ამბავი უნდა მიამბოთ?

— ჰო, გენაცვალე, მაგაზე უნდა გთხოვო რაღაცა!.. დაქვრივდა საწყალი, მაგრამ რა ქნას... ცოლი უნდა! — ამოღერღა ბატონმა კაკომ. სახტად დავრჩი, ცოტა არ იყოს, წყენაც გამერია ხმაში:

— კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ?

— იქნებ, უპოვო ვინმე. მაღარიჩი ჩემზე იქნება!

შევამჩნიე, რომ ოთახში მყოფი ყველა ჟურნალისტის თვალი და ყური ჩვენკენ იყო მომართული. უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, ისღა მოვახერხე, რომ ბატონ კაკოს შევთავაზე:

— იცით, ჯობს, თქვენმა ძმაკაცმა გაზეთი „სიტყვა და საქმე“ იყიდოს და „პაემნის“ გვერდი გადაათვალიეროს. იქ ბევრის განცხადებაა, ვისაც გათხოვება სურს.

— აჰ, არა (ჯიუტად გადაიქნია თავი), შენ რომ წერ, ისეთი ქალები მოსწონს იმას.

ოთახში თავშეკავებული სიცილი გაისმა. თავს ძალა დავატანე, რომ არ გამცინებოდა. სხვა გზა არ იყო, ჩათრევას ჩაყოლა ვარჩიე და დავპირდი: — დამიტოვეთ მისამართი და თუ შესაფერისი ვინმე გამოჩნდა, შეგეხმიანებით.

— ეჰ, ყველაფერი აქვს იმ ჩემს ძმაკაცს: სახლ-კარი, ქათმები, კვერცხები(?), კარაქი და რძე... ასფალტიც კი არის ჩვენს სოფელში დაგებული, მაგრამ ტელეფონის დადგმა ვერც მან, ვერც მე ჯერ ვერ მოვახერხეთ. ამიტომ მე თავად დაგიკავშირდები ერთ კვირაში.

მაშინვე დავთანხმდი: ოღონდ დროზე გასულიყო ოთახიდან და აღარაფერს დავეძებდი. ბატონი კაკო წამოდგა, დიდხანს აფათურა შარვლის ჯიბეში ხელი (ჟურნალისტები სიცილისგან უკვე დაოსებულები იყვნენ), მე რა გამაცინებდა, ცოტა არ იყოს შეშინებულიც კი შევყურებდი ბატონ კაკოს. როგორც იქნა, ხელი ამოიღო, თან ამოაყოლა კანფეტები, მუშტში ჩამიტენა და მითხრა, — ასე ტკბილად დამიბერდიო. მერე დამემშვიდობა და ოთახიდან გავიდა. მისი გასვლისთანავე ჟურნალისტებმა სადავე მიუშვეს და ხარხარი აუტყდათ. ვაჟა გავაშელმა გასათხოვრებს მიმართა: — ასე თვალის დახამხამებაში რომ გადასანსლეთ ეს კანფეტები, რა იცით, იმ კაცს იქნებ რამე ჰქონდა გარეული. ვერ ხედავდით, როგორ იყო ძმაკაცისთვის მოწადინებული? ცოტა ხანში შეიძლება გულმა გაგიწიოთ სოფლისკენ. იმის ძმაკაცსაც ეშველება და თქვენცო.

ოთახში ისევ ჟრიამული იდგა, როცა ბატონმა კაკომ კვლავ შემოაღო კარი, იგი სწრაფი ნაბიჯებით ჩემკენ გამოემართა.

— რამე დაგრჩათ, ბატონო კაკო?

— რაღაცის თქმა დამავიწყდა!

— დიახ, გისმენთ!

— ის ჩემი ძმაკაცი 47 წლისაა, მე კი 60-ის.

— თქვენ რა შუაში ხართ?

— რა და... მეც მინდა ცოლი!

აქ უკვე შეუძლებელი იყო თავის შეკავება, სახეში შევცინე „სასიძოს“ და შეძლებისამებრ აღვუთქვი დახმარება.

P.S. ისე, ერთი თვის მერე მართლაც გამოჩნდა ქვრივი ქალი და ბატონ კაკოს მისი კოორდინატები მივაწოდე. როგორც ვიცი, შეხვდნენ, მაგრამ იმ ქალმა სოფელში ცხოვრება არ მოინდომა და მაჭანკლობაც ჩამეშალა.

## ...და კვლავ წერილის მთავარი გმირები

არც ამ შემთხვევაში იყო საქმე იოლად. მართალია, გაცნობა-გარიგების ვარიანტი თავიდანვე გამორიცხული იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, შერიგების მცდელობა რა შედეგს გამოიღებდა, ღმერთმა იცის. იქნებ განაწყენებულ ნატას „არამკითხე მოამბედ“ მოვენათლე. ბოლოს, გულის გასამაგრებლად კვლავ თაზო-ფუნჯიკას მუდარის წერილი გადავიკითხე, ვახსენე ღმერთი და დავრეკე. ყურმილი სწორედ ნატამ აიღო.

— „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტი გაწუხებთ...

— ?!

— არ გაგიკვირდეთ, მაგრამ თაზოს წერილი მივიღე, სადაც მწერს, რომ უყვარხართ და სურს, ცოლად შეგირთოთ. მთხოვს, რომ დავეხმარო და გადმოგცეთ ის, რასაც გრძნობს და განიცდის თქვენ მიმართ...

— ვაიმე, რა სულელია... რატომ მიმიყვანა იმ ზომამდე, რომ მისი ხმის გაგონებაც არ მინდა, ეგ აღარ უთქვამს?

— არა, მაგრამ დამპირდა, ყველაფერს დაუფარავად მოგიყვებითო. წერილში მისი ტელეფონის ნომერიც ეწერა, მაგრამ იმდენად გულწრფელი მეჩვენა თაზოს სურვილი (თქვენთან შერიგებისა), რომ პირდაპირ საქმეზე გადავედი და თქვენ დაგირეკეთ.

— ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვარ. არ გიცნობთ, მაგრამ დიდ პატივს გცემთ, თქვენი გაზეთიც ძალიან მიყვარს... თაზომ სწორად „გათვალა“ — თქვენ ნამდვილად ვერ დაგიკიდებთ ყურმილს, თანაც, ეტყობა, მართლა ინანიებს თავის შეცდომას.

— ასეთი რა დააშავა?

— არ დაგიმალავთ. ნათესავს გავყევი რაიონში რამდენიმე დღით. მარტოობა ვერ აიტანა... მასთან მისულს (არ მელოდა!) „სტუმარი“ დამიხვდა. მარწმუნებდა, მენატურე იყოო, მაგრამ...

— ისე, მხატვრები ცოტა უცნაური ხალხია... შემოქმედებითი „წვისთვის“ გადახალისება ან მძაფრი შეგრძნებები სჭირდებათ, თუმცა უფლება არ მაქვს, არ ვირწმუნო მისი ალალი სიტყვები. იქნებ, შეუნდოთ და მოუსმინოთ?!

— კი ბატონო, მოვიდეს და მოვუსმენ.

დამშვიდობების წინ ჩემს ნომერს ვაძლევ ნატას და ვთხოვ, თუკი სასურველი შედეგი იქნა, ორივე აუცილებლად შემეხმიანოს.

## სამი დღის შემდეგ

— გამარჯობა, მარინა!

— გაგიმარჯოს!..

— თაზო ვარ, „ფუნჯიკა“. გახსოვთ წერილი რომ მოგწერეთ?

— კი, კი, როგორ არა! რა ხდება, შერიგდით თუ არა?

— დიდი მადლობა, ყურადღებისთვის... მართალია, წერილი მოგწერეთ, მაგრამ არ გეწყინოთ, ბოლომდე მაინც არ ვიყავი დარწმუნებული, თუ დამეხმარებოდით... არ ვიცი, რით გადაგიხადოთ ეს სიკეთე.

— არაფრით. იმედია, ქორწილში დამპატიჟებთ.

— ქორწილს არა, მაგრამ ჯვრისწერის მერე პატარა ლხინი გვექნება და მარტო თქვენ კი არა, მთელ „პალიტრას“ გეპატიჟებით!

ღმერთმა ბედნიერი გამყოფოთ, ნატა და თაზო!

***მარინა ბაბუნაშვილი***

# ჩვენ გვწერენ: მოღალატე ცოლის აღსარება

ეს სათაური ჩვენ არ შეგვირჩევია, თავად წერილის ავტორმა შეარჩია. მას სურვილი გაუჩნდა, სიმართლე აღსარებასავით ეთქვა ჩვენთვისა და მრავალი მკითხველისთვისაც.

ცოტა გაუგებარია, რატომ გადადგა მან ღალატისკენ ნაბიჯი, მაგრამ ცხადია, ნანობს. ლიზის (რა თქმა უნდა, ეს მისი ნამდვილი სახელი არ უნდა იყოს) რცხვენია თავისი საქციელის, სხვა ქალებს მოუწოდებს, არ უღალატონ ოჯახს, ღირსებას და სახელს, ამასთან ერთად კი იმასაც ამბობს, რომ უკვე აღარაფრის გამოსწორება არ შეუძლია.

*„ყველა უბედურების სათავე ღალატია... ჩემდა უნებლიეთ, მეც ღალატის მიზეზი და მსხვერპლი გავხდი.*

*ორ „ფრონტზე“ ბრძოლა მაშინ იწყება, როცა ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს არ ახსენდებათ, რომ ქალწულობის ინსტიტუტის გარდა, არსებობს ვაჟკაცობის ინსტიტუტი, სადაც ახლობლებს ევალებათ, მკაცრად განსაჯონ ღალატის საკითხი და დროულად გაკიცხონ „დამნაშავენი“. პირადად მე გაცილებით უფროსმა, ცოლშვილიანმა კაცმა მაცდუნა. მან შეინარჩუნა თავისი ოჯახი (ღმერთმა იცის, რის ფასად), მე კი დამენგრა. ქალის ცდუნება ძალიან ძნელია, თუკი იგი მტკიცე ნებისყოფისაა, თუ უყვარს ქმარი. მე სუსტიც გამოვდექი და ალბათ ქმარიც ნაკლებად მიყვარდა... უკვე მრავალი წელია, მე იმ „ბაბუს“ საყვარელი ვარ. არ ვიცი, რას განიცდის მისი მეუღლე, მაგრამ მე, მისგან წამოსულს, ყოველთვის მქენჯნის სინდისი...*

*მარინა, იცით, რატომ განდობთ ამ აღსარებას? არ მინდა, ამქვეყნად არსებობდნენ მოღალატე ქალები. იმაზე კარგი არაფერია, როცა შენს სინდისთან, შვილებთან (თუკი ქმარი არ იმსახურებს ერთგულებას) მართალი და პატიოსანი ხარ.*

*გთხოვთ, გამომიქვეყნოთ ეს პატარა წერილი, რომელიც გამოხმაურებაც არის იმ ქალების მონათხრობზე, რომლებსაც ღალატის წილ ღალატი განუზრახავთ. შეიძლება ბევრმა გამკიცხოს (ამას ველი კიდეც), და შემაჩვენოს, მაგრამ ცოდვის აღიარებით ცოტათი მაინც შევიმსუბუქებ იმ დიდ ტკივილს, რომელსაც ამდენი წელია გულით ვატარებ. მართალი გითხრათ, არც კი ვიცი, როდემდე გავუძლებ.*

**ლიზი, 30 წლის“.**

# შიშს დიდი თვალები აქვს

## კაშნემ ენა გამომიყო

*თავის დროზე რომ სულწასულ ბერძენ ასულს, პანდორას, ავადსახსენებელი ყუთი უდროოდ არ გაეხსნა, კაცობრიობას შეიძლება მართლაც მშვიდად ეცხოვრა და ბევრ სხვა უბედურებასთან ერთად შიშის გრძნობასაც არ შევეწუხებინეთ, მაგრამ... რაც მოხდა, მოხდა და მას მერე კარგად ვიცით, როგორი დიდი და ფართოდ გახელილი თვალები აქვს შიშს, რომელიც ხშირად გვიკარგავს მოსვენებას და ზოგჯერ ერთი შეხედვით სასაცილო მდგომარეობაში გვაგდებს. მაგალითად, მე უსაშველოდ მეშინია პაწაწინა, ბუთხუზა და ზოგისთვის ლამის მოსაფერებელი მატლებისა, რომლებიც მშვიდად ბინადრობენ გემრიელ, მწიფე ხილში და სულაც არ ფიქრობენ, რომ ოდესმე მათ „საცხოვრებელს“ ვინმე ჩემისთანა გადარეული ჩაკბეჩს და მერე კივილ-წივილით დაანგრევს ირგვლივ ყველაფერს... ამას წინათ მეტად დახვეწილ ადამიანებთან გახლდით სტუმრად. კვეხნით არ ვიტყვი და, კარგი მანერები არც მე მაკლია — დიდის ამბით „ვიპრანჭებოდი“. ეს ალბათ ვიზიტის ბოლომდე გასტანდა, რომ არა ლოყაწითელა, საამო სურნელმფრქვეველი ვაშლი... ავიღე, ჩავკბიჩე და უცებ ვიგრძენი რომ კბის გულისპირთან, კანზე, რაღაც მომხვდა... — არამზადა, საძაგელი მატლი ვაშლიდან გადმომხტარიყო და ზედ ჩემს მკერდზე მოკალათებულიყო. ისე ვიკივლე და წამოვვარდი, რომ მასპინძლებს აშკარად ბნედიანი ვეგონებოდი. სანამ „მოძალადე“ გამარიდეს, მე ჩემი დამემართა. თავი მომეჭრა.*

*მატლი იძახეთ თქვენ, შიშს კი მართლა დიდი თვალები აქვს...*

**ლელა (30 წლის):** — სატელეფონო მესიჯების მეშინია. ძალიან ეჭვიანი ვარ. სულ მგონია, ქმარი მღალატობს და მის გამოსააშკარავებლად და მდგომარეობის დროულად მოსაწესრიგებლად ისეთ ხერხებს მივმართავ ხოლმე, რომ მერე ბუმერანგივით მიბრუნდება ყველაფერი. რამდენიმე თვის წინ გადავწყვიტე, მეუღლისთვის სასიყვარულო მესიჯები გამეგზავნა მეგობრის ტელეფონით. მეუღლე „თამაშში“ ჩავითრიე. ვერ გავიგე, როგორ დაადგინა მოარშიყის ვინაობა. ჩემი დაქალი იფიცება — მე არაფერი მითქვამსო. ამდგარა ყმაწვილი, ახალი ტელეფონი უყიდია და არშიყის მეორე ფრონტი გამიხსნა, რომელსაც სიამოვნებით ავყევი. ერთ დღეს პაემანზეც შევთანხმდით. სისხლი გამეყინა, როცა დანიშნულ ადგილზე, ერთ ნახევრად დანგრეული სახლის სადარბაზოში მივედი (რამ მიმიყვანა, რატომ არ მომტყდა ფეხები!). ერთი 20 წუთის ლოდინის შემდეგ ნიღბიანი, შავ მოსასხამში გახვეული, დიდი დანით შეიარაღებული მოჩვენება დამადგა თავზე. ხელი დამავლო. ავკივლდი, გავუძალიანდი, მაგრამ ღონე გამომელია და გრძნობა დავკარგე. გონს რომ მოვედი, თავზე ჩემი მეუღლე მადგა გაფითრებული. სიკვდილის ღირსი კი ხარ, მაგრამ შენი მოკვლა მაინც არ მინდა, შე შტეროო, — მითხრა და ფეხზე წამომაყენა. აღარ მოვყვები, რა მოხდა მას მერე, მაგრამ მობილური ტელეფონის ზარის და მით უფრო მესიჯის მოსვლის მაუწყებელი სიგნალის წაკითხვა დღემდე თავზარს მცემს.



**თეონა (26 წლის):** — ძალიან მეშინია წყლის, ცურვა არ ვიცი. ამიტომაც ზღვაში ყოველთვის სამი კამერით შევდიოდი. ერთ დღესაც კაი გვარიან მანძილზე გასულს კამერები დამიჭრეს ბიჭებმა და ხელ-ფეხასავსავებული ზღვის ტალღებში აღმოვჩნდი. ვერ წარმოიდგენთ, რა მოვუსვი ახლომახლო მოცურავეებისაკენ. ვიღაც უცნობი შუახნის კაცს (თურქი აღმოჩნდა) ჩამოვეკიდე კისერზე და ვკიოდი, — მიშველეთ, ნაპირზე გამიყვანეთ, არ დამღუპოთ-მეთქი. ის კიდევ მაგარი უილაჯო გამოდგა. ძლივს ცურავდა და ისეთ დღეში აღმოვჩნდით, ნათქვამი რომაა — „მკვდარი მკვდარს აეკიდაო...“ მას შემდეგ ნაპირს არ ვცილდები.

შარშან, იტალიაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე წამოწოლილს, ერთი კაცი მაკვირდებოდა თურმე. მოვიდა და მითხრა, თუ ცურვა არ იცით, სინიორა, მე გაგასეირნებთ ზღვაშიო. დიდად მადლიერი ვარ, თქვენი, მაგრამ ზღვა მწყენს-მეთქი. ეტყობა, ისეთი სახით ვუპასუხე, იფიქრა, მთლად რიგზე ვერ აქვს საქმეო და უმალ გამშორდა.

**მაკა (32 წლის):** — ქვეწარმავლის ეკრანზე დანახვაც კი გულს მიხეთქს. ერთხელ რედაქციიდან დავალება მივიღე — ერთ უცნაურ კაცთან უნდა მივსულიყავი ინტერვიუზე და რეპტილიებზე გვესაუბრა. გემახსოვრებათ, ორი წლის წინ თბილისში რომ ამბავი ატყდა, — არიქა, ვიღაცას კობრების საშენი ჰქონიაო, იქიდან ქვეწარმავლები გაქცეულან და თბილისში დაძრწიანო. მოკლედ, ამ ამბავთან დაკავშირებით იმ უცნაურ კაცს უნდა მოეწოდებინა ინფორმაციები. რას ვიფიქრებდი, იმ გადარეულს გველები შინ თუ ეყოლებოდა!

კარი რომ გამიღო მასპინძელმა, ჯერ ვიფიქრე, ამ სიცხეში კაშნე რას მოუხვევია კისერზე-მეთქი. მაგრამ იმ „კაშნემ“ უცებ თავი რომ წამოსწია და ორკაპა ენის სარსალით დამისისინა, ერთი ამოვიკვნესე, — ვაი-მეთქი და ზედ ზღურბლზე გავიშხლართე.

მომიყვანეს, როგორც იქნა, გონზე, მაგრამ რა, ის ოხერი ისევ კისერზე ჰყავდა. ისევ წამივიდა გული...

რაღა თქმა უნდა, ინტერვიუ არ შედგა, მე კი კარგა ხანს დავდიოდი ფსიქოლოგთან.

***ეკა ლომიძე***

# ნუ განსჯი და...

**თუ გინდათ, რომ წარმატებას მიაღწიოთ და საზოგადოებასთან ურთიერთობების დამყარება გაგიადვილდეთ:**

1. თავს მოერიეთ და ჭორაობას მოეშვით. თუ სხვამ წამოგიწყოთ ლაპარაკი, სიტყვა სხვა რამეზე გადაიტანეთ.

2. ერთი-ორი ჭორიკანა ყველგან არის, ეცადეთ, მოერიდოთ მათთან ურთიერთობას.

3. სანამ რაიმეს იტყოდეთ, გაიხსენეთ გამოთქმა: „ჩემი ენა — ჩემი მტერია“. მოერიდეთ დაუფიქრებელ განცხადებებს, უაპელაციო გამოთქმებს. თქვენი აზრები წარმოაჩინეთ წინასიტყვაობით: „ასე მგონია“, „შეიძლება ვცდები, მაგრამ...“ სათქმელი მართალიც რომ იყოს, სანამ პირს გააღებდეთ, იფიქრეთ, რაიმე ზიანს ხომ არ მოუტანთ მოსაუბრეს ან იმას, ვისზედაც ლაპარაკობთ.

4. ჭორიკნებსა და ლაქლაქებს არასოდეს სცემდნენ პატივს. დღეს ტყუილის გავრცელებისთვის დუელში არავინ არავის იწვევს, მაგრამ სახელი კი შელახული აქვს ასეთ ადამიანს.

5. ეცადეთ, ჭორს არ აჰყვეთ, ეს ნერვების ამაო გლეჯაა. მაგრამ თუ მაინც ვერ ისვენებთ, დაფიქრდით, თქვენვე ხომ არ მიეცით ჭორის საბაბი ენაჭარტალებს, როგორ ხალხს ანდეთ საიდუმლო?

# სკანვორდი ფრაგმენტებით





- მართლმსაჯულების ქალღმერთი
- მცენარის გარეთა ადვილად ასაცლელი ფენა
- ტკივილგამაყუჩებელი საშუალება
- საჭმლის საკაზმი მწვანილი
- სხივი, შუქი, ბრწყინვალება
- ჰანს კრისტიან ანდერსენის სამშობლო
- საკომუნიკაციო საშუალება
- კლდეში ნაკვეთი ქალაქი
- „მსუქანა ბალახი“ (საბა)
- ბერძნულ მით.-ში – პანი, რომაულში...
- პრინცესა დაიანა, ლედი ...
- მახიობის სახე
- ჩინური ჭადრაკი
- მეირფასეულობის შესანახი ყუთი ან კალათი
- ... – ბენკი
- ჭიდაობის ხერხი, ილეთი
- რუსული სამხედრო თვითმფრინავი
- მოკლე კაბა
- ძველი რომაული სპილენძის მონეტა
- სახალხო პოეტი – მომღერალი (ყაზახეთი)
- ნოტი
- იგივეა, რაც მატადორი
- ამერიკელი კომიკოსი მსახიობი და რეჟისორი
- საცურაო კოსტიუმი
- პანტომიმის მსახიობი
- მეოთხე კბილი
- მოსკოვის გადამრჩენი „... და პოჟარსკი“
- მსოფლიო ჩემპიონი ველოსპორტსმენი ... საბიროვა
- 100კვმ.
- პრაქტიკის ანტიპოდი
- ტბა დუშეთის რაიონში
- ნავთობის მოცულობის საზომი ერთეული
- ვოლტებში იზომება
- პოეტ იონა მეგრელიძის ფსევდონიმი
- ბოულინგის სათამაშო მაგიდა
- თვალის ფერადი გარსი
- ფერფლი
- საჭადრაკო ფიგურა
- თმის საღებავი მცენარე
- ებრაელთა სალოცავი წიგნი
- კინოთეატრში შესასვლელი საბუთი
- იტალიური პისტოლეტი
- 1/100 ევრო
- ფრანგი კინომსახ. „შერბურული ქოლგები“
- დედამიწის ამაღლებული ადგილი
- სოფელი ქარელის რაიონში
- ფრანგული ბროლი
- სათუთი, არაუხეში
- მტაცებელი ფრინველი
- მტკივნეული მუწუკი
- ნიზამის პოემა „... და მეჯნუნი“
- თევზის საჭერი მოწყ.-ბა
- მამაკაცის ხმა
- დიპლომატიური წერილი
- მატერიის არსებობის ერთ-ერთი ფორმა
- საფეხბურთო მატჩის ნაწილი
- ქართული ანბანის ასო
- საქონლის ან ფულის მიცემა სესხად
- ფალიაშვილის ოპერა
- პერანგის შესაკრავი
- სპირტიანი სასმელი
- ქალაქი იტალიაში
- თავადაზნაურთა წოდება
- გერმანელი პოეტი
- მდინარე სანქტ-პეტერბურგში








**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. დაიანა; 2. კარატი; 3. ბანა; 4. ნოხი; 5. ვასაკა; 6. კოხი; 7. რე; 8. ციტადელი; 9. ხალი; 10. ილია; 11. საბაბი; 12. ასტეროიდი; 13. ია; 14. დელი; 15. გინეკოლოგია; 16. იტალია; 17. ონო; 18. „არგო“; 19. სეკა; 20. რობერტი; 21. ლაპი; 22. კორტი; 23. ანტალია; 24. რეიდი; 25. მარაქა; 26. მელოდია; 27. ბია; 28. ტრანსეკა; 29. ბიქსი; 30. ტყლაპი; 31. ურდო; 32. რაინი; 33. კულისები; 34. „მაზდა“; 35. რიქშა; 36. ალაზანი; 37. ბაზანი; 38. ტიტრი; 39. ყიალი; 40. ლა; 41. საზრდო; 42. ორბი; 43. ყაბალახი; 44. სუ; 45. მანი; 46. რუანი; 47. ქსანი; 48. კვიცი; 49. ეივე; 50. რუანი; 51. პაპაი; 52. ვალი; 53. „ჰო“; 54. ვიეტა; 55. რეიმსი; 56. მურმანი; 57. ისანი; 58. ძენგა; 59. ბალახი; 60. ალაო; 61. ტრალი; 62. ეშლი; 63. რაუ; 64. რეზა; 65. რალი; 66. ლარი; 67. უშანგი; 68. პი; 69. აგული; 70. გული.

1. დევიდი და ვიქტორია ბექჰემები; 2. „ახალი ქსელები“; 3. მეგობრობა ნაყინამდეა; 4. კომპიუტერის ტყვეობაში; 5. საგზაო პოლიცია.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

# მაია ყარყარაშვილმა იმიჯი რადიკალურად შეიცვალა...

**— სად გაქრა მაია ყარყარაშვილი, რატომ აღარ მღერის? იგი საკმაოდ ნიჭიერი მომღერალია. რაშია საქმე, იქნებ თავად მაიამ გვიპასუხოს ამ შეკითხვაზე.**

***მალხაზ მარგიანი***



კითხვაზე უპასუხებს **მაია ყარყარაშვილი.**

— არსადაც არ გავმქრალვარ. ამ პერიოდის მანძილზე ვიწერდი ახალ სიმღერებს და ისინი უკვე მზად არის. ახლა მინდა კლიპის გადაღება, თუმცა ფინანსური პრობლემის წინაშე ვდგავარ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ვშრომობ, ეს ამ პრობლემას ვერ გადაჭრის. მე არა მყავს მდიდარი მამა და არც მდიდარი ნათესავები. ამჟამად ვმღერი კლუბებში, სხვადასხვა საღამოზე. მაქვს გასვლითი კონცერტები რეგიონებში და სხვა. რაც შეეხება იმ კონცერტებს, რომლებიც დედაქალაქში ეწყობა, მათზე მე აღარ მეძახიან. მე ხომ „არტ-იმედში“ არ გავერთიანებულვარ. მის მიერ მოწყობილ კონცერტზე კი ვინ დამიძახებს. როდესაც კონცერტს სხვა ორგანიზაცია მართავს, ისიც თავის მომღერლებს იწვევს. ასე რომ, დღესდღეობით მომღერლები პოლიტიკოსებივით ცალ-ცალკე „ბანაკებად“ არიან დაყოფილები. ყველა მომღერალი ვიღაცის „საკუთრებაა“, იშვიათი გამონაკლისის გარდა. ჰოდა, მეც ამ გამონაკლისის რიცხვში მიგულეთ. შესაძლოა, მსმენელს იმაზე სწყდებოდეს გული, რომ ტელევიზიით არ ტრიალებს ჩემი კლიპი ან რადიოთი სიმღერა, მაგრამ ახალი სიმღერების გახმაურებას ამ ეტაპზე განზრახ არ ვაპირებ. მინდა კლიპი და სიმღერა ერთდროულად ვატრიალო რადიოთი თუ ტელევიზიით.

გარდა ამისა, რადიკალურად შევიცვალე იმიჯი და შემოქმედებითი პაუზაც ამის გამო მქონდა. მართალია, პაუზა გამიგრძელდა, მაგრამ მინდა სრულიად ახალ ამპლუაში წარვდგე მსმენელისა და მაყურებლის წინაშე. ამისთვის კი ძველის დავიწყებაა საჭირო. თუ ვინმე დაინტერესდება ჩემი პროექტით და სპონსორი გამომიჩნდება, ეს ყოველივე ძალიან მალე მოხდება. ხოლო თუ არა, მაშინ საკუთარი ძალებით ნელ-ნელა განვახორციელებ ჩანაფიქრს.

# სად იხარშება მირონი?

**— ყოველთვის მაინტერესებდა, საიდან მოჰქონათ მირონი ჩვენს ეკლესიებში. ერთმა ახლობელმა მითხრა, მირონს სომხეთში ხარშავენ და იქიდან შემოაქვთო. იქნებ თქვენ მიპასუხოთ ამ კითხვაზე.**

***ლევან ქურხული***

კითხვაზე უპასუხებს **ზურაბ ცხოვრებაძე**, „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქტორი.

— საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა მირონს თავად ამზადებს. საუკუნეების მანძილზე წმინდა მირონი არასოდეს შემოსულა სომხეთიდან. ეს შეუძლებელიც კი იყო, ვინაიდან სომხებმა, ადრეული საუკუნეებიდან მოყოლებული, აირჩიეს არამართლმადიდებლური სარწმუნოება და შესაბამისად, ლოცვითი-ევქარისტიული კავშირი საქართველოს ეკლესიას მათთან არა აქვს. ჩვენი ეკლესია, როგორც ავტოკეფალიური, მირონს მრავალი საუკუნის მანძილზე თავად ხარშავს. მირონი იხარშება მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში და უკანასკნელად იგი 1995 წელს მოიხარშა. მისი მოხარშვის აუცილებლობა დგება მაშინ, როდესაც მირონის გარკვეული რაოდენობა გახარჯულია. მოხარშვა ხდება განუწყვეტელი ლოცვის თანხლებით, რის შედეგადაც მირონზე გადმოდის სულიწმიდის მადლი. ალბათ მკითხველს ის გარემოებაც დააინტერესებს, რომ მირონის გამოყენება ხდება სულ რამდენიმე შემთხვევაში. ადამიანს იგი ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ, ნათლობის წმინდა წესის აგებისას ეცხება და ამ დროს ადამიანზე სულიწმიდის მადლი გადმოდის. მირონს სცხებენ ეკლესიას კურთხევის დროს. ასევე მირონი ეცხება ოდიკს (სპეციალური ნაჭერი, რომლის გარეშეც წირვა შეუძლებელია), დაბოლოს, მირონს იყენებენ მართლმადიდებელი მეფის კურთხევის დროს. ეს გახლავთ ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც ადამიანს მეორეჯერ ეცხება მირონი.

# კურორტი წყალტუბო დღესაც უნიკალურია

**— ვარ ომის მონაწილე ინვალიდი. მირჩიეს წყალტუბოს როდონის შემცველი აბაზანების მიღება. მაწუხებს რევმატიზმი. ისიც მითხრეს, რომ წყალტუბოში მკურნალობა და დასვენება საკმაოდ იაფი ჯდება. იქნებ უფრო დაწვრილებით მოგვითხროთ წყალტუბოს შესახებ...**

***ნუგზარ ჯანდიერი***

კითხვაზე უპასუხებს **თამარ ჩილინგარიშვილი**, საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის სამკურნალო ტურიზმის განყოფილების გამგე.



— წყალტუბოს როდონის შემცველი აბაზანები ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით განთქმული იყო. კურორტი ძირითადად ბალნეოლოგიური სამკურნალო დანიშნულებისაა. წყალტუბო მდებარეობს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში, ზღვის დონიდან 95-120 მ-ზე. კლიმატი აქ თბილი და ზომიერად ტენიანია. წყალტუბოს მინერალური წყლების მნიშვნელოვანი თვისებაა მათი ბუნებრივი ტემპერატურა, რაც სხვადასხვა წყაროში საშუალოდ 32-35 გრადუსის ფარგლებში მერყეობს და უახლოვდება ადამიანის სხეულის ტემპერატურას. ამით კი შესაძლებელია მისი აბაზანების სახით გამოყენება შეთბობის გარეშე. წყალტუბოს მინერალური წყალი მიეკუთვნება უნიკალურ ბუნებრივ ფაქტორთა რიცხვს და სასურველ შედეგს იძლევა ძვალ-სახსროვანი სისტემების, პერიფერიული ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის, აგრეთვე გინეკოლოგიური და კანის ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ. ეს თვისებები, რა თქმა უნდა, კურორტს უნიკალურს ხდის და აქ მკურნალობა დღესაც ძალზე ეფექტურია. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, წყალტუბოს აბაზანების მიღებამდე მიზანშეწონილია ექიმ-კურორტოლოგთან კონსულტაცია, რათა გამოირიცხოს რისკი, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ადამიანები თავიანთი სურვილის მიხედვით (ან სხვების რეკომენდაციით) მიემგზავრებიან ამა თუ იმ კურორტზე, რაც შეიძლება შემდეგში მათი ჯანმრთელობისთვის საზიანო აღმოჩნდეს. აქვე იმასაც დავძენთ, რომ ჩვენს სამკურნალო ცენტრში არსებობს საკურორტო კომისია, რომელიც იძლევა შესაბამის დასკვნას, თუ ვისთვის რომელი კურორტია სასურველი.

# სიტყვათა კონა

**ბარბითი** (ძვ.) — ერთგვარი სიმებიანი საკრავი.

**ბარდანი** — ბლომად დადებული თოვლის ფანტელები.

**ბარდანა** (სპ.) — დიდი ტომარა (ჩვეულებრივ მატყლის, ბამბის, ბზისა და მისთანათათვის).

**ბარე** (საუბ.) — დაახლოებით, თითქმის.

**ბარნელა** — სადღვები ხელსაწყო ერთგვარი (იციან ფშავში).

**ბარტყულა** — ერთგვარი თავსაბურავი ბერმონაზვნისა.

**ბარქაში** — პატარა გობი. იხმარება სახელდახელოდ ცოტაოდენი ცომის მოსაზელად.

**ბარცაკალი** — ხის საწოლის ნაწილი: თავთან გარდიგარდმო გეზად დაყენებული ფიცარი თავის მისადებად (ბალიშის მისადებად) — სასთუმალი.

**ბარძიმი** — საეკლესიო ფეხიანი ჭურჭელი ლითონისა.

**ბარჯი** — ორკაპიანი ჯოხი, ბოძკინტი. 2. რკინის კავიანი ჯოხი (ჩვეულებრივ იხმარებს თევზის საჭერად) — ჭვილთი. 3. სატყორცნი იარაღი, რომლითაც ვეშაპებზე და დიდ თევზებზე ნადირობენ — ჰარპუნი.

**ბასილა** (ძვ.) — საახალწლოდ გამომცხვარი პური კაცის სახისა.

**ბასმა** (თურქ.) — 1. ერთგვარი საღებავი (ჩვეულებრივ შავი). 2. (ძვ.) თეთრი წებოვანი საღებავი, რომლითაც ლეჩაქებზე გამოჰყავდათ სახეები.

**ბასტიბუბუ** (საუბ.) — დიდი ხმაურობა, ჟრიამული (იყო ერთი წივილ-კივილი და ბასტიბუბუ).

**ბასტიონი** (ფრ.) — ძველებური ციხესიმაგრის წინ გამოწეული ნაწილი ხუთკუთხედის ფორმისა.

**ბასტურმა** (თურქ.) — სამწვადე ხორცი, შეწვამდე ძმარში ჩადებული, ზედ პილპილ-, მარილ- და ხახვმოყრილი.

**ბატატურა** — ცხენი, რომელსაც უკანა ფეხები გაფარჩხული აქვს.

**ბატკი** — 1. ჩვილი თიკანი. 2. შემოდგომაზე მოგებული საქონელი.

**ბაქმაზი** (თურქ.) — შესანახად მოდუღებული სქელი წვენი (პომიდვრისა, ყურძნისა, თუთისა და ზოგი სხვა ხილისა).

# თიკო ფეიქრიშვილი «იმედში» გადავიდა

**— გთხოვთ, გვაცნობოთ, სად არის თიკო ფეიქრიშვილი, ხომ არ წასულა „რუსთავი 2-დან“. ამბობენ, რომ იმ პროცესის შემდეგ, როდესაც მალხაზ ხვედელიანმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, თიკო ფეიქრიშვილს გული აუცრუებია ჟურნალისტიკაზე, განსაკუთრებით კი კოლეგების მიმართ. იმასაც ამბობენ, რომ თიკოს უსიამოვნო კონფლიქტი მოსვლია ეკა ხოფერიასთან. იქნებ, გვითხრათ რაშია საქმე?**

***მ. მარგალიტაძე***



— ჩვენი არაერთი თხოვნის მიუხედავად, თიკო ფეიქრიშვილმა თავი აარიდა აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხს. უფრო მეტიც, არც კი ისურვა ჩვენი მკითხველის შეკითხვის მოსმენა და უხეშადაც გვიპასუხა. დასანანია, რომ მისთვის კოლეგიალობის ცნება უცხო ყოფილა. რაც შეეხება თქვენთვის საინტერესო ინფორმაციას, გიპასუხებთ მხოლოდ იმას, რისი გამორკვევაც საკუთარი ძალებით შევძელით. მართლაც, თიკო ფეიქრიშვილი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტი აღარ გახლავთ და როგორც კულუარებში ამბობენ, მისი წამოსვლის მიზეზი ეკა ხოფერიასთან უთანხმოება ყოფილა. ჩვენი ინფორმაციით, იგი ამჟამად ტელეკომპანია „იმედში“ მუშაობს იურისტად. მიუხედავად იმისა, რომ თიკოს უხეშობამ ძალიან გამაკვირვა და გულიც მატკინა, კოლეგას წარმატებებს ვუსურვებ ახალ საქმიანობაში.

# ქვეყნის დაცვა ყველას ვალია!

**— მყავს 18 წლის ვაჟი, რომელიც ამჟამად იმყოფება უცხოეთში. სამხედრო კომისარიატში მთხოვენ სახელმწიფო ბაჟის (200 ლარის) გადახდას. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმებით იმუქრებიან. გთხოვთ განმიმარტოთ, ვალდებული ვარ თუ არა გადავიხადო ეს თანხა? ჩემი ვაჟი ხომ საქართველოში არ იმყოფება.**

***ნ. ჩაჩანიძე***

*ამ კითხვით რედაქციამ მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის უფროსს* ***ნინო სტურუას****, რომელმაც თავდაცვის სამინისტროს იურიდიული სამსახურის დახმარებით შემდეგი განმარტება მოგვცა:*

— საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. თქვენი მკითხველის, ნ. ჩაჩანიძის ჩივილზე, რომ მისი ვაჟი არ იმყოფება საქართველოში და სამხედრო კომისარიატი ამის მიუხედავად სთხოვს კანონით დაწესებულ სახელმწიფო ბაჟს, გიპასუხობთ შემდეგს: ქვეყანაში არყოფნა არ შეიძლება ჩაითვალოს ბაჟის გადახდისაგან თავის დაღწევის მიზეზად, ამიტომ კომისარიატის მოთხოვნა ამ შემთხვევაში სრულიად კანონიერია (სტილი დაცულია).

# მერია გზების შეკეთებას გვპირდება...

**— ვის ევალება დედაქალაქის სავალი გზების კეთილმოწყობა და ასფალტის საფრის შეკეთება? ვინ მიხედავს თემქის გზებს? იქნებ მეტი გულისხმიერება გამოიჩინონ და პერიფერიულ უბნებსაც მიაქციონ ყურადღება...**

***ია ჩარგლელი***

კითხვაზე უპასუხებს **მერაბ შალვაძე,** — დედაქალაქის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მთავარი ინჟინერი.

— გასაგებია მოქალაქეთა ჩივილი. მსგავსი საკითხები, ანუ შიდა და მეორეხარისხოვანი გზების შეკეთება რაიონის გამგეობისა და ადგილობრივი კეთილმოწყობის სამსახურის პრეროგატივა გახლავთ. ამჟამად თბილისის გზების 90% დაზიანებულია და ამ ფაქტს ვერ გავექცევით. დედაქალაქის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ბიუჯეტი წელს მცირეა. ამიტომაც ვაკეთებთ იმას, რისი შესაძლებლობაც გვაქვს. გარდა ამისა, კეთილმოწყობის სამსახური ძირითადად მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს, აეროპორტის, ცენტრალური, მაგისტრალური და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გზების შეკეთებაზე მუშაობს. თუმცა ფინანსურად ხშირად ვეხმარებით რაიონულ გამგეობებს. ამ დღეებში დავიწყეთ ქსნის ქუჩიდან (სანზონა) მოყოლებული მეტეხის გვირაბის მიმართულებით სანაპირო გზების შეკეთება. რაც შეეხება თემქას, ამჟამად აქ მიმდინარეობს ცალკეული ქუჩების კაპიტალური შეკეთება, დანარჩენს კი მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით აღვადგენთ.

# მასონები – კაცობრიობის მტრები თუ...

**— რა საფრთხეს უქმნის კაცობრიობას მასონთა ორგანიზაცია? როდის ჩამოყალიბდა ეს მიმდინარეობა. ვინ არიან ამ ორგანიზაციის ცნობილი წევრები?**

***დიმიტრი მურვანიძე***

კითხვაზე უპასუხებს **გივი ზოლოთაშვილი**, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის დოცენტი.

— მასონთა, ანუ ფრანკ მასონთა (ფრანგ. თავისუფალი კალატოზი) ორგანიზაცია ჩამოყალიბდა მე-18 საუკუნის (1717 წ.) ინგლისში და მისი შემქმნელი გახლდათ ჯოზეფ ანდერსონი. ანდერსონმა შეიმუშავა წესდება, რომლის მიხედვითაც მასონთა ორგანიზაცია რელიგიურ-ეთიკურ გაერთიანებად გამოცხადდა. წესდება ქადაგებს სიყვარულს, ძმობას, ურთიერთდახმარებას. ჯოზეფ ანდერსონი ასევე ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ორგანიზაციის წევრები არც სულელი ათეისტები უნდა იყვნენ და არც თავგადაკლული რელიგიის მიმდევარნი. ანუ მასონები რელიგიას ბოლომდე არ უარყოფენ. ჯერ კიდევ მე-12 საუკუნის ევროპაში არსებობდა ფრანკ-მასონური გაერთიანებანი, რომელიც ძირითადად თავს უყრიდა მშენებლებს, ანუ მშენებელთა პრივილეგირებულ ფენას: არქიტექტორებს, მოქანდაკეებს, მხატვრებს, მაღალი კვალიფიკაციის კალატოზებს და სხვა. სწორედ მათი გამოცდილებითა და საუკუნოვანი ტრადიციით იხელმძღვანელა ჯოზეფ ანდერსონმა მასონთა ორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბებისას. თუმცა თანამედროვე მასონთა ლოჟების საფეხურებრივი თანამიმდევრობა გაცილებით რთულია, ვიდრე გასულ საუკუნეებში იყო. წესდებაში ანდერსონმა მიუთითა, რომ მასონები უნდა დაეხმარონ თავიანთი ქვეყნის ხელისუფლებას, მაგრამ არ უნდა ჩაერიონ პოლიტიკურ საქმიანობაში. სამწუხაროდ, წესდების ეს მუხლი ხშირად ირღვეოდა, როგორც გასულ საუკუნეებში, ასევე დღესაც. მაგალითისთვის მოვიყვან ცნობილ მასონთა მხოლოდ მცირე ნაწილს: გერმანიის იმპერატორ — ფრიდრიხ პირველიდან მოყოლებული ფრიდრიხ მესამის ჩათვლით; ინგლისის მეფეები — ჯორჯ V, ედუარდ V, ედუარდ V; ამერიკის თითქმის ყველა პრეზიდენტი დაწყებული ჯორჯ ვაშინგტონიდან ტრუმენის ჩათვლით. მათ შორის ჯორჯ ბუში (უფროსი), ბენჯამინ ფრანკლინი, უინსტონ ჩერჩილი; მწერლები: ლესინგი, გოეთე; ფილოსოფოსი ჰერდერი; კომპოზიტორები: მოცარტი, ჰაიდნი და უამრავი სხვა. რაც შეეხება შეკითხვას, თუ რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს მასონთა ორგანიზაციის არსებობით მსოფლიოს, ჩემი აზრით, არავითარი. იმის გამო, რომ ორგანიზაციაში გაწევრება გასაიდუმლოებულია და მისი საქმიანობის მეტი წილი გაურკვეველია. ხალხში შეიქმნა მითები და მასონების გარშემო უარყოფითი წარმოდგენა. ყველაფერი კი მე-19 საუკუნიდან დაიწყო, მაშინ როდესაც ლოჟაში მიღების ცერემონიალი რიტუალისა თუ გარკვეული წესების დაცვით წარიმართა. ჭორებმაც აღარ დააყოვნა. ამ ბოლო დროს მასონების შესახებ ბევრი რამ იწერება, თუმცა იშვიათად გამოერევა მათ შორის ისეთი ინფორმაცია, რომელსაც ფაქტობრივი მტკიცებულებანი ახლავს. ამიტომაც ეს ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში ფანტასტიკის სფეროს უფრო მიესადაგება, ვიდრე მათი რიტუალებისა თუ ცხოვრების წესის აღწერას.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

CMYK

# მედიცინა



## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**მაწუხებს წნევა. ვსვამ ჰიპოთიაზიდს. მასთან ერთად აუცილებელია თუ არა პანანგინის მიღება?**

***ლუბა ონიანი, თბილისი***

ჰიპოთიაზიდი წარმოადგენს შარდმდენ პრეპარატს, რომელსაც ორგანიზმიდან სითხესთან ერთად გამოაქვს საჭირო მიკროელემენტები და უპირველეს ყოვლისა, კალიუმი. ასეთი შარდმდენის გამოყენებისას აუცილებელია კალიუმის პრეპარატის მიღება მისი დანაკლისის შესავსებად, რათა არ განვითარდეს მარილოვანი ცვლის დარღვევა. კალიუმის პრეპარატებია: კალიუმის ოროტატი, ასპარკამი, პანანგინი. მათ შორის პანანგინი ყველაზე უკეთესი იმითაა, რომ კალიუმთან ერთად მაგნიუმსაც შეიცავს, მაგრამ თუ იგი არ გაქვთ, შეგიძლიათ ყველაზე იაფფასიანი — კალიუმის ოროტატი მიიღოთ. ჩვეულებრივ, აღნიშნული წამლები ინიშნება დოზით — თითო აბი 3-ჯერ დღეში. თუ ჰიპოთიაზიდს მუდმივად არ სვამთ, კალიუმის პრეპარატის მიღებაც შეგიძლიათ შეწყვიტოთ პერიოდულად. სასურველია, რომ ჰიპოთიაზიდის მოხსნის შემდეგ სამი დღის განმავლობაში მაინც გააგრძელოთ კალიუმის პრეპარატის სმა. არსებობს კვების პროდუქტები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავს კალიუმს. ასეთებია: კარტოფილი (კანიანად მოხარშული), გოგრა, გარგარი, მაგრამ შარდმდენი პრეპარატების მიღებისას უმჯობესია კალიუმის აბების გამოყენება, რადგან აღნიშნული პროდუქტები ვერ ავსებს მარილის დანაკარგს.

**მუშაობა დავიწყე და ჩემი 3 წლის გოგონა გავაგზავნე სოფელში ბებიასთან. პატარამ ძალიან განიცადა უჩემობა, სულ ტიროდა, მერე თითქოს მიეჩვია იქაურობას, მაგრამ დაეწყო ენის დაბმა. საერთოდ, ბავშვი ნერვულია, თუმცა ასეთი რამ მანამდე არასოდეს შემიმჩნევია. ახლა ვცდილობ, ხშირად ჩავიდე შვილთან, განშორებას ისევ ზედმეტად განიცდის. მაინტერესებს ენაბლუობა სამუდამოდ დარჩება თუ ნერვიულობაზე ბავშვს რაიმე დაუზიანდა?**

***პატივისცემით ნინო ა. თბილისი***

თუ ბავშვს ენაბორძიკობა ახლა განუვითარდა, იგი ნერვული ხასიათისაა და ემოციური სტრესის შედეგს წარმოადგენს. ასეთი სტრესის მიზეზი ბავშვისთვის შეიძლება იყოს დედასთან განშორება, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა. ზედმეტი სიმკაცრის გამოჩენა მის მიმართ, შიში. ამ სიმპტომების გაჩენა ხშირად ახასიათებთ 2-3 წლის ბავშვებს, რადგან აღნიშნულ ასაკში პატარა იწყებს რთულ მეტყველებას და გრძელი წინადადებების წარმოთქმას. სტრესული ენაბორძიკობა ძალიან იშვიათად იძენს ქრონიკულ ხასიათს, უმრავლეს შემთხვევაში კი, დროთა განმავლობაში გაივლის ხოლმე. მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია სტრესული ფაქტორის მოხსნის აუცილებლობა, რადგან თქვენი მონათხრობიდან ჩანს, რომ იგი ჯერაც არ არის გამოსული მისთვის მძიმე მდგომარეობიდან. სამწუხაროდ, თქვენ მოგიწევთ არჩევანის გაკეთება: ან სამსახური, ან ბავშვის ჯანმრთელობა. სხვაგვარად ვერ შეძლებთ, დაარწმუნოთ, რომ იგი თქვენთვის ისეთივე ძვირფასია, როგორიც აქამდე იყო.

შეგიძლიათ კონსულტაციისათვის ბავშვთა ფსიქოლოგს მიმართოთ, მაგრამ მთავარი ფიგურა აღნიშნულ კონფლიქტში თქვენ ხართ და თქვენვე უნდა შეძლოთ მისი მოგვარება. თუ შეძლებთ, ბავშვის სტრესიდან გამოყვანას, ის აუცილებლად გამოჯანსაღდება.

**ჩემს 19 წლის გოგონას არეული ჰქონდა მენსტრუალური ციკლი. 3 თვის განმავლობაში სვამდა „დიანე 35“-ს. ამ პერიოდში ციკლი მოუწესრიგდა, მაგრამ შემდეგ კვლავ აერია. შეიძლება თუ არა გააგრძელოს „დიანე 35“-ის მიღება? კიდევ რას გვირჩევთ?**

***ა.ა.***

შეკითხვის ავტორი არ გვწერს, ჩაუტარდა თუ არა მის ქალიშვილს ჰორმონული გამოკვლევა, რომლის გარეშეც აღნიშნული წამლის დანიშვნა დაუშვებელია: ვინაიდან „დიანე 35“ ჰორმონულ პრეპარატს წარმოადგენს. თუ პრეპარატი გამოკვლევის შემდეგ დაინიშნა, მაშინ თქვენ მიერ მისი მიღების ხანგრძლივობა (3 თვე) საკმაოდ მცირეა იმისათვის, რომ რეალური ეფექტი მიგვეღო. ჩვეულებრივ, ეს წამალი ინიშნება მინიმუმ, 6 თვით მაინც. დაავადების სიმპტომების გაქრობის შემდეგ საჭიროა დამატებით 3-4 ციკლის (21 დღე მიღება, 7 დღე დასვენება) ჩატარება. გირჩევთ, სერიოზულად მოეკიდოთ ჰორმონულ დისბალანსს, (დარღვევას). ნუ ჩაიტარებთ თვითმკურნალობას მსგავსი პრეპარატებით, მით უმეტეს, საჭირო ანალიზების გარეშე. მიმართეთ გამოცდილ გინეკოლოგს და მის მიერ დანიშნული თერაპიის კურსი ზედმიწევნით დაასრულეთ.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## ბოლი — მკურნალი

გაგიგონიათ ოდესმე, ბოლი მკურნალიაო? ალბათ არა. არადა სხვადასხვა მცენარის ბოლის მკურნალი ძალა დიდი ხანია ცნობილია, ხალხურ მედიცინაში.



მაგალითად, **ღვიის** ბოლი ძლიერ ბაქტერიციდულია. ჰაერში, რომელიც ამ ბოლით არის გაჟღენთილი, ისპობა დამასნებოვნებელი ბაქტერიები, ხელს უწყობს ტუბერკულოზის, ფილტვების, ქალურ, კანის, თირკმლების, შარდის ბუშტის დაავადებათა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის განკურნებას.

**საკმევლის** ბოლი ყველასათვის ცნობილია, მისი მსუბუქი და სასიამოვნო სურნელი ამშვიდებს ნერვებს, აადვილებს სუნთქვას, წმენდს ჰაერს, სპობს მავნე ბაქტერიებს, შველის გაცივებას, ქრონიკულ ბრონქიტს, ლარინგიტს, ტრაქეიტს, რინიტსა და ანგინას. საკმევლით მკურნალობის პროცედურა უნდა გაგრძელდეს 10 წუთს, დღეში 3-4-ჯერ; იგი ხელს უწყობს გულის დაავადებების განკურნებას. თუ გული გაწუხებთ, დღეში 2-3-ჯერ, 5-5 წუთით ისუნთქეთ წიწვოვანი ხის საკმევლის სურნელი.

ღვიძლის და საერთოდ, კუჭნაწლავის მუშაობას, მხედველობას აუმჯობესებს **აბზინდის** მომწარო ბოლი; უმჯობესია, სამკურნალოდ იხმაროთ ის მცენარე, რომელიც იზრდება მზიან ფერდობზე.

**ეფედრის** ბოლი სასარგებლოა ბრონქიალური ასთმის დროს, რომელიც უნდა შეისუნთქოთ რამდენიმე წუთი, დღეში 2-3-ჯერ. მისი დაქუცმაცებული ღეროებისგან შეიძლება სიგარეტის გაკეთება და მოწევა.

**ევკალიპტის** ბოლი ანთებსაწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი და ამოსახველებლი თვისებებით ხასიათდება. გარდა ამისა, ის შველის ყელის (ანგინას, ლარინგიტს, ტრაქეიტს) ტკივილსა და ციებ-ცხელებას.

**როზმარინის** ბოლი ამაგრებს ნერვულ სისტემასა და ხელს უწყობს თმის ზრდას. ჰიპერტონიის დროს და ინსულტის შემდეგ სასარგებლოა როზმარინის და ლავანდის დაქუცმაცებული ღეროების (3:1) სუსტი ბოლის შესუნთქვა.

***ტაინაია ვლასტ №9***

## ყვავილთა დედოფლის სიკეთე

ვარდი არა მარტო ალამაზებს ბუნებას და ადამიანის ცხოვრებას, არამედ მისი ტკბილი სურნელი ამშვიდებს მას და ხშირად კურნავს კიდეც. ვარდის ფურცლები შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც აუმჯობესებენ ავადმყოფის მდგომარეობას ანგინის, კუჭის, ნაწლავების, ღვიძლისა და თვალების დაავადებსას.



გთავაზობთ ზოგიერთ რეცეპტს:

თუ **უძილობა** გაწუხებთ, 1 ჩ/კ დაქუცმაცებული ვარდის ფურცელი და 20 გ კატაბალახას ფესვები ჩაყარეთ ფინჯანში, დაასხით მდუღარე წყალი, გააჩერეთ 10 წუთი, გაწურეთ (შეგიძლიათ დაამატოთ თაფლი) და დალიეთ, როგორც ჩაი.

თუ ტკივილისგან თავი გისკდებათ, არ იჩქაროთ ტკივილგამაყუჩებელი აბების მიღება. შეეცადეთ, დაივიწყოთ ყოველგვარი უსიამოვნებანი, რაშიც დაგეხმარებათ ვარდის ფურცლების კომპრესი: 1 ფინჯან ცივ წყალში ჩაასხით 3 ს/კ ვარდის წყალი და 2-3 წვეთი ბალის პიტნის ექსტრაქტი. დაასველეთ დოლბანდი და 10 წუთით დაიფინეთ შუბლსა და კეფაზე.

**კრიტიკულ** დღეებში ქალბატონებმა უნდა მიიღონ 25-25 გ ძახველის, ხეჭრელის ქერქის, ჭანგას ფესვურასა და გამხმარი ვარდის ფურცლის ნაყენი: 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, 2 საათით გააჩერეთ თერმოსში, გაწურეთ და დალიეთ 5-6 მიღებაზე დღის განმავლობაში.

**ფერიმჭამელები და მუწუკები** თუ გაწუხებთ, გაიკეთეთ ვარდისა და ლავანდის კომპრესი: 1 ჩ/კ ვარდის წყალში ჩაყარეთ 2 ჩ/კ გამხმარი ლავანდის ყვავილი, თავდახურული გააჩერეთ 2 საათი, შემდეგ გაწურეთ, ნაყენში დაასველეთ დოლბანდი და დაბანილ სახეზე დაიფინეთ.

**ქერტლის** დროს: 100 გ ჭინჭარს დაასხით 1 ლ წყალი და 0,5 ვარდის ძმარი, შედგით ნელ ცეცხლზე და ნახევარი საათი ადუღეთ, გაწურეთ. 3 ჩ/ჭ ნახარში დაამატეთ წყალს და დაბანის შემდეგ გადაივლეთ.

თუ უგუნებოდ ხართ, ვარდის ზეთი წაისვით კეფასა და მაჯაზე (შიგნითა მხრიდან), ან არომატულ ლამპარზე დააწვეთეთ, მისი სურნელი სწრაფად დაგამშვიდებთ და გუნებაც გამოგიკეთდებათ.

***ლიზა №26***

## ბევრი სტაფილო — მამაკაცებს

ბრიტანელი და ფრანგი მეცნიერები ურჩევენ მამაკაცებს, ვისაც მანდილოსნების გულების დაპყრობა სურთ, უხვად მიირთვან სტაფილო. სტაფილო შეიცავს ძალიან სასარგებლო ნივთიერებებს — კაროტინოიდებს, რომელიც ნებისმიერ მამაკაცს სექსუალურ მიმზიდველობას შესძენს.

***ოჯი***




# რას კურნავს მკვდარი ფუტკარი



მეცნიერები მაღალ შეფასებას აძლევენ მკვდარი ფუტკრით მკურნალობის მეთოდს. სამკურნალო ნივთიერება ჰეპარინი და ჰეპაროიდი, რომლებიც აჩერებენ ანთებით პროცესებს, აწესრიგებენ წნევას და სისხლძარღვთა სისტემას, სექსუალურ დარღვევებს, იმპოტენციას და ფრიგიდულობას, წინამდებარე ჯირკვლების ადენომას, მოთავსებულია ფუტკრის ქერცლში. იგულისხმება, რომ სამკურნალოდ გამოიყენება მხოლოდ თავისით დახოცილი ფუტკარი და არა — რაიმე სენით...

ნაყენი ასე მზადდება: 1 ს/კ მკვდარი ფუტკრის ფხვნილს დაასხით 1 ჩ/ჭ სპირტი, გააჩერეთ ორი კვირა. მიიღეთ 12-20 წვეთი ჭამის შემდეგ, 1-2 თვის მანძილზე.

ექსტრატი პარალელურად კურნავს გულს, სისხლძარღვებს და თირკმლებს.

ზოგიერთმა მეფუტკრემ იცის ამ საკვირველი მწერის ფასი და პირდაპირ ჭამს მკვდარ ფუტკარს ან თაფლში გარეულს მიირთმევს. ამიტომაც, არ უჩივის მხედველობას.

სასარგებლოა ამგვარი წამალი: 1 ჩ/კ ახალდახოცილი ფუტკრები 5-6 წთ შუშეთ 1,5 ს/კ ზეთში, გააცივეთ, დასრისეთ და მიიღეთ ჭამამდე, დააყოლეთ რძე.

***მეგაპოლის-ექსპრესი №25***

# ჰარმონიული დიეტა ჩეხურად



თუ სიმსუქნემ შეგაწუხათ და გახდომა მტკიცედ გადაწყვიტეთ, ჭამას ნუ აკრძალავთ. უმჯობესია, რაციონში ღორის ხორცის და ლუდის რაოდენობა გაზარდოთ და... რაც შეიძლება ხშირად მიეცეთ სექსით ტკბობას, — ცხოვრების ასეთი ჯანსაღი წესი შესთავაზეს მსურველებს პრაღელმა დიეტოლოგებმა. ღორის ხორცი და ლუდი „სრული კულინარიული ჰარმონიაა“, ამიტომ სავსებით შესაძლებელია ისინი დიეტურ პროდუქტებს მივაკუთვნოთ, ამტკიცებენ ექსპერტები. მაგრამ ჭარბი წონის თავიდან მოცილების ყველაზე ეფექტურ და სასიამოვნო მეთოდად აქტიური სქესობრივი ცხოვრებაა მიჩნეული. ვინც ხშირად ტკბება სექსით, შესანიშნავი აღნაგობა, კარგი ჯანმრთელობა, მყარი იმუნიტეტი და ნივთიერებათა საუკეთესო მიმოქცევა აქვს. გარდა ამისა, „ნაყოფიერ“ სექსუალურ ცხოვრებას ნოყიერი ჭამა-სმა სჭირდება. ასეთ დროს კი, ყველაზე საუკეთესო პროდუქტებია ღორის ხორცი და ლუდი.

***ეხო პლანეტი №23***

**სისხლში შაქრის საზომი აპარატი**
**ავტ. საჩხვლეტით – 89ლ.**
**ტესტ-ჩხირები ერთჯერადი ნემსები**
**შპს „კონტრასტი“**
**ბორჯომის ქ. 4**
☎ 35-44-05;
899-19-60-55



**ვმკურნალობთ**
**ქრონიკულ პროსტატიტს**
- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

**მკურნალი**
**თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის**

*პირველად საქართველოში!*
**მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:**
სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.
**ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!**
კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: 99 64 99
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
**ანონიმურობა დაცულია!**

**რა სახის მოწამვლა ხდება ზაფხულში. როგორ მოვიქცეთ?**

***დ. გაბედავა, ქ. ქუთაისი***



ნაწლავთა მწვავე ინფექციები განსაკუთრებით ხშირია ზაფხულში. ამის მიზეზია არა თვით მიკრობი, არამედ საკვებისმიერი ტოქსიკოინფექცია, ანუ მიკრობის მიერ გამომუშავებული შხამით მოწამვლა, რაც სალმონელებით, სტაფილოკოკებით და სხვა ბაქტერიებითაა გამოწვეული.

საკვებისმიერი ტოქსიკოინფექცია რომ განვითარდეს, მიკრობებმა საკვებში გამრავლება და ტოქსინის გარკვეული რაოდენობით გამომუშავება უნდა მოასწრონ. ერთეული მიკრობი დაავადებებს არ იწვევს, მას კუჭის წვენი ანადგურებს.

დაავადების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ტოქსინის რაოდენობა. ამიტომ არის სანდო სოფლის კვერცხი, რომელიც

# ვერიდოთ მოწამვლას!

შესაძლოა ინფიცირებული იყოს, მაგრამ მიკრობები მასში ტოქსინის დიდი ოდენობით დაგროვებას ვერ ასწრებენ.

*სტაფილოკოკურ ტოქსიკოინფექციას* ხანმოკლე ინკუბაციური პერიოდი აქვს. დაავადება ხშირად ტოქსიკური საკვების მიღებიდან ნახევარ საათში იწყება. შხამი განსაკუთრებით კარგად კრემსა და რძის პროდუქტებში გამომუშავდება.

სტაფილოკოკური ინფექციის გამავრცელებლები არიან ნუშურა ჯირკვლების ანთებით, ფურუნკულოზით დაავადებული ადამიანები.

მოწამვლა გულისრევითა და ღებინებით იწყება. ტოქსინის წვრილ ნაწლავში გადასვლა ფაღარათს იწვევს. პროცესში მსხვილი ნაწლავის ჩართვისას გამონაყოფს სისხლი და ლორწო ახლავს. ამ დროს ტემპერატურა არ იმატებს.

*ნაწლავთა აშლილობის* მიზეზს გამოკვლევებით (განავალი, ამონთხეული მასა, საკვების ნარჩენები, წყალი) ადგენენ.

ნაწლავთა დისფუნქციის დროს პირველ რიგში საჭიროა კუჭის ამორეცხვა და გამწმენდი ოყნა.

*გაითვალისწინეთ:* ღებინება და მუცელში დისკომფორტი მიოკარდიუმის ინფარქტსაც ახასიათებს, ამიტომ საჭიროებისას უთუოდ მიმართეთ ექიმს.

*ბაქტერიული ინფექციისას,* როგორიცაა სალმონელოზი, ამებიაზი, დიზინტერია, ანტიბიოტიკები გამოიყენება. *საკვებისმიერი ტოქსიკოინფექციის* დროს მათი ხმარება მიზანშეწონილი არ არის, რადგან ბევრი კლასიკური პრეპარატი ზოგიერთ მიკრობზე არ მოქმედებს (მაგ. გენტამიცინი). ამიტომ სასურველია, ანტიბიოტიკით მკურნალობა ექიმმა დანიშნოს შესაბამისი რეგიონის ან მიკრობის ინდივიდუალური მგრძნობელობის გათვალისწინებით.

*ნაწლავთა დისფუნქციის მკურნალობაში* განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიეტა. ამ დროს რაციონიდან გამოირიცხება უხეში საკვები (მათ შორის, სტაფილო, ჭარხალი, კიტრი, ბადრიჯანი, ლობიო). იზღუდება ცხიმი, ავადმყოფი იღებს მხოლოდ მოხარშულ საკვებს, დიდი რაოდენობით სვამს სითხეებს (ჩაი, გაზგაცლილი ბორჯომი, ახალი ხილის კომპოტი და სხვ.).

მისაღები სითხის რაოდენობა დაკარგულის მიხედვით განისაზღვრება. თუ იგი ძალიან ბევრია, მაშინ საჭიროა ჰოსპიტალიზაცია და შიმშილით მკურნალობა.

სასურველია, კისელის სისქის მოხარშული ბრინჯის (და არა ბრინჯის ნახარშის) მიღება. ბრინჯი შეიცავს ნატრიუმს, კალიუმს, ნახშირწყლებს, აქვს მთრიმლავი მოქმედება ნაწლავებზე... დაბალი ოსმოსური წნევის გამო მას ადვილად შეიწოვს ნაწლავები. ნაწლავთა დისფუნქციის დროს დიეტა 1-2 კვირა გრძელდება.

***მაია მუხიგული***

# ოთხი სტიქიის გზავნილი...



უძველესი დროიდან ცნობილია ყავის მისტიკური თავისებურებანი; არა მარტო გვსიამოვნებს მისი სმა, არამედ შევიგრძნობთ მერკურის ენერგიასაც, ვივსებით შთაგონებით, ვხდებით უფრო გონივრები, გულღია და სასიამოვნო მოსაუბრენი, გვემატება ძალა...

ყავა აერთიანებს ოთხ ასტრალურ სტიქიას — ცეცხლს, წყალს, მიწასა და ჰაერს, ამის გამო იგი ენერგიის მძლავრი გენერატორია. მაგიდასთან, ჰაერზე ყავის სმა კი მეტად სასიამოვნოა, ეს არის ურთიერთობისა და ინფორმაციის, გულღია საუბრისა თუ ისე, უბრალოდ ერთად ყოფნის ერთ-ერთი საშუალება... როგორც წესი, ყავა გვმატებს სიმხნევეს, გვიუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, რაც თავისთავად ჯანმრთელობის საწინდარია — თუ მას გონივრულად მივიღებთ. ჰოლანდიელი და ამერიკელი მედიკოსების ახალი მონაცემებით, ყავას შეუძლია:

**1.** ორჯერ გაზარდოს ადამიანის გონებრივი შესაძლებლობანი;

**2.** ხსნის დეპრესიას;

**3.** აუმჯობესებს საჭმლის მონელებას (განსაკუთრებით ეს ეხება მათ, ვისაც ყაბზობა აწუხებთ);

**4.** აუმჯობესებს სუნთქვის ორგანოების ფუნქციებს (ნაწილობრივ, ფილტვების) თავის ტვინის სისხლით მომარაგებას და გულის მუშაობას;

**5.** შველის გაცივებას და გრიპს საწყის მდგომარეობაში;

**6.** ასუსტებს ნაბახუსევის სინდრომს;

**7.** ხელს უშლის თირკმლებში ქვების წარმოქმნას;

**8.** შველის უძილობას (საკვირველია, მაგრამ ფაქტია!)

რა თქმა უნდა, აქ საუბარია დღეში 2-3 პატარა ფინჯანი ყავის მიღებაზე და არა განუსაზღვრელი რაოდენობით, როდესაც საწინააღმდეგო შედეგს ვიღებთ.

***მედიცინა***

# რა ვიცით კიტრის შესახებ?



კიტრს უძველესი დროიდან იცნობს ადამიანი. ის მოჰყავდათ ინდოეთში, ეგვიპტესა და საბერძნეთში.

კიტრი გოგრის ოჯახთა წარმომადგენელია. ის შეიცავს 97% წყალს, დარჩენილი 3% ასუფთავებს ნაწლავების უჯრედებს. ახალი კიტრი (და არა მარილიანი ან მწნილი) ძალიან დაბალკალორიულია და ხელს უწყობს გახდომას, განტვირთვის დღეებში მიიღეთ 2 კგ-მდე მაინც.

ასევე ემსახურება გახდომას ყაბაყი, ცუკინი და პატისონი. მართალია, მათში შედარებით ნაკლები წყალია, მაგრამ მეტია უჯრედისები, რომელიც იწვევს დანაყრების გრძნობას.

გარდა ამისა, ეს სანაქებო ბოსტნეული, თავის „ნათესავებთან“ ერთად, არა მარტო ზრუნავს ჩვენს ჯანმრთელობაზე, არამედ ზრდის თმას (განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვისაც თმა სცვივა), ახასიათებს მსუბუქი გამხსნელის თვისება, შველის შეშუპებას, წყალმანკს, ხოლო ცუკინი და ყაბაყი ხელს უშლიან ათეროსკლეროზის განვითარებას, გამოდევნიან ორგანიზმიდან ტოქსინებს. ცუკინი ძალიან საარგებლოა ღვიძლით დაავადებულთათვის. ყაბაყს უძველეს დროში იყენებდნენ ჭრილობების სამკურნალოდ.

გთავაზობთ კიტრის ზოგიერთ სამკურნალო და კოსმეტიკურ რეცეპტს:

**ხველების დროს**: კიტრის წვენს შეურიეთ თაფლი (1 ჭ წვენზე 2 ს/კ), შეინახეთ მაცივარში. მიიღეთ 2-3 ს/კ 2-3-ჯერ დღეში.

**კუჭ-ნაწლავის ჭვალის დროს,** როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება: უზმოზე დალიეთ 100გ ახალგამოწურული კიტრის წვენი.

**ცხიმიანი კანის ლოსიონი:** 1 ჩ/ჭ დაქუცმაცებულ კიტრს დაასხით 1 ჩ/ჭ სპირტი. გააჩერეთ 2 კვირა, შემდეგ გაწურეთ და ლოსიონიც მზად არის.

**ნიღაბი ნებისმიერი სახის კანისთვის:** შეურიეთ ერთმანეთს 2 ს/კ ახალი ხაჭო, 1 ჩ/კ მზესუმზირას ზეთი, 1 ცალი გახეხილი კიტრი და 1 ჩ/კ დაკეპილი ოხრახუში. ნარევი წაისვით სახეზე და 25 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ ანადუღარი თბილი წყლით.

**ფერიმჭამელებისა და მუწუკების დროს** დაქუცმაცებული კიტრის ქერქს დაასხით ცივი, ანადუღარი წყალი (1:10), გააჩერეთ 4 საათი, შემდეგ გაწურეთ და ნაყენით გაიწმინდეთ სახე დილა-საღამოს.

**მშრალი კანის დროს** 2 ჩ/კ ანადუღარ რძეში ნახევარი საათით ჩადეთ კიტრის პატარა ნაჭერი და გაიწმინდეთ სახე.

**ნიღაბი მოდუნებული კანისთვის**: გახეხილ კიტრს შეურიეთ 1 ჩ/კ თაფლი და წაისვით სახეზე. 20-25 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ წყლით.

***კომსომოლსკაია პრავდა №115***

# დინდგელი

დინდგელი, ანუ თაფლის წებო — ერთ-ერთი უძველესი წამალია.

გთავაზობთ ზოგიერთ რეცეპტს:

10გ დინდგელი გახსენით 1/2 ჩ/ჭ წყალში და 10-15 წუთით გააჩერეთ წყლის ორთქლზე, დროდადრო მოურიეთ, შემდეგ გაწურეთ და შეინახეთ ცივ ადგილას.

პირის ღრუს დაავადებისას დინდგელის ნაყენი გახსენით წყალში (1:1) და დღეში 3-ჯერ გამოივლეთ პირში;

კონიუნქტივიტის დროს (იმავე პროპორციით) თვალში ჩაიწვეთეთ 1-2 წვეთი წყალში გახსნილი დინდგელის ნაყენი;

ჭრილობებსა და ნაწოლებზე დაიფინეთ დინდგელის ნაყენში დასველებული მარლა.

***ოტდოხნი! №22***

პალესტინა-ისრაელი

## ისრაელმა ბეთლემი ჩააბარა

ისრაელის ჯარის ნაწილებმა ბეთლემი დატოვეს და ბლოკადა მოხსნეს მდინარე იორდანეს ნაპირზე მდებარე პალესტინის ამ უძველეს ქალაქს. ჯარის გამოყვანა ოკუპირებული ტერიტორიიდან მას შემდეგ დაიწყო, რაც სამხედრო დაჯგუფება „ჰამასმა", „ისლამის ჯიჰადმა" და პროარაფატულმა მოძრაობა „ფაჰთმა" ექვსთვიანი შერიგება



გამოაცხადეს. მოგვიანებით მათ შეუერთდა „ალ-აქსის წამებულთა ბრიგადები" და პალესტინის გათავისუფლების დემოკრატიული ფრონტი. გამოკითხვის თანახმად, პალესტინელთა 80% ისრაელთან მორიგების მომხრეა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მხარი დაუჭირა ისრაელის წინადადებას „პალესტინელი ბოევიკების ტერორისტული პოტენციალის" განადგურებასთან დაკავშირებით. ეს თემა განიხილეს არიელ შარონმა და მაჰმუდ აბასმა იერუსალიმში შეხვედრაზე. შარონმა მაჰმუდ აბასს აცნობა, რომ დღის წესრიგში დგას ციხიდან ასობით პალესტინელი პატიმრისა და ტერორისტთა ნაწილის გათავისუფლების საკითხი. შეხვედრაზე ილაპარაკეს ქალაქ რამალადან (სადაც არაფატის რეზიდენციაა) ისრაელის ჯარის გაყვანის გრაფიკის შესახებაც. რაც შეეხება თავად არაფატს, მას შეზღუდული გადაადგილების უფლება ექნება. მაგალითად, შეეძლება ღაზის სექტორში შესვლა და იქ დარჩენა.

ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკების პროცესის გაგრძელება მოიწონა ვაშინგტონმა, თუმცა ჟურნალისტის შეკითხვას, — დაეხმარება თუ არა აშშ მატერიალურად პალესტინის ნაციონალურ ავტონომიას, თეთრი სახლის პრესმდივანმა არი ფლეიშერმა უპასუხა, — ხელისუფლება ალბათ ამ საკითხს ვაშინგტონში ბუშისა და აბასის შეხვედრის შემდეგ გადაწყვეტსო.

*ნეზავისიმაია №116*

ბელორუსია

## „ზაიჩიკს" წირვას გამოუყვანენ

ბელორუსია ეროვნულ „რუბლს" ემშვიდობება და რუსეთის ფულად ერთეულზე გადადის. პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო უპრეცედენტო დათმობაზე წავიდა — ფაქტობრივად, რესპუბლიკის ფინანსურ დამოუკიდებლობაზე თქვა უარი. თუმცა ეს პროცესი 1-ელ ივლისს დაიწყო და კარგა ხანს გაგრძელდება. რუსულ რუბლს ჯერჯერობით უნაღდო ანგარიშსწორებისას გამოიყენებენ. ნაღდი ანგარიშსწორებისას კი ისევ ბელორუსიის ფაუნის ყველაზე სახელგანთქმულ წარმომადგენელს — „ზაიჩიკს". ასეთი მდგომარეობა 2005 წლის 1-ელ იანვრამდე, რესპუბლიკაში რუსული რუბლის გაბატონებამდე გაგრძელდება. ამას ითვალისწინებს ინტეგრაციის გრაფიკი. ეროვნულ ვალუტად რუსული რუბლის ქცევა კამათის საგნად იქცა. ეკონომისტებს თვალწინ აქვთ გერმანიის გაერთიანების მაგალითი. „ბუნდესგერმანელებს" აღმოსავლელ ძმებთან გაერთიანება ძალიან ძვირი დაუჯდათ. მათი ცხოვრების დონის გათანაბრების პროცესი არ დამთავრებულა და, რა თქმა უნდა, მთელი სიმძიმე „ძველი" მიწების მცხოვრებლებს დააწვათ მხრებზე.

ბელორუსია ცხოვრების დონით რუსეთის ბევრ რეგიონს სჯობნის, მაგრამ მოძმე რესპუბლიკის ეკონომიკა რუსეთის ფონზე მაინც ფერმიხდილი ჩანს. რა ელის ბელორუსიის ეკონომიკას? „ბატკა", ცხადია, დარჩენილ წელიწად-ნახევარში ვერც მოასწრებს რადიკალური რეფორმების გატარებას, მით უფრო, რომ ეს მას პოპულარობას არ მოუტანს. ასე რომ, რეფორმატორობის ტვირთი აშკარად რუსეთის ხელისუფლებას დააწვება. ერთი სიტყვით, ვინც ფულს ჭრის, მუსიკასაც ის უკვეთავს, მაგრამ ეს აშკარად ძვირი დაუჯდება. ისიც ცხადია, რომ ფულით „დაბმული" მოკავშირე — ყველაზე ერთგული მოკავშირეა.

*იტოგი №26*

## კიმ ჩენ ირი ომით იმუქრება

ფხენიანმა გამოაცხადა, რომ 1953 წელს კორეის ნახევარკუნძულზე შერიგების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, ძალადაკარგულად ჩათვლის, თუ აშშ არ შეწყვეტს ჩრდილოეთ კორეის „დახრჩობის" პოლიტიკას. კორეის სახალხო არმიის წარმომადგენელი კი ამერიკას დაჰპირდა, თუ ეკონომიკურ სანქციებს დაგვადებთ, სასტიკად ვიძიებთ შურსო. ჯერჯერობით გაურკვეველია, ეს მორიგი ჩვეულებრივი მუქარაა, თუ ჩრდილოეთ კორეა მართლა ემზადება ხელშეკრულებიდან გამოსასვლელად. დგას თუ არა განცხადების უკან რეალურად დარტყმის საშიშროება? დამკვირვებლების




ეს პლაკატი ჩრდილოკორეელების ანტიამერიკული პროპაგანდის ჩვეულებრივი მაგალითია

ვარაუდით, სიტუაცია კორეის ნახევარკუნძულზე იმ ზღვრამდეა მისული, რომლის გადალახვასაც რა მოჰყვება, არავინ იცის.

სამხრეთ კორეას ეშინია, ვაითუ, საზღვრიდან 40 მილის დაშორებით მდებარე სეულს დაარტყანო.

აშშ კი განაგრძობს კიმ ჩენ ირის რეჟიმის კუთხეში მიმწყვდევას. კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას განსაკუთრებით აშფოთებს ის, რომ ამას წინათ, ჰონოლულუში აშშ-ის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის წარმომადგენლები შეთანხმდნენ ჩრდილოეთ კორეის იმ გემების შემოწმების გამკაცრებაზე, რომლებიც შედიან იაპონიისა და სამხრეთ კორეის პორტებში. ფხენიანს მიაჩნია, რომ ეს ჩრდილოეთ კორეის მიმართ ბლოკადის დასაწყისია.

ჩრდილოკორეელები აცხადებენ, — ვაშინგტონის მიერ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვული პროგრამის შესახებ საკითხის გატანა გაეროს უშიშროების საბჭოზე, „ომის პრელუდია" გახდებაო.

*იზვესტია №116*

## ბერლუსკონი ევროკავშირის თავმჯდომარის სავარძელში?!



იტალია ერთი წლით ევროკავშირის პრეზიდენტი გახდა. თავმჯდომარის ესტაფეტა თავის იტალიელ კოლეგას, სილვიო ბერლუსკონის საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კოსტას სიმიტისმა გადასცა. ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა უკმაყოფილოა — რეპუტაციაშელახულმა ბერლუსკონიმ უკვე ბევრთან მოასწრო წაჩხუბება. გერმანიას ისეთი შეურაცხყოფა მიაყენა, რომ ეს უკანასკნელი იმუქრება, თუ ბერლუსკონი ბოდიშს არ მოუხდის ევროპარლამენტის დეპუტატს, მარტინ შულცს, ევროკავშირთან ურთიერთობას გავწყვეტთო.

ბერლუსკონიმ შულცს უთხრა, — ნაცისტურ ბანაკებზე გადაღებულ ფილმში „კაპოს" (ზედამხედველი) როლს მშვენივრად ითამაშებდიო. ჩანს, ეს იმიტომ უთხრა, რომ შულცი აქტიურად ილაშქრებდა იტალიის პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ — მაგ საეჭვო კაცს ევროკავშირი როგორ ჩავაბაროთო. მოგვიანებით ბერლუსკონი თავადაც მიხვდა, რომ ცოტა არ იყოს, უკბილოდ იხუმრა, თუმცა ბოდიში არ მოუხდია. უბრალოდ თქვა, გადაკრული ნათქვამი არასწორად გაიგესო.

*უტრო.რუ*

## პრეზიდენტი ხელშეუხებელია?!



„რესპუბლიკის პრეზიდენტი ხელშეუხებელია", — ნათქვამია სპეციალური კომისიის რეკომენდაციაში, რომელიც გადაეცა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს. ალბათ ეს დაედება საფუძვლად კონსტიტუციაში სახელმწიფოს მეთაურის სრულ იურიდიულ ხელშეუხებლობასთან დაკავშირებულ ცვლილებებს. ჟაკ შირაკი კარგა ხანია, ამ გადაწყვეტილებას ელის. ოპოზიცია არაერთხელ შეეცადა პრეზიდენტის განსასჯელის სკამზე დასმას პარიზის მერად ყოფნისას ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით. კონსტიტუციის ცვლილება ითვალისწინებს იმას, რომ ვიდრე პრეზიდენტი ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, თემიდას მასთან ხელი არა აქვს. მაგრამ ისმის კითხვა, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილებას მოიხსნის, გახდება იგი ჩვეულებრივი მოქალაქე? საიდუმლო არ არის, რომ ჟაკ შირაკს მთელი გულით სურს იმუნიტეტი შემდეგაც შეინარჩუნოს.

ბორის ელცინს 2000 წელს მიანიჭეს იმუნიტეტი სიცოცხლის ბოლომდე, შესაძლოა ეს შირაკმაც მიიღოს. მეორე საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ შირაკის, როგორც პარიზის მერის, წინააღმდეგ აღძრული სასამართლო საქმე, ვადის გასვლის გამო დაიხურება, შირაკი-პრეზიდენტის მიმართ კი არავის არანაირი პრეტენზია არა აქვს. ასე რომ, ჟაკ შირაკს შეუძლია მშვიდად იყოს.

*ვლასტი №26*

## ევროსაბჭოს წინაშე ახალი ამოცანები დგას

ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის წინ ევროსაბჭო იმისთვის შეიქმნა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის მეტ-ნაკლებად ერთიანი სამართლებლივი ნორმები შეემუშავებინა. ბოლო ათ წელიწადში მსოფლიოში კარდინალური ცვლილებები მოხდა. ამჟამად მთელი დასავლეთ ევროპა ევროკავშირშია ინტეგრირებული. მისმა სტრუქტურებმა პრაქტიკულად, ყველა ის ფუნქცია იკისრეს, რომლებსაც ადრე ევროსაბჭო ასრულებდა. ამიტომაც ევროსაბჭოში შემავალი ქვეყნების უმეტესობამ პრაქტიკულად დაკარგა ინტერესი ამ ორგანიზაციის მიმართ. მაგრამ ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიც რუსეთი ან ამიერკავკასიის სახელმწიფოებია, ევროსაბჭო უმნიშვნელოვანესი ხიდი აღმოჩნდა დასავლეთ ქვეყნებთან დასაახლოებლად. გარდა ამისა, ევროსაბჭო გარკვეულ გავლენას ახდენს მისი წევრი ქვეყნების საშინაო, სამართლებლივ და პოლიტიკურ ვითარებაზე. თუმცა, სასურველია, მეტი გავლენა ჰქონდეს. საამისოდ კი უნდა შეიქმნას კომპეტენტური სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ევროსაბჭოსა და მისი საპარლამენტო ასამბლეის მნიშვნელობას გაზრდიან.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი*




დასასვენებელი სახლი „ბიო"

დასვენება მწვანე კონცხზე

კომფორტული 2 და 3-ადგილიანი ნომრები სანიტარული კვანძით, მწვანეში ჩაფლული ეზოთი, სამჯერადი კვებით.

ფასი დღე-ღამეში 1 ადამიანზე:

ლუქსი - 25 ლარი

2-ადგილიანი - 18 ლარი

3-ადგილიანი - 15 ლარი

☎93-68-12; 899-58-00-32


ირანი-ლიბანი

## თეირანს დამცველები გამოუჩნდნენ

აღმოსავლეთი დასავლეთის წინააღმდეგ ერთიანდება — დღეს ამ მოწოდებას ათობით არაბული საინფორმაციო სააგენტო ათასნაირად ატრიალებს. სიტყვა „გაერთიანება" მეტისმეტად უცნაურად ჟღერს, რადგან აღმოსავლელებს განსხვავებული ინტერესები აქვთ. არაბეთის იდეა ირანისათვის უცხოა, ისლამურ ფასეულობებს მხოლოდ ლიბანის მცხოვრებთა ნახევარი იზიარებს და მაინც, წარსული უთანხმოების მიუხედავად, თეირანი და ბეირუთი მოკავშირეები გახდნენ. ეს დაადასტურა ლიბანის დედაქალაქში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მუჰამედ სადრის ვიზიტმა. ვიზიტის წინ პრესა ერთხმად ირწმუნებოდა — თეირანი ყველანაირად ცდილობს, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ანტიამერიკული განწყობა გამოიყენოსო. პირველ რიგში ეს ითქმის ლიბანზე. ეს სახელმწიფო დიდ როლს თამაშობს არაბულ სამყაროში. ამერიკელებისა და ბრიტანელების ანტისადამური კამპანიის შემდეგ მათ მტრად მიიჩნევენ. სულ უფრო მეტი არაბი უჭერს მხარს ერაყში კოალიციის ჯარების წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლას.

მუჰამედ სადრას ვიზიტმა ბეირუთში სილა გააწნა ვაშინგტონს. ლიბანმა, რომელიც ადრე



ამერიკასთან თანამშრომლობის მოსურნე იყო, მეფურად მიიღო ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. ქვეყნის ქრისტიანი პრეზიდენტი ემილ ლაჰუდი და მუსლიმანი სადრა საუბრობდნენ ბიბლიასა და ყურანზე, „მსოფლიო ჟანდარმის" წინააღმდეგ გაერთიანების აუცილებლობაზე. პრეზიდენტმა ლაჰუდმა განაცხადა, — ირანს უფლება აქვს გამოიყენოს ბირთვული ენერგია მშვიდობიანი მიზნებისათვის. რატომღაც ყველა დუმს, როცა საქმე ისრაელს ეხება. თუმცა ცნობილია, რომ მას ბირთვული იარაღი აქვს. ამერიკა ზოგს იცავს და ზოგს ადანაშაულებს. მას არა აქვს იმის უფლება, რომ სხვა სახელმწიფოების ბედი გადაწყვიტოსო.

*კომერსანტი №118*

## მოკლედ

**მოსკოვის** XXV საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი დაიმსახურა ესპანელი რეჟისორის, მიგელ ერმოსის ფილმმა „ღვთაებრივი ცეცხლი". საუკეთესო რეჟისორად დასახელდა კორეელი ჩან ჯუნ ჰვანი („იხსენით მწვანე პლანეტა"); ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლად აღიარეს იაპონელი სინობუ ოტაკე („ბუ"), მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლად — ირანელი ფარამაზ ღარიბიანი.

**გაეროს** უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტულმა კომიტეტმა (იგი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ შეიქმნა), რუსეთის თხოვნით, ე.წ. სანქცირებულ ნუსხაში შეიყვანა იჩქერიის ექსპრეზიდენტი ზელიმხან იანდარბიევი. იგი მსოფლიოში ავტომატურად გახდა პერსონა ნონ-გრატა.

**აშშ** ერაყში იწყებს სპეცოპერაციას სახელწოდებით „გვერდითი ქარი უდაბნოში". მისი მიზანია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოწინააღმდეგეთა მოძებნა. ახალი ოპერაციის საბაბი გახდა ის, რომ იმატა დაღუპულ ამერიკელ სამხედროთა რიცხვმა.

**ევროპას** წყალდიდობა და ქარიშხალი ელის — ასეთია მეტეოროლოგთა პროგნოზი. ივლისიდან სექტემბრამდე ბუნებრივი კატაკლიზმები დაატყდება თავს ჩეხიას, გერმანიას, საფრანგეთს, ავსტრიას და პოლონეთს. ქარბუქია მოსალოდნელი დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, იტალიაში, წყალდიდობას დროდადრო გვალვა და ხვატი შეცვლის.

**ერაყის** ყოფილი ლიდერის თავი 25 მლნ დოლარადაა შეფასებული. ამდენივე ღირს ინფორმაცია უსამა ბინ ლადენზე. ორთვე-ნახევრის წინ კი სადამი სულ 200 ათასი დოლარი ღირდა, მოუხელთებელ უსამაზე ბევრად იაფი. ინფორმაცია სადამის ვაჟებზე, უდაისა და ყუსაიზე 15 მილიონ დოლარადაა შეფასებული.

**ლოს-ანჯელესში** 58 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მომღერალი და კომპოზიტორი ბარი უაითი. თავისი პირველი მსოფლიო მასშტაბის ჰიტიდან „Loves theme"-დან მოყოლებული, იგი მხოლოდ ადამიანებს შორის სიყვარულზე წერდა.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

*სახელმწიფო მოღვაწე იმით განსხვავდება პოლიტიკოსისაგან, რომ ეს უკანასკნელი მომავალ არჩევნებზეა ორიენტირებული, სახელმწიფო მოღვაწე კი — მომავალ თაობაზე.*

*უინსტონ ჩერჩილი*



# ლებედევის ხელზე დადებულმა ბორკილმა ხოდორკოვსკის უნდა მოუჭიროს

*მოსკოვში, ერთ-ერთი გავლენიანი ბიზნესმენი, 43 წლის მილიარდერი პლატონ ლებედევი დააკავეს, რომელიც რუსეთის უმდიდრეს ადამიანთა სიაში რიგით მეცამეტეა. როგორც გენპროკურატურის გააზრებული და შეთანხმებული მოქმედებიდან ჩანს, ძალოვანი სტრუქტურები მსხვილ ბიზნესზე შეტევის ახალ სერიას იწყებენ.*

*დაიკითხა „იუკოსის“ გამგეობის თავმჯდომარე, რუსეთის უმდიდრესი ადამიანი, მიხაილ ხოდორკოვსკი და ამ კომპანიის მსხვილი აქციონერი, რუსეთის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის რექტორი ლეონიდ ნევზლინი.*

## „დაპატიმრებას არ ველოდი“

მიხაილ ხოდორკოვსკი გენპროკურატურაში დილის 10 საათზე იყო დაბარებული. 9.42 საათზე გენპროკურატურის შენობას, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებს იძიებენ, 3 მანქანა მიუახლოვდა — Gelaendewagen-სა და Audi-ში დაცვა იჯდა, Mercedes 600-ში — ბატონი ხოდორკოვსკი და მისი ადვოკატები.

მ. ხოდორკოვსკი, ადვოკატების — ა. დრელის, ვ. ალექსანიანის და პ. ბარენბოიმის თანხლებით, საშვების ბიუროში შევიდა. ადვოკატმა დრელმა ფიჭური ტელეფონით გამომძიებელს დაურეკა, პასუხად მიიღო — დაელოდეთ, მალე მოგაკითხავენ.

ლეონიდ ნევზლინი გენპროკურატურაში 11 საათზე მივიდა. ერთ საათში კი ქუჩაში გამოვიდა საკმაოდ ფერმიხდილი ხოდორკოვსკი. ჟურნალისტებს ღიმილით გამოუცხადა: — კითხვებს, რომლებიც აქ დამისვეს, არანაირი კავშირი არა აქვს კომპანიის საქმიანობასთან. იურიდიული მოსაზრებით, მეტს ვერაფერს გეტყვითო.

ბატონი ნევზლინის დაკითხვა საღამოს დამთავრდა.

მან მადლობა გადაუხადა ჟურნალისტებს, რომ ამდენ ხანს უცდიდნენ, მაგრამ არაფერი უთქვამს იმაზე, რაც გამომძიებლის კაბინეტში ხდებოდა. ხელწერილი მაქვს დადებულიო, — თქვა, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, — დაპატიმრებას არ ველოდი, რადგან არანაირი დანაშაული არ ჩამიდენიაო.

**ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი რუსი მილიარდერის დაკავებამ საფრთხე შეუქმნა სახელმწიფოსა და მსხვილი ბიზნესის სამწლიან მორიგებას, რაც ხელს უწყობდა ქვეყნის სტაბილურობას, ინვესტიციებისა და ეკონომიკის ზრდას.**

*უოლ სტრიტ ჯორნალი*

ადვოკატებმა, რომლებსაც ასევე ჩამორთმეული ჰქონდათ ხელწერილი, განაცხადეს, — ხოდორკოვსკისა და ნევზლინისათვის ბრალდება არ წაუყენებიათ, მხოლოდ დაპატიმრებული პ. ლებედევია ეჭვმიტანილი სააქციო საზოგადოება „აპატიტის“ აქციების 20%-იანი პაკეტის მიტაცებაშიო.

ბატონი ლებედევის გარდა დაპატიმრებულია „იუკოსის“ ეკონომიკური უშიშროების სამსახურის უფროსი ალექსეი პიჩუგინი. ის ეჭვმიტანილია ტამბოველი ცოლ-ქმრის გორინების მკვლელობის ორგანიზებაში.

## ხოდორკოვსკის „კრიშა“

„იუკოსის“ ერთ-ერთი თანამფლობელის დაპატიმრებასთან დაკავშირებით კომენტარები ერთგვაროვანია; ყველასთვის ცხადია, რომ ლებედევი ხოდორკოვსკის გამო აიყვანეს. ერთის ხელზე დადებულმა ბორკილმა მეორეს უნდა მოუჭიროს. მაინცდამაინც არავის აინტერესებს, მართლა მიიტაცა თუ არა ლებედევმა „აპატიტის“ აქციები, ყველას აინტერესებს, როგორ იქნება ხოდორკოვსკის საქმე.

დაკვირვებულ ხალხს თურმე ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ „იუკოსს“ აუცილებლად „გადაუვლიდნენ“. ერთმა დიდმა მოხელემ „ნეზავისიმაია გაზეტას“ გაუმხილა — ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ხოდორკოვსკის წინააღმდეგ სპეციალური ჯგუფი შეიქმნა. იგი ეტყობა, ბევრად ადრე იყო დაკომპლექტებული, მაგრამ მუშაობა მხოლოდ ორი თვის წინ დაიწყო, რადგან მაღალ წრეებში კამათობდნენ, ღირდა თუ არა რუსეთის ყველაზე მდიდარ კაპიტალისტთან დაპირისპირება.

თუ „ნეზავისიმაია გაზეტას“ წყაროს დავუჯერებთ, კრემლის ადმინისტრაციის გავლენიანი ნაწილი დიდხანს არ თანხმდებოდა ხოდორკოვსკის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფის შექმნაზე, მაგრამ, ჩანს, ვერაფერი გააწყო. ამის დასტურია ლებედევისა და „იუკოსის“ ორი თანამშრომლის დაპატიმრება.

იმათ, ვინც წინააღმდეგი იყო ხოდორკოვსკისთან დაპირისპირებისა და ცდილობდა, ამ აქციის მომხრეთა (უმთავრესად ძალოვანების) მოთოკვას, შემდეგი არგუმენტები მოჰყავდათ: 1. მიხაილ ხოდორკოვსკი რუსეთის ყველაზე მდიდარი კაცია, „იუკოსი“ ყველაზე დიდი ნავთობკომპანიაა; „სიბნეფტთან“ შერწყმის შემდეგ კი მსოფლიოში მეოთხე გახდება. 2. „იუკოსს“ რუსეთის ყველაზე გამჭვირვალე, პატიოსანი კომპანიის სახელი აქვს, ამიტომ მასზე დარტყმა, უკეთეს შემთხვევაში, აღქმული იქნება რუსულ ბიზნესზე დარტყმად, უარეს შემთხვევაში კი, სახელმწიფოს იმიჯის შელახვად.

ოპონენტთა აზრით, ეს აქცია სამამულო ეკონომიკას ძვირი დაუჯდება, რადგან დააფრთხობს პოტენციურ უცხოელ ინვესტორებს.

გარდა ამისა, ძალოვანი ოპერაციის მოწინააღმდეგეების აზრით, ხოდორკოვსკის ხელის ხლება მისი კომპანიონის რომან აბრამოვიჩის ხელყოფასაც ნიშნავსო.

აქედან გამომდინარე, ნეგატიური შედეგები ორჯერ მაინც გაიზრდება.

ხოდორკოვსკიზე „დარტყმის“ საწინააღმდეგო არგუმენტებს შორის ასახელებდნენ იმასაც, რომ მას რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.

თუმცა ეს ფაქტორი კიდევ უფრო აღიზიანებდა მაგნატის დასჯის მსურველებს — მათ უნდოდათ, ოლიგარქისთვის ჭკუა ესწავლებინათ, კრემლის აზრით, მისი საშიში პოლიტიკური ამბიციების გამო.

არაკეთილმოსურნეთა აზრით, ხოდორკოვსკიმ მეტისმეტად შეტოპა. პოლიტიკაში დიდ ფულს სდებდა და არც მალავდა. ცნობილია, რომ ის „იაბლოკოს“ გენერალური სპონსორია და ამ პარტიის სიით აპირებდა მომავალ დუმაში თავისი 10 კანდიდატის გაყვანას. ხოდორკოვსკიმ „მემარჯვენე ძალთა კავშირის“ საარჩევნო კამპანიაც დააფინანსა. ისე რომ, აქედანაც ეყოლებოდა თავისიანები დუმაში. „იუკოსის“ ფული რუსეთის კომპარტიის წინასაარჩევნო ბიუჯეტშიც შევიდა. მისი დროშის ქვეშ გაერთიანებული ნავთობკომპანიის მენეჯერები — ს. მურავლენკო, ა. კონდაუროვი და შეიძლება სხვა ვინმეც, ალბათ უეჭველად მოხვდებიან დუმაში.

ხოდორკოვსკი მხოლოდ თავისი ბიზნესის ინტერესების ლობირებაში რომ იყოს ეჭვმიტანილი, კი, ბატონო, მაგრამ მას სახელმწიფოში ძალთა თანაფარდობის შეცვლა სურს, რის შემდეგაც სულ ადვილია პრეზიდენტის სავარძლის დასაკუთრება.

ხოდორკოვსკი, ნაყიდი დუმელების საშუალებით, შეეცდება, პრემიერ-მინისტრი გახდეს. პატივმოყვარე მრეწველი ალბათ ამას 2007 წლისათვის გეგმავს. ყველას მშვენივრად ესმის, რასაც ნიშნავს საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე გაპრემიერება — იგი „ტახტის მემკვიდრე“ ხდება (ეს რუსეთში ჩვეულებრივი ამბავია). ვლ. პუტინმა ხომ თქვა — მესამეჯერ კენჭს არ ვიყრიო, ამიტომ ხოდორკოვსკის შეიძლება პირად კონკურენტად არც მიიჩნევს, მაგრამ არც მისთვის და არც მისი გუნდისთვის სულერთი არ არის, ვინ მოვა მათ შემდეგ. ეს არც ელცინისა და მისი „ოჯახისათვის“ იყო სულერთი. თავისი გარემოცვა პუტინს, ყველაფერთან ერთად, ხელისუფლების „სწორად“ გადაცემაზეც სთხოვს პასუხს. სათანადო მემკვიდრის მომზადება მისი საქმეა და თუ შემთხვევით ეს პროცესი ხელიდან გაუვარდა, ან ვინმემ წასტაცა, მაშინვე პანიკა ატყდება — სუსტი ლიდერია, ჩვენს მომავალს ვერ უზრუნველყოფსო. იმ წუთიდან ის ფაქტობრივად ლიდერიც აღარაა. შეიძლება მის თავიდან მოშორებაზეც იზრუნონ. საკვირველი არაფერია იმაში, რომ 2007 წელს აღარ დაუცადეს და ხოდორკოვსკისთვის ახლავე მოინდომეს ადგილის მიჩენა. სპეცჯგუფი ალბათ „იუკოსის“ არც გაკოტრებას ისახავს მიზნად და არც მისი მფლობელის დაპატიმრებას. ეს დიდი სისულელე იქნებოდა. ყველაფერი უფრო იმიტომ ხდება, რომ საერთო მწყობრიდან ამოვარდნილმა ხოდორკოვსკიმ შეცდომა შეიგნოს და მიხვდეს, რომ „კრიშა“ სჭირდება. მან კი, მთელი თავისი აქტივების, პოლიტიკური ინვესტიციებისა და ბიზნესის დეკლარირების შემდეგ გადაწყვიტა, რომ რუსეთში ახლა „კრიშის“ გარეშეც შეძლებდა მუშაობას. მწარედ შეცდა.

მაგალითად, მის კოლეგას ვლ. პოტანინს კი არაფერი შეშლია. „ერთიანი რუსეთის“ მიტინგზე მივიდა და შინაგან საქმეთა მინისტრის თანდასწრებით განაცხადა, — ძველ ცოდვებს ვინანიებო. ხალხისთვის ეს ნათქვამი არაფერს ნიშნავდა, მაგრამ ვინც საჭირო იყო, იმან მშვენივრად გაიგო — ამ ოლიგარქმა თავისი ადგილი იცის და მისი შეშინება საჭირო არ არისო.

**რუსული პრესის მიხედვით**

*ერთ-ერთი წამყვანი მოსკოველი ბიზნესმენის დაპატიმრებამ ცხადყო, თუ რა ძნელია რუსეთში ნამდვილი დემოკრატიის დამყარება. როდესაც პოლიტიკური ხელისუფლება თითქმის მთლიანად კრემლის, ხოლო ეკონომიკური — კი რამდენიმე საქმიანი ლიდერის ხელში იყრის თავს, დემოკრატიული ინსტიტუტების ასაყვავებლად არანაირი პირობები არ არსებობს.*

**ფაინენშნლ ტაიმსი**

*5-6-მა ბიზნესმენმა, რომლებიც დღეს რუსეთის კომერციული სტრუქტურების უმეტესობას აკონტროლებენ, ფული საეჭვო გარიგებებით და საქმიანობით იშოვეს. რბილად რომ ვთქვათ, ბ-ნებმა: აბრამოვიჩმა და ხოდორკოვსკიმ ისარგებლეს კომუნიზმიდან კაპიტალიზმზე სწრაფი გადასვლით, მაშინ, როდესაც სხვები ან უცოდინრობით იდგნენ გვერდზე ან მორიდების გამო. სახელის მოხვეჭასთან ერთად სულ უფრო მეტად ხდებიან იმათი სამიზნე, ვისაც ადრე თავად უწევდნენ ექსპლუატაციას, ან მათი, ვინც მათში პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს ხედავს. ამბობენ, რუსეთის პრეზიდენტი ამ უკანასკნელთა რიგშიაო. მან იცის, რომ რუსეთში ფულით ხელისუფლების ყიდვა შეიძლება — საპარლამენტო არჩევნების წინ კორუფციას ებრძვის და ოლიგარქებს აფრთხილებს, პოლიტიკური ამბიციები მოთოკეთო.*

**გარდიან**

***P.S.-ის ნაცვლად: 39 წლის მიხაილ ხოდორკოვსკიმ გერმანული ჟურნალის, „შპიგელის“ კორესპონდენტს განუცხადა: 45 წლის ასაკში აღარ მენდომება ეკონომიკურ ხელმძღვანელად ყოფნა, შესაძლოა, მაშინ პოლიტიკაში წავიდეო.***

**(„კვირის პალიტრა“, №22, 2-8 ივნისი, 2003 წ.).**

**ყოველთვის ნუ იტყვი იმას, რაც იცი, ხოლო ის კი მუდამ იცოდე, რასაც ამბობ.**

*კლავდიუსი*

ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

# კამიკაძე ქალებმა როკ-ფესტივალზე თავი აიფეთქეს

მოსკოვში, ტუშინოს აეროდრომზე, სადაც 5 ივლისს როკ-ფესტივალი ტარდებოდა, სამი მძლავრი აფეთქება მოხდა. თვითმხილველთა თქმით, აეროდრომის შესასვლელს მიუახლოვდა ორი უცნობი ქალი, რომლებმაც მილიციის მუშაკებს შემოწმებაზე უარი განუცხადეს. სამართალდამცველებმა ისინი აეროდრომის ტერიტორიაზე არ შეუშვეს და კამიკაძე-ტერორისტებმაც სწორედ მაშინ აამოქმედეს სხეულებზე მიმაგრებული ასაფეთქებელი მოწყობილობა.



მოსკოვის შინაგან საქმეთა სახელმწიფო სამმართველოს ცნობით, ჩეჩენი კამიკაძე-ტერორისტები (ერთ-ერთი 20 წლისა იყო) აფეთქებამ ნაფლეთებად აქცია. წინასწარი მონაცემებით, ასაფეთქებელი მოწყობილობის სიმძლავრე დაახლოებით 700 გრამი ტროტილის ეკვივალენტი იყო.

ტერაქტს დაახლოებით 20 კაცი ემსხვერპლა, მძიმედ არის დაჭრილი — 40-მდე. პირველი აფეთქება 14 სთ-ზე მოხდა, მეორე — 14სთ-სა და 52 წუთზე.

მილიციის თანამშრომლებმა ტერაქტის ადგილის მახლობლად კიდევ ერთი ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს, რომელიც სპეციალისტებმა განაღმეს. ამჟამად ტექნიკოსები მოწყობილობის ტიპს ადგენენ.

როკ-ფესტივალს, სავარაუდოდ, 20-დან 40 ათასამდე კაცი ესწრებოდა. დაშავებულები ოპერატიულად გადაიყვანეს ქალაქის ბოტკინის სახელობის საავადმყოფოსა და სკლიფასოვსკის ინსტიტუტში. ტუშინოში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი — მათ შორის, როკ-ფესტივალის ახალგაზრდა მაყურებელთა ნათესავებმა. როკ-ფესტივალი გაგრძელდა, მაგრამ სიტუაცია დიდხანს დარჩა დაძაბული.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.


ᲛᲔᲢᲐᲚᲝᲞᲚᲐᲡᲢᲛᲐᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲚᲣᲛᲘᲜᲘᲡ
ფირმა „სხივი“ ᲙᲐᲠ-ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐ, ᲕᲘᲢᲠᲐᲟᲘ
ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐ ᲘᲐᲤᲐᲓ
ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲛᲘᲢᲐᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲗ
ᲤᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ
ᲛᲘᲡ: ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ 28
☎ 38-17-40; 72-05-72;
53-55-94; 899-97-51-10




საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 5 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1375 |
| ევრო | 2,4716 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4121 |
| რუსული რუბლი | 0,0700 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5098 |


„[illegible]“ ფირმის
ᲛᲔᲢᲐᲚᲝᲞᲚᲐᲡᲢᲛᲐᲡᲘᲡ ᲙᲐᲠ-ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲘ
ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲘᲐᲤᲐᲓ
ᲤᲔᲠᲔᲑᲘ: ᲗᲔᲗᲠᲘ, ᲬᲐᲑᲚᲘᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲣᲠᲘᲗ, ᲛᲣᲥᲘ ᲛᲣᲮᲐ...
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘ — 3-ᲙᲐᲛᲔᲠᲘᲐᲜᲘᲐ
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091



შპს „ᲒᲔᲝᲙᲝᲠᲘ“ აწარმოებს
ᲑᲣᲠᲦᲕᲘᲗ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ





ᲛᲘᲡ: ᲐᲙᲣᲠᲘᲡ Ქ. №8 (ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ), ᲝᲗ. 118
☎: 33-26-75; 38-24-02



ფირმა „ლაზისი“
ᲛᲔᲢᲐᲚᲝᲞᲚᲐᲡᲢᲛᲐᲡᲘᲡ ᲙᲐᲠ-ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲘ
ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲘᲐᲤᲐᲓ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲐᲓ ᲔᲕᲠᲝᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲗ ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲢᲔᲑᲘᲗ
ᲤᲔᲠᲔᲑᲘ — ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ.
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან, სალაროების მხრიდან)
☎ 33-75-87; 899-18-66-15;
899-55-62-77; 34-52-93 (საღამოს)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## კომუნისტების დროინდელი კურიოზი



კიდევ ერთი ლამაზი ზაფხულის დილა გათენდა ახალციხის რაიონის მაღალმთიან სოფელ ხეოთში. სასოფლო კლუბის დარაჯმა (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) თავისი სამსახურებრივი მისია შეასრულა, დილით დაკეტა სასოფლო კლუბი, გასაღები კი შესანახად კლუბის აივნის თავზე ჩამოკიდებულ კომუნიზმის ბელადების (მარქსი, ენგელსი, ლენინი) ერთ-ერთი პორტრეტის ხის ჩარჩოს უკან შემოდო. ყოველთვის იქ ინახავდა გასაღების ერთადერთ ეგზემპლარს. თვითონ კი იქვე გადაინაცვლა სოფლის ე. წ. „ბირჟაზე“, თანასოფლელებთან სამუსაიფოდ.

ზუსტად იმ დღეს დანიშნული იყო კოლმეურნეობის გამგეობის კრება. თანაც რაიონიდან ელოდებოდნენ პარტიულ „ბოსებს“. მართლაც სულ ცოტა ხანში სასოფლო კლუბს მოადგა რამდენიმე მსუბუქი ავტომობილი, პარტიის რაიკომის მდივნის ხელმძღვანელობით (იცოდნენ, რომ კრების შემდეგ ბუნებაში მათ პატივსაცემად კარგი პურმარილი გაიშლებოდა და აბა, ამას როგორ გაუშვებდნენ ხელიდან).

სწორედ ამ საპატიო სტუმრების თანდასწრებით შედგა დიალოგი კლუბის დარაჯსა და ერთ-ერთ ბრიგადირს შორის. სასაუბრო კილო მთიულურია, რადგან ამ სოფელში ცხოვრობენ 1944 წელს დუშეთის მთიანეთიდან ჩამოსახლებული მთიულები.

ბრიგადირმა დარაჯს კლუბის გასაღები მოსთხოვა, რადგან კრების დაწყების დრო იყო. დარაჯი „ბირჟიდან“ გაეპასუხა:

— გასაღები მარქსს შაუდე უკანო.

ბრიგადირი მიხვდა, სად უნდა მოეძებნა გასაღები და მოსინჯა მარქსის პორტრეტის ხის ჩარჩო, მაგრამ ვერ ნახა და გასძახა:

— კაცოო! მარქსისთვის არ შაგიდია!

დარაჯი ისევ გამოეპასუხა: — ალბათ ლენინს თუ შავუდეო.

ბრიგადირმა ვერც ლენინის პორტრეტის უკან ნახა გასაღები. ეძახის:

— არც ლენინისთვის შაგიდიაო.

აქ კი მოთმინება დაკარგა დარაჯმა და მთელი ხმით უყვირა:

— რას გადამეკიდე კაცო, რომელიღაცას კი შაუდე მანდა და აღარ მახსოვს, კარგად ნახე, კარგად.

***ინკოგნიტო თვითმხილველი***

## უცყუარი საბუთი



ჩემი სოფლელი ბიკენტი ერთი წარმოებიდან მეორეში გადავიდა სამუშაოდ, იმავე სპეციალობაზე, იმავე თანრიგით და იმავე მოცულობის სამუშაო შეასრულა, როგორც ძველ წარმოებაში.

თვის ბოლოს, ხელფასის ასაღებად რომ მივიდა, თანხა ეცოტავა, საყვედური გამოთქვა და განმარტება მოითხოვა, რატომ მაქვს ასე დაბალი ხელფასიო.

დაუანგარიშეს ყველაფერი და უთხრეს, რომ საშემოსავლო გადასახადთან ერთად უშვილობისაც დაგეწერაო. კი მაგრამ, რატომ. იმიტომ, რომ შვილი არ გყოლიაო, — უპასუხეს. გაოცდაირია ბიკენტი, — შვილი თუ არ მყავს, აბა ვინ მოაჭრა ამ ფეხსაცმელებს ენაო და თან ფეხიც გაუშვირა, რომელზედაც ეცვა ენამოჭრილი ფეხსაცმელი (თურმე ბავშვებმა შურდულის გასაკეთებლად ფეხსაცმელზე ენა მოუჭრეს... სამსახურში კი ცნობა არ ჰქონია წარდგენილი, რომ შვილები ჰყავდა).

## მადლობა ვეტფერშალს!..



ჩემი მეზობელი სამსონი მივიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან და უთხრა:

— ერთი თხოვნა მაქვს თქვენთანო.

— ბრძანეთ, ჩემო სამსონ, — სმენად იქცა თავმჯდომარე.

— ჩვენი სოფლის ვეტფერშალს საერთო კრებაზე მადლობა მინდა გადავუხადო, როგორც კარგ სპეციალისტსო.

— ასეთი რა გაგიკეთაო, — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— რა და, საახალწლოდ ღორი რომ დავკალი, ხუთი კაცი მეხმარებოდა, მაგრამ თითქმის ერთი საათი მოუნდნენ მის დაკვლას. ჩვენმა ვეტფერშალმა კიდევ, გაუკეთა რაღაც ვაქცინა ჩემს ღორს და წუთი არ დაუგვიანია, ხელად გააგდებინა სული!..

***გაბო მაღლაფერიძე, ოზურგეთის რაიონი, სოფელი გალმა დვაბზუ***

## შედარება



ეს ამბავი ჩოხატაურის ჩაის ფაბრიკაში მოხდა ამ ოცდაათიოდე წლის წინ... ქალბატონი თინა ბოლქვაძე საამქროს კართან დგას და ცვლას ელოდება. როგორც იქნა, ძლივს გამოჩნდა შემცვლელი, მაგრამ თინამ შეიცხადა:

— აია ახლა აქანე მომუშავე? რაფერ გალეშილა მაი მოსასპობი!

დავინტერესდი, 50 მეტრში როგორ შეამჩნიე სიმთვრალე-მეთქი.

— ვერ ხედავ, ბატონო, შვიდის ხუთი წუთივით რომ მოდის? — სხარტად მიპასუხა თინამ და მაშინღა მივაქციე ყურადღება, როგორი გადახრილი მოდიოდა თინას შემცვლელი მამაკაცი, ძლივს რომ იკავებდა თავს ვერტიკალურ მდგომარეობაში.

## „ზოოპარკი“

იონა მელია, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილი ლექტორი, თეორიული მექანიკის კურსს გვიკითხავდა.

ბატონმა იონამ, თავის გვართან დაკავშირებით ერთი ასეთი ამბავი მოგვიყვა: სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელები არიან თურმე. ფიზიკის ლექციაზე შემოსულმა ლექტორმა სტუდენტთა გაცნობით დაიწყო პირველი ლექცია და ყველას სათითაოდ გაესაუბრა.



— აბრძანდით, ყმაწვილო, — მიმართა მან იონას, — რა გვარი ბრძანდებით?

— მელია!

— თქვენ? — ახლა მეორეს ეკითხება.

— ლომაია!

— მგელაძე!

— ქათამაძე!

— ფოცხვერია!..

მეხუთე გვარზე შეჩერდა თურმე ლექტორი... გულიანად გადაიხარხარა და უთქვამს:

— მე, ყმაწვილებო, ვეფხვაძე ვარ... ვაპირებდი თქვენთვის ფიზიკა მესწავლებინა, მაგრამ ეტყობა, ზოოპარკში მოვხვედრილვარ!..

***დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი***

## ჯერ გაგაბრტყელონ!..




საქართველოს ორი სახელოვანი პიროვნება, სახალხო არტისტი გივი ბერიკაშვილი და მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში ლევან თედიაშვილი ხშირად „წაჩხუბებულან“, რომელი უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ხალხში.

— გააჩნია, ვინ უფრო ხშირად დადის „ფირმაში“! — პასუხობდა გივი „მოიერიშე“ ლევანს.

ერთხელ, გასტროლებზე მყოფი გივი მოწყენილი ზის მოსკოვის აეროპორტში, ფული შემოხარჯვია და ბილეთსაც ვერ ყიდულობს „მიმინოსავით“, რომ სამშობლოში დაბრუნდეს.

ხედავს — ლევანი ჩამოფრინდა თბილისიდან.

— ვაა, ლევან?! — გადაეხვია „ბერიკა“ მეგობარს, — ღმერთმა გამამიგზავნა შენი თავი?

— არა, სპორტკომიტეტმა, — დინჯად ამბობს თედიაშვილი, — ახლაც იტყვი, მსახიობები უფრო ხშირად დავდივართ „ფირმაშიო“?

— მაიცა, კაცო, რა დროს ეგ არი, მოდი, ერთი 50 მანეთი მამეცი, შენ მაინც ბევრი დაგრჩება, ბილეთის ფული აღარ დამრჩა!

— როდის დამიბრუნებ? — ამოიღო და მისცა ფული მოჭიდავემ.

— როდის და... შე კაცო, რამ დაგაეჭვა? შენ ხვალვე გაგაბრტყელებენ ხალიჩაზე. კარგა ოთხი თვე ფეხზე ვერ დადგები. მანამდე მე ერთი რვაჯერ ჩამოვალ „ფირმიდან“ და დაგიბრუნებ ნაწილ-ნაწილ.

მოხდა ისე, რომ ლევანმა თავისი გამბრტყელებელი მეორე დღეს თვითონ გააბრტყელა ხალიჩაზე და სამშობლოშიც მალევე დაბრუნდა.

— გივი, — ურეკავს ბერიკაშვილს — როდის დამიბრუნებ ჩემს ფულსა?

— მაიცა ერთი, არ „გაგაბრტყელეს“ შენა?

— არა, მე გავაბრტყელე! — იცინის თედიაშვილი.

— ოო, ეგეთები არ მამწონს, მე სიტყვის პატრონი ვარ, ჩემო ძმაო, გითხარი, რომ გაგაბრტყელებენ, ჩამოვალ მოსკოვში და მოგცემ შენ ფულს-მეთქი. შენ კიდევა, იქით „აბრტყელებ“ და მე რა გიყო ამ თბილისში? მოკლედ, უნდა დაიცადო, სანამ არ „გაგაბრტყელებენ“!.. სიტყვა სიტყვაა, ძმაო!

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

## ნიჭი



თანაკლასელი მყავდა ერთი, ბუხუტა. მე-5-ში ორჯერ ჩარჩენილი.

ერთხელ ქართულის გაკვეთილი გვაქვს, მასწავლებელმა დავალება მოგვცა: — წინადადებებს გეტყვით და თქვენ უნდა დაასრულოთო. ზოგი დავასრულეთ, ზოგი ვერა. მერე გვითხრა:

— აბა, დაასრულეთ წინადადება „ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენ დედას...“ გაიმეორა კიდევ — „ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენ დედას...“

ბუხუტამ გამოიდო თავი და ისე დაამთავრა წინადადება, ყურებში თითები დავიცვით. თან სიცილი ატყდა, თან ბუხუტა გაიდო ფეხქვეშ მასწავლებელმა.

P.S. მათემატიკის ნიჭიც ჰქონდა ბუხუტას, ამას წინათ კალკულატორი მთხოვა. — რად გინდა-მეთქი, — ვკითხე. — 200 უნდა გავამრავლო 2-ზეო.

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***



დაიჭირეს მეორე დღესვე, მაგრამ უკან ვეღარ დააბრუნეს!

**მიზეზი:** მათ საკნებში ლტოლვილები შეიჭრნენ!

***ლუკა ჟორჟოლიანი, თბილისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ფელეტონებს და იუმორესკებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## მილოცვა



**თორნიკე როსტომაშვილს!**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს სწავლაში.

*შენი საყვარელი მამიკო, ნინა ბაბო და ნიკო პაპა*

**ქ-ნ თამარ ჯოგლიძეს!**

თამარ ქალო, ქვეყნის თვალო, გილოცავ დაბადების დღეს – 12 ივლისს. გისურვებ დიდ სიყვარულს, სიხარულსა და ულევ ბედნიერებას. საყვარელო, იცოცხლე დიდხანს და გაიხარე შენს ქმარ-შვილთან ერთად. გფარავდეს მაღალი ღმერთი. ამინ.

*სიყვარულით – ლიზი და ვაჟა*

**თამარ მიქაძეს!**

გილოცავ დაბადების დღეს – 9 ივლისს. გისურვებ ბედნიერ მომავალს, ჩემთან და ბავშვებთან ერთად.

*სიყვარულით – შენი მეუღლე ირაკლი ლიფარიშვილი*

**მარიამ ლევანის ასულ სანიკიძეს!**



მეორე დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო პატარა ანგელოზო. გაიზარდე ჯანმრთელი და ბედნიერი, ოჯახის და ქვეყნის სასახელო ქალი.

*შენი ოჯახი*

სენაკის რაიონის სოფ. ფოცხოს საშუალო სკოლის **1983 წლის კურსდამთავრებულებს და პედაგოგებს** გილოცავთ სკოლის დამთავრების მე-20 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიხარულს და ყოველივე კარგს ცხოვრებაში.

*ნატო კარტოზია. თბილისი*

## მადლობა

გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ საქალაქო საზოგადოება თბილგაზის მე-5 ცენტრის უფროსს – ბატონ **დიმა ალადაშვილს**, ცენტრის ოსტატს – ბატონ **ნოდარ ციგრიაშვილს** და მთელ კოლექტივს ჩვენთვის მაშინ დროის გამოჩენილი ყურადღებისა და უანგარო შრომაში ამოდგომისთვის, სითბოსა და სიკეთისთვის. ღმერთმა დაგლოცოთ და გაბედნიეროთ, არ მოგკლებოდეთ ღვთის წყალობა.

*გელაშვილების ოჯახი*



რაოდენ გულსატკენია, როცა შენს სამშობლოში გაჭირვებაა, არავითარი საარსებო წყარო არ არსებობს... მაშინ იძულებული ხდები, ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად დროებით დატოვო სამშობლო, საყვარელი ოჯახის წევრები და სხვა ქვეყანას მიაშურო სამსახურისთვის, მაგრამ ისმება კითხვა – როგორ?

მინდა გაგაცნოთ ერთი ახალგაზრდა ექიმი **მაია ქანთაშვილი**, რომელიც საბერძნეთში (ათენში) ორი წლის წინ გავიცანი. მან სკოლა ხუთებზე და სამედიცინო ინსტიტუტი წითელ დიპლომზე დაამთავრებია, მაგრამ სამსახურისთვის წითელი დიპლომი და ცოდნა საკმარისი არ აღმოჩენილა, საბერძნეთში ჩამოსვლაც ამიტომ გადაუწყვეტია.

მაიკო აქაც თავისი სპეციალობით მუშაობს, ერთ-ერთ პრესტიჟულ ოჯახში, სადაც ოჯახის წევრებს ძალიან უყვართ. ბევრი შემთხვევა ყოფილა, როცა [illegible] ... ლია თათარაშვილი. სამტრედია

## ბინები

იყიდება 1-ოთახიანი ბინა, გადაკეთებული 1,5-ად, [illegible] №9, I სად. V სართ. [illegible] ტელ: 38-34-38; 38-05-49; 899 53-22-62

იყიდება [illegible] 2,5-ოთახიანი [illegible] ბინა, 7(9). ფასი $7500. ტელ: 899 91-64-81

ქირავდება [illegible] II ჩიხი, №6. ტელ: 8 268 7-02-17; 76-02-17. [illegible]

## ვთავაზობთ სამუშაოს

[illegible] 300-600 ლარი. [illegible] I სართ. ოთახი №6. ტ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94; 899 90-54-78

[illegible] ტელ: 92-17-62; 899 96-15-08. [illegible] ტელ: 877 76-28-67. ბათუმი

## მომსახურება

„ახალგაზრდა დამცველთა ასოციაცია“ (ადვოკატურა) [illegible] №5. მე-2 სართ. №11. ტელ: 91-11-94; 899 10-93-97

[illegible] ტ: 79-50-12; 899 90-44-93. [illegible]

[illegible] ტ: 38-77-58; 93-19-52; 899 168-168. [illegible]

სერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი გთავაზობთ ჭარბთმიანობისაგან განკურნებას მხოლოდ ერთხელ გაკეთებული ეპილაციის შედეგად. ახალი მეთოდით და აპარატურით ვმკურნალობთ მხოლოდ ჩვენ! შედეგის არქონის შემთხვევაში (რაც არ ხდება), გადახდილი თანხა დაგიბრუნდებათ. მიღება წინასწარი ჩაწერით ტელეფონზე: 893 31-05-49. ლალი

ეპილაცია ელექტრომის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი პირველივე სეანსზე. სახის გაწმენდა საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის №66. მე-2 სად. VIII სართ. ბინა 46. ტ: 37-74-22. მანანა

ვარ გამოცდილი მასაჟისტი. მაქვს ჭარბი რაოდენობით ბიოენერგია. ჩაწერა წინასწარ. ტელ: 98-31-32. სოფიკო

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეში ტკივილების მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური მალამოებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58; 899 14-64-95

სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან მომუშავე მაღალი ცნობადი წინაპართა გადმოცემით ამზადებს მალამოებს და საფენებს. მკურნალობს სახსრებს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), ართროზს, საშწვერა ნერვის ანთებას, პოლიართრიტს, რადიკულიტს (მხოლოდ ჰაიმორიტი, ფრონტიტი იკურნება 8-10 დღეში სრული გარანტიით). ტელ: 35-81-81, 34-62-51

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, პლექსიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილების დაგროვება), პოდაგრა. გასინჯვა-კონსულტაციები უფასოა. მის: რუსთაველის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან“, ც. დადიანის №87), კაბ. №11, 11-15 სთ. ტ: 61-02-97; 69-91-92; 39-39-97; 899 57-16-99. ექიმი ალექსიშვილი

სიმაღლეში ზრდა, სქოლიოზი, კიფოზი (ხერხემლის გამრუდება), გულმკერდის დეფორმაციები (ქათმისებური, მეწაღისებური), რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი – დიდი წარმატებით მკურნალობს ექიმი – მანუალური თერაპევტი სოსო ფირცხალაიშვილი. ტელ: 899 26-51-08; 95-51-08

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო (გარანტიით); ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. მჭედლიძე

## სწავლა

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. ეკონომიკური; 3. უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები ჩაირიცხებიან მე-3 კურსზე. ფასი 150 ლარიდან. ტელ: 30-51-30; 32-06-97; 32-82-60

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების, ფინანსებისა და სამართლის ქართულ-ბრიტანული ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე: იურიდიული, ეკონომიკური, უცხო ენები, პედაგოგიური, დიპლომატიური, ჟურნალისტიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები. წლიური გადასახადი – $150. წვევამდელებს უნარჩუნდებათ სწავლების უწყვეტი ციკლი. მის: შარტავას №7 (შრომის სასახლე), მე-15 სართ. ტელ: 38-76-52; 59-05-90; 899 57-19-44

კომპიუტერული სტუდია „დავი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

ნაძალადევის კულტურის სასახლე აცხადებს მიღებას კოსმეტიკის კურსებზე, დაჩქარებული მეთოდით, შეღავათიან ფასებში. შეისწავლება: ნელსაცხებლები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), მასაჟი, ეპილაცია, ნიღბები, რძეები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, დადიანის 26 (მ. „ვაგზლის მოედ.“). ტ. 66-53-56, 69-09-19; 893 33-09-66

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89

## იყიდება

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

## ქირავდება

კომერციული ფართი – 45 კვმ, წელიწადში 4.000-ად, სიგნალიზაციით, საკაბელო ტელევიზიით, 2 შესასვლელით I სართულზე, ტელეფონით, სველი წერტილით, გათბობითა და ცხელი წყლით. მის: დ. აღმაშენებლის №2 (მეტრო „მარჯანიშვილთან“). ტელ: 96-30-54

კომერციული ფართი – 140 კვმ (მაღალი ბელეტაჟი – 80 კვმ, ნახევარსარდაფი – 60 კვმ), წელიწადში 15.000-ად, ევრორემონტით, კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემით, სახანძრო დაცვის სიგნალიზაციით, 2 შესასვლელით, 2 სველი წერტილით, ბუნებრივი აირით, საკაბელო ტელევიზიით (აგვისტოდან). მის: აღმაშენებლის 76/1 (მეტრო „მარჯანიშვილთან“). ტელ: 899 10-27-92

## შევიძენ

შევისყიდი „უაზის“ მარკის ავტომანქანას და ყველა სახის ავტოსათადარიგო ნაწილს. ტელ: 76-21-89; 899 23-63-89. კახა

## სხვადასხვა

პირველად საქართველოში – ფინანსური დამოუკიდებლობა! ამერიკული კომპანია იწყებს ბიზნესის განვითარებას ამიერკავკასიაში. არის რამდენიმე ვარიანტი. რისკის ფაქტორი გამორიცხულია. გვესაჭიროება პარტნიორები. დაგვიკავშირდით რეგიონებიდანაც. ტელ: 877 71-69-35. ნოდარი

გვესაჭიროება პარტნიორები ბიზნესში, რომელიც ახლა იწყებს ფუნქციონირებას, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. გამომეხმაურნონ პროგრესულად მოაზროვნე, სერიოზული და ინტელექტუალური ადამიანები. ტელ: 893 34-11-01. დავით ბაგრატიონი

ვისაც გსურთ შეიძინოთ სამკურნალო-საცნობარო წიგნი „ჯანმრთელობის საგანძური“, რომელშიც წარმოდგენილია 4200-მდე დაავადების 1000-მდე რეცეპტი და რჩევა, შეგიძლიათ ისარგებლოთ ხაფოსტო მომსახურებით საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუ დაგვიკავშირდებით ტელეფონით: 75-68-22; 34-78-83


## გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი – AB Gymnic - "აბ ჯიმნიკ"



გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი AB Gymnic ამაგრებს მუცლის, გულ-მკერდის, ფეხებისა და ბეჭების კუნთებს. გარდა ამისა, იძლევა მინიმალური ძალისხმევით მაქსიმალურად გახდომის საშუალებას. გასახდომი ქამარი დამზადებულია კოსმონავტებისაგან გადმოღებული ტექნოლოგიით, რომელსაც იყენებენ ხანგრძლივი ფრენის დროს ტონუსის შესანარჩუნებლად და კუნთების გასამაგრებლად. ასევე, ეს ტექნოლოგია იძლევა ცხიმების დაწვისა და ცელულიტის დაშლის საშუალებას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე!

*ელექტრომიოსტიმულაციის უპირატესობანი.*

მიოსტიმულაცია:
- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ცხოველქმედების პროდუქტების განდევნას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.

*შედეგი:*

გაძლიერებული გულ-სისხლძარღვთა სისტემა, გაუმჯობესებული სისხლის მიმოქცევა და ნივთიერებათა ცვლა, წიდების ინტენსიური განდევნა ორგანიზმიდან, ძლიერი და ამტანი კუნთები, მკვრივი და ელასტიური კანი.

*მუშაობის პრინციპი:*

სუსტი ელექტროიმპულსების ზემოქმედებით კუნთები იკუმშება. ამგვარად, ძლიერდება მუსკულატურა, იწვება ცხიმი და იშლება ცელულიტის უჯრედები. ელექტროდები დამზადებულია ახალი დაპატენტებული ქსოვილისაგან, რომელსაც გააჩნია მაღალი ელექტროგამტარობა და მუშაობის ხანგრძლივი ვადა. შესაძლებელია იმპულსების სიხშირისა და ინტენსივობის რეგულირება, რაც იძლევა მოწყობილობის ინდივიდუალურად გამოყენების საშუალებას. ცხიმების დაწვისა და ფიგურის კორექციისათვის რეკომენდირებულია სუსტი იმპულსების მაღალი სიხშირით გამოყენება, ხოლო კუნთების გასაძლიერებლად უმჯობესია გამოიყენოთ ძლიერი იმპულსები ნაკლები სიხშირით. მაღალი სიხშირის იმპულსები იწვევენ კუნთების შეკუმშვას და ქმნიან მასაჟის ეფექტს, რაც ხელს უწყობს ორგანიზმში დაგროვილი ტოქსიკური ნივთიერებების, შლაკების, ზედმეტი სითხისა და ცხიმის სწრაფ განდევნას. გარდა ამისა, ქამარი შეიძლება გამოყენებულ იქნას სპორტული ტრავმების რეაბილიტაციის მიზნით.

*ქამარი მიოსტიმულატორი **AB Gymnic** – ნებისმიერ დიეტაზე ბევრად უფრო ეფექტური და იოლი საშუალებაა!*

*ფასი: 154 ლარი*

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შეძენას, დაგვიკავშირდით

☎ **(995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45** ან შეგვიკვეთეთ ინტერნეტ მაღაზია - **www.shopge.com**-ის საშუალებით და ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში, კურიერის მომსახურება უფასოა.



## როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება

### მამაკაცებო, დაამარცხეთ პროსტატიტი




პროსტატიტი არის დაავადება, რომელიც მამაკაცთა უმეტეს ნაწილს სხვადასხვა ასაკში აღენიშნება. იგი შეიძლება იყოს როგორც ინფექციური ასევე არაინფექციური წარმოშობის. მისი მკურნალობის მრავალი ტრადიციული და არატრადიციული მეთოდი არსებობს. ჩვენ გთავაზობთ ერთ-ერთ ალტერნატივას – პრეპარატ პროსტა-სტრონგს, რომელიც მცენარეულ საწყისებზეა შექმნილი და აქვს მრავალწლიანი გამოცდილება.

*რა ახასიათებს პროსტატიტს?*

მამაკაცებს, რომელთაც აქვთ პროსტატიტი, აღენიშნებათ დისკომფორტი მუცლის ქვედა ნაწილში, ტკივილი შარდვის დროს. ამას გარდა, შესაძლებელია აღენიშნოს ტემპერატურის მომატება, ტკივილი სახსრებსა და კუნთებში, სისხლიანი შარდვა.

*რას შეიცავს პროსტა-სტრონგი?*

თუთიის პიკოლინატი – ხელს უწყობს ზრდასა და რეპროდუქციას. ამ მინერალის მიმართ მოთხოვნილება სხვა ორგანოებთან შედარებით პროსტატის ჯირკვალს ყველაზე მაღალი აქვს.

**Saw Palmetto** – ექსტრაქტი, ეს მცენარე შეიცავს ბეტა სისტეროლს, რომელიც ხელს უწყობს პროსტატის ნორმალური ზომის შენარჩუნებას. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ 4-6 კვირის მანძილზე 90% ტესტირებულ მამაკაცებში ზომა დაუბრუნდა ნორმას.

**Quercetin** – ეს არის ბიოფლავოიდი, რომელსაც იღებენ ციტრუსოვანი ხილიდან. იცავს ჯირკვალს ტოქსინებისაგან და არის ანტიოქსიდანტი. ამის გამო იგი ახდენს სიმსივნის პროფილაქტიკას.

**Pugeum Afrikanum** – ექსტრაქტი, აუმჯობესებს შარდის გამოყოფას. ხელს უშლის პროსტატის ჰიპერპლაზიას.

**Licopene** – მნიშვნელოვანი კაროტენოიდია, აუცილებელია პროსტატის მკურნალობისათვის. **Bbifido bactrimi**–ბიფიდუმი შეიცავს ადამიანის ორგანიზმისთვის საჭირო ნორმალურ არაპათოგენურ ფლორას. **Betaglukani** – აძლიერებს იმუნურ სისტემას.

*როგორ მივიღოთ პროსტა-სტრონგი?*

მიიღეთ 4 კაფსულა დღეში, ჭამის დროს. შეიძლება მიღება ერთ ჯერზე ან გაყავით რამდენიმე მიღებაზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ გააჩნია, არანაირი გვერდითი მოვლენები არ გააჩნია.

**ძვირფასო მამაკაცებო, იცხოვრეთ მშვიდად პროსტა-სტრონგის დახმარებით.**

„ნუტრიმენტ ჰაუს“-ში თქვენ გელით ექიმების გულისხმიერება და მზრუნველობა. კვალიფიციური ექიმები დაგეხმარებიან პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები:
ყოველდღე, კვირის გარდა
10.30 - 18.00.
www.shopge.com



## გიორგი (გოგლიკო) შათირიშვილის ხსოვნას!

ძმაო გოგლა, ჩემო მოურჩენელო, დიდო ტკივილო, გაფრინდა შენი სული, მართლაც თეთრი მტრედივით...

ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. დაგვიტოვე ცრემლი და დიდი მწუხარება.

ძირძველ თბილისელს ისე შეგიყვარდა იყალთო, რომ მთელი შენი ახალგაზრდობა შესწირე მის კეთილდღეობას. რამდენი ფიქრი და ოცნება დაგრჩა განუხორციელებელი, ჩემო საოცარო ძმაო. „სიყვარულში გავცხონდეთ" — ეს ხომ შენი ლექსია იყო. უსაზღვროდ გიყვარდა შენი სამშობლო, ხალხი, იყალთო; მიმტევებელი, უღალატო, უანგარო, სუფთა სულის ადამიანი იყავი.

11 ივლისს შენი დაბადების დღეა. ისეთი ადამიანის სულისათვის, როგორიც შენ იყავი, [illegible] ნათელი სასუფეველი გააჩნია... შენს სახელს [illegible].

*შენი დის ოჯახი*

## ნიკო ქათამაძის მოგონება



ჩვენო ძვირფასო ნიკო! 15 ივლისს შენი გარდაცვალების დღეა. უშენოდ გავიდა ერთი წელი, ჩვენო საოცრად კეთილო, წყნარო და მოკრძალებულო მეგობარო. შენ გტკიოდა სხვისი ტკივილი და გიხაროდა სხვისი სიხარული.

წავედი და თან გაიყოლე ჩვენი უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*მეგობრები*

## კვლავ გვეყოლები ხატებად?

*(ირა კახიძის ხსოვნას!)*



*[illegible]*

*სიყვარულით და მონატრებით — მეგობრები შენი მოსამსახურეთა*

## ბორის რურუას ხსოვნას!

გავიდა ტკივილიანი ერთი წელი, რაც ეს ქვეყანა დატოვე. დატოვე და სიკეთით სავსე კაცის სახელი დაგრჩა. თბილი იყავი ყველასა და განსაკუთრებით ოჯახისა და შვილების მიმართ. დიდსულოვანი და მიმტევებელი იყავი შენს ალსაზრდელებთანაც.



ჭირსა თუ ლხინში გვერდში ედექი თანამეზობლებს, სანათესავოს. ადამიანური სიკეთითა და გულუხვობით დაჯილდოებულს ტკბილი სიტყვები ამოგდიოდა პირიდან. ადამიანები გიყვარდა და უყვარდი.

მაგრამ აი, ჩამოწვა შავი ღრუბელი აფხაზეთში... გაუთავებელ დევნილობაში დაგიმძიმდა სული, მოგიკვდა გული, გულჩათხრობილი, მიუკარებელი გახდი. დაგჯაბნა სულიერმა და ფიზიკურმა ტკივილებმა. მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნებაზე ფიქრსა და ოცნებაში გაილია წლები და 5 ივლისს, მძიმე ავადმყოფობისა და გაუსაძლისი ტკივილების შემდეგ, სამუდამოდ გადასახლდი იმიერში.

ჩვენი ოჯახის დიდო ტკივილო, იძინე მშვიდად. შენს საფლავს ყურადღება არ მოაკლდება. ღმერთმა დაგიმკვიდროს შენი კეთილი სული ციურ სასუფეველში.

თუ აფხაზეთში დაბრუნება გვიწერია, შენი ნეშტიც არ დარჩება წყალტუბოში.

*ოჯახი*

## ჯენიკო დავითაიას მონატრება



ჩვენო ჯენიკო, ტკივილიანი და ცრემლიანი წელიწადი გავიდა იმ ტრაგიკული დღიდან, რაც შენ ეს ქვეყანა დატოვე და მარადისობაში გადასახლდი.

ძალიან გვენატრები, შენს მოხუც დედას ცრემლი არ შეშრობია, გეძახის, გელის... თავს ვინუგეშებთ შენზე მოგონებებით. ვერავითარი დარდი და დრო ვერ წაშლის შენს ნაკვალევს ჩვენს ხსოვნაში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*ოჯახი*

## კახა მოლაშვილის ხსოვნას!



საყვარელო შვილო, მიკვირს როგორ გავიდა ათი წელი უშენოდ. ალბათ ისევ გელოდები ქალაქ პერმიდან. შენი სითბო აკლია შენს დედას, შენს ძმებსა და შენს გიორგის, დიდ რუსეთში. შენი გიორგი გაიზარდა და შენს თავს იფიცებს... შენ კიდევ ახსოვხარ პერმელ ამხანაგებს, შენი უბედურებას დღეს ყოველწლიურად აღნიშნავენ. შენ იმდენ სიკეთეს აფრქვევდი ყველგან, რომ შენი სიკეთით ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული.

*დედა, ძმები*

## ნუგზარ გენგაშვილის გახსენება

მეხის გავარდნას ჰგავდა — ნუგზარი აღარა გვყავსო!



ჩვენო საყვარელო ნუგზარ, 11 ივლისს შენი დაბადების დღეა. წელიწადზე მეტი გავიდა შენი წასვლიდან, მაგრამ დღესაც ვერ ვიჯერებთ, რომ შენს საფლავზე გვიხდება ყვავილებითა და ცრემლიანი თვალებით მოსვლა.

დიდმა სიყვარულმა დიდი მონატრება იცის, მართლაც ყველას ძალიან გვენატრება შენი ლამაზი სიარული, ღიმილიანი სახე, შენი სიმღერები და მოხდენილი ცეკვა. დიდი გულისტკივილით გიხსენებს სუყველა. ამის გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია.

შენს ცხოვრებას უკვალოდ არ ჩაუვლია, რადგან სითბოთი და სიყვარულით სავსე კაცის სახელი დაუტოვე შენს პატარა გეგას. გვიყვარხარ, ძალიან გვენატრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური სართიჭალის მიწა.

შენზე ლოცვით და შენთან შეხვედრის იმედით გავლევთ ამ ტანჯულ წუთისოფელს.

*ოჯახი*

## თამარ ურუშაძე-ბექაურის ხსოვნას!



მამიდა, ორმოცი დღე გავიდა, რაც უფალმა მიწიერი ცხოვრება დაგათმობინა და მწარედ გვატკინა გული.

ვიცოდით, განსაცდელი კარს უკან იდგა, მაგრამ გვიჭირდა დაჯერება, პატარა იმედს მაინც ვიტოვებდით — არ გვეთმობოდი. შენ ხომ უსიტყვოდ გვეფერებოდი, ყველას პატივისცემას ასწრებდი... შენმა ავადმყოფობამ მიგვახვედრა, რამდენი ახლობლის დაკარგვას უნდა გაუძლოს ადამიანმა, შემდეგ ცხოვრების გაგრძელებაც შეძლოს.

როგორ ჩქარობდი შვილების დაოჯახებას, გენატრებოდა შვილიშვილი. პატარა თამუნას დაბადების სიხარული განიცადე, მაგრამ ვერ მოეფერე.

მინდა გითხრა, მამიდა, შენგან დატოვებული სიცარიელე ამოუვსებია, მაგრამ სიცოცხლე გრძელდება და გაგრძელდება მეგის, ზვიადის, გივის, რობერტის შვილებში.

ღმერთმა სიმშვიდეში დაავანოს შვილებზე მზრუნველი შენი სული.

*ძმისშვილები*

## დევი უჩანეიშვილის მონატრება



ჩვენო საყვარელო დევიკო! 13 ივლისს შენი დაბადების დღეა. პირველად აღვნიშნავთ ამ თარიღს უშენოდ. შენ მაღლა, სასუფეველში ხარ. ჯერ ადრე იყო შენი წავლა ამ ქვეყნიდან, ჯერ კიდევ სჭირდებოდი შენს პატარა მოსიყვარულე შვილიშვილებს — სანდროს და ნიკას. რით შევავსოთ უშენობით გამოწვეული სიცარიელე?! შენ გულთბილი და ყველას მიმნდობი იყავი. ენატრები შენს დანატოვარ ოჯახს: მეუღლე ლამარას, შვილებს — სოფიკოს და მარიამს, სიძეს — ზვიადს. იმ საუფლოს ამშვენებს იმედი მხოლოდ იმისა, რომ ოდესმე კვლავ ერთად ვიქნებით. ყველაფრის დასასრული ხომ მარადისობაა.

*შენი მამიდაშვილები — ციალა და გიგლა კიზირიები*

## ზაზა გურაშვილის ხსოვნას!



კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე შეწყდა წელიწადის ამ მშვენიერ დროს. ზაფხულს ხომ განსაკუთრებით ველოდებით ყველანი. სამწუხაროდ, სწორედ ამ ზაფხულმა წაგვართვა შენი თავი. მოულოდნელმა უბედურებამ ყველანი შეგვძრა და საოცრად დაგვწყვიტა გული. ახლა შენზე მხოლოდ წარსულში მოგვიწევს საუბარი და მოგონებებით თუ ვინუგეშებთ თავს. ძნელია შეეგუო რეალობას, თუმცა ყველაფერი ღვთის ნებაა და უფალს ვთხოვთ, სამუდამო სასუფეველი დაუმკვიდროს შენს სულს.

*ოჯახი, მეგობრები და თანამშრომლები*



## ლამარა მარიამიძეს!

ძალიან გვიჭირს, ჩვენო ლამარა, რომ მხოლოდ ფურცლიდან, ჩუმად გესაუბრებით, მხოლოდ ჩვენ გელაპარაკებით და შენი ხმა კი არსაიდან გვესმის.

უკვე ორ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც შენი ლამაზი სიცოცხლე შეწყდა, აღარ გვესმის შენი კისკისი, შენი ხავერდოვანი ხმა. ჩვენ ყველგან გეძებთ, შენი სულის სიახლოვეს ყველგან ვგრძნობთ, ჩვენო უტყუარო და უღალატო მეგობარო.

8 ივლისს შენი დაბადების დღეა. წელს, მესამედ, უჩვეულოდ, შენს საფლავზე მოსვლით მოგილოცავთ ამ დღეს შენი მეგობრები, შენს პატარა შვილსაც იქ მოვიყვანთ. შენი შაკუნა უკვე მესამე კლასში გადავიდა, მას ყოველდღე სჭირდები და ენატრები. ჩვენც ძალიან გვენატრები, ჩვენო ლამაზო მეგობარო. შენ მუდამ გამოირჩეოდი ჩვენ შორის, შენი სიკეთითა და სათნოებით. გვწამს, რომ უფალმა სასუფეველშიც რჩეულთა შორის დაგიმკვიდრა სამუდამო სავანე. ჩვენი დანთებული სანთლები გინათებდეს სამუდამო სასუფეველს, ჩვენო უსაყვარლესო და უდიდესო ტკივილო, ჩვენო ლამარა. მსუბუქი იყო შენთვის ქართული მიწა, რომელიც ასე ძალიან გიყვარდა.

*თანაკურსელები*

## ლევან (ლეო) ვალიშვილის გახსენება



5 ივლისს ერთი წელი შესრულდა, რაც დაგვტოვე. უსაზღვროდ ტკივილიანი იყო შენი ოჯახისათვის ეს წელი. უკვე წელიწადია, რაც ცივ სამარეს ვეფერებით, მაგრამ, შენ არაფერს გვპასუხობ. არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი, რაც დრო გადის, უფრო მეტად გვენატრები. შენი ოჯახი ლოცულობს შენი სულისათვის. მოვალთ საფლავთან, სანთელს დაგინთებთ, გაგიხსენებთ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ფაქიზი სული.

*შენი ოჯახი*

„კვირის პალიტრის" რედაქცია თანაუგრძნობს **ლევან ჯავახიშვილს** მამის

**გივი სტეფანეს ძე ჯავახიშვილის**

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ქენია; შვილები: ბადრი, მურმანი, მალხაზი, ჯანო, ლია ოჯახებით; დები: თინა, ქეთო; ძმა გოდერძი; შვილიშვილები, შვილთაშვილები, ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჟორა ბაგრატის ძე კაპანაძე**

*დაკრძალვა:* სამშაბათს, 8 ივლისს, 14 საათზე, საჩხერის რ-ნის სოფ. მერჯევში.

შვილები: ნინო, ლევან გვეტაძეები; მაზლი ლეო გვეტაძე; რძალი ნუნუ გაბუნია; ძმისშვილები: გია, მაკა, მანანა ლაფერაძეები ოჯახებით; მულიშვილები: მარინა გველესიანი, მამუკა, თამაზ მარგველაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ნონა ლაფერაძე-გვეტაძის**

გარდაცვალებას.

*პანაშვიდი:* 6, 7 ივლისს;
*დაკრძალვა:* სამშაბათს, 8 ივლისს, 15 საათზე.
*მისამართი:* თემქა, მე-10/ა კვარტალი, კორპ. 44.



# მთელი ცხოვრება იხარჯებოდა ბოლომდე, თავაწყვეტით...

**სერგო ზაქარიაძე** ერთ-ერთი მათგანია, ვისზეც უარს არ იტყოდა ყველაზე ცნობილი და დიდი თეატრი და კინოსტუდია. ის ხელოვნებაში „შიშველი ხელებით" მოვიდა. ობოლი ბიჭი იყო, თეატრზე უსაზღვროდ შეყვარებული... თვითონ არაფერი გააჩნდა, არც ოჯახს შეეძლო მისი რჩენა. თბილისში რომ ჩამოვიდა, სკოლაც კი არ ჰქონდა დამთავრებული. დადიოდა გაცვეთილი, დავიწროებული შარვლით. გამხდარი, მაღალი ბიჭი ასაკს იოლად იმატებდა. ეს კი იმისთვის სჭირდებოდა, რომ თეატრში როგორმე მოხვედრილიყო და სანუკვარ ხელოვნებას ზიარებოდა.

სერგო ზაქარიაძის მამა ბაქოში, დეპოში მუშაობდა, იქაური დრამწრის აქტიური წევრი იყო. პატარა სერგოც თეატრში იზრდებოდა, ჯერ ბაქოში, მერე ზესტაფონში, სადაც მისი ოჯახი 1917 წლიდან გადავიდა საცხოვრებლად. მალე სერგო ზაქარიაძე მამით დაობლდა. ამას ერთი დიდი უსიამოვნებაც დაემატა: მამის დაკარგვის შემდეგ სერგო თეატრში თავისუფლად ვეღარ შედიოდა. ალბათ ბილეთის ფულიც კი არ ჰქონდა... იმდენად იტანჯებოდა, რომ დედამისი იძულებული გახდა ზესტაფონის თეატრის ხელმძღვანელისთვის ეთხოვა: ჩემი მეუღლის ხსოვნის პატივსაცემად, მზრუნველობა გაუწიეთ მის დაობლებულ შვილსო. ამის შემდეგ სერგო ზაქარიაძეს სპექტაკლებზე დასწრების უფლება მისცეს, დანარჩენ დროს კი კულისებში ატარებდა.

რა იცოდა მაშინ, რომ ხელოვნება დიდ აღიარებასთან ერთად ბევრ ტკივილსაც მოუტანდა, არადა, ყველაფერი შეეძლო დაეთმო, გარდა ხელოვნებისა. ერთხელ სკოლაში მიმავალმა განცხადება დაინახა: „თბილისის დრამატული სტუდია რეჟისორ ა. ფალავას ხელმძღვანელობით აცხადებს მიღებას". ცხოვრების მთავარი მიზანი რომ აესრულებინა, აუცილებლად სტუდიაში უნდა მოხვედრილიყო, მაგრამ როგორ? დედა სახლიდან არ გაუშვებდა — მას ხომ ჯერ სკოლაც არ ჰქონდა დამთავრებული?! გადაწყვეტილება გაბედულად მიიღო: შინიდან გაიპარა. ძმას დაუბარა, — არაფერი მჭირდება, მაგრამ თუ დედა მოინდომებს, ლობიო და მჭადის ფქვილი გამომიგზავნეთ, თორემ შეიძლება, შიმშილით მოვკვდეო.

ასე ჩამოვიდა თბილისში რამდენიმე მეგობრისა და უზარმაზარი ნიჭის ამარა. ზესტაფონელ ამხანაგთან ათევდა ღამეს, რომელიც თვითონაც ბიძას იყო შეკედლებული.

სერგო ზაქარიაძე გამოცდაზე უნდა მოხვედრილიყო. ღელავდა, რადგან ტყუილი უნდა ეთქვა: ასაკი მოუმატებინა. როცა გამომცდელებმა — აკაკი ხორავამ, სანდრო კანდელაკმა, თამარ წულუკიძემ მაგიდასთან მიიხმეს, სერგომ ჰალსტუხი მოიგლიჯა, ღიდისეული თავშალი შემოიხვია კისერზე, მაგრამ ზედმეტად მოიჭირა... უხერხულობის განცდა არ მოშორებია... სპექტაკლიდან — „გადაჭრილი მუხა", გიმნაზისტის ლექსი წაიკითხა. მეორე დღეს წარმატებაში დარწმუნებულმა მიაკითხა სტუდიას. ბოლოს და ბოლოს, გიმნაზისტის როლს ის ზესტაფონში, სცენაზე ასრულებდა და განა რა დაემართებოდა, რომ გამოცდაზე ვერ წაეკითხა?! მისდა გასაოცრად, თავისი გვარი ჩარიცხულთა სიაში ვერ იპოვა. როგორც აუხსნეს, ხელი წლოვანებამ შეუშალა. დახმარებისათვის დოდო ანთაძეს მიმართა. ბატონმა დოდომ ფალავასთან უშუამდგომლა და სერგო ზაქარიაძე თავისუფალ მსმენელად ჩარიცხეს. დედა რომ ჩამოვიდა და შვილი ამ მდგომარეობაში ნახა, დახმარებისათვის ნათესავებს მიმართა, — ეგებ, ოდნავ უკეთესი ღამის გასათევი მაშოვნინოთ შვილისთვისო.

სახელოვანი მსახიობი ღიმილით იხსენებდა ერთ ამბავს: თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა მოსკოვის მცირე თეატრი. სერგო ზაქარიაძე ყველა სპექტაკლს ესწრებოდა, თუმცა რუსული არ ესმოდა. ერთხელ, სტუდენტები გარს შემოეხვივნენ პედაგოგს და მოსკოვის მცირე თეატრის სპექტაკლების — „ოტელოსა" და „ჭიქა წყლის" განხილვა დაიწყეს. როცა სერგო ზაქარიაძე მათ მიუახლოვდა, მასწავლებელი ამბობდა: „ჭიქა წყალზე" უფრო დიდი სიამოვნება რა უნდა იყოსო. ზრდილობით სავსე იმერულმა ბიჭმა სიტყვების მნიშვნელობა პირდაპირ გაიგო, გაიქცა და ჭიქა წყალი მოურბენინა პედაგოგს, მან კი ცხარე კამათში მყოფმა, წყლის მიწოდება შეურაცხყოფად მიიღო. სტუდიის ხელმძღვანელთან დადგა საკითხი სერგო ზაქარიაძის გარიცხვის შესახებ. ბატონი სერგო ამბობდა: შემდგომშიც არაერთხელ გავურიცხივარ სასწავლებლიდან, მაგრამ ყველაზე მწარე და დამამცირებელი მაინც ის შემთხვევა იყოო. მოგვიანებით რეჟისორ ქორელის ქალიშვილი სერგო ზაქარიაძემ ცოლად შეირთო. ეს ის რეჟისორი გახლავთ, ვინც მაშინ მის გარიცხვას მოაწერა ხელი.

ცხოვრებაში დადგა მომენტი, როცა რაღაც უნდა შეცვლილიყო. სერგო ზაქარიაძემ სკოლა დაამთავრა, ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა... მაინც ვერაფერმა სძლია თეატრის სიყვარულს. სპექტაკლებში მასობრივ სცენებში მონაწილეობდა, თეატრით სუნთქავდა. ერთხელაც, როცა დიასახლისმა კარი გამოუკეტა ქირის გადაუხდელობის გამო, გადაწყვიტა ღამე სარეჟისორო ოთახში გაეთია. იქ მეხანძრეებმა მიაგნეს და თავსხმა წვიმაში გარეთ გამოაგდეს. იმ ღამით გაცივდა და მეორე დღეს სანდრო ახმეტელთან სიცხიანი მივიდა. როცა დიდმა რეჟისორმა ავადმყოფობის მიზეზი გაიგო, განკარგულება გასცა: გამოეყოთ ერთი ოთახი თეატრში სერგო ზაქარიაძისთვის.

ვინც მას იცნობდა, ყველამ იცოდა, როგორი თავდაუზოგავი პროფესიონალი იყო. მისთვის არ არსებობდა ორი ერთნაირი დღე. სულ ძიებაში იყო... როცა მეწაღეს თამაშობდა, მეწაღესთან სიარულს იწყებდა, ნამდვილად სწავლობდა ფეხსაცმლის შეკეთებას; როცა ფოსტალიონის როლი მისცეს, 16 კილოგრამი დაიკლო, — მე მსუქანი ფოსტალიონი არ მინახავსო... ერთხელ ფოსტალიონის ტანსაცმელში გამოწყობილი სერგო ზაქარიაძე და რეჟისორი სიკო დოლიძე კავშირგაბმულობის მინისტრთან შევიდნენ. სერგო მორცხვად გაჩერდა კარის ზღურბლთან. მინისტრი სიკო დოლიძეს ელაპარაკებოდა და თან მრისხანე თვალით გადახედავდა ხოლმე სერგოს. ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა და ჰკითხა: თქვენ რომელი საფოსტო განყოფილებიდან ხართო?

ბევრი ხიფათი გადახდენია თავს. სიკო დოლიძე „პალიასტომს" იღებდა. სერგო ზაქარიაძე ივანეს როლს ასრულებდა. რეჟისორი იხსენებდა: „ზღვასთან, მდინარე კაპარჭინის შესართავთან, ორ მაღალ ფოლადის ბოძზე ფიცარნაგი ავაგეთ. მასზე ავიტანეთ ოთხი დიდი ქვაბი. თითოეული ტონა წყალს იტევდა. ტივის წინ დავაყენეთ თვითმფრინავი, რომელსაც პროპელერებით ძლიერი ქარის შთაბეჭდილება უნდა შეექმნა. ტივის ბოლოსთან მივაცურეთ ბარჟა ამწეთი, რომელზეც ჩამოკიდებული იყო ათასლიტრიანი წყლის კასრი. იგი საჭირო მომენტში, ტივის ბოლოს, წყალზე დაეცემოდა და დიდი სიძლიერის ტალღას გამოიწვევდა. რამდენიმე დუბლი გადავიღეთ... სერგომ მოითხოვა კიდევ ერთხელ გადაღება... და აი, ივანე ეძახის შვილს: „ნიკოია, ბაბა, ნიკოია!" ოთხივე ქვაბიდან წყალი ზათქით გადმოდიოდა. ტივზე სერგომ თავი ვერ შეიმაგრა, ქარმა სძლია და ნაცვლად იმისა, რომ წყალში გადამხტარიყო, ფეხი დაუცურდა და ტივის ბოლოს გადავარდა. იმავე მომენტში, იმავე ადგილას, სადაც სერგო გაუჩინარდა, უცბათ ათასლიტრიანი კასრი მთელი ძალით დაეხეთქა. ყველანი, ვინც გადაღებაზე ვიყავით, ადგილზე გაქვავებულები, შეშინებულები დავცქეროდით წყლის ზედაპირს... საიდანაც მალე სერგოც გამოჩნდა, გაჭირვებით ამოძვერა ტივზე და დამნაშავის სახით თქვა: „მგონი, დუბლი გავაფუჭე"...

თავგადასავლები არც თეატრში აკლდა. მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთ სპექტაკლში სერგო ზაქარიაძის გმირს იაკობ ტრიპოლსკის გმირისათვის უნდა ესროლა და მოეკლა. სპექტაკლზე გამოჰქონდათ თეატრის თოფი, სერგო „დატენიდა", დაუმიზნებდა: მოკვდი, ბესიკო! და ესროდა. იაკობ ტრიპოლსკი იხსენებდა: ვიღაც რომ შემოვიდა კულისებში, იმისი ფეხსაცმელები ახლაც მახსოვსო. მან ნამდვილი თოფი შემოიტანა თურმე და შეუმჩნევლად შეცვალა თეატრის თოფი. და აი, სპექტაკლზე სერგო ზაქარიაძემ ნამდვილი ტყვიით დატენილი თოფი ესროლა ტრიპოლსკის. კიდევ კარგი, დაუმიზნებლად ესროლა. ტყვია პროჟექტორს მოხვდა, იაკობ ტრიპოლსკი გადარჩა. ვიღაცას სერგო ზაქარიაძის მოშორება უნდოდა, თორემ ტრიპოლსკი მაშინ ნაკლებად ცნობილი მსახიობი იყო...

მთელი ცხოვრება თან სდევდა ინტრიგების ქარიშხალი. ეს ხომ დიდი ნიჭის თანმხლებია. მიუხედავად ყველაფრისა, იხარჯებოდა... იხარჯებოდა ბოლომდე, თავაწყვეტით...

მისი ჯარისკაცის მამა მსოფლიოში აღიარებული სახეა. ის კი არა და, როცა ფილმი საფრანგეთში წარადგინეს, ფრანგებმა მოითხოვეს, ჯარისკაცის მამა თვითონ სერგო ზაქარიაძემ გაახმოვანოსო. აუხსნეს, — ეს შეუძლებელია, ქართველი მსახიობი ფრანგულად გამართულად ვერ იმეტყველებსო. მაგას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია მისი ხმის ტემბრი არ დაიკარგოსო.

პირველ ივლისს 94 წლის გახდებოდა...

*ლელა ჯიყაშვილი*

ქალბატონი ნათელა 20 წლის წინ თავს გადახდენილ ამბავს იხსენებს და მიუხედავად იმისა, რომ ისეთ უჩვეულო ფენომენს ეხება, როგორიც მოჩვენებაა, სინანულით აღნიშნავს: „როცა გაქრა და თავი დაგვანება, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი დაიკარგა ჩვენი ცხოვრებიდან, დღემდე მენატრება და... თუ დაბრუნდება, არც საწინააღმდეგო მექნება რამე!..“



# ჩემი კეთილი მოჩვენება...

ეს ახლა, მაშინ კი...

— ეს ბინა 1982 წლის ბოლოს მივიღეთ. ჩემი ქმარი მანამდე რუსეთში მუშაობდა და ჩვენც მასთან ერთად ვცხოვრობდით ტულაში. მერე ქარხანამ მოიწვია და ეს ბინაც მოგვცეს. რუსეთში დარჩენას მაინც არ ვაპირებდით, ბავშვები წამოიზარდნენ და როცა რუსულ სკოლაში მივიყვანეთ, მშობლიური ქართული დაივიწყეს ლამის, რასაც ძალიან განვიცდიდით.

ბინა ძველი იყო და შესახლებამდე გარემონტება დავიწყეთ. ჩემმა მეუღლემ — ყვითელი სითბოს და სიმყუდროვის შეგრძნებას აძლიერებსო და საძინებლები ყვითლად შევღებეთ. მეორე დღეს კედლები მწვანედ დაგვხვდა გათხუპნილი, თითქოს ბავშვებს ეთამაშათ... ბავშვები ნათესავთან გვყავდა, მათზე ფიქრიც სისულელე იყო. არ ვიცოდით, რა გვეფიქრა და დაღონებულებმა ხელახლა შევღებეთ კედლები. მეორე დღეს კი... ისევ მწვანე საღებავით დაგვხვდა ყველაფერი მოთხუპნილი..

გასაღები, ჩვენ გარდა, არავის ჰქონდა და ვისთვის მოგვეთხოვა პასუხი?.. კედლებსაც თავად ღებავდა ჩემი ქმარი...

მესამედ რომ დავამთავრეთ საქმე, საღებავები ნოდარმა სარდაფში ჩაკეტა: — თუ ვინმე მაიმუნობს, ვნახოთ, ახლა რაღას იზამსო?!

მეორე დღეს მისულებს გულს შემოგვეყარა — კედლები რაღაც წვეტიანი საგნით დაკაწრული დაგვხვდა... როცა ჩემს მაზლს ვუთხარით, რაც გვჭირდა, არ დაიჯერა, — ნუ იგონებთო. მერე იხუმრა: — ალბათ სახლის სული გებრძვით. არ უნდა ძველი ფერების დათმობა. ადრე ეს საძინებელი მწვანე ყოფილა. თქვენც უნდა დაემორჩილოთო.

მეც და ჩემმა ქმარმაც სიმართლის მარცვალი დავიჭირეთ ამ ხუმრობაში. მართლაც, ძველებურად შევღებეთ კედლები და მას შემდეგ აღარაფერი მომხდარა უჩვეულო, რემონტი მშვიდობით დავამთავრეთ; მაგრამ საცხოვრებლად რომ გადავედით სახლში, მერეც ხდებოდა უცნაურობები... ღამით ხშირად გვაღვიძებდა ფეხის ხმა, თითქოს ვიღაც დადიოდა ოთახიდან ოთახში, ერთი-ორჯერ ნათურაც აინთო თავისით. კარგად მახსოვს, დაწოლის წინ გამოვრთეთ და უცებ მკვეთრმა ნათებამ გაგვაღვიძა. რაც საინტერესოა, ორივეჯერ განსაცდელისგან გვიხსნა — პირველად რომ აინთო ნათურა, აშკარად ვიგრძენით გაზის სუნი. იმ დღეს გამოვცვალეთ ბალონი, მაშინ ჯერ კიდევ არ გვქონდა ბუნებრივი აირი. რედუქტორი არ ერგებოდა კარგად თურმე ბალონს და გაზს გაუჟონავს. გადაგვარჩინა აშკარად ჩვენმა „მოჩვენებამ“... მეორედ რომ აინთო ნათურა, ეჭვიც არ შეგვპარვია, რომ რაღაც ხდებოდა, წამოხტა ჩემი ქმარი — ღმერთო, შენ გვიშველეო. უმცროსი ბავშვი სიცხიანი გვყავდა და ღამით ისე აუწევია ტემპერატურას, კრუნჩხვები დაწყებია. რომ არ გაველვიძებინეთ იმ ჩვენს „მფარველს“, დაიღუპებოდა ბავშვი...

ერთხელაც ჩემმა ქმარმა მანქანის გასაღები დაკარგა და რადგან ძალიან ეჩქარებოდა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით წავიდა. გზაში ისე ცუდად გამხდარა, გონი დაუკარგავს და საავადმყოფოში გაუხელია თვალი. ინფარქტს კი გადაურჩა, მაგრამ გულის ბრალი ყოფილა... საკუთარი მანქანით რომ წასულიყო, ავარიას მოახდენდა აშკარად და დაიღუპებოდა. ეჭვიც არ გვეპარება, ისევ იმ უხილავმა ძალამ გადაგვარჩინა, თანაც, მეორე დღეს გასაღები იმ პიჯაკის ჯიბეში იპოვა, იმ დღესაც რომ ეცვა და ასჯერ ჩაყო შიგ ხელი გასაღების ძებნისას...

სხვაც იყო ასეთი საინტერესო შემთხვევები.

**— მაგრამ მოჩვენება თქვენ მაინც მოიშორეთ თავიდან...**

— თინიკო ათი წლის გვყავდა მაშინ და ბავშვმა ლაპარაკი დაიწყო იმაზე, თუ როგორ მოდიოდა მასთან კეთილი ბებია, სახელად ელენე, ღამღამობით ლამაზ ზღაპრებს უამბობდა და მერე ასევე ლამაზ სიზმრებში ამოგზაურებდა... ერთი სიტყვით, ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა ბავშვი ბებია ელენეზე, ისეთი სიყვარულით, თითქოს ოჯახის წევრი ყოფილიყო ჩვენი, არადა, რეალურად ასეთ ვინმეს არ ვიცნობდით და შეგვეშინდა, მის ფსიქიკას არ დამუქრებოდა რამე, მივიყვანეთ კიდეც ექიმთან, მაგრამ მან გოგონას დარღვევები ვერ აღმოუჩინა, ჩვენდა საბედნიეროდ...

თუმცა ოჯახის ამბების გამომზეურებას ვერიდებოდით, მაინც გაიგეს მეზობლებმა და სწორედ მათგან შევიტყვეთ, რომ ჩვენამდე ამ ბინაში ორი გაუთხოვარი და ცხოვრობდა და სწორედ ერთ-ერთს რქმევია ელენე. ძალიან სათნო და კეთილი ქალი ყოფილა, თან ჰყვებოდა თურმე მეზობლების ბავშვებს, რადგან ძალიან ჰყვარებია პატარები... ის გარდაცვლილა თურმე ბოლოს...

ჩვენს მეზობლად მღვდელი ცხოვრობდა და სწორედ მისი რჩევით გადავიხადეთ ბებია ელენესთვის პანაშვიდები, ეკლესიაშიც, საფლავზეც. ისე მომხდარა, მეზობლებს დაკრძალვით კი დაუკრძალავთ, მაგრამ აღარც ორმოცის აღნიშვნა გახსენებიათ და აღარც წლისთავის. შეიძლება ამის გამოც ვერ ისვენებდა კეთილი მოხუცის სული და მოჩვენებად დაბრუნდა. რადგან მის სახლში დავსახლდით და „ვუჯერებდით“, შეგვიყვარა და ზრუნავდა კიდეც თავისებურად ჩვენზე...

**— მას შემდეგ, რაც დამშვიდდა მისი სული და წავიდა, აღარ გამოგცხადებიათ?!**

— სამწუხაროდ, აღარ და აკი გითხარით, ძალიანაც მოგვანატრა თავი... ამ ოთხი წლის წინ თინიკოს ძალიან გაუჭირდა მშობიარობა, აღარც გვქონდა ბავშვის გადარჩენის იმედი და როცა ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა, მშვენიერი, პატარა გოგონა დაიბადა, თინიკომ თქვა, — ძალიან ცუდად რომ ვიყავი, რაღაც მომენტში ჩემი სული თითქოს სხეულიდან ამოფრინდა და იმ წუთში „გაჩნდა“ ჩემ გვერდით ელენე ბებია, საყვედურით შემომხედა: — არა გრცხვენია, რას აკეთებ, ახლავე დაბრუნდი და მიეხმარე შენს პატარასო, — ხელი მკრა და რაღაც „შავ გვირაბში“ ჩამაგდო, რომლის გავლის შემდეგ ისევ დამიბრუნდა ცნობიერება, ათ წუთში კი ბავშვიც დაიბადაო.

თინიკოს ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ მისი და მისი შვილის გადარჩენა კეთილი მოხუცის სულის დამსახურებაა, ამიტომ შვილს ელენე დაარქვა მადლიერების ნიშნად...

...აი, ასეთი ამბავი გვიამბო ქალბატონმა ნათელამ და დაგვარწმუნა, რომ ანგელოზებად ქცეული ჩვენი გარდაცვლილი ახლობლების სულები არასოდეს გვტოვებენ და ხშირად გვიცავენ სიავისგან.

***ინგა ჯაყელი***

## ჩვენ გვწერენ

# „გრაფი“ ზვარაკად შეგვეწირა



— არც ისე დიდი ხნის წინ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული იყო ჟურნალისტ ინგა ჯაყელის წერილი „ცხენის ერთგულება“, რომელმაც შემძრა და სევდით ამავსო. შესაძლოა, ბევრმა არც იცოდეს, რა შეუძლიათ გააკეთონ შინაურმა ცხოველებმა პატრონისთვის, საყვარელი ადამიანისთვის. იმ ცხენმა ჩვენი ფისო გამახსენა...

ბრიტანული ჯიშის „გრაფი“ ოთხი წლის წინ გვაჩუქეს. პატარაობისას დიდი ცელქი ვინმე იყო, მერე კი, რომ „დაკაცდა“ და ჭკუაში ჩავარდა, თავისი საქციელით ჩვენი განცვიფრება დაიწყო. პირველად ეს მაშინ მოხდა, როცა ერთ ახლობელთან ერთად უცხო ქალი გვეწვია. კატა კინაღამ გაგიჟდა. ვერ მივხვდით მისი უეცარი გადარევის მიზეზს. ჩხაოდა და არავის გვიკარებდა. მერე უცებ სავარძელზე ახტა, იქიდან წიგნების თაროს „შეაფრინდა“, საიდანაც პირდაპირ იმ უცხო სტუმარს ეცა და სახე ჩამოკაწრა. ქალი სიმწრისგან აღრიალდა. შეწუხებულებმა აღარ ვიცოდით, რა გვექნა. გაგიჟებული „გრაფი“ აბაზანაში ჩავკეტეთ. ქალი დავაწყნარეთ და სულ ბოდიშები ვუხადეთ.

უცხო ქალი ახლობელს ფულის სასესხებლად მოჰყოლია — 1000 დოლარს ეძებდა. პროცენტს ყოველ თვეში გაგისტუმრებთ და წლის ბოლოს დაგიბრუნებთ ვალსო, — გვითხრა. ხელის გამართვაზე უარის თქმა ძალიან გვეუხერხულა, ჩვენი კატის საქციელმაც ნამუსზე შეგვაგდო, თანაც, ძალიან ახლობელი ადამიანი დგებოდა შუაში.

როგორც თქვენ არ აგილიათ იმ 1000 დოლარიდან არანაირი პროცენტი, ისე ჩვენ არ გვინახავს მოგება და ის ფულიც დავკარგეთ. უცხო ქალი თაღლითი აღმოჩნდა, ყველა გაგვაცურა, მაგრამ კატა ვერ მოატყუა, ჩვენ კი ვერ მივხვდით, რის ნიშანს გვაძლევდა ფისო. ამის შემდეგ მალე სააგარაკოდ წავედით. შინ მხოლოდ ჩემი ვაჟი და „გრაფი“ იყვნენ. ერთ დღეს ბიჭს ვიღაც გოგო მიუყვანია შინ. ფისო ცხვირაბზუებული შეხვედრია სტუმარს.

დილით, იმ ქალბატონს ჩაცმა რომ დაუწყია, „გრაფს“ კარადის თავიდან უსკუპია და სახეში ჩაფრენია ბრჭყალებით. ძლივს მოუცილებია კატა ქალისთვის გიას.

არ იტყვით, რატომ იყო გადარეული ფისო? იმ არამზადა გოგოს ჩემი ოქროს ბეჭდები მოუპარავს. სანამ გია აბაზანაში იყო, ის კახპა „მუშაობდა“. თურმე საძინებელში, ზარდახშაში მიუგნია ოქროულობისთვის. ეგონა, ნომერი გამოუვიდოდა. მაგრამ ჩაფლავდა. კატას ვერ გამოაპარა ხელმრუდობა. სისხლს რომ სწმენდდა სახიდან, მაშინ შეუმჩნევია გიას ჩემი ერთი ბეჭდი იმ ქალბატონის ხელზე...

ერთხელ ჩემს 7 წლის ირაკლის, მაცივრიდან არაჟანი გამოუღია. ის იყო, ჭამას უნდა შესდგომოდა, რომ ფისო მაგიდაზე ამხტარა, არაჟნის ქილა ძირს გადმოუგდია და თვითონ დაუწყია ლოკვა. გავგიჟდით. ასეთი რამ კატას არასდროს ჩაუდენია. საღამოს მუცელი გაებერა, დავარდა და ძლივს სუნთქავდა. ექიმთან გავაქანეთ. მოწამლულია, რა აჭამეთო, — გვითხრა ექიმმა. გაგვახსენდა არაჟანი. კატამ იმიტომ შეჭამა იატაკზე დაღვრილი საჭმელი, რომ დავერწმუნებინეთ, თუ როგორ აგვარიდა საფრთხე.

მისი რომელი ერთი უცნაურობა ჩამოვთვალო! „გრაფი“ იყო ჩვენი მკურნალი. თუ ავად გავხდებოდით, ლოგინიდან ვერ ვიშორებდით, ჩვენთან ერთად იწვა. მერე ჩვენ კარგად ვხდებოდით, მაგრამ „გრაფი“ კარგა ხანს იყო უგონოდ. ამ უცნაურ ცხოველს თითქოს მართლა თავის თავზე გადაჰქონდა ჩვენი ტკივილი.

ორი კვირის წინ საბრალო ფისომ თავი მოიკლა. არასდროს ქუჩაში არ გასულა, იმ დღეს კი, ოთხშაბათ საღამოს, ეზოს გარეთ, მანქანის ბორბლების ღრჭიალზე გავიხედეთ და რა დავინახეთ — „გრაფი“ მკვდარი ეგდო ასფალტზე, მძღოლი წუხდა — კატა ძალად ჩამივარდა ბორბლებშიო. გული ტკივილისგან გასკდომაზე გვქონდა ყველას. რას ვიზამდით. კაცს ნათქვამი იმ დღეს თავის მართლებად ჩავუთვალეთ, მაგრამ დღეს მჯერა, რომ კატამ მართლა მოიკლა თავი და ამით ძალიან დიდი საფრთხე აგვაცილა. „გრაფის“ სიკვდილიდან ორ დღეში ავარიაში მოვყევით მე, ჩემი მეუღლე და ჩვენი პატარა ირაკლი... მანქანა გადასაგდებია, მაგრამ ღვთის წყალობით, ჩვენ უვნებელი გადავრჩით.

მას მერე სულ ვფიქრობ, ნუთუ „გრაფი“ ზვარაკად შეგვეწირა?

***ეკატერინე მელაძე***

**გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?**

**გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?**

**გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?**

**მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!**

**ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:**
- ✔ მედიაცია ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება
- ✔ იპოთეკა
- ✔ მემკვიდრეობა
- ✔ ყიდვა-გაყიდვა
- ✔ კერძო არბიტრაჟი
- ✔ სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა
- ✔ უფასო იურიდიული კონსულტაცია.

**ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.**

*დაგვიკავშირდით,* თქვენს სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8,
☎ 877 458 651; 899 982 809, 912 159; 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 336 683; ოზურგეთი 899 966 488; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 271 912.

**თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“**

*აცხადებს მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:*

**1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული); 3. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 4. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია; 5. ქართული ენა და ლიტერატურა; 6. ისტორია; 7. ჟურნალისტიკა; 8. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; 9. საბანკო საქმე; 10. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; 11. ფინანსები და კრედიტები.**

*წარმოებს მოწინავე სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ*

**ინსტიტუტთან 9 და 11 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს კოლეჯი შემდეგი სპეციალობებით:**

**1. სამეანო საქმე; 2. ორთოპედიული სტომატოლოგი; 3. მედდა; 4. სამართალმცოდნეობა; 5. საბაჟო-ეკონომიკური; 6. უცხოური ენები.**

*კოლეჯდამთავრებულები ჩაირიცხებიან ინსტიტუტში II კურსზე. ლტოლვილები და მრავალშვილიანები თავისუფლდებიან გადასახადისაგან 50%-ით.*

მისამართი: დავით აღმაშენებლის 178, მე-18 სკოლა

☎ 35-27-00; 38-00-83; 899-90-25-99; 893-30-32-83; 52-67-67

# „საზალოლო–სალალო“ გვერდის პასუხები

**I. აზა, გამოიცანი:**
1) — ბ); 2) — ბ); 3) — ა); 4) — დ); 5) — ა); 6) — ბ).

**II.** მე-5.

**III.** ქოლგა.

**IV. გამოცანები:**
1) ქარი; 2) ზღვა.



# ხელისგული სიმართლეს მოგითხრობთ

ოფიციალური მეცნიერება ძალიან ხშირად უარყოფს უცილობელ ფაქტებსაც კი, თუ ის თეორიით არ არის ახსნილი და ექსპერიმენტებით დადასტურებული. დიდი ხნის განმავლობაში ქირომანტია მხოლოდ მკითხაობად მიიჩნეოდა.

სულ ცოტა ხნის წინ, ქირომანტიას ცრუმეცნიერების იარლიყი ჩამოხსნეს. ამერიკელმა მეცნიერებმა შეისწავლეს ათასობით შემთხვევა და დაამტკიცეს, რომ ინტელექტის სხვადასხვა კოეფიციენტის მქონე ადამიანებს ხელისგულიც განსხვავებული აქვთ. მათი ხელისგულის ნახაზი მუცლად ყოფნისას ფორმირდება. ამიტომ დაბადებისთანავე შეიძლება განისაზღვროს არა მარტო ბავშვის პოტენციური ნიჭი, არამედ მომავალში მისი გონებრივი განვითარება და მიდრეკილება ამა თუ იმ დაავადებისკენ.

***ტაინაია ვლასტი №11***

# ნონა გაფრინდაშვილი — 2



კარგა ხანია ფართო საზოგადოებრიობას აღარაფერი გაუგონია მსოფლიო ჩემპიონის, პირველი დიდოსტატი ქალის, ნონა გაფრინდაშვილის შესახებ და უცებ გავრცელდა ცნობა: რუსეთის ჩემპიონატში ელვისებურ ჭადრაკში მოზარდთა შორის (12 წლამდე) გაიმარჯვა 11 წლის ნონა გაფრინდაშვილმა!

როცა პეტერბურგელი გაფრინდაშვილების ოჯახში გოგონა გაჩნდა, მამამ თქვა: „ჩვენს გვარში ვერავინ მოიფიქრა, ქალიშვილისთვის ნონა დაერქმია და ეს ჩვენ უნდა გავაკეთოთ“. სახელი კი სიხარულით დაარქვეს, მაგრამ გოგონას მოჭადრაკეობაზე არც უფიქრიათ — ოჯახში პროფესიონალი მოჭადრაკე არავინ იყო. ჭადრაკის ნიჭი პირველად ბაბუამ შენიშნა. სამი წლის ნონა ადვილად ითვისებდა ბაბუის გაკვეთილებს. ეს დიდად არაფრად ჩაუგდიათ, მაგრამ 6 წლის ნონა მაინც მოხვდა სპორტულ სკოლაში. ბედს ვერსად გაექცევი — სახელი პასუხისმგებლობას აკისრებდა!

გოგონა ბეჯითად მეცადინეობდა. შეიძლება ცოტა ადრე რომ მოეფიქრებინათ და გამოცდილი მწვრთნელისთვის მიებარებინათ, მეტი წარმატებები ჰქონოდა. ჭადრაკი შეიძლება პატარა ნონას ცხოვრების მიზანი გახდეს, ისევე, როგორც მისი დიდი სეხნიისთვის, ან შეიძლება, სხვა ხელობაც აირჩიოს. ჯერჯერობით კი 11 წლის ნონას მხოლოდ ჭადრაკის თამაში უნდა.

გოგონა გულმოდგინედ ემზადებოდა რუსეთის პირველობისათვის, მართალია ბოლო მეოთხედი გააცდინა, მაგრამ კლასიდან კლასში გადასასვლელი გამოცდები მაინც კარგად ჩააბარა. მათემატიკურ ლიცეუმში შეღავათს არავის უწევენ, ჩემპიონებსაც კი. თანაც სახელსაც ხომ არ შეარცხვენს?

***არგუმენტი ი ფაქტი №26***

# ბუტერბროდის მამა კოპერნიკია



მსოფლიო იუბილეს ზეიმობს — ყველასთვის საყვარელ ბუტერბროდს 450 წელი შეუსრულდა. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მას შედარებით ახალგაზრდა ჰამბურგერმა და სენდვიჩმა ვერ აჯობეს.

ბუტერბროდის მამა არც მეტი, არც ნაკლები, დიდი ასტრონომი — ნიკოლაი კოპერნიკია. ბუტერბროდი პოლონეთში, ოლშტინსკის ციხესიმაგრეში დაიბადა. სწორედ აქ, ტევტონთა ორდენის შემოსევის დროს, ეძებდა კოპერნიკი იმ დაავადების წამალს, ციხესიმაგრის დამცველებს რომ მუსრს ავლებდა. ასტრონომმა დაადგინა, რომ მეომრები ჰიგიენას არ იცავდნენ და მიწაზე დაყრილ პურს შეექცეოდნენ. პურზე რაიმე, ღია ფერის მასა უნდა გადაესვათ, თვალნათელი რომ გამხდარიყო პურის უსუფთაობა. „ღია ფერის მასა“ — კარაქი აღმოჩნდა. მართლაც, ციხესიმაგრეში ინფექცია გაქრა, ტევტონებმაც ველარ სძლიეს დამცველებს და ვერც ბუტერბროდის საიდუმლო ამოხსნეს.

მას შემდეგ, ბუტერბროდის „სამკურნალო“ წარმომავლობა დაივიწყეს, თვით ბუტერბროდმა კი საპატიო ადგილი დაიკავა ჩვენს რაციონში.

***ოკნა №23***

# ხმაურიანი ქორწილი

ტრადიციული საქორწილო კორტეჟი — დიდებული ლიმუზინი ერთ ინგლისელ წყვილს მეტად მდიდრული მოეჩვენა და ამიტომ მანჩესტერის ერთ-ერთ ეკლესიას, სადაც წყვილი ჯვარს იწერდა, ბულდოზერით მიადგა.

რკინის ურჩხული რამდენიმე საათით დაიქირავეს უახლოეს მშენებლობაზე. ბულდოზერი ატლასის ლენტებითა და ყვავილებით იყო მორთული. მის გვერდებს წარწერა ამშვენებდა: „ნეფე-პატარძალი“. ორკესტრის მაგივრობას უკან მიმაგრებული მშენებლების ჩაფხუტები სწევდა — მათი უმოწყალო რახარუხი ნეფე-პატარძალს სამოთხისებურ მუსიკად ჩაესმოდა. საყვარელ ადამიანთან ხომ ბულდოზერის ციცხვშიც ბედნიერი იქნები, თუკი მოინდომებ...

***მიროჩი***

# დათბობა უდრის გამწვანებას



გლობალური დათბობა ცხელი ქარიშხლებისა და სასიკვდილო შტორმების მომტანია. თუმცა, მონტანას უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეისწავლეს რა დედამიწაზე ტყის საფრის მდგომარეობა, დაასკვნეს, გლობალურმა დათბობამ დედამიწას სიკეთეც კი შეიძლება მოუტანოსო. ამაზონის ცხელჰავიანი ტროპიკული ტყეებიდან ტუნდრამდე, დედამიწის ყველაზე ცივ ზონებში ტყის საფარმა უჩვეულო მატება იწყო — 6%-ით მოიმატა. მიზეზი კი მეტი სითბო და წყალია.

80-90-იანმა წლებმა დედამიწას უხვად მოუტანა რადიაციული სხივები, რამაც კანის კიბოს შემთხვევები გაამრავლა, მაგრამ ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონებში ჭარბმა ღრუბლიანობამ და ტენიანობამ მცენარეულ საფარს ჯერ არნახული ზრდა-გავრცელების პირობები შეუქმნა.

მეცნიერთა მტკიცებით, ეს პროცესი შემდგომ ათწლეულებშიც გაგრძელდება, რაც მეტ სუფთა ჰაერს მოიტანს. თუმცა, ჯერჯერობით არავინ იცის, ამ სიკეთესთან ერთად რა „ახალ სიურპრიზს“ გვიმზადებს ბუნება.

***ნიუზუიქი***

# ბიბლია ყესტების ენაზე

იაპონელმა პასტორმა ეიძი მაცუმოტომ ბიბლიის ჟესტების ენაზე თარგმნა გადაწყვიტა.

40 წლის ღვთისმსახურმა, ჯერ კიდევ სამი წლის იყო, სმენა რომ დაკარგა და საკუთარი გამოცდილებით იცის, როგორ უჭირს ყრუს წიგნების კითხვა. ჟესტების ენის გრამატიკის იაპონური ვარიანტი სრულიად განსხვავებულია ჩვეულებრივი იაპონურისაგან. ამიტომ ბევრი ყრუ-მუნჯი ქრისტიანი საღვთო წერილს ვერ კითხულობს. ბიბლიის თარგმანი, რომელიც იაპონურ ენაში 2000 გვერდს ითვლის, ვიდეოდისკებზე ან კასეტებზე ჩაიწერება. თარგმანზე მუშაობა, ენთუზიასტის აზრით, 15 წელს გაგრძელდება.

***ეხო პლანეტი №24***

# ძაღლი თავს დაესხა ზვიგენს



ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ოკეანის სანაპიროზე ძაღლებთან ერთად სეირნობდა.

ერთ-ერთმა ძაღლმა, ბენმა, ბანაობა მოისურვა და წყალში შევარდა. იგი იმ წუთშივე თვალსა და ხელს შუა გაქრა. წყლის ზედაპირზე კი ზვიგენი გამოჩნდა.

სანამ პატრონი ძაღლს უხმობდა, მეორე ძაღლი, კიტი, ყეფა-ღრენით გადაეშვა ტალღებში და თავს დაესხა ზვიგენს. კიტი გააფთრებული კბენდა და ჯიჯგნიდა ზღვის მტაცებელს. ბოლოს, ზვიგენმა ფარ-ხმალი დაყარა და ბასრი კბილები შეუშვა მსხვერპლს.

ორივე ძაღლი მშვიდობით გამოვიდა ნაპირზე. დაზარალებულს გადამრჩენი ნაზად ულოკავდა ზვიგენის ნაკბენებს.

დამარცხებულმა ზვიგენმა ოკეანის სიღრმეს მისცა თავი.

ამ უჩვეულო შემთხვევას მრავალი მოწმე ჰყავდა.

სპეციალისტმა ბიოლოგმა თქვა, რომ ზვიგენის სიგრძე ორ მეტრს აღწევდა.

***მირ ნოვოსტეი №25***

# გეოგრაფიული ისტორია

მორავიის ქალაქ პროსტეევში ადრესატმა ლოს-ანჯელესიდან... 20 წლის წინ გამოგზავნილი წერილი მიიღო. სანამ დანიშნულების ადგილას ჩავიდოდა, კორესპონდენციამ მსოფლიო მოიარა საფოსტო კლერკების გეოგრაფიული გაუნათლებლობის გამო.

ყველაფერი ამერიკის საფოსტო სამსახურში დაიწყო — ერთ-ერთმა თანამშრომელმა ჩეხოსლოვაკია... აფრიკის სამხრეთ რესპუბლიკად მიიჩნია. მისმა არანაკლებ „განათლებულმა“ სამხრეთაფრიკელმა კოლეგამ წერილი ტაივანში გაგზავნა, იქიდან კი იგი მალაიზიაში მოხვდა. ასე „მოგზაურობდა“ მსოფლიოში ამერიკული მოკითხვის ბარათი. ახლა ეს კაზუსი გინესის რეკორდების წიგნში შეიტანეს. ხშირად ჩეხეთში გაგზავნილი კორესპონდენციები რუსეთში ხვდება — ოკეანისგაღმელებს ჩეხეთი რუსეთის ერთ-ერთი გუბერნია ჰგონიათ. რას იზამ, გეოგრაფიაში მოიკოჭლებენ!

***ნაუკა ი ჟიზნ***

# „არა მხოლოდ ჩემთვის...“

ერაყელმა ლტოლვილმა, პოეტმა და კომუნისტმა აბას ამინმა მოულოდნელი და უცნაური რამ ჩაიდინა, რითიც გააკვირვა მსოფლიო საზოგადოება...

დიდი ბრიტანეთიდან შესაძლო დეპორტაციის საპროტესტოდ მან თვალები, ყურები და პირი ამოიკერა. ამინმა ორი წლის წინ სთხოვა დიდ ბრიტანეთს პოლიტიკური თავშესაფარი, მაგრამ ჩინოვნიკებმა ისე გააბეზრეს 33 წლის კლიენტი, რომ იგი იძულებული შეიქნა, პროტესტის უკიდურესი ფორმისთვის მიემართა. ბოლოს და ბოლოს, საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამინი დატოვა ქვეყანაში, მაგრამ კომუნისტი პროტესტანტი რომ იტყვიან, ეშხში შევიდა და განაცხადა, — აქციას მანამდე გავაგრძელებ, სანამ ყველა საცოდავ ლტოლვილს იმავე უფლებას არ მისცემთო.

***პარი მატჩი***

# ქარიშხლის გამომწვევი ცათამბჯენები



თურმე ჩინეთის ქალაქ შანხაის ცათამბჯენები არც ისეთი უვნებელი ყოფილა მეგაპოლისის „ატმოსფერული ჯანმრთელობისთვის“.

მინისა და ბლოკებისგან აგებულ ულტრათანამედროვე ცათამბჯენებს შორის არსებულ სივრცეში ისეთი ქარბუქი ატყდება ხოლმე, რომ ფეხით მოსიარულენი ეცემიან, ხოლო მაღლივი შენობები — ირხევა. მოკლედ, შანხაის რაიონი პუდუნი, სადაც თავმოყრილია მაღალსართულიანი შენობები, თანდათანობით გიგანტურ აეროდინამიკურ მილად გადაიქცევა.

შანხაიელმა არქიტექტორებმა, რომლებმაც დაიწყეს ნიუ-იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ტყუპი-ცათამბჯენის მსგავსი შენობის აგება, არ იციან, როგორ „მოარჯულონ“ ქარიშხალი. ეს შენობები ხომ ერთმანეთისგან მხოლოდ 50 მეტრით იქნება დაშორებული და თავიდანვე გარანტირებულია აქ გაძლიერებული ჰაერის ნაკადის წარმოქმნა. სპეციალისტებმა უმარტივესი ეფექტები მოიფიქრეს: შენობებს შორის გააშენონ სკვერი მაღალი ხეებით, რომლებშიც ქარი გაიფანტება.

***ორაკული №7***

# შვილს პაპის პაპად ერგება

სუდანელი 112 წლის იუსუფი თავის ახალშობილ ვაჟს ალბათ პაპის პაპად უფრო ერგება.

სკეპტიკოსები რომ ამ ამბის სიმართლეში დაერწმუნებინა, გაზეთმა „აჰბარ ალ-იაუმმა“ დაადასტურა, ბიჭი პირწავარდნილი მამააო და თან მკითხველებს მოხუცის დღეგრძელობის საიდუმლო გაუმხილა. „მთავარია, — ამბობს იუსუფი, — პური და საქონლის ღვიძლი ნაკლებად მიირთვათ. დილით ფაფა შეჭამეთ, ორ სუფრის კოვზ თაფლთან ერთად. სადილად — ქათმის მკერდსა და ჭიქა რძეს შეექეცით“. რაც შეეხება იუსუფის „კვლავწარმოების“ გასაოცარ უნარს, მოხუცი „ტრადიციულ მეთოდს“ მიმართავს — ახალი არაფერი გამოუგონია.

***მირ ნოვოსტეი***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ლაიბნიცის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ | ა | რ | მ | ო | ი | წ | ყ | ე | ნ | თ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ი | ი | ს | ზ | ა | ნ | ო | | ი | ა | თ | ი | ი | თ | ლ | ი | ა | ე | ტ | | ე | ო |

**ჩ.** მუსლიმან ქალთა გრძელი, მსუბუქი მოსასხამი, რომელიც სახეს ფარავს; **ვ.** ქალის პირბადე; **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **ნ.** მოძღვრება, რომელიც ადამიანის შიშველი სხეულის კულტს ქადაგებს; **თ.** ქალაქი, სადაც 1943 წელს ერთმანეთს შეხვდნენ ჩერჩილი, რუზველტი და სტალინი; **ა.** ყაჩაღი, რომელსაც მცხეთაში დაუდგეს ძეგლი; **ნ.** ინგლისელი ფიზიკოსი; **ე.** ჭადრაკის ფიგურა; **რ.** მარშრუტი, რომელსაც გადის ტრანსპორტი საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე; **თ.** წვრილი ღვედი; **ა.** „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; **დ.** ღვინისა და დროს ტარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ა.** სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **რ.** რომელ ქვეყანაში გამოიგონეს აირწინაღი; **მ.** ილიკო ჩიგოგიძის თანამდებობა; **ო.** რა ერქვა ჰამლეტის საცოლეს; **ი.** უმცროსი მატროსი; **წ.** მტკნარ წყალში მცხოვრები სისხლისმწოველი ჭია; **ყ.** მცენარის ნორჩი ტოტი; **ე.** კუნძული, სადაც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონ ბონაპარტი; **ნ.** ფრანგი მსახიობი მამაკაცი; **თ.** არყის პატარა ჭიქა.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**კ.** კიდმანი; **ვ.** ვაიმარი; **ი.** ინდოეთი; **რ.** რეიგანი; **ი.** იქსი; **ს.** სეინერი; **პ.** პიცა; **ა.** ატრია; **ლ.** ლიუბეკი; **ი.** იფი; **ტ.** ტესტი; **რ.** რაპორტი; **ა.** აზატი; **შ.** შატილი; **ე.** ეპარქია; **ნ.** ნირვანა; **ი.** ილაჯი; **გ.** გაგრა; **ა.** ათინათი; **ზ.** ზიგზაგი; **ე.** ეტალონი; **თ.** თონე; **ი.** იშტა; **ა.** არიადნე.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: დიდი სიცრუს პატარა გიგანტი.**

CMYK

# ავტოსალონი

## BBC-მ მილიონ გირვანქასტერლინგიანი ავტომობილი დააზიანა



დღესდღეობით, მსოფლიოში „იაგუარის“ C-Type-ს მხოლოდ სამი ეგზემპლარია შემორჩენილი. სპორტული მოდელი 60-იანი წლების საოცნებო მანქანას წარმოადგენდა, თუმცა მისი გაქროლების ბედნიერება მხოლოდ წარმატებულ ბიზნესმენებს ან მსახიობებს თუ ჰქონდათ. სპორტულმა „იაგუარმა“ სახელი ლე-მანის ლეგენდარულ რბოლებში ზედიზედ მოპოვებული გამარჯვებებით გაითქვა. დღეს ავტომობილი უნიკალურ მოდელად ითვლება, რადგან მსოფლიოში მისი მხოლოდ სამი ეგზემპლარია შემორჩენილი. ექსპერტების შეფასებით, საკოლექციო მოდელის ფასი მილიონ გირვანქა სტერლინგს აჭარბებს. ტელეკომპანია BBC-ს ჟურნალისტებმა მოახერხეს, ერთ-ერთი მათგანის მფლობელი მოენახათ. ედრიან ჰამილტონი თავაზიანად დათანხმდა, საკოლექციო მოდელი ცნობილი ბრიტანული კომპანიისთვის გადაცემაში ტესტირების დროს გამოეყენებინათ. ჯერჯერობით, უცნობია, თუ რა მეთოდით ატარებდნენ ტესტირებას BBC-ს ჟურნალისტები, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიოში უნიკალური მოდელი საშინელ დღეში ჩააგდეს. ავტომობილის ძრავა მწყობრიდან არის გამოსული, დაზიანებულია საბურავები, ჩამლილია გადაცემათა კოლოფი... ჰამილტონი BBC-სგან ავტომობილის სრული ღირებულების გადახდას მოითხოვს, BBC კი აცხადებს, რომ ავტომობილს თვითონ შეაკეთებს და მფლობელს დაუბრუნებს.

## „ფორდი“ — ამერიკულად



ამერიკული ბაზრისთვის „ფორდის“ მენეჯერებს განსხვავებული მენიუ აქვთ მომზადებული. 2004 წლის ბოლოს შეერთებულ შტატებში სპორტული GT 40 გამოჩნდება. უკანასკნელ ათწლეულში „ფორდი“ სპორტულ კატეგორიას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, მიუხედავად იმისა, რომ მას სპორტული ავტომშენებლობის საკმაოდ კარგი ტრადიციები ჰქონდა (60-იან წლებში). GT40-ის გამოჩენა სწორედ ამ ტრადიციების აღორძინების მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს. ბოლო პერიოდის ტენდენციებმა დაამტკიცა, რომ გიგანტი ავტომშენებელი კომპანიისთვის სპორტული მოდელების წარმოებას უფრო სარეკლამო დატვირთვა აქვს, ვიდრე კომერციული და ეს დატვირთვა მენეჯმენტის აუცილებელი ატრიბუტია — როდესაც მყიდველმა იცის, რომ ამა თუ იმ ფირმის სპორტულ ავტომობილს დიდი გრან-პრი აქვს აღებული, ყველანაირად ეცდება, იმავე მარკის, თუნდაც ყველაზე იაფფასიანი და პატარა მოდელი ჰყავდეს. როგორც ჩანს, სწორედ ასეთი სტრატეგია განსაზღვრეს „ფორდის“ მენეჯერებმაც, რადგან ახალი მოდელი 5,4ლ მოცულობის ძრავით იქნება აღჭურვილი, რომელიც 500ცხ.ძ სიმძლავრეს განავითარებს. ჯერჯერობით დანარჩენი ტექნიკური პარამეტრების გამოქვეყნებისგან ამერიკელი ავტომშენებლები თავს იკავებენ, თუმცა დარწმუნებით აცხადებენ, რომ ახალი მოდელი ლე-მანის ლეგენდარულ რბოლებში მიიღებს მონაწილეობას და გადამწყვეტი უპირატესობითაც გაიმარჯვებს. წინასწარ ცნობილია მოდელის სავარაუდო ფასიც — დაახლოებით, 150 ათასი დოლარი.

## OPEL SIGNUM — ევროპამ ამერიკა დაჯაბნა?



კორპორაცია „ოპელმა“ საკმაოდ გამბედავი ნაბიჯი გადადგა და გაუმართლა კიდეც. „სიგნუმის“ პროექტის განვითარებაში გერმანელმა ავტომშენებლებმა მილიონობით ევრო დააბანდეს. მოდელის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ გარეგნულად იგი „ეკონომკლასს“ განეკუთვნება, ინტერიერი „ბიზნესკლასის“ აქვს (!). უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ევროპისა და ამერიკის დიდ ქალაქებში მომატებულმა ტრანსპორტის რაოდენობამ დიდი ლიმუზინებით სარგებლობა უფრო და უფრო მოუხერხებელი გახადა. პარკირების და ათასი გადასახადის მიღმა (რაც ბიზნესმენებს ნაკლებად ადარდებთ) უზარმაზარი „კადილაკებით“ და „მერსედესებით“ გადაადგილება ბერლინშიც და ნიუ-იორკშიც, უბრალოდ, შეუძლებელია. „ოპელის“ დირექტორთა საბჭომ საკონსტრუქტორო ბიუროს საკმაოდ უცნაური ამოცანა დაუსახა — მათ უნდა შეექმნათ ავტომობილი, რომელიც გაბარიტებით საშუალო კლასის კომპაქტური უნივერსალი იქნებოდა, ლიმუზინისთვის დამახასიათებელი ყველა სიკეთით მოწყობილი სალონით. დავალების შესრულებისთვის ბიუროს ბიუჯეტით განუსაზღვრელი სარგებლობა და ლამის მთელ მსოფლიოში გაფანტული ოპელის საწარმო, დიზაინერული და საკონსტრუქტორო რესურსების გამოყენების უფლება მისცეს. შედეგმაც არ დააყოვნა — უკვე მომავალი წლიდან ავტობაზარზე „ოპელ სიგნუმას“ ბიზნეს-ვარიანტი გამოჩნდება. გარეგნულად ავტომობილი მართლაც ჩვეულებრივ, საშუალო კლასის მოდელისგან არაფრით განსხვავდება. სამაგიეროდ, უზარმაზარი განსხვავებაა სალონში. დაუჯერებელია, მაგრამ მარტო სავარძლის შემუშავება, რომელსაც ორთოპედიული თვისებები და მართვის 18 ფუნქცია გააჩნია, 75 მილიონი ევრო დაჯდა. თუმცა, სავარძელს მხოლოდ ერთ, კონკრეტულ მოდელზე არ გამოიყენებენ. „ოპელის“ მენეჯერთა განცხადებით, სავარძლის აღნიშნული ტიპი ახალგამოსულ „ვექტრებზეც“ დამონტაჟდება. „სიგნუმის“ მეორე განსაკუთრებულობას სპეციალური სისტემა წარმოადგენს, რომელშიც ყველანაირი ელექტრონული მოწყობილობაა გაერთიანებული, რისი წარმოდგენაც კი ადამიანის ფანტაზიას შეუძლია — DVD-დან დაწყებული და ნავიგაციური სისტემით დასრულებული. სხვათა შორის, ნავიგაციური სისტემის მეხსიერებაში მსოფლიოს 12 დიდი ქალაქის დეტალიზებული გეგმაა ჩაწერილი. საკმარისია, მენიუში მიუთითოთ ქალაქი, სადაც იმყოფებით და ადგილი, სადაც მისვლა გსურთ. თანამგზავრული სისტემის მეშვეობით კომპიუტერი თვითონ გამოთვლის და გიჩვენებთ თქვენს ადგილსამყოფელს, შემდეგ კი, დღის მონაკვეთისა და ტრანსპორტის რაოდენობის მიხედვით, სასურველ მარშრუტს შეგირჩევთ. ჯერჯერობით, ახალი მოდელის ფასს არ აკონკრეტებენ.

## „ჯიბის რაკეტები“ გერმანიიდან





ევროპაში საკმაოდ პოპულარული გახდა „სუბკომპაქტის“ კლასის ავტომობილები, რომლებიც სპორტული საკიდრით და საკმაოდ მძლავრი ძრავით არის აღჭურვილი. ევროპაში კლასიკური მარკის სპორტული ავტომობილები ძველებურად პოპულარულია, მაგრამ ევროგაერთიანების მიერ შემოღებული ეკოლოგიის ახალი სტანდარტები 12 და 24-ცილინდრიანი, უზარმაზარი ავტომობილებისთვის შესაბამის გადასახადებს აწესებს. ამას ემატება საწვავის გადასახადი, რომელსაც „ფერარი“, „ლამბორჯინი“ თუ „იაგუარი“ ლამის განუსაზღვრელი რაოდენობით მოიხმარს. მოგეხსენებათ, სპორტული მანქანები ჩქაროსნულ ტრასაზე რბოლისთვის არის განკუთვნილი და დიდ ქალაქში იგი საკმაოდ არამანევრირებადია, რომ აღარაფერი ვთქვათ, პარკირების და ავტოსადგომის მარადიულ პრობლემაზე. დაბოლოს, რასაკვირველია, უმთავრესი დაბრკოლება ამ შემთხვევაში ფასი გახლავთ — სპორტული მოდელის ფასად 5-6 საკმაოდ პრესტიჟული, ჩვეულებრივი ავტომობილის შეძენა შეიძლება. მაგრამ სურვილი სურვილად რჩება და სპორტულ, მაგრამ შედარებით იაფფასიან და იოლად შესანახ ავტომობილებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება 2-3 წლის წინ, გადაკეთებით დაკავებულმა პატარა ფირმებმა დაიწყეს. „ფოლკსვაგენის“, „ოპელის“, „ფორდის“ და „რენოს“ პატარა, კომპაქტური კლასის მოდელებს მძლავრ ძრავებს და სპორტულ სავალ ნაწილს უმონტაჟებდნენ. ასეთი ავტომობილები იმდენად პოპულარული და მომგებიანი გახდა, რომ საქმეში ჩართვა თვით გიგანტმა ავტომწარმოებლებმაც გადაწყვიტეს. ნოვატორობაში ყველას „ფოლკსვაგენმა“ დაასწრო. მისი Polo GTI ბაზარზე უკვე ამ ზაფხულის მიწურულს გამოჩნდება. ავტომობილი სრულიად სპორტულ სტილშია გადაწყვეტილი — საკიდარი, გადაცემათა კოლოფი, კლირენსი და სპოილერები... და რაც მთავარია, ძრავა — პაწაწინა ავტომობილს 1,8ლ მოცულობის, 4-ცილინდრიანი აგრეგატი ამოძრავებს, რომელიც 150 ცხ.ძ სიმძლავრეს წარმოშობს. სპორტული „პოლოს“ მაქსიმალური სისწრაფე 230 კმ/სთ-ია

მომდევნო „ჯიბის რაკეტა“ ევროპაში „კორსა“ იქნება. თავის დროზე ამ მოდელმა მთელი რიგი პრიზებისა აიღო მცირე გაბარიტების, კომპაქტურობისა და ეკონომიურობის წყალობით. ამჯერად იგი გზების „რისხვად“ მოგვევლინება, რადგან „პოლოზე“ პატარა ავტომობილს ბევრად უფრო მძლავრი, 2,2ლ მოცულობის ძრავა აქვს. კონკურენტებს არც „ფორდის“ ევროპული განყოფილება ჩამორჩენია — მინიატურული „ფიესტა“ 170ცხ.ძ სიმძლავრის, 2,0ლ მოცულობის ძრავით და სპორტული საკიდრით გამოვა. მოდელი მხოლოდ ევროპისთვის იქნება განკუთვნილი, რადგან უზარმაზარი მანქანების მოყვარულ ამერიკელებს „დიდგულა პატარების“ გზაზე გამოჩენა სასაცილოდ არ ეყოფათ...

## „ალფა-რომეოც“ თავის სიტყვას იტყვის...

ფინანსური სირთულეების მიუხედავად, იტალიურმა კომპანიამ გადაწყვიტა, სპორტული კლასის „ციებ-ცხელებაში“ ჩაერთოს. მომავალი წლის ოქტომბერში დღის სინათლეზე TZ3 გამოჩნდება. მოდელს საკმაოდ შთამბეჭდავი პარამეტრები აქვს — 3,6ლ მოცულობის, V6 ტიპის ძრავა, 480ცხ.ძ სიმძლავრე და 300კმ საათში. 100კმ/სთ მანძილს ახალი „ალფა-რომეო“ 4 წამში დაფარავს. მოდელის ფასი 120 ათასი ევრო იქნება. იტალიელები სხვა სიახლეზეც საუბრობენ. ეს გახლავთ „ალფა-რომეოს“ და „ფერარის“ ერთობლივი ნამუშევარი, Alfa Romeo TZ3 GTA Scuderia Ferrari. იტალიელი ავტომშენებლები ირწმუნებიან, რომ მოდელში გაერთიანებული იქნება ყველა სიკეთე, რითაც კი ორივე ფირმაა ცნობილი. ამ ეტაპზე მხოლოდ მოდელის ზოგადი ტექნიკური პარამეტრებია გამოქვეყნებული — 6,0ლ, V12 ტიპის, 630ცხ.ძ სიმძლავრის ძრავა.



## ჯარიმის ფასად ათ მობილურს იყიდი...

დიდ ბრიტანეთში მანქანის მართვისას მობილურ ტელეფონზე საუბარი უფრო და უფრო პრობლემატური ხდება. ბრიტანული საგზაო უსაფრთხოების სამსახურის სტატისტიკით, ავტოსატრანსპორტო შემთხვევათა 30% სწორედ მობილურით საუბრისას მოდუნებულ ყურადღებას ჰბრალდება. პოლიციამ ტრადიციული გამოსავალი გამონახა — თუ პატრული ტელეფონით ხელში, მანქანის მართვისას გამოგიჭერთ, საკმაოდ სოლიდური თანხით დაგაჯარიმებს. რაც მთავარია, მონაცემები კომპიუტერულ ბაზაში იყრის თავს და ჯარიმა დანაშაულის განმეორების შემთხვევაში კატასტროფული სისწრაფით იზრდება — სულ რაღაც მესამე შემთხვევაზე დაუმორჩილებელ მძღოლს 1.440 ევროს გადახდა მოუწევს.

***გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა***

# მოსალოდნელი ქართული ტრანსფერები

ჯერჯერობით გაურკვეველია, სად გააგრძელებს კარიერას საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია. ყველაზე რეალური იყო მისი გადასვლა კიევის „დინამოში“, თუმცა შეიძლება ისეც მოხდეს, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდეს. კიევის „დინამო“ უკვე სრული შემადგენლობით ემზადება უკრაინის ჩემპიონატისათვის, რომელიც 12 ივლისს უნდა დაიწყოს. კონტრაქტის გასაფორმებლად 12 ივლისამდე ძალიან მცირე დროა დარჩენილი. ლაპარაკი იყო იმაზეც, რომ ლომაიას პრემიერლიგის ორი გუნდიც ეპატიჟებოდა, თუმცა რეალური არაფერი ჩანს და შესაძლოა ჩვენი ნაკრების მეკარემ მომავალი სეზონიც თბილისის „ლოკომოტივში“ გაატაროს.



მიხეილ აშვეთია

უცნობია ნაკრების ფორვარდის, მიხეილ აშვეთიას მომავალი კლუბის ვინაობაც. მას შემდეგ, რაც „ალანია“ დატოვა რევაზ ძოძუაშვილმა, აშვეთიას ოსური კლუბიდან წამოსვლა უნდა. მას მოსკოვის „ლოკომოტივი“ ეპატიჟება. ქართველის თავის რიგებში ხილვა რუსეთის პრემიერლიგის „როსტოვსაც“ სურს, თუმცა „ალანიას“ პრეზიდენტს სერგეი ტაკოევს აშვეთიას გაშვება არ უნდა. კონტრაქტის მიხედვით ქართველი ვალდებულია, სეზონი ვლადიკავკაზში ჩაამთავროს.

სავარაუდოა, რომ შოტლანდიურ ქართველობას (ნემსაძე, შოთა არველაძე, ხიზანიშვილი) მეოთხე წევრიც შეემატება. თითქმის გადაწყვეტილია, რომ შოტლანდიური პრემიერლიგის „ჰიბერნიანის“ ღირსებას დაიცავს 21 წლის ქართველი მცველი ედიკ საჯაია, რომელიც „სქოთებთან“ ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

მას შემდეგ, რაც ინტერტოტოს თასის გათამაშებას გამოეთიშა თბილისის „ვიტ ჯორჯია“, კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა იტალიელმა ჯანი კარნევალემ. შეგახსენებთ, რომ „ვიტ ჯორჯია“ ორი მატჩის ჯამში ავსტრიის „პაშინგმა“ დაამარცხა. კარნევალე კლუბის მენეჯერად დარჩება, ვეტერინარებს კი ამიერიდან ზურაბ ბერიძე უთავკაცებს, რომელიც 47 წლისაა და სამი წელი „ვიტ ჯორჯიაში“ კარნევალეს დამხმარე მწვრთნელად მუშაობდა.

# „ბოკა ხუნიორსი“ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონია



ლიბერტადორესის თასი სამხრეთ ამერიკაში იმავე მნიშვნელობისაა, რაც ჩემპიონთა თასი ევროპაში. სამხრეთამერიკული საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო გასულ ოთხშაბათს არგენტინის „ბოკა ხუნიორსმა“ მოიგო, რომელმაც ორი მატჩის ჯამში ბრაზილიის „სანტოსს“ აჯობა. თითქოს სიმბოლურია, რომ ფინალში მსოფლიო ფეხბურთის გვირგვინოსანი და უგვირგვინო მეფეების — შესაბამისად პელესა და მარადონას ყოფილი კლუბები დაუპირისპირდნენ, „ბოკას“ წარმატებამ დიეგო არმანდო ფრიად გაახარა.

ლიბერტადორესის თასის ფინალი ორ მატჩად იმართება. პირველი შეხვედრა არგენტინელებს 2:0 ჰქონდათ მოგებული. „ბოკამ“ სტუმრადაც იმარჯვა 3:1 და მეხუთედ დაეუფლა საპატიო თასს. ამ მაჩვენებლით „ბოკა ხუნიორსი“ ურუგვაის „პენიაროლის“ გაუთანაბრდა, რეკორდი კი არგენტინის „ინდეპენდიენტეს“ ეკუთვნის — ამ გუნდმა თასი შვიდჯერ მოიგო. რეკორდსმენი შეიქნა „ბოკას“ მწვრთნელი კარლოს ბიანკი, რომელმაც მეოთხეჯერ აღმართა სამხრეთამერიკული ფეხბურთის უძვირფასესი ჯილდო.

მომავალი წლის შემოდგომაზე ტოკიოში, „ბოკა ხუნიორსი“ საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში კახი კალაძის „მილანს“ შეხვდება.

„ბოკასა“ და „სანტოსის“ საპასუხო შეხვედრისას ერთი სამხიარულო ამბავიც მოხდა: მსაჯის მოქმედებით აღშფოთებული „სანტოსელთა“ კაპიტანი ალმეიდა არბიტრს მივარდა, ჯიბიდან ყვითელი ბარათი მოჰპარა და ათიათასობით მაყურებლის თვალწინ აუფრიალა განცვიფრებულ მსაჯს...

# საფეხბურთო ტრაგედიები გრძელდება

მარკ ვივიან ფოეს ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ, მსოფლიო ფეხბურთში სიკვდილიანობამ იმატა. ირანის ჩემპიონატის მორიგი მატჩისას ერთ-ერთი გუნდის ფეხბურთელმა მეტოქე გუნდის მოთამაშეს გოლის გატანა არ აპატია და თავში გამეტებით ჩაარტყა მუშტი, დარტყმა სასიკვდილო აღმოჩნდა.

ბრაზილიის „ბოტაფოგოს“ მოთამაშე მაქსიმილიანო პატრიკ ფერეირა კი ვარჯიშის დროს შეუძლოდ შეიქნა და რამდენიმე წამში უსულოდ დაეცა. კლუბის ექიმის განცხადებით, ფერეირას არაფერი არ აწუხებდა და მისი სიკვდილი ბურუსითაა მოცული.

# მოედანზე სტრიპტიზი აიკრძალა

ფიფას ხელმძღვანელობამ ახალი გადაწყვეტილება მიიღო. ახალი კანონის თანახმად, ფეხბურთელებს აეკრძალებათ თამაშის დროს მაისურის გახდა. ფიფა ფულადი სანქციების შემოღებას აპირებს იმ მოთამაშეთა მიმართ, ვინც გოლის გატანის სიხარულს მაისურის თავზე წამოცმით გამოხატავს. ძნელი სათქმელია, რამდენად გაამართლებს ფიფას ეს ნაბიჯი, ვინაიდან ფეხბურთელებს დღეს იმხელა შემოსავლები აქვთ, საეჭვოა ჯარიმამ შეაშინოთ.

სავარაუდოა, რომ ამ ნაბიჯით ფიფა საკმაოდ სოლიდურ დამატებით შემოსავალს მიიღებს. თუ გავითვალისწინებთ რამდენი ფეხბურთელი გამოხატავს სიხარულს, მაისურის თავზე წამოცმით მთელ მსოფლიოში, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ სანქციებით მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანო გვარიანად იხეირებს.

# თეთრ ოლიმპიადას ვანკუვერი უმასპინძლებს

2010 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს კანადის ქალაქი ვანკუვერი უმასპინძლებს. ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 2 ივლისს პრაღაში გამართული კენჭისყრის შემდეგ მიიღო. თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობის უფლებისათვის ბრძოლა ვანკუვერმა სამხრეთ კორეის ქალაქ პიონჩანგსა და ავსტრიის ზალცბურგს მოუგო. ვანკუვერი თავიდანვე ფავორიტად მიიჩნეოდა, თუმცა საბოლოო გამარჯვებისათვის კენჭისყრის ორი რაუნდის გამართვა გახდა საჭირო. პირველ ეტაპზე ვანკუვერმა 51 ხმა მიიღო, პიონჩანგმა და ზალცბურგმა კი შესაბამისად — 40 და 18.



მიუხედავად იმისა, რომ მეორე ეტაპზე ავსტრიელთა მომხრეთა უმეტესობამ კორეული ქალაქის კანდიდატურას დაუჭირა მხარი, საბოლოოდ ვანკუვერმა 56 ხმით 53-ის წინააღმდეგ გაიმარჯვა. კანადა მესამედ მასპინძლობს ოლიმპიურ თამაშებს. 1976 წელს მონრეალში ზაფხულის ოლიმპიური თამაშები გაიმართა, 12 წლის შემდეგ კი კალგარიმ უმასპინძლა თეთრ ოლიმპიადას. პრაღაში კანადის დელეგაციას თვით ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ჟან კრეტიენი თავკაცობდა, ვანკუვერის ჰოკეის დარბაზში კი 10.000 კანადელი ფანი ელოდა კენჭისყრის საბოლოო შედეგების გამოცხადებას.

# დევიდ ბექჰემი — ფეხბურთელი თუ შოუმენი?

დევიდ ბექჰემის მადრიდული ტრანსფერი ჯერ კიდევ მთავარი თემაა ევროპული სპორტული და არა მარტო სპორტული პრესისა და ტელევიზიებისა. ბექჰემის „რეალში“ გადასვლა თავიდანვე გასცდა ჩვეულებრივი საფეხბურთო ტრანსფერის ფარგლებს. ინგლისელი მადრიდში 1-ელ ივლისს ჩაფრინდა, მის სამედიცინო შემოწმებაზე მადრიდულ სამედიცინო დაწესებულებებს შორის ნამდვილი ომი გაჩაღდა. საბოლოოდ კომპანია „სანიტამ“ იმარჯვა, რომელმაც დევიდის შემოწმებისათვის „რეალს“ 350.000(!) ევრო გადაუხადა. ფეხბურთელის სამედიცინო გამოკვლევა „რეალის“ ტელეარხმა პირდაპირ ეთერში გადასცა და ამ ყოველივეს შორეულ აზიაშიც რამდენიმე მილიონი ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს.





ბექჰემის პირველ პრესკონფერენციას მადრიდში 5.000 გულშემატკივარი დაესწრო. შესასვლელი ბილეთი 10 ევრო ღირდა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილ ვარსკვლავს მადრიდში №23 მაისური ერგო. ბექჰემის მაისურები „რეალის“ საკუთარ მაღაზიებში 2 ივლისს გაიტანეს გასაყიდად, ის, ვინც მაღაზიებს ნაშუადღევს ეწვია, გაწბილებული დარჩა — 78 ევროდ ღირებული 8.000 მაისური ორიოდე საათში გაიყიდა. შედარებისათვის — ერთი წლის წინ, როცა „რეალში“ რონალდო გადავიდა, პირველ დღეს №11 ნომრიანი მხოლოდ 2.000 მაისური გაიყიდა. უახლოეს დღეებში „რეალი“ ბექჰემს აზიურ ქვეყნებში იახლებს, სადაც ოთხ საჩვენებელ შეხვედრას გამართავს, ეს ტურნე „სამეფო კლუბის“ ხაზინას 11 მილიონ ევროს მოუტანს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ იმ 35.000.000 ევროდან, რაც „რეალმა“ ბექჰემის საფასურად გაიღო, კლუბმა 12.000.000 ფაქტობრივად უკვე ამოიღო. თანაც ისე, რომ ინგლისელს მადრიდში ბურთისათვის ჯერ ფეხიც არ შეუხია. ახლა ისიც გავთვალოთ, რომ აზიაში, სადაც ბექჰემი არანორმალურად პოპულარულია, მის მაისურს რამდენიმე მილიონი ადამიანი შეიძენს — ესეც წარმატებული ბიზნესი.

ინგლისელის „რეალში“ გადასვლას მთელ მსოფლიოში არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ყველაზე საინტერესო მოსაზრებანი კი მიუნხენის „ბაიერნის“ სკანდალებით სახელგანთქმულმა მენეჯერმა ული ჰიონესმა გამოთქვა:

„რეალი გუნდი კი არა, ფულის ბირჟაა, ფლორენტინო პერესს ბექჰემის ყიდვისას ფეხბურთზე საერთოდ არ უფიქრია, თუმცა რაც არ იცის, იმაზე როგორ იფიქრებს“.

„ბექჰემის მსგავს იდიოტს „ბაიერნი“ არასოდეს იყიდის, იმიტომ, რომ ჯერ ერთი მასზე უკეთესი ფეხბურთელებიც არსებობენ და მეორეც — დევიდი რომ გვეყიდა, მის სულელ მეუღლეზე ზრუნვაც ჩვენ მოგვიწევდა“.

თავისი აზრები ჰიონესმა ბოლოს იმით დააგვირგვინა, რომ „რეალს“ „მაიმუნების ცირკი“ უწოდა, მის ახალ შენაძენს კი ამ ცირკის წევრი ახალი მაკაკა! — კაცია და გუნება!

სულ ბოლოს იმასაც დავძენთ, რომ ბექჰემის მადრიდში ჩასვლასა და პრეზენტაციას მთელ მსოფლიოში 2 მილიარდი(!) ტელემაყურებელი ჰყავდა, ეს კი მხოლოდ პრინცესა დაიანას დაკრძალვას ჩამორჩებოდა — ლედი დის დაკრძალვას 1997 წელს 2,5 მილიარდი ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს.

# რუსმა მილიარდერმა ინგლისელ არისტოკრატთა გუნდი შეიძინა



რომან აბრამოვიჩი

2 ივლისს მთელი მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებმა სენსაციური ცნობა გაავრცელეს. ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბი „ჩელსი“ რუსი მილიარდერის, რომან აბრამოვიჩის საკუთრება გახდა. კომპანია „ჩელსი ვილიჯის“ (რომლის კუთვნილებაცაა საფეხბურთო კლუბი „ჩელსი“) აქციათა 50,09% აბრამოვიჩმა დაუზუსტებელი ინფორმაციით, 100 მლნ გირვანქა სტერლინგად შეიძინა, აბრამოვიჩს გუნდის შესაძენად მის განკარგულებაში მყოფი არც ერთი კომპანიის ფული არ დაუხარჯავს, მთელი თანხა საკუთარი ჯიბიდან გაიღო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ დროისათვის „ჩელსის“ ვალები დაახლოებით 150 მლნ გირვანქა სტერლინგს აღწევს, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად რუს ბიზნესმენს კლუბის შეძენა არა 100, არამედ 250 მლნ დაუჯდა. „ჩელსის“ გაყიდვას ინგლისში უდიდესი აჟიოტაჟი მოჰყვა. კლუბის ფანთა მრავალათასიან არმიას წარმოდგენაც არა აქვს, რას წარმოადგენს აბრამოვიჩი და რა ბედი ელის მის ხელში მათ საყვარელ გუნდს.

აბრამოვიჩი 36 წლისაა, იგი ამჟამად ჩუკოტკის გუბერნატორია, მისი ქონება 5 მილიარდ დოლარამდეა შეფასებული, მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა შორის რუს ებრაელს მე-19 ადგილი უჭირავს, მასზე ერთი საფეხურით მაღლა დგას იტალიის პრემიერ-მინისტრი, „მილანის“ მფლობელი სილვიო ბერლუსკონი.

აბრამოვიჩის ფეხბურთში მოსვლამ და განსაკუთრებით მისმა მილიონებმა ბრიტანულ პრესაში ასეთი სათაურები გამოაჩინა: „ჩელსი“ — ახალი მადრიდის „რეალი“, „აბრამოვიჩს შეუძლია ინგლისური ფეხბურთის სახე შეცვალოს“, „არისტოკრატებში კეთილი სანტა კლაუსი გამოჩნდა“.

ბუნებრივია, ახალი მეპატრონის მოსვლასთან ერთად კლუბში ახალი ტრანსფერების განხორციელება გახდა აქტუალური. უკვე ამბობენ, რომ „ჩელსის“ შესაძენ ფეხბურთელთა სიაში უკვე ფიგურირებენ ჰარი კიუელი, დამიენ დაფი, კლოდ მაკელელე და პატრიკ ვიეირა. ინგლისურ პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ „არისტოკრატები“ მზად არიან „მილანისგან“ ალესანდრო ნესტა შეიძინონ და ამ საქმისათვის 50 მლნ გირვანქა სტერლინგი აქვთ გამზადებულიო. იმასაც ამბობენ, რომ გუნდიდან გაშვებას უპირებენ იტალიელ მწვრთნელს კლაუდიო რანიერის, მის ნაცვლად „ჩელსის“ ფანებს „არისტოკრატთა“ მწვრთნელად „რომას“ ამჟამინდელი თავკაცის ფაბიო კაპელოს ხილვა სურთ.

# ლუისი მატჩ-რევანშზე თანახმაა

ბრიტანელმა ლენოქს ლუისმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მზადაა მეორედაც შეხვდეს უკრაინელ ვიტალი კლიჩკოს. შეგახსენებთ, რომ ორიოდე კვირის წინ ლუისმა უკრაინელს ტექნიკური ნოკაუტის წყალობით აჯობა. თავდაპირველად დაგეგმილი იყო, რომ ბრიტანელს მორიგი ბრძოლა როი ჯონსთან გაემართა, თუმცა თავად ლენოქსმა ისურვა უკრაინელთან ხელმეორედ შებმა. ბრძოლა სავარაუდოდ 6 დეკემბერს გაიმართება, სად — ჯერჯერობით უცნობია.





კლიჩკოსთან ჩხუბის სურვილი იმ დიდმა მითქმა-მოთქმამ გამოიწვია, ლუისთან პირველი ბრძოლის დასრულების შემდეგ რომ ატყდა. უმრავლესობის აზრით, კლიჩკოს ჩხუბის გაგრძელება შეეძლო და მხოლოდ მსაჯთა და ექიმთა ჩარევის გამო შეწყდა ბრძოლა. ახლა ლუისი ოფიციალურად ითხოვს, რომ ორივე მოკრივემ საკუთარი ექიმი იახლოს თან და მხოლოდ მათ გადაწყვიტონ, შეუძლიათ თუ არა ბრძოლის გაგრძელება მოკრივეებს.

C M Y K

## №26 (352) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 416 მკითხველი გამოეხმაურა. 7 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 160-მა ქალმა და 249 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„კვირის პალიტრის“ „საფირმო“ რუბრიკებიდან ყველაზე მეტად რომელი იმსახურებს თქვენს ყურადღებასა და ინტერესს?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა უდიდეს ყურადღებას რუბრიკა „თქვენთვის, ქალბატონებო!“ იმსახურებს, რესპონდენტთა 23-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. მინიმალური — 1 ქულა კი 4-მა დაუწერა. **6,45** საშუალო ქულით მანდილოსნებისათვის განკუთვნილი ეს რუბრიკა პირველ ადგილზეა. თუმცა, მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზე „საპრიზო რეიტინგია,“ რომელიც მკითხველთა 30-მა შეაფასა 9 ქულით. საერთო რეიტინგში კი იგი მეორე ადგილზეა, საშუალო ქულაა 6,36. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური ქულის მფლობელიც „რეიტინგია“ — მკითხველთა 1,9-მა მიაკუთვნა მინიმალური ქულა.

„წისქვილმა კი ფქვასო“ 5,94 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა.

მაქსიმალური ქულების სიუხვით გამოირჩევიან, ასევე „მამულ-დედული“ (13,5) და „კვირიდან კვირამდე“ (11,4).

როგორც ვხედავთ, მკითხველთა ყურადღებას ისეთი რუბრიკები იმსახურებენ, რომლებიც ან სასარგებლოა მათთვის („საპრიზო რეიტინგი“, „მამულ-დედული“, „ანიდან ჰაემდე“), ანდაც — ცხოვრებისეული, იდუმალი („თქვენთვის, ქალბატონებო!“, „წისქვილმა კი ფქვასო...“)

აღსანიშნავია, რომ მამაკაცებთან პირველ ადგილზე „რეიტინგია“, შემდეგ — „თქვენთვის, ქალბატონებო!“ და „წისქვილმა კი ფქვასო...“ მათთან ზუსტად თანაბარი საშუალო ქულები დაიმსახურეს (მეშვიდე-მერვე ადგილებს იყოფენ) „ფოტოპალიტრამ“ და „ავტოსალონმა“.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა, არ დაფიქსირებულა არც მასთან მიახლოებული ვარიანტი, ეს კი, როგორც ვიცით, ჯეკ-პოტს ნიშნავს და გაცნობებთ, რომ მომავალი რეიტინგის საპრიზო ფონდი **200** ლარი იქნება.

წარმატებებს გისურვებთ!

## №27 (353) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**~~100~~ 200 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **მკითხველის პრემიაში**

**№27 (353) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 9 ივლისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 10 ივლისის 13 საათამდე.**

© თბილისი

ყურადღება! საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №27 (353) — ტელეგადაცემები

**რა სახის ტელეგადაცემები მოგწონთ ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)?

დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№27(353) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ტელეგადაცემა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | სპორტული | |
| 2 | ტელესერიალი | |
| 3 | საინფორმაციო | |
| 4 | მულტფილმი | |
| 5 | ინტელექტუალური თამაში/ტელევიქტორინა | |
| 6 | მუსიკალური კლიპი/ათეული | |
| 7 | ტოქშოუ | |
| 8 | მხატვრული ფილმი | |

*მკითხველის რეიტინგი*

**დაასახელეთ თანამედროვე ქართული ესტრადის სამი ყველაზე სიმპათიური, მომხიბვლელი ქალი**

✓ ________________

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ________________

________________ თქვენი სახელი, გვარი

________________ ქალაქი (რაიონი)

ასაკი ________ ტელეფონი ________

ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

## *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

*ტელეჟურნალისტები, რომელთა მიმართაც კეთილგანწყობილია მაყურებელი*

| | | |
|---|---|---|
| 1. | ეკა ხოფერია | 29,4% |
| 2. | კოკა ყანდიაშვილი | 27,1% |
| 3. | ინგა გრიგოლია | 11,1% |
| 4. | დავით კიკალიშვილი | 5,5% |
| 5. | დიმიტრი ობოლაძე | 5,2% |
| 6. | ნათია ლაზაშვილი | 3,1% |
| 7. | ეკა ბერიძე | 2,8% |
| 8. | ლუბა ელიაშვილი | 1,7% |
| 9-10. | ნატა ამაღლობელი | 1,4% |
| 9-10. | აკაკი გოგიჩაიშვილი | 1,4% |



აღსანიშნავია, რომ ქალების ფავორიტი **კოკა ყანდიაშვილია** — მანდილოსანთა 30,6%-მა განაცხადა, რომ ყველაზე მეტად კეთილგანწყობილია „რა ხდება“ ავტორის მიმართ. მათთან **ეკა ხოფერია** მეორე ადგილზეა (23,9%). რესპონდენტთა 1,4%-ს გაუჭირდა კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა.

***მკითხველის რეიტინგში 369 რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა***

## • ფოტოპალიტრა • ფოტოანტიკვარი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

________________

________________

________________

________________

თქვენი სახელი, გვარი ________________

ქალაქი (რაიონი) ________________



ზურაბ ჟვანია, ირინა სარიშვილი, გიგი წერეთელი

**„ფოტოანტიკვარის“ მონაწილეთაგან ზუსტად 94%-მა სწორად ამოიცნო ეს პატარა, მხიარული ბიჭუნა, რომელსაც კოჭებში ვერც ექიმობას, ვერც მინისტრობასა და... ვერც სახელმწიფო მინისტრობას შეატყობდა კაცი... დიახ, თქვენ წინაშეა ავთანდილ ჯორბენაძის ბავშვობის ფოტო.**

**რესპონდენტთა 6%-მა კი მასში ირაკლი მენაღარიშვილი და ზურაბ ჟვანია „შეიცნო“.**





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



ავთანდილ ჯორბენაძე, 5 თვის

## ფოტოგანწყობა



– გვირაბი უკვე გავთხარეთ... ამაღამ გავდივართ



## გარდაიცვალა სოულის მეფე



პარასკევს, ლოს-ანჯელესის საავადმყოფოში 58 წლის ასაკში გარდაიცვალა ბარი უაიტი. მისი საბოლოო დიაგნოზი — თირკმლის უკმარისობაა... ბარი ახლახან გადატანილი მწვავე ინფარქტის შედეგად თავს ძალზე სუსტად გრძნობდა. თირკმლის გადანერგვის ოპერაციას გამწვავებულმა ჰიპერტონიამაც შეუშალა ხელი.

უაიტი „გრემის“ პრემიის ორგზის მფლობელია, უკანასკნელი 1999 წელს მიანიჭეს. გამოშვებული აქვს უამრავი პლატინის და ოქროს დისკი. კონცერტები ღია ცის ქვეშ ნამდვილ ფეიერვერკად იქცეოდა ხოლმე. მისი უნიკალური ვოკალი გაჯადოებდათ, გატკბობდათ, მასზე თქვეს: „შოკოლადის კექსს რომ სიმღერა შეეძლოს, ბარის ხმით იმღერებდაო“.

წარმოიდგინეთ, ასეთი პოპულარული მომღერალი, თვითნასწავლი გახლდათ. მომღერალმა ყველა სიმღერა სიყვარულს უძღვნა — სიყვარულს ზოგადად.

**13/VII სავსე მთვარე**

**მაგნიტური დღეებია**
**9/VII 9-დან 11 საათამდე**
**11/VII 11-დან 13 საათამდე**
**13/VII 12-დან 14 საათამდე**

* * *



მამაკაცი სიდედრის მოსანახულებლად იყო საავადმყოფოში და ძალიან ნაღვლიანი დაბრუნდა შინ.

— ეტყობა, დედაშენს მალე გამოწერენ, — ცრემლმორეული ხმით ეუბნება ცოლს.

— რატომ გადაწყვიტე?

— ექიმმა მითხრა, უარესისთვის მოემზადეთო.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები



**თარაზულად:** 1. სპეციალური შენობა, მუზეუმი, სადაც გამოფენილია სამხატვრო ხელოვნების ნაწარმოებები; 4. სწორი ხაზის მონაკვეთი, რომელიც აერთებს წრეხაზის რომელიმე წერტილს ცენტრთან; 6. გამომძიებელი აგატა კრისტის დეტექტივებში; 7. სიმღერის კინოინტერპრეტაცია; 8. ბრიტანელთა ნაბიჯის ტოლი სიგრძის ერთეული; 9. ფოტოსურათების კრებული; 12. მსახიობი ... სილვერსტოუნი; 15. დროის მონაკვეთი; 17. სამხედრო-ფეოდალური წოდება, რომლის პატიოსნების კოდექსია „ბუსიდო“; 18. ქიმიური „ქამელეონი“; 19. კანადის დედაქალაქი; 21. სურვილების სრული არქონა; 22. ლეგიონერთა ათისთავი ძველ რომში; 26. უფერული სითხე უჯრედშორის სივრცეებსა და სადინარებში; 27. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 28. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი; 29. ვალტერ სკოტის რომანი; 30. ჩვილის გაგონილი პირველი სიმღერა.

**შვეულად:** 1. დანაშაული, რის გამოც მოხვდა ციხეში შემდგომში ამერიკელი კლასიკოსი, მწერალი ო'ჰენრი; 2. დარტყმა კრივში, ქვემოდან ყბაში ან სხეულში; 3. თურქულ ენაზე იგი „ბარებიან სასახლეს“ ნიშნავს, მისი შადრევანი კი უკვდავყო პუშკინმა თავის პოემაში; 4. სოციალურ დახმარებაზე მცხოვრები მწერალი, რომლის პირველი წიგნი გამოიცა 1000 ეგზ. ტირაჟით, ხოლო მეხუთე — 15 მილიონით და რომელმაც სიმდიდრით უკან ჩამოიტოვა ბრიტანეთის დედოფალი; 5. უცხოელთა შესვლა სხვა სახელმწიფოში მუდმივად საცხოვრებლად; 10. ტექნიკური ბალახი-მცენარე; 11. ტკბილეულის გამომშვები უდიდესი კომპანია; 13. დელიბის ოპერა; 14. ფინური აბანო; 15. რუსი ილუზიონისტი; 16. ... პუგაჩოვა; 20. ცხოველთა ხატვით ფულის მშოვნელი; 21. კონტინენტი; 23. იუმორით გამსჭვალული პატარა მოთხრობა ან მუსიკალური პიესა; 24. ფრინველი; 25. ტბა დუშეთის რაიონში.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**







## ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი

*(ტექნიკური უნივერსიტეტის სპეც. ფაკულტეტი)*
*აცხადებს მიღებას სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:*

1. ა) **სამართალმცოდნეობა** (ქართული და რუსული სექტორი);
ბ) **საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი.**
2. ა) **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები** (ეკონომიკური დიპლომატია) (ქართული და რუსული სექტორი); **ბ) საბანკო საქმე; გ) საბაჟო-საგადასახადო საქმე** (წარმოების, მომსახურების კონტროლი და ზედამხედველობა).
3. **მთარგმნელობითი საქმიანობა:** ა)ინგლისური ენა (ქართული და რუსული სექტორი); ბ) გერმანული ენა; გ) ფრანგული ენა.
4. **ჟურნალისტიკა:** ა) ჟურნალისტიკა; ბ) ინტერნეტ-ჟურნალისტიკა; გ) რეპორტიორი (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა); დ) საზოგადოებრივი ურთიერთობები (ქართული და რუსული სექტორი).
5. **ვიდეორეჟისურა**

**ინსტიტუტთან ფუნქციონირებს ლიცეუმი. სწავლა ფასიანია. ჩარიცხვა წარმოებს გამოცდა-ტესტირების საფუძველზე. აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ატესტატი; 2. 4 ფოტოსურათი — 3X4; 3. პირადობის მოწმობა; 4.ვაჟმა აბიტურიენტებმა სამხედრო სწავლებისათვის წარმოადგინონ მიწერის მოწმობა. საბუთები მიიღება 1 ივლისიდან, შაბათ-კვირის გარდა 10-15სთ-მდე.**

მის: თბილისი, მერაბ კოსტავას 77, საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის VIII სასწავლო კორპუსი, II სართული. ☎ **36-34-34; 899-20-34-35; 36-30-72**


**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**


(27) *უფასო განცხადების ქვითარი*

განცხადების ტექსტი ______

ყიდვა და საქმე

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№27 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 10 ივლისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.


*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი ©518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.


შავი ყვითელი ლურჯი წითელი